

საკე



დავით ნარმანია თავის სტუდენტთან რომანს გალავდა

გვ.6

ინფრასტრუქტურის მინისტრი გეორგი ბიჭხელიძე

ლაო ანთაძე: „მანანასთან განსხვავებით, ქალიან წყნარი, გუნერული სოლი გყავდა“

გვ.26



გვ.20



თეონა ბენაშვილი: „ზურაბს დამსახურებაა, რომ სამ თვეში შევუფლდით“

გვ.10



მამუკა ჩარკვიანი: „ირმა უანჯრიდან დავინახე, მოვკიდე ხელი და სოლად მოვიყვანე“



გვ.24

ვახო ბიჭიკაშვილი და მისი სოლი გახით გაგუდვანს გადაურჩნენ



გვ.14

რამომ თანაშობრძნობს მიზეზ მშვილდაძემ ბერა ივანიშვილს



გვ.46

ზურა ყიფშიძე: „ორ პენიანობისგან ვარ მოყოლილი“



გვ.23

ეკა ბერიძე: „ვრისავე და დედაბავს ვიწყებ, არ ვიცი, ნასიონალური მოვლენ თუ არა“



გუდახილი სჯუბიხეი „რა მჭირს?! ჩვენი ქვეყანი ქალის სახელით კასტებს წერილებს სწავს!“ გვ.13



გვ. 38

**თინათინ
მელაშვილის
თოჯინებიანი
სახლი**



გვ. 35

**თავიკო
ჭიჭინაძე:
„ჭკვიან ქალთან
ურთიერთობა
ჩემთვის აზარტია“**



გვ. 34

**ია კინეარაშვილი:
„ჩემი გარემოების
საიღუმლო მასაჟები
მდგომარეობს“**



გვ. 21

**რამომ ექანდნენ
გიორგი მოსიძის დედან
საერთაშორისო
დედამთილს**



გვ. 33

**თენგიზ და ლარისა
გარეჩილაძეებმა
ქრძი „ქმაქაშური“
გაემოიბონეს**



გვ. 30

**ნინო სმოგილაძე:
„მადლობელი ვარ
პრაქანსალი
ქრიტიკისთვის,
საქმეს უფრო მეტი
ენთუზიანებით
შევედგები“**

მთავრობის სახე	
დავით ნარმაია: „თინათინმა სიდიდა და კარგი სწავლით მომხმარებელა“	6
სსრკ-ის გაქვითილა	
მაშუკა ჩარკვიანი: „ირმა ფანჯრიდან დაეინახე მოკვიდე სული და ცოლად მოვიყვანე“	10
გულანდელი საზარები 12-13	
შოქანი	
რატიმ თანაურდინის მისი მშვილდადე ბერა ივანიშვილის	14
პოლიტიკა	
■ ნინო ბურჯანაძე: „ოცნებამ“ გააძლიერა და „გათეთრა“ ნაციონალიზმი“	16
■ სურგულაძის წიგნაური: „ჩვენ მოღალატე პრეზიდენტი არ გეჭირდება!“	17
■ რამაზ საყვარელიძე: „ხალხი ახალ პოლიტიკურ ლიდერს ეძებს“	19
მორა ნახვარი	
თეონა ბენაშვილი: „სურათს დამსხურებდა, რომ სამ თვეში შეეუღლდით“	20
მათი შოგლები	
რატიმ ეძახდნენ ვიორჯი მოსიძის დედას საერთაშორისო დედამთილს	21
ტელესახე	
ეკა ბერიძე: „კრისკაჟ და დეპუტებს ვაწყებ, არ ვიცა, ნაციონალები მოვლენ თუ არა“	23
მორად დაბადა	
ვახო ბიჭიკაშვილი და მისი ცოლი ვაჩი ვაგუდვას გადაურჩნენ	24
ეკრანული წყვილი	
ლეო ანთაძე: „მანანასგან განსხვავებით, ძალიან წყნარი, ბუნებრივი ცოლი მყავდა“	26
მორარები 28-29	
კონკურსნანი	
ნინო ცნობილაძე: „მადლობელი ვარ არაჯანსაღი კრიტიკისთვის, საქმეს უფრო მეტი ენთუზიაზმით შეუვადებია“	30
ქართვლები უსწოთში	
გიორგი ვაგნიძე: „დიდი სცენებისკენ გზა ხოსე კარერასმა გამისწავა“	31
სამზარეულო	
თენგიზ და ლარისა გაქვნილაძეებსა კერძი „მბაკცურა“ გამთიგონეს	33
საკის წინ	
ია კოსტანიშვილი: „ჩემი გარეგნობის საიდუმლო მასაჟებში მდგომარეობს“	34
კადრები	
თემიკო ჭიჭინაძე: „ჭკვიან ქალთან ურთიერთობა ჩემთვის აზარტია“	35
შინ	
თინათინ მღალაშვილის თოჯინებანი სახლი	38
სსრკ-ის რეორდება	
ზურა ყიფშიძის საოცარი თაგვადსახლები	46
მეგზური	
მბიფა — ისრაელის ლამაზი ნაბირი	48

დედიკობის სკოლა	
■ რა იმდლება ბავშვის მეტყველების ტემპის მიღმა	49
■ როგორ დავამარცხოთ დისბაქტერიოზი	49
მსოლო ქალაქისთვის 51	
რევი მშენიერი ლედი	
გივი უანდურა: „გოგოს კარგად ჩაცმა და ლამაზი მუსიკის მოსმენა უნდება“	52
სორტის მიღვა 53	
მეშლილი, მეშლილი, მეშლილი მსოფლიო 54-55	
სახლისო 56-57	
იყავით ჯანვითალი 58-59	
ადამიანის ინსტიტუტი	
■ რა ინფორმაციას ვასცემენ თქვენი სელები და ფეხები	62
■ უსწრსულობა სიცილით დაძლიეთ	62
■ როგორ დავცლით ხალხმრავლების შიში	62

როგორ აღორდნა მკვლელობის საქმეში სოსო პავლიაშვილისა და მისი სიძის გვარები

რუსული შოუბიზნესის ქართველი ვარსკვლავის, სოსო პავლიაშვილის სახელი რამდენიმე თვეა მძიმე კრიმინალურ საქმეში — მკვლელობაში ტრიალებს. მკვლელობა 2012 წლის 23 ნოემბერს თბილისში, ზაზიაშვილის ქუჩაზე მოხდა. ბიზნესმენი, 46 წლის ანტონ (ავთო) ადუაშვილი საკუთარ მანქანაში მკვდარი იპოვეს. გარდაცვლილს სამი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, აქედან ერთი, სავარაუდოდ, საკონტროლო გასროლა იყო. დაპატიმრებულია რამდენიმე პირი, მათ შორის — ვახტანგ ჩხაპელია, რომელიც სოსო პავლიაშვილის დის ქმარი გახლავთ. გამოძიების მსვლელობის პარალელურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ადუაშვილის მკვლელობა მომღერალმა შეუკვეთა. სკანდალური საქმის დეტალებსა და მასთან დაკავშირებული პიროვნებების შესახებ „სარკეს“ ვახტანგ ჩხაპელიას ადვოკატი ლევან ჯავახიძე ესაუბრება.



33.8

ქალური მოთხრობები	
■ თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-14)	66
■ ლელა ცუცქერიძე — „მეზავრობა“	68
წინდანი	
იქ სადაც ღმერთია, ეშმაკს საერთო არაფერი აქვს	72
ქითხვები მოქვარს	
„განაწყენების შესარიგებლად უფალს ეყვდრეთ“	73
ტრადიციი	
რატიმ იცვამდნენ თუში პატარძლები ქორწილში შავ კაბებს	75
საბავშვო გვარდი 76	
ქვინარიული შევარები 77	

ევროკავშირმა კარგად იცის, ვინ დაიწყო ავონსოს ომი

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი თომას ჰამერბერგი საქართველოშია. მისი თქმით, იგი ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირის ორი მნიშვნელოვანი კომისიის მიერ 4 თვით არის მოვლენილი. ამ კომისიებს ქეთრინ ეშტონი და შტეფან ფულე ხელმძღვანელობენ.



თომას ჰამერბერგი

ჰამერბერგი ამ 4 თვის განმავლობაში საქართველოს ყოველ თვეში ეწვევა დაახლოებით 10 დღით და ამ მიმდინარე პროცესებს შეისწავლის. დასკვნას კი, სავარაუდოდ, სექტემბერში დადებს. მისი განცხადებით, გამოძიებული იქნება, დაირღვა თუ არა ადამიანის უფლებები აგვისტოს ომის დროს და არა ის, თუ ვინ დაიწყო ომი.

— აგვისტოს ომის კონტექსტში არასწორი გაგებაა. ვფიქრობ, ეს თემა მას შემდეგ წამოიწია, რაც საქართველოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრები ჩამოვიდნენ ჰააგედან. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოებში ადამიანის უფლებების დარღვევაზე ძალიან ბევრი საჩივარი შემოვიდა და შეეცაბა სამოქალაქო პირების, ტყვეების უფლებების დარღვევას. ამ საჩივრების საფუძველზე ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოებმა ომის დროს სამხედრო დანაშაულებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამოძიება დაიწყეს. ისინი შეისწავლიან, იყო თუ არა ეთნიკური წმენდა, ნაშენი და არაადამიანური მოპყრობა, — განაცხადა ჰამერბერგმა.

ევროკავშირის წარმომადგენლის თქმით, უკვე გამოკვლეულია, ვინ დაიწყო ომი.

— ომის თავიდან აცილების საკითხი და ის, თუ ვინ დაიწყო ომი, კარგად არის ასახული ტალივანის დასკვნაში და გირჩევთ, ის კარგად წაიკითხოთ, რადგან ეს კომისია საერთაშორისოა და ამ ანგარიშში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. როგორც ვიცი, ჰააგის სასამართლოს კითხვები აქვს მხოლოდ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და საქართველოს მთავარი პროკურატურა სწორედ ამ კითხვებზე გასცემს პასუხს, — აღნიშნა ჰამერბერგმა.

საქართველოს ბავშვები აკადემიური მოსწავლით ევროპულ თანაგობლას ჩამორჩებიან

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის, თომას ჰამერბერგის განცხადებით, ქართველი ბავშვების 70 პროცენტი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, აკადემიური მოსწრების დონით კი ყველა ევროპულ ქვეყანას ჩამორჩება.

— საქართველოში ვიზიტის ფარგლებში მე შევისწავლე ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა და მიხდა, გიტყვით, რომ ამ კუთხით არცთუ ისე სახარბიელოდაა საქმე. საქართველოში ჯერ კიდევ რჩება სექტორები, სადაც აშკარაა სიღარიბის მაღალი დონე. რაც შეეხება ბავშვებს, მათი უმრავლესობა უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს. ე.წ. ფიზის ტესტების მიხედვით კი აკადემიური მოსწრების დონით ყველა ევროპულ ქვეყანას ჩამორჩებიან. ჩემი აზრით, ამ მხრივ გასაკეთებელი და სამუშაო ძალიან ბევრია, — აღნიშნა ჰამერბერგმა.

მეფე სტეფანე: „ქარაღისებრი და საჯარო მოხელეები ქართულ ენას ამახინჯავენ“

საგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსის, მეფე სტეფანეს შეფასებით, ყურნალისტებსა და საჯარო მოხელეებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ მეტყველებასთან დაკავშირებით გამოცდა ჩაბარებული, რადგან მათი სასაუბრო ენა კრიტიკას ვერ უძლებს.

— როდესაც ყურნალისტი მეტყველებს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს დაცული მინიმალური სტანდარტი, შესაბამისი გამოცდა უნდა ჰქონდეს ჩაბარებული. ეს პროფესიული სტანდარტია. ძალიან მძიმეა იმის მოსმენა, როგორ მეტყველებენ ჩვენი მედიის წარმომადგენლები და საჯარო მოხელეები, — აღნიშნა მთავარეპისკოპოსმა.

მეფე სტეფანეს აზრით, თანამედროვე მეტყველებაში უამრავი პრობლემა გაჩნდა, მაგრამ ყველაზე საგანგაშოა უცხო სიტყვათა გამოყენება.

— ალბათ ამით სურთ, საკუთარ განათლებას გაუსვან ხაზი, მაგრამ გაუნათლებლობისა და წამხედურობის ნიშანი უფროა, როდესაც ადამიანი უცხო ტერმინებს იყენებს და არა — მის ქართულ შესატყვისებს, — აღნიშნა მეფემ.

პრემიერმინისტრი 35 წლის წინ 14 აპრილის მანიფესტაციაში მონაწილეობდა

საქართველოს პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დედადენის დღესთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნავს, რომ 14 აპრილისამდმი მისი დამოკიდებულება ძალიან ემოციურია, რადგან 35 წლის წინ თბილისში, რუსთაველის გამზირზე, იმ ქართველ ახალგაზრდებთან, სტუდენტებსა და მოსწავლეებთან ერთად იდგა, რომლებიც წინ აღუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების გადმაცდობას, საქართველოში ქართული ენა გაუქმებულიყო, როგორც სახელმწიფო ენა.

— ახალგაზრდების ამ ნაბიჯმა და პრინციპულმა პოზიციამ, რომელიც მაშინ გმირობის ტოლფასი იყო, ნაყოფი გამოიღო, ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი დაუბრუნდა. ეს იყო უნიკალური შემთხვევა საბჭოთა იმპერიის არსებობის განმავლობაში. ეს მოვლენა უმნიშვნელოვანესია იმიტომაც, რომ სწორედ ამ დღემ მისცა ბიძგი გასული საუკუნის 80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას საქართველოში. დღეს საიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ მაშინ რუსთაველის პროსპექტზე, იმ ახალგაზრდებს შორის მეც ვიდექი. არასოდეს დამავიწყდება ის ამაღლებული განცდა, რომელიც, დიდი საფრთხის მიუხედავად, ყველას გვაერთიანებდა.

როგორც პრემიერი გვირდებდა, ის ყველაფერს გააკეთებს სახელმწიფო ენის დაცვისათვის.

— დღეს ჩვენი ვალა, დავიცვათ ქართული ენა და თავისი განსაკუთრებული ადგილი აღვუდგინოთ. მე დაგვირდით და ჩვენი მთავრობა ასრულებს დანაპირებს. სპეციალისტებთან და საზოგადოებასთან ერთად სხვადასხვა პროექტის შემუშავება იგეგმება სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების მიმართულებით. ჩვენ ძალისხმევას არ დავიშურებთ, ყველა ჩვენს თანამოქალაქეს ხელი შევუწყოთ ქართული ენის შესწავლაში და ამით მისი სახელმწიფო სტატუსი განვამტკიცოთ, — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.



ქარაღის
1998 წლის 23 იანვარიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მელა სანია
ვაჟა შანგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ყურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოაღბილენი — ორინე მჭედლიძე, ორმა გოგინაძე, აეთო ჩიტოძე.

პოლიტიკა — მანანა გვგია. საზოგადოება, საზოგადოებრივი, შრომობრუნის — ორინე მჭედლიძე, რუსუდან ადგაძე, ლანა კიკაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოღია, აეთო ჩიტოძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლეონიძე, თათია ბოჭორიძე. მსოფლიო — ანა გვგინაძე, ნათია ტოტიკაშვილი. შრომა — ქეთი ყორიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მონტაჟი: დაკაბაძე — ორმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ლაგორი — მარინა ჟღერტი, მია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარედაქციო სამსახური — მაგუა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru. მსოფლიო — იანა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.

ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU მისამართი: SANA.GE

ბიძინა ივანიშვილი გუნდით სოციალისტია

რემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი არ მალავს, რომ პირადად მას პოლიტიკური იდეოლოგია არ გააჩნია და ამაზე არც აქვს პრეტენზია, რადგან ის არც პოლიტიკიდან მოსულა და არც ამ სფეროში აპირებს დიდხანს დარჩენას.

— მე იდეოლოგიით არ მოვსულვარ და არ მოვსულვარ იმიტომ, რომ პოლიტიკური პარტია ჩამომეყალიბებინა. მე მოვედი იძულებით, რამეთუ ვალდებული ვიყავი, ჩემი ქვეყნისთვის სამსახური გამეწია. ჩემი იდეოლოგია არის ისეთი, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს თავისუფალი, დემოკრატიული და ევროპული და ამაში არაფერი ახალი არაა. სოციალისტური სოლიდარობაცაა ჩემს ხასიათში და ევროპის სოციალისტურ პარტიასთან ვაპირებთ გაერთიანებას, — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება კოალიციას, ივანიშვილის თქმით, იქ განსხვავებული მოსაზრებებია და არა — ანტაგონიზმი.

— რეალურად, პარტიებს იდეოლოგიურად ჩამოყალიბება არ ენერათ. რესპუბლიკელებსაც აქვთ იდეოლოგია და „ფორუმსაც“, მაგრამ საკმაოდ სუსტი იყვნენ და ამაში ლომის წილი პრეზიდენტს მიუძღვის. საპირისპიროს ვცდილობ მე, ეს უხერხულობას ინვესტ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ მე არ ვთვლი თავს პოლიტიკოსად და მინდა, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნდე საზოგადოებაში. არც მომავალში მექნება პრეტენზიები. რალაც ეტაპი, სანამ საჭირო იქნება, მოვემსახურები ჩემს ქვეყანას, შემდეგ სხვაგან ვნახავ ჩემს როლს, — ამბობს ივანიშვილი.

რესპუბლიკური პარტია „ლიბერალ ინტერნაციონალის“ წევრი გახდა

საქართველოს რესპუბლიკური პარტია „ლიბერალ ინტერნაციონალის“ 190-ე კომიტეტის სხდომაზე სრულ წევრად მიიღეს. პარტია თინა ხიდაშელმა წარადგინა, სხდომა კი ლიბანში, ბეირუტში გაიმართა.

— ქართველებს ახსოვთ თქვენი მყარი პოზიციები მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მიტინგებს არბევდნენ, როცა ჟურნალისტებზე ძალადობდნენ; მაშინ, როცა განსაკუთრებული რეპრესიები ხორციელდებოდა ჩვენს აქტივისტებზე და ამისთვის მხოლოდ მაღლიერი ვარ, მაგრამ ახლა გაცილებით უფრო მკაცრია გამოწვევები და თქვენი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია... ჩვენი წარმატება ევროპულ ოჯახში გაწევრებაშია, ამას კი თქვენი მხარდაჭერის გარეშე ვერ მოვახერხებთ. ამიტომ გთხოვთ, კვლავაც იდგეთ ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური არჩევანის წარმატების სადარჯოზე, — განაცხადა სხდომაზე ხიდაშელმა.

გიორგი კალანდია ირაკლი ალასანიას „კულინარიელობა“ გაუხსნა

ურთიერთრადლებები თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და გაერთიანებული შტაბის ყოფილ უფროს გიორგი კალანდიას შორის გრძელდება. კალანდიამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ალასანიამ მას გამოძიებასთან თანამშრომლობა შესთავაზა ახალაიას წინააღმდეგ, ამჯერად თავდაცვის მინისტრს ახალგაზრდობა გაახსენა და აღნიშნა, რომ ის „კულინარიელების საქმის“ წევრი იყო.



გიორგი კალანდია

— თავისი ახალგაზრდობა და ის წლები გაიხსენოს, როცა 29 წლის ასაკში უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე იყო. საერთოდ არ არის პრეცედენტი, 29 წლის ბიჭი უშიშროების მინისტრის მოადგილე ყოფილიყო. მე 32 წლის გავხდი ბრიგადის გენერალი, ალბათ დამსახურების გამო. აქ რომ მოვდიოდი, თობშიდისა და რეზინაშვილის საქმე მომანოდეს, როცა 14 წლის ბიჭები გარდაიცვალნენ და გარკვეულწილად თავდაცვის ახლანდელი მინისტრია მოხსენიებული, — განაცხადა ტელევიზიით კალანდიამ.

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია კი საპასუხოდ აცხადებს, რომ გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი „რეალ ტვ“-ის გროტესკულ პერსონაჟს დაემსგავსა:

— ვნუხვარ, რომ ბატონი კალანდიამ მართლა „რეალ ტვ“-ის გროტესკულ პერსონაჟს დაამსგავსეს. გახსოვთ, „რეალ ტვ“ როგორ მოქმედებდა, როგორ მუშაობდა წარსულში. არ ვიცი, ახლაც არის თუ არა ეს ტელეკომპანია, მაგრამ აშკარად სამწუხაროა, რომ ასე მიეხმარა ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი დეპუტატი მას „რეალ ტვ“-ის გროტესკულ პერსონაჟად გადაქცევაში.

პატიმრის ნაშენის ფაქტზე ოთხი თანამშრომელი გამოვლინდა

როკურატურის ინფორმაციით, პატიმრის ნაშენის ფაქტზე სასჯელალსრულების დეპარტამენტის №15 დანესებულების ყოფილი თანამშრომლები დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დანესებულების სა-მართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა ლევან ლეჟავამ, ამავე დანესებულების დირექტორმა შოთა თოლორდავამ, უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა გიორგი ფარჯანაძემ და პატიმრობის განყოფილების უფროსმა დიმიტრი ჩხეიძემ მსჯავრდებულს ადმინისტრაციული შენობის სავარჯიშოდ განკუთვნილ ოთახში ხელფეხი შეუკრეს და სასტიკად სცემეს. პატიმარზე რეზინის ხელკეტები ძალადობა განახორციელეს, გამოიყენეს ელექტროშოკი და წყლით სავსე ჭურჭელში რამდენჯერმე ჩააყოფინეს თავი.

სასამართლო განჩინების საფუძველზე დაკავებული არიან ლევან ლეჟავა და გიორგი ფარჯანაძე. რაც შეეხება დიმიტრი ჩხეიძეს და შოთა თოლორდავას, მათი ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით ღონისძიებები ტარდება.

გიორგი ბარათაშვილი საზოგადოებრივი ბენეფიკატორად დააბრუნეს

15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ საზოგადოებრივი მასშტაბის ყოფილი გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა. მან ბათილად ცნო სამეურვეო საბჭოს მიერ 4 მარტს მიღებული გადაწყვეტილება ბარათაშვილის დათხოვნის შესახებ და საზოგადოებრივი მასშტაბის მის სასარგებლოდ 5.500 ლარის გადახდა დააკისრა გაცდენილი დღეების სანაცვლოდ.



გიორგი ბარათაშვილი

ბარათაშვილმა ჟურნალისტებთან განმარტა, რომ საქმეში მთავარი მტკიცებულება სამეურვეო საბჭოს კენჭისყრის პროცედურის დარღვევა იყო — ხმების საჭირო 2/3-ის ნაცვლად, გადაწყვეტილება 9 ხმით მიიღეს, რაც კანონდარღვევაა.

გიორგი ბარათაშვილის ინტერესებს სასამართლოში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატები იცავდნენ. მოპასუხე მხარეს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ორკვირიანი ვადა აქვს.

აპნისტოს ომში დაღუპული გიორგი ანუხელიძე პრეზიდენტმა ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გმირი გიორგი ანუხელიძე სიკვდილის შემდეგ ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა.

— ჩვენ დღეს პატივს მივავებთ საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპულ ჩვენს გმირს, 2008 წელს რუსეთის აგრესიას შეწინააღმდეგე ჩვენს უმცროს სერჟანტს, გიორგი ანუხელიძეს, — განაცხადა სააკაშვილმა.

გიორგი ანუხელიძე 2008 წლის 9 აგვისტოს ტყვედ ჩავარდა. ის ოსმა სუპარატისტებმა და რუსმა სამხედროებმა სასტიკად აწამეს. ეს შემზარავი კადრები ვიდეოფორუმზე არის გადაღებული. ანუხელიძე 2008 წლის ნოემბრამდე დაკარგულად ითვლებოდა. ნოემბერში ცხინვლიდან ათი ქართველის ცხედარი გადმოასვენეს და გენეტიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ ერთ-ერთი გიორგი ანუხელიძე იყო.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ღონისძიებას გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი ირაკლი ძეგლაძე და გიორგი ანუხელიძის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.



ირაკლი ალასანი

დავით ნარმანი: „თინათინა სიღინჯით და კარგი სწავლით მოხიზლა“

ინფრასტრუქტურის მინისტრი მეორე ბიჭს ელოდება



ბოლო სტიქიამაც სულ ჩვენს სამსახურზე გადაიარა.

— სამინისტროში რა სიტუაცია დაგხვდა?

— ბევრი დანაყოფი პროექტი დაიხვეწა და, მათ შორის ისეთებიც, რომელთა ბიუჯეტი არც არსებობდა. ზოგი პროექტის დროში გადაწვევა მოგვინია. ბევრი პრობლემური პროექტიც დაგვხვდა — კერძო სექტორში იყო შეჭრილი სამშენებლო საქმიანობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია კულტურის სამინისტროსთან შეუთანხმებლად ხდებოდა.

თინათინი: „იმედია, ბავშვს ხომ გავაჩენ, დათო მაშინ მაინც იქნება ჩემთან“.

კულტურული მემკვიდრეობის წესებია დარღვეული ბევრ პროექტზე. არ არსებობდა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობა მაინც მიმდინარეობდა... ამ ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ ვანესრულებთ. ჩვენი სამინისტრო ჯანდაცვის სამინისტროს შემდეგ ყველაზე დიდ ბიუჯეტია. 900 მილიონზე მეტია ჩვენი ბიუჯეტი.

აქამდე ძირითად გადაწყვეტილებებს ფორმალურად იღებდნენ. ბევრი სიტყვიერი დავალება იყო გაცემული ამ სამინისტროდან სხვადასხვა კომპანიებზე. მათ ჰქონდათ განუხლები სხვადასხვა სამუშაო, ფული დახარჯული და ა.შ. ყველაზე მთავარი გაუმჭვირვალობა იყო.

— ლაზიკის პროექტს დაგხვდა?

— არა, ლაზიკა ვირტუალური რაღაც იყო, რომლის დოკუმენტური პროექტი ამ სამინისტროში არ დაგვხვედრია. პირველივე დღეს მოვივითხე, რადგან მაინტერესებდა. ტელევიზიით საუბრობდნენ ბევრს და იქ ვეღვაღდით რუკებს და მაკეტებს, რომლებიც მრავლად დაიხვეწა ჩემს კაბინეტში, მაგრამ ეს არ არის პროექტი. არც ფინანსური კალკულაცია არსებობდა და არც ის იყო სადმე აღწერილი, თუ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო ლაზიკის აშენებას. ამ ჭაობის ამოშრობას და რამის აგებას გაცხილებით დიდი ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე სხვა ქალაქების ინფრასტრუქტურის განვითარებას. რადგან ჩვენი ორი პორტი დატვირთულია, იქ შესაძლოა მხოლოდ პორტი გაკეთდეს. ძალიან კარგი ყურება და უფრო დიდი გემების შემოსვლა იქნება შესაძლებელი, ვიდრე დღეს ფოთსა და ბათუმში შემოდის.

— ბატონო დავით, თქვენს საუბრის ოდნავ შესაძინებელი კიდია, მართლაც, თავად შეტყვევლებს თქვენს წარმომსახურე მაგრამ მაინც კონკრეტულად ვკითხულობ, რომელი კუთხიდან ხართ, რატომ აზრდებით, რა გზა გაიარეთ მინისტრობამდე.

— ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში დავიბადე 1979 წლის 7 მარტს. ჩემი სოფელი ენგურის სანაპიროზეა. სკოლა იქ დავამთავრე. სკოლის პერიოდს დაემთხვა მძიმე წლები, აფხაზეთის ომი და გაჭირვება. მათემატიკის ნიჭი მქონდა და ეკონომისტობა ვარჩიე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ჯერ ბაკალავრიატი და ვამთავრე, შემდეგ — მაგისტრატურა. მერე დისერტაცია დავიცა-

ვი. პარალელურად, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში ვიყავი აქტიურად ჩართული, ისე როგორც უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში.

— საქართველოს რეგიონები ახალგაზრდა ბიჭებს იძლევა და ამის მიზნად ის არის, რომ სასწავლებლად თბილისში ჩამოსვლება უკან აღარ ბრუნდებოდნენ. თქვენს შემთხვევაშიც ასე მომხდარა.

— დიას, ჩემს შემთხვევაშიც იგივე მოხდა, რადგან ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჩავერთე სხვადასხვა საქმეებში. სამეგრელოში რომ შენახა სამუშაო, რა თქმა უნდა, დავბრუნდებოდი და იქ მოვიკიდებდი ფეხს.

ბევრს ჰგონია, რომ მინისტრობა ჩემი პირველი საჯარო სამსახურია, მაგრამ ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოვხვდი საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სისტემაში, სადაც თითქმის 2 წელი ვიმუშავე. ეს იყო ჩემი პირველი საჯარო სამსახური. მერე ვიმუშავე საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტში, მსოფლიო ბანკის პროექტში, სანარმოთა რესტრუქტურისა და ცენტრში. შემდგომ ვიყავი ახალგაზრდა ეკონომისტთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ — თავმჯდომარე. გერმანიაში, მოტსლანში უნივერსიტეტში გავიარე სამეცნიერო სტაჟირება. რომ დავბრუნდი, გერმანულ კოლეგებთან ერთად ეკონომიკური და სოციალური საკითხების კვლევითი ინსტიტუტი დავაფუძნე და მე ვებლმძღვანელობდი. მერე კი, 2012 წლიდან ჩავერთე პოლიტიკურ აქტივობაში.

პოლიტიკურად იმდენად აქტიური არ ვიყავი, რამდენადაც „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ეკონომიკური პროგრამის მომზადებაში გახლდით ჩართული და სამუშაო ჯგუფს ვებლმძღვანელობდი. არჩევნ-

თინათინი: „მეგხელი ეხიძების გაკეთება ქმნიდა მასწავლა“.

ბის შედეგებმა კი ჩემი ბუდი გადაწყვიტა. ჩემი მეგობრის, ნოდარ ხადურის რეკომენდაციით და პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილის თანხმობით მოვხვდი ამ პოსტზე. მანამდე ორჯერ შევხვდი ბატონ ბიძინას და ეკონომიკურ საკითხებზე ვიმსჯელებდი.

— ანუ ის პირველად, რომელმაც ბიძინა ივანიშვილი შეთანხმდა ვეღვაღდებოდათ, თქვენს შემთხვევაშიც მთელი პასუხისმგებლობა თქვენზე მდის?

— დიას. ჩემს ორგანიზაციაში ვმუშაობდით მთელი ჯგუფი. ძალიან მომწონს ეს პროგრამა არამხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი და ჩემი მეგობრების დაწერილია, არამედ იმიტომ, რომ რეალურად მთელი არსებული მდგომარეობის შეფასებაზეა დაფუძნებული.

— ეკონომიკის მინისტრობას უფრო ელოდებოდით, ვიდრე ინფრასტრუქტურისას?

— მინისტრობას საერთოდ არ ველოდებოდი. ამბობდნენ, როცა ნოდარ ხადური ფინანსთა მინისტრი გახდებოდა, მე მისი მოადგილე უნდა ვყოფილიყავი. ამისთვის უფრო ვიყავი შემზადებული. მერე კი მივიღე გადაწყვეტილება, ინფრასტრუქტურ-

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრს, დავით ნარმანის, რამდენიმე კვირა ვუთანხმებდით ინტერვიუს და არ გამოგვდიოდა. მიზეზი დროის კატასტროფული დეფიციტი იყო. მერე აღმოჩნდა, რომ თურმე ჩვენ რა გვექონდა სათქმელი, როცა მისი დანახვა ცოლ-შვილსაც ენატრება. მისმა ახალგაზრდა მომხიზლავმა მეუღლემ შემოგვჩივლა, ადრე შაბათ-კვირას მაინც ვატარებდით ერთად, ახლა კი ჩვენი ოჯახისთვის ყოველი დღე ორშაბათიაო.

დავით ნარმანი 34 წლის არის. მინისტრობის პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს. თავისი ბედიც იქ იპოვა. სულ ახალი დაწყებული ჰქონდა ლექტორობა, როდესაც აუდიტორიაში მშვენიერი ქალიშვილი, თინათინ თინათინაშვილი შეამჩნია და გულში ჩაუფარდა. თავის სტუდენტთან რომანი ისე გააბა, ამის შესახებ არავინ იცოდა, სანამ თინათინი სწავლას არ მორჩა და დაქორწინება არ გადაწყვიტეს. ახლა უკვე 3 წლის კონსტანტინე ჰყავთ და მეორე შვილსაც ელოდებიან.

— ბატონო დავით, თქვენთან შეხვედრა თქვენს უფროსებს გამო ძლიერ მოგახსენებთ, რამდენიმე კვირა დაგდევდათ. ასეთი დატვირთული გრაფიკი გაქვთ, რომ ერთი საათის გამოსწავლა გეჭირათ?

— მძიმე და აუტანელი გრაფიკი მაქვს, რომელსაც ჯერჯერობით როგორღაც ვი-

დავითი: „წვეულებზე თამადა უფრო ხშირად ნოდახ ხადუჩია, ხადგან ძლიან უყვარს სადღეგხიჯობების თქმა და ვახადაც გამოხდის. სადაც ნოდახია, იქ ახრევის ახვ ახის ხოდზე. მე იშვიათად ვახ თამადა“.

ტან. დილიდან გვიან ღამემდე ვმუშაობ და, მათ შორის, შაბათ-კვირასაც. რეგიონებში გასვლა საკმაოდ ხშირად მიწევს. სოფლის კრებებს ვესწრები, რომ გავიგოთ, რეალურად რა სჭირდება მოსახლეობას. როცა ნორმალური ადამიანები ისვენებენ, იმ დროს ჩვენ ვმუშაობთ.

— ბუნებამაც სერიოზული გამოცდა მოგიწივით ქარიშხლის ხასი ამ გაზაფხულზე.

— შეიძლება ითქვას, ეს ჩვენთვის მეორე გამოცდაა, რადგან კახეთის სტიქიის შედეგების ჩვენს თავზე ალებაც მოგვინია. ამ

რის სამინისტრო ჩამებარებინა, რადგან ამ კუთხით გამოცდილება მქონდა.

— **თქვენ და ბატონი ნოდარ ხადური თავხებით მეგობრობთ?**

— დიას, უკვე 10 წელზე მეტია. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში დავმეგობრდით. უნივერსიტეტშიც კოლეგები ვიყავით, დავაფუძნეთ კვლევითი ორგანიზაცია და ბევრი კვლევა ჩავატარეთ ერთად. ახლა კი ქვეყანას ვემსახურებით და ისევ ვმეგობრობთ. რა თქმა უნდა, ჩვენი მეუღლეები და შვილებიც კარგად იცნობენ ერთმანეთს. ხშირად — არა, მაგრამ წვეულებებზე კი ვხვდებით ერთმანეთს.

— **წვეულებებზე რიგული თქვენგანს თამბაქო?**

— უფრო ხშირად — ნოდარი, რადგან ძალიან უყვარს სადღეგრძელოების თქმა და კარგადაც გამოსდის. სადაც ნოდარია, იქ არჩევანი არც არის ხოლმე. მე იშვიათად ვარ თამბაქო. გააჩნია, რა ხასიათზე ვარ.

— **თავის რიგის მოყვადით?**

— 2008 წელს შევექმენი ოჯახი. ჩემი მეუღლე თინათინ თინიკაშვილია. რუსთა-

თინათინი: „ათო ყოველთვის ხეილობიანი, თავიანი იყო და ყვალზე მთავარი — ქვიანი და კეთილია. თავისი ჰიოხონელი თვისებებით უფრო მომხიბლა, ვიდრე გახვეული საქციელით“.

ვიდან არის. თავისით დაიწყო ყველაფერი, მერე განვითარდა და ჩვენ ხელი შევუწყვეთ, ყოველ შემთხვევაში, არ შევეშალეთ.

— **მადით, პირად თქვენზე საუბარი თქვენს მეუღლეს დაყოფით. ქალბატონი თინათინ, როგორ ჩასახსნა თქვენს სიყვარული?**

თინათინი: ერთმანეთი უნივერსიტეტში, მალევე კორპუსში გავიცანი. დათო ჩემი ლექტორი იყო. სანამ ვსწავლობდი, ინტენსიური ურთიერთობა არ გვქონია. ყველაფერი მერე განვითარდა. ჩემი გულის მთავარგადასაწყობებელი მართლაც არაფერი გაუკეთებია. ყოველთვის მოსწონდა გებულები იყო, რასაც ძალიან ვაფასებ. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა მამაკაცი მოსწონდა. ყოველთვის ზრდილობიანი, თავაზიანი იყო და ყველაზე მთავარი — ჭკვიანი და კეთილია. თავისი პიროვნული თვისებებით უფრო მომხიბლა, ვიდრე გარკვეული საქციელით.

— **ახალგაზრდა ლექტორი საინტერესოდ კითხულობდა ლექციებს?**

თინათინი: დიას, ამ მხრივ განთქმულია, საინტერესოდ კითხულობს ლექციებს. რამდენჯერმე ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში მომიწია მისვლა, სადაც დათო თავმჯდომარე იყო. მერე ფინჯან ყავაზე დამპატიჟა და განვითარდა ურთიერთობა. სწავლა რომ დავამთავრე, უფრო თავისუფლად შეგვეძლო შეხვედრა. შეზღუდვები აღარ ვიყავით იმის გამო, რომ მე სტუდენტი ვიყავი და ის ჩემი ლექტორი.

— **მანამდე ამ ყველაფერს მალაყდით?**

თინათინი: რა თქმა უნდა, სანამ ცოლად არ მომიყვანა, ჩემმა ჯგუფელებმაც კი არ იცოდნენ, ჩვენ შორის რომ რაღაც ხდებოდა.

დავითი: არ მიყვარს, ბევრს რომ ლაპარაკობენ, ისეთი ქალები. დინჯი, მომხიბვლელი იყო და კარგად სწავლობდა. ამ ფაქტორებმა ჩემზე გავლენა იქონია.

— **საყვარელ გოგონას ცუდ ნიშანს აღბეჭდა არასდროს დაუწერია?**

თინათინი: ყველა საგანს კარგად ვსწავ-

ლობდი, მაგრამ დათოს ლექციებს უფრო დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი, რადგან არ მინდოდა, პირადი ურთიერთობების გამო პრივილეგიები მქონოდა. ვცდილობდი, თავად დამემსახურებინა ნიშანი.

— **ტრადიციულ ქორწილს გადაისადით?**

თინათინი: დიას, ნიშნობა გვექონდა, შემდეგ — ქორწილი. აგვისტოს ომი დაემთხვა ჩვენს ქორწილს. სექტემბერში გადავიხადეთ და გერმანიაში წავიდით, რომელსაც საქორწინო მოგზაურობა დავარქვით, მაგრამ სამთვიანი გამოვიდა.

დავითი: სტაჟირება მქონდა გერმანიის უნივერსიტეტში და რადგან თავლობისთვის დამემთხვა, ერთად წავიდით.

თინათინი: იქიდან საფრანგეთში წავიდით და რამდენიმე დღე პარიზში გავატარეთ. მესამე თვის ბოლოს იტალიაშიც ვიყავით. დასამახსოვრებელი მოგზაურობა გვექონდა, შეიძლება ითქვას, ევროპული ტურნე.

— **თინათინ, თქვენმა ლექტორმა თავისი სხვა თვისებებზეც გაზიარებინა თუ ისეთივე დარჩა, როგორც მანამდე იცნობდით?**

თინათინი: ამ 5 წლის განმავლობაში მასში ახალი არაფერი აღმომიჩინია. ძალიან უშუალოა ოჯახშიც და ყველგან. უპრეტენზიო და კომფორტულია.

დავითი: ბაზარში და მაღაზიებში სიარული არ მიყვარს, რადგან, როგორც წესი, ვერაფერს ვარჩევ. შეიძლება რაღაც დამავალონ და მე სხვა რამ ვიყიდო.

თინათინი: ამას ნინთა გრეიბორუტი დავავალე და...

დავითი: ფორთოხალი მოვუტანე.

თინათინი: გრეიბორუტსა და ფორთოხალს შორის იყო რაღაც. მერე კი გაბრუნდა და მომიტანა გრეიბორუტი. ფეხმძიმედ ვარ და გრეიბორუტზე მაქვს მოთხოვნილება, თორემ პრეტენზიული და მომთხოვნი არც მე ვარ.

— **მინისტრი კაცი მალაყდებს და ბაზარში დადის?**

დავითი: ბაზარში არ დავდივარ, მაგრამ ღამით, სამსახურიდან რომ ვბრუნდები, თუ სახლისთვის რამეა საჭირო, მაღაზიაში შევივლი ხოლმე. აზრიც არ აქვს ჩემს საყიდლებზე გაშვებას, რადგან ყოველთვის იმ საყვედურით მთავრდება, რომ რაც საჭიროა, ის ვერ მომაქვს.

— **ბატონ დავითს ეს უყვარდებობით მისდის?**

თინათინი: უბრალოდ არ ეხერხება. არიან ადამიანები, ვისაც შეუძლია ბაზარსა თუ მაღაზიებში სიარული. ზოგ კაცს ქალზე კარგად შეუძლია ივაჭროს და იყიდოს. ეს კი პირველივე დახლთან მივა, ყველაფერს იქ იყიდის და წამოვა. არ შეუძლია, სხვაგანაც ნახოს და უფრო მეტი დრო დაახარჯოს.

— **წარმოდგენა, ქალის სამკაულებს როგორ არჩევს?**

დავითი: ასეთი შემთხვევა არც ყოფილა! თინათინი: არასოდეს არჩევს.

— **ბატონი დავით ბუჭყალი, საყურადღებოა... არაფერი ვიცითათ ცოლისთვის?**

დავითი: არა. მის გარეშე არაფერი მიყვია.

— **არც ნიშნობის ბუჭყალი?**

თინათინი: ნიშნობის ბუჭყელი ალბათ ჩემს დედამთილთან ერთად იყდა. არც ვიცი დანჯრილებით. ყოველთვის, როდესაც რამე მჭირდება, მირჩევნია, დამაზინანსოს და ჩემი გემოვნებით ვიყიდო. დათო მხოლოდ ყვავილებს მჩუქნის. ყვავილები ძალიან მიყვარს და ამ შემთხვევაში კარგად გემოვნება აქვს. მირჩევნია, სამკაულები, ტანსაცმელი და მსგავსი რამეები მე თვითონ ვიყიდო.

— **თქვენ თუ ყიდულობთ ქრისტიან ტანსაცმელს და პირად ნივთებს?**

თინათინი: რაც ოჯახი შევქმენით, ერთად ვყიდულობთ.

დავითი: თუ მხოლოდ მე ვიყიდე, ხან პატარა მომდის, ხან — დიდი. მერე ხან ვის ვჩუქნი და ხან ვის.

თინათინი: სამაგიეროდ თავის საქმეშია ყურადღებიანი. ცდილობს, ტანსაცმელს და სხვა რამეებს ნაკლები დრო დაუთმოს.

— **შესაბამისად, ქმარი აღბეჭდათ სურათისხეობით არ განსაზღვრებთ?**

თინათინი: სამწუხაროდ, მისი სიურპრიზები მხოლოდ ყვავილებით შემოიფარგლება.

— **ქალბატონი თინათინ, რაც მერეულებს ნიშნობა ვადათი, მერეულებს კერძების მიმზადება ისწავლით?**

დავითი: თითქმის ყველაფერი იცის.

თინათინი: დათოსაც ეხერხება და უფრო მისგან ვისწავლე, ვიდრე ჩემი დედამ-

თინათინი: „ეთმანეთს ვავაჯით. ოხივე მშვიდი და უხეჯენიო ვაჯით. ამბობენ, ხოცა ცოდ-ქმანი ეთმანისი ხანითხანა, ეთმანეთს ვეი უკებნო. ჩვენ შემთხვევაში ასე ახ ახის, ეთმანეთს ვავაჯით და ახაგადაც უკებთ“.

თილისგან. დედამთილი სამეგრელოში ცხოვრობს და იმდენად ხშირი ურთიერთობა არ გვაქვს, თუმცა იქ რომ ჩავდივარ, ვუყურებ. საერთოდ მეხერხება კერძების გაკეთება. დედამთილსაც მოსწონს ჩემი გაკეთებული და დათოსაც.

— **ბატონი დავით, თქვენ რისი გაკეთება იცით?**

დავითი: მე მარტივი და საშუალო სირთულის კერძების მომზადება ვიცი. ელარჯის გაკეთება მეხერხება.

თინათინი: გოჭის მწვანე მონანილობს ხოლმე.

დავითი: წლები განმავლობაში მარტო ვცხოვრობდი და თავის მოვლა კარგად გამომდის, თუმცა ბოლო დროს უკვე გადავეჩვიე.

თინათინი: რაც ჩემზე გამდომია და დათოს მოვლა, ნელ-ნელა ყველაფერი დაავინყდა. პრეტენზიული საერთოდ არ არის. მთავარია, რომ მოვა, რამე საქმელი დაახვედრო. → 8



მამა-შვილი

როგორ აღმოჩნდა მკვლელობის საქმეში სოსო პავლიაშვილისა და მისი სიძის გვარები

სიმთვრალე იმაზე უკეთესი აქვს, ვიდრე სიფხიზლე. ზოგს საკმაოდ რთული სიმთვრალე აქვს, მაგრამ დათო ამ შემთხვევაშიც კარგია.

დავითი: ბოლო 5 თვეა, თითქმის არ დამილევი. მხოლოდ 2-3-ჯერ მომიწია.

— **ქალბატონო თინათინ, გინდათ თქვით, რომ თქვენ ქმარს ნაკლი არ აქვს?**

დავითი: უდროობაა ჩემი ნაკლი.

თინათინი: ჩემთვის ნაკლი არ აქვს. არასოდეს უთქვამს, ეს არ ჩაიცვა ან იქ არ ნახვიდეთ. არც ეჭვინია. მსგავსი რამ არ გამოუშლავნებია. დრო რომ არ აქვს, ვერც ამას ჩავუთვლი ნაკლში. აქამდეც დატვირთული იყო, მაგრამ შაბათი და კვირა მაინც გვექონდა ხოლმე. ახლა კი ყოველი დღე ორშაბათია. მეორე ბავშვს ველოდებით და მით უმეტეს მჭირდება, რომ გვერდით მყავდეს. პირველ შვილს რომ ველოდებოდით, ექიმთან სულ ერთად დავდიოდით. იმედია, ბავშვს რომ გავაჩენ, მაშინ მაინც იქნება ჩემთან.

კარგი მამაა, მაგრამ გვიან რომ მოდის, მხოლოდ ნახევარი საათი აქვს დრო ბავშვთან ურთიერთობისთვის.

— **თქვენს ქმარს არასოდეს ბრანდება?**

დავითი: ნივთებს ნამდვილად არ ვისვრი. სახეზე მეტყობა, მაგრამ ძალი გადამდის. ყვირილი იშვიათად მიწევს.

თინათინი: როცა ბავშვი აბრაზებს, რაღაც დონემდე თომენს და მერე ყვირის. ორ წუთში კი ისევ ეფერება, რადგან ეცოდება.

— **თქვენ ორნი თუ ჩხუბობთ ან კამათობთ?**

თინათინი: არასოდეს. ერთმანეთს ვგავართ. ორივე მშვიდი და უპრეტენზიო ვართ. ამბობენ, როცა ცოლ-ქმარი ერთნაირი ხასიათის არიან, ერთმანეთს ვერ უგებენო. ჩვენს შემთხვევაში ასე არ არის, ერთმანეთს ვგავართ და კარგადაც ვუგებთ. მიელი დღე სახლში არ არის და როგორ ვიჩხუბებთ?! საღამოს ნახევარ საათს კი ჩხუბს ვერ დავუთმობთ. მე კი ვიბუტები ხანდახან რაღაც ელემენტარულ რამეზე. მაგალითად, გრეიპფრუტის მაგივრად რომ ფორთოხალი მომიტანა, ამაზეც გავებუტე ცოტა ხანს.

— **თინათინ, თქვენ მუშაობთ?**

თინათინი: დიას, ახლახან დავიწყე მუშაობა. ლექციებს ვკითხულობ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში. ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ჩემთვის იდეალური სამსახურია.

— **მეორე შვილის გაჩენა დაგეგმილი გქონდა?**

თინათინი: დიას, დაგეგმეთ. გადწყვეტილი მქონდა, რომ მეორე შვილი გამეჩინა. უფლის წყალობით, გაგვიმართლა კიდევ. გოგონა მინდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეორეც ბიჭია. მეორე შვილის გაჩენა ნამდვილად მინდოდა. კიდევ თუ გავაჩენ, არ ვიცი, ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

— **რა ქონების პატივს ხართ, ბატონო დავით?**

დავითი: მამაჩემის ნაყიდი ერთობახიანი ბინა გვექონდა თბილისში. 2004 წელს მშენებარე ბინა შევიძინე. კვადრატულში 360 დოლარს ვიხდიდი. ეს სესხი დავკაფეთ და 2007-2008 წლებში რემონტი გავაკეთეთ. ოჯახი რომ შევქმენი, მერე გადმოვედით. ჩემი ქონება ერთი ბინა და ერთი მანქანაა. სამოთახიანი ბინა მაქვს, 97 კვადრატულია და 2002 წლის გამოშვება „მერსედესი“ მყავს. ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთიც მაქვს.

✓ **როსულან ადუაძე**

რუსული შოუბიზნესის ქართველი ვარსკვლავის, სოსო პავლიაშვილის სახელი რამდენიმე თვეა მძიმე კრიმინალურ საქმეში — მკვლელობაში ტრიალებს. მკვლელობა 2012 წლის 23 ნოემბერს თბილისში, ზაზიაშვილის ქუჩაზე მოხდა. ბიზნესმენი, 46 წლის ანტონ (ავთო) ადუაშვილი საკუთარ მანქანაში მკვდარი იპოვეს. გარდაცვლილს სამი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, აქედან ერთი, სავარაუდოდ, საკონტროლო გასროლა იყო. დაპატიმრებულია რამდენიმე პირი, მათ შორის — ვახტანგ ჩხაპელია, რომელიც სოსო პავლიაშვილის დის ქმარი გახლავთ. გამოძიების მსვლელობის პარალელურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ადუაშვილის მკვლელობა მომღერალმა შეუკვეთა.

ავთო ადუაშვილის სხვადასხვა ბიზნესი ჰქონდა, რამდენიმე რესტორანსა და მაღაზიას ფლობდა. შს-მ საქმე მალე გამოაცხადა გახსნილად, მაგრამ დეტალების გახმაურებისგან თავი შეიკავა. თავდაპირველად ითქვა, რომ მკვლელობის ერთ-ერთი შემკვეთი და ირიბი მონაწილე მომღერალი სოსო პავლიაშვილი იყო, რომელიც ანტონ ადუაშვილთან წლების განმავლობაში მეგობრობდა. ისინი ერთმანეთს ხან ერევანში ხვდებოდნენ, ხანც კიევში, თბილისში — ნაკლებად, რადგან ბოლო 8 წლის განმავლობაში მომღერალი თბილისში მხოლოდ ორჯერ იყო. მეგობრებს ერთობლივი ბიზნესი ჰქონდათ და მომავალში მის გაფართოებას გეგმავდნენ.

გავრცელებული ინფორმაციით, პავლიაშვილსა და ადუაშვილს ბენზინისა და ცემენტის ბიზნესი ჰქონდათ სომხეთში, ხოლო ხარკოვში — ხორციის გადამამუშავებელი საწარმო. სავარაუდოდ, უთანხმოებაც ბიზნესგეგმებს უკავშირდება. როგორც ამბობენ, ადუაშვილი მომღერალს მუდმივად აკისრებდა ფინანსურ ვალდებულებებს. პავლიაშვილს ხმა მიუვიდა, რომ ბიზნესმენი მას „გადაედება“ უპირებდა და, როგორც ვარაუდობენ, შურისძიების იდეაც აქედან გაჩნდა.

თავდაპირველად ამ საქმეში პავლიაშვილის გვარი ინტენსიურად ფიგურირებდა. მოგვიანებით საქართველოს მთავარმა პროკურორმა, არჩილ კობალაშვილმა, საქმეში ბრალდებულად სოსო პავლიაშვილი არ ცნო, თავის მხრივ, მომღერალმაც მოსკოვიდან მადლობის სიტყვები არ დაიმართა მთავარი პროკურორის მისამართით. სულ ცოტა ხნის წინ კი, პავლიაშვილის გვარი კვლავ ნაშობიტივდა. როგორც ამბობენ, ბიზნესმენის მკვლელობის საქმეზე 7 პირი იყო დაკავებული, მათ შორის, ვახტანგ ჩხაპელია. სწორედ მისი ჩვენება გახდა მომღერლის წინააღმდეგ მთავარი არგუმენტი. სოსო პავლიაშვილი, ამ ჩვენების მიხედვით, შურისძიების დამფინანსებლად მოიანზრება.

მოწმის სტატუსით დოკუმენტის ვახტანგ ჩხაპელია ჩვენებაში წერს:

„ანტონის სოსო პავლიაშვილთან უთანხმოება ჰქონდა, მოტყუებით დიდი ოდენობით თანხებს ართმევდა სისტემატურად. სწორედ ამის გამო გადაწყვიტეთ მე და სოსომ ანტონ ადუაშვილის დასჯა. შესრულება მე ვითავე, ხოლო ფინანსური დახმარება სოსომ გამიწია... მან მითხრა, თუ ანტონი ცოტა ჭკუაზე არ მოვიდა, მართლა რაღაც უნდა მოვიფიქროთო. ვუთხარი, რომ ამ საქმეს თავად მივხვდავდი. ანტონის დასჯაში მის ცემაზე ვგულისხმობდი. დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტიე, ისეთი ვინმე მენახა, ვინც ადუაშვილის გონების დაკარგვამდე ცემას და მის დაინვალიდებას შეძლებდა. ზაფხულში დაუვკავშირდი ერთ ჩემს ახლო-

ბელს, თემურ ქობალიას, მეტსახელად მუხას... ვუთხარი, რომ ერთ ძალიან ცუდ პიროვნებასთან მქონდა პრობლემები. ეს მე და ჩემს ოჯახს გვეხება და ჭკუნის სწავლება მინდა-მეთქი. მან დახმარებაზე უარი მითხრა. მეორე დღეს ქობალიამ თავისი ახლობელი, გელა უბილავა გამაცნო, რომელიც შეკვეთის შესრულებაზე 50.000 დოლარის სანაცვლოდ დამთანხმდა. თანხის უმეტესი ნაწილი, 30.000 ევრო, უკრანინდან ჩამოვიტანე. ის სოსო პავლიაშვილმა მომცა (დანარჩენი, დაახლოებით 12.000 დოლარი, ნაწილ-ნაწილ მივიღე)...

სოსო პავლიაშვილმა მკვლელობის ამბავი რამდენიმე საათში გაიგო, მაგრამ არაფერი უთქვამს. ბოლოს ის 10-12 დეკემბერს ვნახე ერევანში, იქ კონცერტები ჰქონდა. მიღებული ჰონორარიდან 10.000 დოლარი და 10.000 ევრო გამომატანა თბილისში. 10.000 დოლარი ხელისნებისთვის უნდა გადაემცა საფლავის მოსაწყობად, ხოლო 10.000 ევრო ჭირისუფლებისთვის უნდა მიმეტანა“.

რამდენიმე ხნის წინ ჩხაპელიამ ადვოკატის, ლევან ჯავახაძის მეშვეობით განაცხადა, რომ მას ეს ჩვენება პროკურატურამ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მიაცემინა.

სოსო პავლიაშვილი გავრცელებულ ინფორმაციას მკვლელობაში მისი მონაწილეობის შესახებ „ბოდავს“ უწოდებს. ის ქართულ მედიასთან კომენტარს თავს არიდებს, რუსულ ტელევიზიას კი სტუდიაში თავად ეახლა. მომღერალი მინწველი იყო „ენტევე“-ს გადაცემაში „ცენტრალნოე ტელევიდენიე“, სადაც მან ადუაშვილზე და მის მკვლელობასთან საკუთარი კავშირის აბსურდულობაზე ისაუბრა:

— „მე და ჩემმა მეუღლემ ამის შესახებ ინტერნეტიდან შევიტყვეთ, მოკირებულები ვიყავით, მაგრამ ეს ყველაზე დიდი საშინელება არ არის. ყველაზე საშინელი ისაა, რომ ავთო ადუაშვილი ჩემთვის ბიზნესმენი კი არა, ახლო ადამიანი იყო და ყველაფერს გავიღებდი იმისათვის, რომ ახლა აქ ყოფილიყო და ჩემ გვერდით მდგარიყო. რაც შეეხება იმას, ეს პროვოკაცია იყო თუ არა, მე რამდენიმე ვერსია მაქვს. სამწუხაროდ, ბოლო წლებში იმ რეჟიმს, რომელიც საქართველოში მეფობდა, არაადეკვატური დამოკიდებულება ჰქონდა ჩემი და იმ ქართველების მიმართ, რომლებიც რუსეთში ცხოვრობდნენ და იქ თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. მადლობა ღმერთს, ახლა უკვე ნელ-ნელა ქვეყნებს შორის ურთიერთობები რეგულირდება. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს გენერალურ პროკურორ არჩილ კობალაშვილს, რომელმაც უარყო ეს ნაბოღვარი.“

სკანდალური საქმის დეტალებსა და მასთან დაკავშირებული პიროვნებების შესახებ „სარკეს“ ვახტანგ ჩხაპელიას ადვოკატი ლევან ჯავახაძე ესაუბრება.

— **ქრონოლოგიური დაკავშირება ვახტანგ ჩხაპელიას მიწის სტატუსით დაკავშირებული ჩვენებაში მკვლელობის ფინანსურ მხარდაჭერად სოსო პავლიაშვილის ასახვას და მერე კი ჩვენება თავად უარყო და ყველაფერი წინა ხელისუფლების წყქობის დაბრუნება ბატონი ლევან მაცუკო თავიდან და ვაჟამეო, თქვენს ინფორმაციით რა და რაფორ მისცა?**

— მკვლელობიდან ძალიან მალე, დეკემბრის დასაწყისში, ამ საქმეზე რამდენიმე პირი დააკავეს. 2012 წლის 12 დეკემბერს ჩემი დაცვის ქვეშე მყოფი ვახტანგ ჩხაპელია მოწმის სახით პირველად დაკითხეს. იმ დღეს მან ჩვენება მისცა, ოღონდ არა — მაშინველი. მან ისტორია

მოყვა, თუ სად იყო მკვლელობის დღეს. როგორც გაირკვა, გამოიძიება ამ ჩვენებით არ დაკმაყოფილდა. 18 დეკემბერს ვახტანგ ჩხაპელია მონძის სტატუსით ვკლავ დაკითხეს და სწორედ ამ დღეს მისცა ის ჩვენება, რაც მედიასაშუალებებით გავრცელდა. 19 დეკემბერს ვახტანგ უკვე ბრალი ნაუყენეს.

მე საქმეში ბრალის წაყენების შემდეგ ჩავერთე, იმ დროს უკვე ჩხაპელიას მონძის სახით ჩვენება მიცემული ჰქონდა. საქმის მასალების გაცნობისას ვუთხარი კიდევ, ეს ჩვენება რამ მიგაცემინა-მეთქი. ზენოლას ვერ გავუძლიო, ასეთი პასუხი მივიღე. ვახტანგის თქმით, მასზე საშინელი ზენოლა იყო, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური. მეორე დაკითხვისას სამართალდამცავებს უთქვამთ, თუ არ იტყვი ამ საქმესთან სოსო პავლიაშვილის კავშირზე, უფრო მეტად გავისწორდებით, კიდევ პირველი დაკითხვისასო. ვახტანგმა მითხრა, სანამ ჩვენების მიცემას დაიწყო, მანამდე შევეცადე, ამეხსნა, რომ სოსო ამ საქმეში არაფერ შუაში იყო, მაგრამ ფაქტები დამიღდა, სოსომ რომ გადმომიირცხა, ასევე დაინტერესდნენ, კიევში და ერევანში მასთან რატომ ვიყავი ჩასული.

— ის ფულა რაიმეღა პავლიაშვილს მისცა რისთვის იყო ვახტანგ?

— ვახტანგ ჩხაპელიას თხილის ბიზნესის წამოწყება უნდოდა. სოსო თავის დას და სიძეს პერმანენტულად ეხმარებოდა, ის ფული კი სოსოს მხრიდან ერთ-ერთი მორიგი დახმარება იყო. ვახტანგი სოსოსთან უკრაინაში ჩავიდა და ის თანხა ხელით ჩამოიტანა. გამოიძიებამ კი დააკავშირა, რომ ფული მკვლელობისთვის იქნა გამოყენებული. ვერსიაც თვითონ დაახვედრეს — სოსოგან 30.000 ევრო წამოიღე და მკვლელს გადაუხადეო. ვახტანგ ჩხაპელია სასამართლოზე აპირებს ვრცელი განმარტების მიცემას, ამიტომ მეტადვე ვერ გაგიმხელთ.

— რეალურად შედეგ თუ არა სოსოს და ვახტანგს შორის ის დადილა რაზე დაგუბრდა ჩვენებას ამათს? ვინაა დადილისათვის ქუეის სწავლებას ველისმბა.

— არა. ეს სოსოსთანაც გადავამონე და გადაირია, ვახტანგი ამის თქმას ვერ გამოიბედავდა, რადგან ანტონი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო, ერთმანეთთან ნათელიმორიობა გვაკავშირებდაო. სოსო გარდაცვლილის ბავშვის ნათლიაა. ვახტანგს მსგავსი რამ აზრადაც რომ მოსვლოდა, ვერც მეტყობდა, იქით დასვლიდო, მითხრა პავლიაშვილმა. არასწორ ინფორმაციანზე დაყრდნობით აიგო ეს მითი. ეს ჩემი ვერსია კი არ არის, მე იმას გეუბნებით, რის თქმის უფლებასაც საქმე მძალევს. ეს თემა ქობალიას წამოწერილია, რომელიც 7 დაკავებულიდან ერთ-ერთია.

— რატომ რა ინტერესი ჰქონდა მას?

— საიდუმლო თქმურ ქობალიასა და გელა უბილაგას შორის იმალდა. ამ საქმისთვის გელა უბილაგასა და ვახტანგს. სამართალ სასამართლოზე გაირკვევა. გელა თავის ადვოკატსაც არ ენდობა და არც მას გაეხსნა ბოლომდე. მან ისეთ რალაცას უნდა ახადოს ფარდა, რისი წინასწარ გაუღერებისაც ეშინია. გელამ დააფიქსირა, რომ რა ჩვენებაც ვახტანგ ჩხაპელიას წინააღმდეგ აქვს მიცემული, სიცრუეა.

— დანარჩენი დაკავებულები ვინ არაა?

— მკვლელობაში უშუალო ბრალდებულები არიან კობა ყურუა და ლადო ქარჩავა. გელა უბილაგა, როგორც ვახტანგ ჩხაპელია, აღსწრულელობის მუხლით არის ბრალდებული. დანაშაულის დაფარვისთვის დაკავებულია ასევე ლადო ქარჩავას ძმა, რამაზ ქარჩავა. მას მისი წინააღმდეგ მიაცემინეს ჩვენება იმ პირობით, რომ გაათავისუფლებდნენ, მაგრამ ციხეში დატოვეს. ხომ წარმოგიდგინათ, მასზე როგორი ზენოლა ხორციელდებოდა, რომ მისი წინააღმდეგ მისცა ჩვენება. ასევე დაკავებულია მურთაზ გერგაია, იმ მანქანის პატრონი, რომლითაც,



„სოსო გაბიაზრული ახ ახიხ, ხადგან დახმუნებულია, ხომ ვახტანგს ეს ჩვენება ზენოლის შედეგად აქვს მიცემული. სოსოს ვახტანგი უცოდება. ამბობს, სანყალბა ხა გამოიხას, ხომ ეს დაანჯიხნებო“.

გამოიძიების ვერსიით, დანაშაულები გადაადგილებდნენ.

— თუ ვახტანგ ჩხაპელიაზე პროკურატურის მხრიდან ასეთი ზეწოლა იყო, რატომ არ იტყა ეს ყველაფერი, სანამ საქმე სასამართლოს არ გადაეცა?

— როგორი პარადოქსულიც უნდა იყოს, ვახტანგი ბრალდებულის სახით დაკითხული არ არის. ის მონძის სახით დაკითხეს. გამოიძიებამ ის ჩვენება მიიღო, რაც უნდოდა და მას ბრალდებულის სახით არ კითხავს. ამით კი ობიექტური გამოიძიების პრინციპები ირღვევა. ეს საქმის მიმართ ტენდენციური დამოკიდებულებაა. რა ობიექტურობაზეა ლაპარაკი, როცა ჩხაპელიამ პროკურორს სამჯერ მიმართა თხოვნით, დამკითხეთო. მას ჩვენების მიცემა უნდა. ასევე გელა უბილაგას შემთხვევაშიც, მანაც უთხრა გამოიძიებამ, რომ მისი ჩვენება სწორი არ არის ის წენოლის შედეგად მისცა.

— თქვენ ამბობთ, რომ ვახტანგ ჩხაპელიაზე პროკურატურის მხრიდან იყო ზეწოლა ვინაა დადილის თქმის ერთ-ერთი წყარო კი აქვს დადილს რომ შესაძლოა ახლა მასზე სოსო პავლიაშვილი ანორკიკლებს ზეწოლას

— ეს დიდი აბსურდია. მე ვახტანგის ადვოკატი ვარ და ჩემზე უკეთესად არავინ იცის, მასზე ამ კუთხით ზემოქმედება არის თუ არა.

— თუ თქვენ ადვოკატი ქვემოთ უნდასწავლით რატომ ახიხნა ამ საქმეზე?

— ძალიან მარტივად. ვახოს, სოსოს და ანტონს საერთო სამეგობრო წრე ჰყავთ. აღუ-ბევილის ვარდაცვალბებს გამოიძიება დაინტერესდა, ვინ იყო მასზე განწყობებული და ასეთი ხალხის წრე გადაისინჯა. ამ დროს ამოტივტივდა მეგრული მხარე, ანუ გელა უბილაგა, კობა ყურუა და ძმები ქარჩავები. ჯაჭვი ძალიან ჩახლართული ლოგიკით შეიკრა.

— ანტონზე განწყობებული ხალხის სასო პავლიაშვილი და ჩხაპელია რატომ მისხდნენ? მართლა იყო მათ შორის უკავშირეობა?

— არა. სოსო და ანტონი ბოლო დღემდე მეგობრობდნენ. ნაივითხე, ათიქოს მათ შორის ბოლო პერიოდში ურთიერთობები აირია. რა სისულელეა! 24 ნოემბერს ერევანში სოსოს კონცერტი ჰქონდა დაგეგმილი და ანტონი ამ კონცერტზე დასასწრებად ოჯახთან ერთად აპირებდა წასვლას. თუ მათ შორის უთანხმოება იყო, კონცერტზე წასვლას დააპირებდა? სოსო ანტონს ფინანსურად ეხმარებოდა, მაგრამ ეს ანტონის მხრიდან გამოხატული არ იყო. ისიც თქვეს, რომ ვახტანგი იყო ანტონზე განწყობებული, მაგრამ ეს წლების წინ მოხდა. ნაწუბრები იყენენ და ერთ სუფრასთან არ სხდებოდნენ.

— ანუ რეალურად წყენ ადვოკატებს და ჩხაპელი-

ას შორის იყო?

— იმ დროს — არა, რომ ერთმანეთისთვის მუშტები ეწინათ. არ ძმაკაცობდნენ, მაგრამ არც დაძაბული ურთიერთობა ჰქონიათ.

— სოსოს და ანტონის საერთო ბიზნესი ჰქონდა, რატომ ამბობენ?

— არა, ბიზნესი ერთად არ ჰქონიათ. სოსო ამას უარყოფს. აღუაშვილს ბიზნესსესხი ჰქონდა და გამოტანილი და სოსო ამ სესხს უფარავდა, ყოველთვიურად 7.000 ევროს. ამას გარდაცვლილის მამაც ამბობს ჩვენებაში, სოსომ გაიხაროს, წინა ადამიანობა. თვლის, რომ საქართველოში ვილაცას აინტერესებს მისი დისკრედიტაცია და ჩაძირვა, მაგრამ კონკრეტულად ეჭვი ვისზე აქვს, არ უთქვამს. ყველაზე ეჭვიანი და სუბიექტური ადამიანის პოზიციებიც რომ დაეუშვათ, სოსოსა და აღუაშვილს შორის კონფლიქტი იყო, რატომ გააკეთებდა ამ ყველაფერს სოსო თავისი სიძის ხელით და თან საქართველოში?

— თქვენ ამბობთ, ვის ინტერესებდა მისი კომპრომეტირება?

— მედიასთან სოსომ თქვა, რომ ძალიან ბევრი მტერი ჰყავს. მისი თქმით, ზოგს მისი ბიზნესი ალიზინებს, ზოგს მისი მომღერლობა, ზოგსაც მისი ადამიანობა. თვლის, რომ საქართველოში ვილაცას აინტერესებს მისი დისკრედიტაცია და ჩაძირვა, მაგრამ კონკრეტულად ეჭვი ვისზე აქვს, არ უთქვამს. ყველაზე ეჭვიანი და სუბიექტური ადამიანის პოზიციებიც რომ დაეუშვათ, სოსოსა და აღუაშვილს შორის კონფლიქტი იყო, რატომ გააკეთებდა ამ ყველაფერს სოსო თავისი სიძის ხელით და თან საქართველოში?

— არ შეიძლება ის სხელი ადამიანად ჩაეთვალოს?

— თუ ვინმეს ლიკვიდაცია მჭირდება ან მინდა, ფიზიკურად გავუსწორებ, სამწუხაროდ, არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამას ერთი-ორი კაპიკის გამოც გააკეთებენ და თან

„სოსომ თქვა, ხომ ძალიან ბევრი მტერი ჰყავს. მისი თქმით, ზოგს მისი ბიზნესი ალიზინებს, ზოგს მისი მომღერლობა, ზოგსაც მისი ადამიანობა. თვლის, ხომ საქართველოში ვილაცას აინტერესებს მისი დისკრედიტაცია და ჩაძირვა“.

შუამავლის გარეშე. ცოტა ხანი მოიცადონ და სიმართლეს ყველა ცოცხებს. მეგრე თვითონ შერცხვებთ საკუთარი თავის, სოსოს ასეთ რალაცას რომ აბრალდებენ. საქმე მძალევს ამის თქმის საშუალებას და უფლებას.

— შექმნება თუ ურთიერთობისთვის რაღაც სტაბილური პროკურატურა ვახტანგ ჩხაპელიაზე ზეწოლას ახიხს, სოსოს წინააღმდეგ ჩვენება პროკურატურას დაახვედრესო. ამ ფაქტზე კი პავლიაშვილი მთავარ პროკურორს მადლობას უხდის.

— პროკურატურაში საკადრო ცვლილებები ისევე ჩასატარებელია. თეა წულუკიანმა და არჩილ გბილაშვილმა ჯერ ვერ მოასწრეს მათი განხორციელება.

— სიმართლა თუ არა რომ ჩხაპელია პავლიაშვილის ბიზნესისთვის გამართული ფული უკან დაუბრუნა?

— დიას. ის 30.000 ევრო დაუბრუნა, რომელიც სოსომ თხილის ბიზნესისთვის გამოაბანა, რადგან ეს ბიზნესი ვერ აენყო. საერთო ნაცნობა, ვილაც მიშამ, ეს ფული სოსოს უკან წაუღო. ფული, რომელზეც ამბობენ, რომ დანაშაულისთვისაა გადახდილი, რეალურად ისევე სოსოსთანაა, თან მკვლელობამდე დაუბრუნდა, ოქტომბრის თვეში. არსებითი საქმის განხილვას მალე დაიწყო და დაახლოებით ერთ თვეში, თვენახევარში სიმართლე გაუღერდება.


— დადილის რას ამბობს პავლიაშვილი თავის საქმეზე?

— სოსო გაბრაზებული არ არის, რადგან დარწმუნებულია, რომ ვახტანგს ეს ჩვენება ზენოლის შედეგად აქვს მიცემული. სოსოს ვახტანგი ეცოდება. ამბობს, სანყალბა რა გამოიარა, რომ ეს დაანერისესო.

✓ გა დადილია

მამუკა ჩარკვიანი: „ირმა უანჯრიდან ღვინისა, მოვიკიდა ხელი და სოლად მოვიყვანე“

„მუსიკას ისე ვწერ, ნოტებიც კი არ ვიცი“



„ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, აუცილებელი იყო მომხდარიყო“, — ამბობს მუსიკოსი მამუკა ჩარკვიანი. სიმღერებს წერდა სიყვარულით, ზოგჯერ — ტკივილით. იყო იმედგაცრუება, რაღაცის მოლოდინი, დეპრესია... თუმცა განვლილი წლებიდან სანანებელი არაფერი აქვს, რადგან ერთი დეტალის შეცვლაც კი მის ცხოვრებას თავდაყირა დააყენებდა და, რაც მთავარია, აღარ იქნებოდა „მალა და მალა“, „ჩემი აღარა ხარ, მორჩა“...

ცნობილი პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის ვაჟმა პირველად სიმღერა მეცხრე კლასში დაწერა, ადრევე დაიწყო მღერაც, მაგრამ სცენაზე 40 წლის ასაკში დადგა. მერე იყო ხანგრძლივი პაუზა. მეგობრების ძალდატანებით დაუბრუნდა მაყურებელს. ახლა კი გაჩერებას არ აპირებს და ყოველდღე მუშაობს საკუთარ თავზე. დამღუპველი ჩვევა დაძლია. მისი მთავარი საფიქრალი ახლა შვილები — ირინოლა და ჯაკო არიან.

19 წლის იყო, როცა დაქორწინდა, ახალგაზრდა ოჯახმა ორ წელზე მეტ ხანს ვერ გაძლო. მერე, წლების შემდეგ, შესვდა ქალს, რომელიც დღემდე მისი ცოლია და რომელსაც თავის უკანასკნელ სიყვარულს უწოდებს. განვლილ გზაზე მამუკა ჩარკვიანი ჩვენი ყურნალის ფურცლებიდან მოგიყვებათ.

მამუკა ჩარკვიანი:

— ჩემი ცხოვრება რამდენიმე ეტაპისგან შედგება. რა თქმა უნდა, ბავშვობა, სიჭაბუკე და შემდეგ უკვე წლები, როდესაც ხანშიშესული გვქვია. ამ ეტაპებისგან შემდგომი ბავშვობა გამოვარჩიო. დოლიძეზე გავიზარდე, ახლა სადაც ვცხოვრობ, ეს ბინა მამამ მოგვიანებით მიიღო, მაგრამ მანამდეც ამ ეზოში ვცხოვრობდით. მამა ზედსიძეა და მისული, დედას ოჯახში ცხოვრობს.

გვიან დავაფასე ბავშვობის წლები. ცოტა ხნის წინ ჩემს შვილს, ჯაკოს ვეძებდი. მისი ძეგნი ჩემი ძველი ეზოდან დავინყე და ამ დროს მთელი ჩემი ბავშვობა გამახსენდა. თვალწინ დამიდგა, თუ როგორ ვაკეთებდით ბალს, რომელიც დღეს უკვე დანგრეულია. ვაშენებდით, მერე ვილაც მოდიოდა და ანგრევდა. ჩვენ ისევე ვაშენებდით, ისევე ანგრევდნენ და დღემდე ასე გრძელდება. მასსოვს ბალახი, სიმწვანე, გადათხრილი ეზო, დამტვრეული სკამები. ტენისის მაგიდა გვედგა, მაგრამ აქვე მცხოვრები ქურთები გვპარაუდნენ. ბიჭები გადავიდოდით, მათთან ვიჩხუბებდით და ჩვენი მაგიდა მოგვეკონდა. მოკლედ, მთელი უბედურება იყო...

ცხოვრებაში წარმატებებიც მქონია და წარუმატებლობებიც. წლებმა ბევრი გაკვეთილი ჩამიტარა. სხვათა შორის, დღეს

ვიპოვე დიპლომი, რომლითაც ქართულ საესტრადო ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის დავუჯილდოებინარი ბატონი როინ მეტრეველს. ძალიან გამიხარდა, აღარც კი მახსოვდა. ასეთი დიპლომი ბევრი მაქვს. ღირსების ორდენიც მქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დამეკარგა.

— შეგიძლიათ კონკრეტულად გახსენით სულ პირველი მწარე გავცნობილი ცხოვრებისგან? — პირველად მაშინ გავაცნობიერე ცხოვრების სირთულეები, როდესაც მარტო დავრჩი ჩემს შვილთან და ცოლთან ერთად. იმ დროს სამსახურიდანაც წამოვედი და სიმღერა დავინყე. მერე ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის მოადგილედ ვიყავი. კომუნისტების დროს მეც, როგორც ყველა, ხელფასით ვცხოვრობდი. ის წყობა გაცილებით ადრე უნდა დაშლილიყო. მართალია, ჯერ ჩვენს ქვეყანაში სრული დემოკრატია და ის თავისუფლება არ არის, ჩემს სიმღერაში რომაა, როცა ვამბობ, თავისუფლება ლობია ხვედრია-მეთქი, მაგრამ ამის რალაც ნიშნები ნამდვილად გვაქვს. ცხოვრება მართლაც პრობლემებითაა სავსე.

— პრბლემებს ყოველთვის ებრძობი თუ ადვილად ყრთ ფარ-ხმალს?

— მეტყობა, რომ ფარ-ხმლის დამყრელი ვარ? მე ვარ მგელი, მგელივით ვუტყვ ცხოვრებას.

ჩემს ცხოვრებაში ალბათ მაშინ იყო ყველაზე დიდი სირთულეები და დაბრკოლებები, როდესაც კომუნისტური რეჟიმის დასრულების შემდეგ ქვე-

— ჩემი პირველი სიმღერა არის „ჩამოთოვა ისევ“. მე რომ ახალგაზრდა ვიყავი, მაშინ სცენაზე დადგომა ბევრ რამეს გულისხმობდა. კონსერვატორია უნდა გქონოდა დამთავრებული, კომპოზიტორთა კავშირის წევრი უნდა ყოფილიყავი, თორემ შენს სიმღერას არავინ შეასრულებდა. ჩვენ ჩუმ-ჩუმად სარდაფებში ვუკრავდით. სკოლა 1972 წელს დავაამთავრე, იმ პერიოდში ჯგუფი „ხუთკუნჭულა“ მყავდა, რომლის არსებობამაც 1975 წლამდე გასტანა. პარალელურად ფილოლოგიურზე ვსწავლობდი.

— თუ არ ცვლება, მაშინ რაკით იყავი გატაცებული.

— როცაც ვუკრავდით, მაგრამ რეპერტუარში ჩემი სიმღერებიც გვექონდა. მერე ისინი გადავაკეთე და ახლებური ელფერი მივეცი.

— 40 წელი ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებულად საუბრია, რამდენი შექმნა თითქმის სხვა ცხოვრება იწყება. გამიხიდა, რომ თქვენ ეს ახალი ეტაპი სიმღერით, ზებლიკის წინაშე წარდგომით დაიწყო.

— კი, ჩემი სცენაზე გამოვლა მართლაც ახალი ცხოვრების დაწყება ნიშნავდა. სულ სხვა სამყაროში მოვხვდი. სცენაზე კი დავდექი, მაგრამ ფილარმონის სოლისტი არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ საკმაოდ ბევრი დაბრკოლებაც შემხვდა. ჯემვალ სეფიაშვილმა გვიან დაამთავრა კონსერვატორია, რადგან კომპოზიტორისთვის ეს აუცილებელი იყო. მე კი მუსიკალური შეიძენილედ არ დამიმთავრებია, პროფესიული მუსიკალური განათლება არ მიმიღია. უბრალოდ ჩემთვის ვწერ სიმღერებს, არ ვიცი,

„კახი ბიჭი ვიყავი, სიმპათიური, გოგოებს მოვწონდი, მაგის ვმლუხიდი, ვუკრავდი... მაჩიო კი ახ ვხვამდი, განა ბიჭი ვიყავი. კახი ცხოვრებით ვიცხოვრე, ისეთით, ბუხის ხმ ახ უცხოვია“.



მამუკა და ირმა

„19 წლისამ მოვიყვანე ცოლი, მაგისმ ახაფხის ვწარბობ. ხომ ახის ნაბიჭი, ახდა იხინოდა ახ მუყოლებოდა. ახ იქნებოდა მიხდამი მიძღვნილი სიმღერა — „სედ ყველაზე დამაზი შენი თვალის ფეხია...“ აი, ამიკომ ლიხდა იმ ოჯახის შექმნა“.

საიდან, მაგრამ მუზა მოდის და გაუთავებლად ვწერ. ეს ყველაფერი ისე ხდება, რომ ნოტებიც კი არ ვიცი. მე ჩემი წყობა მაქვს. მოკლედ, თვითნასწავლი მუსიკოსი ვარ.

— რა დროს მუშაობთ, რა დროს წერთ? — „მე მაშინაც ვწერ, როცა არ ვწერ“ —

ეს ფრანგ ეროვნულ მამჩქემა, ჯანსულ ჩარკვი-ანმა თქვა და მე დავიმასხოვრე. როცა ამ კითხვას მისვამენ, ყოველთვის ასე ვპასუხობ.

— **მაშ რას ფიქრობდა თქვენს არჩევანზე და ზოგადად თქვენს საქმიანობაზე?**

— მამას ყოველთვის მოსწონდა ჩემი არჩევანი. მისი ბევრი ლექსი მუსიკად ვაქციე. ეს უფრო საპასუხისმგებლოა ჩემთვის, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გამოდის. რაც მთავარია, მამაჩემი კმაყოფილია.

— **დადგენილ სტენაზე მერე კი ხანგრძლივად პაუზა ვააკეთებ...**

— ჰო, ექვსი წელი ვიავად-მყოფე. მართალია, სტენაზე არ ვჩანდი, მაგრამ მუშაობა არ შემინეყვითა. სწორედ იმ წლებში დავეწერე რამდენიმე სიმღერა. ძალიან მიმიყვარდა ვიყავი და ძირითად დროს სახლში ვატარებდი. ახლა მშვენივრად ვგრძნობ თავს და ისევ აქტიურად ვწერ სიმღერებს.

სტენას კი არცთუ ისე დიდი ხნის წინ, 55 წლის იუბილეზე დავუბრუნდი, რაც მე არ მიწოდდა. დამაძალეს, თორემ იმ კონცერტს ვერ ჩავატარებდი. მთხოვეს, თქვენი დაბადების დღე აღვნიშნოთო. მე ისე ვიჯექი, როგორც კომპოზიტორი და ჩემს სიმღერებს სხვები მღეროდნენ.

— **შრავალწლიანი პაუზის შემდეგ სტენაზე დაბრუნებისას რა განიცდიდით?**

— ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ხალხმა უცებ მიმიღო. მათ ძალიან დიდი სტიმული მომცეს



■ **ჯაკო**

ჟურნალისტი გახდეს.

— **თავად ჯაკო რას ფიქრობს ამზე?**

— ჯაკოსაც მოსწონს ჟურნალისტიკა. იმასაც ფიქრობს, თეატრალურში ხომ არ ჩააბაროს. არაა გამორიცხული, თქვენი მომავალი კოლეგა იყოს. ადრე ფეხბურთელობა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა. ფეხბურთელობას ჟურნალისტიკა სჯობს. ძალიან კარგი იქნება, თუ ჟურნალისტიკის დიპლომიც ექნება და ბიზნესშიც წავა. იქნებ კარგი ბიზნესმენი გამოვიდეს, რაც მე ნამდვილად არ გამოდის. ჩემს ცხოვრებაში სიმღერა ვერ გავეყვებოდი. ყველა მოდის და სიმღერას მთხოვს, მეც უსასყიდლოდ ვაძლევ. შეგნებულად არ ვიღებ მათგან ფულს, არ შემიძლია. სიმღერებს მხოლოდ ჩემს მეგობრებს ვაძლევ. ვინც ფულს იხდის, სიმღერა არ იცის და ასეთ ხალხს ჩემს სიმღერებს ვერ ვაძლევრე.

— **შვილებს მამისგან ფინანსურად ხელის გამართვა აღბათ სჭირდებათ.**

— ჯაკოს ყოველდღე 5 ლარი უნდა. უფროსი შვილი, ირინოლა, მუშაობს და საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს. თავისთვის კარგად არის. ჩემი შვილები მალე აქეთ უნდა მომეხმარონ, დავებრდი. მათ ჩემს სიმღერებს ვუტოვებ. მოვა დრო, როდესაც ეს სიმღერები ძვირად გაიყიდება და ამით ჩემი შვილები ფულს იშოვიან. ჯაკოს მუსიკალური მონაცემ-

აბა, მე არ მივიღვივარ და...

— **პირველი თვალი ძალიან ახალგაზრდად შექმნილი. ახლა ამას შევცდილად მიიწევი?**

— 19 წლისამ მოვიყვანე ცოლი, მაგრამ არაფერს ვნანობ. რომ არა ის ნაბიჯი, ახლა ირინოლა არ მეყოლებოდა. არ იქნებოდა მისდამი მიძღვნილი სიმღერა „სულ ყველაზე ლამაზი შენი თვალის ფერია, შენზე უსაყვარლესი ქვეყნად არაფერია“. აი, ამიტომ ღირდა იმ ოჯახის შექმნა. ნაადრევ ასაკში ქორწინე-

„**მე ხალხის სიყვარული მაქვს და ამაზე გიდი სიმდიხე ახ სხეობს. მეგონი, ტაქსის მძღოლების საყვარელი მომღერალი ვაჰ, მათი თიხმოცი ჰოცუნგი ფელს ახ მაითმებს“.**

ბას კი არა, საერთოდ არაფერს ვნანობ. ჩემს ცხოვრებაში არაფერს შევცვლიდი. ყველაფერი, რაც მოხდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო. რამე რომ შევცვლილიყო ჩემს განვლილ წლებში, აღარ იქნებოდა „მაღლა და მაღლა“, „ჩემი აღარა ხარ, მორჩა“... ეს ჩემი ცხოვრებაა, ჩემი ტკივილია, ჩემი სიხარულია. აღარ იქნებოდა „სულ სხვა საყვარული უკანასკნელი“, რომელიც ჩემს უკანასკნელ სიყვარულს, ჩემს მეუღლეს, ირმას მიუძღვნენ. რამე რომ შემეცვალა, არც ამ სახლში ვიცხოვრებდი.

ირმა ჩემი მეზობელი იყო. ფანჯრიდან დავინახე, მოვიყვანე ხელი და ცოლად მოვიყვანე. ასე რომ, აბსოლუტურად არაფერს ვნანობ.

— **სთვლება, რომ მამუკა ჩარკვიანის სუსტი მხარე ღვინოა, ძლიერი კი — შიმშილზე მუდგება. ასეთ შეფასებას ეთანხმებით?**

— ვერ ვიტყვი, რომ ძლიერი და სუსტი მხარეები გამაჩნია. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ... თუმცა ალბათ მართლაც ღვინოა ჩემი სუსტი მხარე, რადგან იყო დრო, როდესაც ძალიან ბევრს ვსვამდი. ახლა კი აღარ ვსვამ. სიმღერებს დავუბრუნდი და ესაა ჩემი ცხოვრება. იყო დრო, როდესაც ყოველდღე ვეჭოვობდი. აი, ამან დამლუბა. მარტო ვცხოვრობდი, კარგი ბიჭი ვიყავი, სიმპათიური, გოგონებს მოვწონდი, მაგრამ ვმღეროდი, ვუკრავდი... მარტო კი არ ვსვამდი, განა გიჟი ვიყავი. კარგი ცხოვრებით ვიცხოვრე, ისეთით, ბევრს რომ არ უცხოვრია.

ნაბახსუვზე მოსკოვში რამდენიმე მკაცრად ერთად გადავფრინდებოდი, ბორშის შევჭამდი და უკან მოვდიოდით.

— **იმ მღვთაბრუნებულად გამოსულა მარტოს გაგაქარდებობათ...**

— ოჯახი, შვილები, მეგობრები დამემხარნენ და ჩემს თავს თავადც მივხმარე. ყველამ ერთად შევქვლით, ის წლები წარსულში დარჩენილიყო და ყველაფერი უკეთესობისკენ შევცვლილიყო.

✓ **ქეთი დინოზილი**

„**ჯაკოს ხიული ასაკი აქვს, ამიგომ ეზოში ხომ ჩადის, ცოტა ხანში მეუ ჩავდივარ სიგაჩეთის მოსანევედ... ცოტას ვაკონტროლებ“.**

და მერე გამიადვილდა. მათი თანაგრძნობა ჩემთვის დიდი ძალა იყო. მას შემდეგ დავბრუნდი და დავბრუნდი.

— **ამ ყველაფერის პარალელურად ისრდებოდა თქვენი ორი შვილი — ქალიშვილი და ბიჭი. ორინოლა უკვე ჩამოყალიბებული ქალია. ჯაკოს ახლა რა ასაკი უდგას?**

— 16 წლის არის, მართლაც რთული ასაკი აქვს, ამიტომ, ეზოში რომ ჩადის, ცოტა ხანში მეც ჩავდივარ სიგარეტის მოსანევედ. მეკითხება ხოლმე, აქ რას „ბირჟაობო“. მე კი ვუუბნებ, შენთან ხომ არ „ვბირჟაობ“, ჩემს ტოლებთან ერთად ვარ-მეთქი. ჯაკო იქით დგას თავის მეგობრებთან ერთად, მე — მომორებით ჩემს მეგობრებთან ერთად.

— **ანუ ცდილობთ შირიდან ვაკონტროლით?**

— ცოტას ვაკონტროლებ. მიხარია, რომ ამხელა ბიჭი მყავს. თან ეზოში დგომაც მიყვარს.

— **უკვე იცის, სკოლის დამთავრების შემდეგ რა გზას დაადგება?**

— მე ვურჩევ, რომ ჟურნალისტიკაზე ან თეატრალურში ჩააბაროს. მართალია, ჟურნალისტიკა ძალიან მიმიყვარდა, მაგრამ ამავ დროს საინტერესოცაა. თუ ჟურნალისტიკას კარგი გაგებით მიუდგები, აუცილებლად შესანიშნავი პროფესიონალი იქნები და ფულად გექნება. მე საქართველოში მომუშავე ჟურნალისტებზე არ ვამბობ, ევროპასა და ამერიკაში მომუშავე თქვენს კოლეგებს ვგულისხმობ. ჯაკოს ვუუბნებ, უცხო ენა კარგად ისწავლოს, საზღვარგარეთ წავიდეს და კარგი



■ **ირინოლა**

„**შვილებს ჩემს სიმღერებს ვუტოვებ. მოვა გხო, ხმდესაც ეს სიმღერები ძვირად გაიყიდება და ამით ჩემი შვილები ფელს იშოვნიან“.**

ბი არ აქვს, უბრალოდ უყვარს მუსიკა. ჩემს სიმღერებსაც ძალიან სჭირად უსმენს.

ახალ ალბომზე ვინყებ მუშაობას, რომელშიც ჩემი რამდენიმე ახალი სიმღერაც შევა. სავარაუდოდ, შემოდგომისთვის მზად იქნება. მანამდე ალბათ კიდევ დავწერ რამდენიმეს. ცოტა ხნის წინ ჩემი ორი ძველი სიმღერა ვიპოვე, რომლებიც არასოდეს გაუღერებულა. ვწერ, ვივიწყებ და მერე შემთხვევით აღმოვაჩენ ხოლმე.

— **ამბობთ, რომ კარგი მამა ხართ, მაგრამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადით, ცუდი ბაბუა ვართ.**

— მართალია. დრო საკმაოდ ბევრი მაქვს, მაგრამ ფეხით სიარული მეზარება, მანქანა კიდევ არ მყავს. ჩემი საყვარელი სალომე და თინათინი — ირინოლას შვილები თვითონ მოდიან ბაბუას სანახავად, სხვა რა გზა აქვთ,

ნათელახილველი
სელინა
მკითხოვს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისავს
და ხსნის ჯაღოს
230-68-19
599-37-59-58

„ორმა ქალმა ბედნიერება დაიწვია“



ულამაზესი იტალიელი მსახიობი ქალის, მონიკა ბელუჩის სიტყვები ამოვიკითხე სადღაც, ქალს სილამაზე პრობლემას ორ შემთხვევაში უქმნის, როცა ის არ აქვს ან როცა იმის მეტი არაფერი აქვსო. იცით, ეს სიტყვები როგორ მომხვდა გულზე? სწორედ ამან მიბიძგა, ჩემი ამბავი თქვენთვის მომეთხრო. ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა და ამაში ორ ქალს მიუძღვის ბრალი — ერთს, ვისაც სილამაზის ნასახი არ უბოძა ღმერთმა და მეორეს, რომელსაც, გარდა სილამაზისა, სხვა არაფერი გააჩნდა.

ძალიან ლამაზი მეგობარი მყავდა. მასთან პირველი კლასიდან ვეგობრობდი. თავიდან ერთი ჩვეულებრივი, ანონილი,

გამხდარი ბავშვი იყო, მაგრამ მოზარდობის ასაკში ისე დაიხვეწა, ყველა მასზე ლაპარაკობდა. ულამაზესი გოგო დადგა. სამაგიეროდ, მხოლოდ სილამაზე აქვს, სხვა არაფერი. შინაგანს ვგულისხმობ, თორემ კარგი ოჯახის შვილი იყო. სკოლაში საშუალოზე დაბალ ნიშნებს იღებდა, მე მივაჩანჩალებდი ძალით, კლასიდან კლასში ჩემი დამსახურებით გადადიოდა. ერთი წიგნი არ ჰქონდა წაკითხული. ყველა მეუბნებოდა, მაგ „ფუტლიართან“ რა საერთოს ნახულხარო. მისი გაყინული სახე არც ჩემებს მოსწონდათ, მაგრამ მე ყველას წინააღმდეგ მივდიოდი. ვამბობდი, რომ ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო და ამას უნდა შეგუებოდნენ.

ალბათ გახსოვთ, „სადარბაზოებში“ რომ უმაღლეს სასწავლებლებს ხსნიდნენ და ერთ-ერთი მანაც დაამთავრა. მშობლებმა იმდენი გააკეთეს, რომ წერა-კითხვის უცოდინარ შვილს დიპლომი აალებინეს, მერე სამსახურიც უშოვეს. სულ მიკვირდა, უჭკუო გოგოს ამხელა პასუხისმგებლობას როგორ ჰქიდებდნენ, მაგრამ თავისი ლამაზი თქობებით კი გაჰქონდა ცხოვრება.

მეგობართან კავშირი მას შემდეგაც არ გამიწყვეტია, რაც გავთხოვდი. ჩემთან ხშირად მოდიოდა, ჩემს ქმართანაც მეგობრობდა. მათ ურთიერთობას ჩვეულებრივად ვუყურებდი, საეჭვო არაფერი შემინიშნავს. ერთ დღეს კი ქმარი სახლში არ დაბრუნდა. შევფვოთიდი, დიდხანს ტელეფონზე არ მპასუხობდა. მერე კი დამელაპარაკა და მითხრა, რომ ჩემთან აღარ დაბრუნდებოდა. პაუზის შემდეგ დააყოლა, რომ ჩემს მეგობართან ერთად იყო...

ახლაც ვერ ვხვდები, ჩემმა გულმა ამ

დარტყმას როგორ გაუძლო. თითქოს გამეხლიჩა, მაგრამ მაინც გადარჩა.

სამი წელი დამჭირდა, ჩვეულებრივ ცხოვრებას დავბრუნებოდი. სხვათა შორის, ჩემმა ლამაზმა, მაგრამ უჭკუო მეგობარმა მშვენიერი ოჯახი შექმნა, ჩემს ქმართან ერთად ბედნიერად ცხოვრობს, შვილებიც ჰყავთ და არაფერს უჩივიან, მათ შორის — არც სინდისის ქენჯენას.

გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ძველი ტკივილი მომიშუშა. ის ჩემი ქმარი გახდა. ამ ნაბიჯის მეორედ გადადგმის ძალიან მემწიოდა. სულ ვფიქრობდი, ისევ შეცდომა არ დამეშვა, ისევ მოტყუებული არ დავრჩენილიყავი. მერე კი გულს მივენდე და მისი ცოლი გავხდი. ყველაფერი კარგად იქნებოდა, ისევ ქალს რომ არ აერია ყველაფერი.

ქმრის ოჯახში გაუთხოვარი მული დამხვდა, ღმერთო, მაპატიე და, ძალიან მახინჯი, სერიოზული ფიზიკური ნაკლის მქონე, თავის ნაჭუჭში ჩაკეტილი. ძალიან მეცოდებოდა, მასთან დამეგობრება ვცაადე, მაგრამ ვერ დავიხსლოვე. ვცდილობდი, მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოემჩინა, არაფერს ვაკლებდი, მაგრამ ჩემი სიკეთე ცუდად შემომიბრუნდა. ამ ვითომდა ჩუმმა, უწყინარმა გოგომ ობობას ისეთი ქსელი გააბა, რომ იქიდან გამოსვლა გამიჭირდა.

ჩემი ქმარი ექვიანი იყო. მულმა ამით ისარგებლა და ათასი ჭორი მომიგონა. თავის ძმას ჯერ ის ჩაანვეთა ყურში, რომ ჩემს ყოფილ ქმარს ვხვდებოდი. ჩემს ყოფილ მავლს და მის ცოლს მართლა შევხვდი. მათ ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ. ბავშვი ჰყავდათ ავად და ჩემს ნაცნობ ექიმთან მივყევი. არ ჩავთვალე საჭიროდ, რომ ეს ქმრისთვის მეთქვა. მულმა კი საიდანლაც გაიგო და მოახსენა, ოღონდ უკულმა. იმასაც საბაბი მიეცა და საშინელ დღეში ჩამაგდო.

მულთან ურთიერთობა დამეძაბა. ის კი ნამდვილ მოსტრად გადაიქცა. მერე ასეთი ამბავი შეთხზა, რომ ქმარს ჩემი ძმის ძმაცაცთან ვლალატობდი. ეს წარმოუდგენელი ცილისწამება იყო! ისეთი ამბავი, რომლის მოფიქრებასაც ფსიქიკურად ავადმყოფი თუ შეძლებდა. ძმა ჩემზე შვიდი წლით უმცროსია, რომ იტყვიან, ჩემი გაზრდილია. მასზე დიდი ამაგი მაქვს, შვილივით მიყვარს. მისი ძმაცაც კი ჩემს ძმაზე ორი წლით არის უმცროსი, ისიც ჩვენს სახლშია გაზრდილი, რადგან ერთ უბანში ვცხოვრობდით. მის მიმართაც მშობლიური გრძობა მქონდა. მულმა კი მისი „საყვარელი“ გამხადა. ვიცი, გამამტყუებთ, მაგრამ ამ ცილისწამებამ ისე გამომიყვანა წყობიდან, რომ ცვემე. დიას, თამაში მოვკვიდე ხელი და კარგად მოვქაჩე! ამის გამო მთელი ოჯახი გადაირია, ქმართან სერიოზული კონფლიქტი მომივიდა და წამოვედი.

ახლა მარტო ვარ და გათხოვებაზე არც არასოდეს ვფიქრებ. როგორც ჩანს, ცოლობა და დედობა ჩემი ხვედრი არ არის...

მკითხველი

„ორსულ შვილს ხალი ვერ ვკარი და შვილიშვილს ვზრდი“

მინდა, ჩემს შვილზე მოგწეროთ, ქალიშვილი მყავს. შეყვარებულმა შეაქცინა და, რომ გაიგო, ფეხმძიმედ იყო, მიატოვა, რადგან მისმა დედამ ჩემს გოგოზე უარი ათქმევინა. მხოლოდ ეს გვითხრეს, ბავშვი რომ დაიბადება, გვარს მიცეცითო.

გოგო დაიბადა, თანაც მათ ჰგავს, მაგრამ არც გვარი მისცეს და საერთოდ არც ნახეს. შვილს ხელი ვერ ვკარი და შვილიშვილს ვზრდი. გთხოვთ, ეს წერილი გამოაქვეყნეთ. იქნებ ჩემი შვილიშვილის მამამ და მისმა ოჯახმა წაიკითხონ კახეთში. ეს მათი შვილიშვილიც არის, რომელსაც მე ვზრდი.

მკითხველი



გამომხატველის მხარვეზები დაგვიკავშირდნენ ბელაფონებაზე:

296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იმითხმეთ ირინა მჭედლიძე ან ირა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ვებგვერდით sana.ge-ს, ღვინჯაძეების ლიდას „მომხატველი“ და დაგვიკავშირდით თქვენი ისტორიის.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 1779 მატომიდან და ჯარსელიდან. 1 სმს-ის ფასია 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: firmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

„ჩემი ქმარი „ფისბუქზე“ ქალის სახელით კახვას ნაჩვენებს სწორს“

ესეთ გაურკვეველობაში ვარ, რა დაგწერო, არ ვიცი. ვერც ის მოვიფიქრე, ვის შეიძლება მივმართო, რომ ჭკუა დამარბოს. ერთადერთი თქვენ გამახსენდით. ამ შემთხვევაში ჩემი უახლოესი მეგობრის ან ოჯახის წევრის ფუნქცია უნდა დაგაკისროთ. „სარკე“ ისედაც არის ჩემი ოჯახის წევრი, წლებია, ჩემს სახლში ყოველ ოთხშაბათს შემოდის, მაგრამ მასთან საუბარი არასოდეს გამიბამს. ახლა კი დამ-



ჭირდით და მოგმართავთ. ჩემი ქმარი არაჩვეულებრივი ადამიანია. ის ტიპური ქართველი მამაკაცია, უყვარს ძმაცვები, ქეიფი, დარდიმანდული მოლხენა. ქალებთან არის ძალიან გალანტური. კარგი ქმარი და მამაა. იცავს ქართულ ტრადიციებს და სძულს ყველაფერი, რაც მას ეწინააღმდეგება. იცავს მარხვას, იღებს ზიარებას. არ გეგონოთ, იდეალური მამაკაცი მყავს გვერდით. უარყოფითი თვისებებიც გააჩნია, რაც ხშირად ხდება ხოლმე ჩვენი კამათის მიზეზი. წლებია ერთად მოვიდევართ, მოვახერხეთ, კარგი მეგობრებიც გავმზადარიყავით. მოკლედ, ჩვეულებრივი ქართული ოჯახი გვაქვს თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით.

ყველაფერი „ოდნოკლასნიკებით“ დაიწყო. ჩემი მული უცხოეთში ცხოვრობს და მან მოგვთხოვა, კომპიუტერი გვეყიდა, ეს საიტიც გავგეხსნა და „სკაიპიც“. მასთან კომუნიკაცია ამან ძალიან იოლი გახადა. ჩემი ქმარი იჯდა და ხან დასთან ლაპარაკობდა, ხან ფოტოებს ათვალეფრებდა. მერე იმ საიტით ძველისძველი ნაცნობ-მეგობრები ამოქექა, კლასელები გაიხსენა — „უი, ეს როგორ შეცვლიდა, უი, ამას რა კარგი ცოლი ჰყოლია...“ მოკლედ, ვირტუალურ სამყაროში ჩაეფლო. „ფეისბუქმა“ კი საერთოდ გადაარია. უამრავი ადამიანი დაიმეგობრა, რომ იტყვიან, სულ შიგ ზის, ტელეფონშიც კი ჩართული აქვს, წერს და სწერენ, მიყვება, დღეს ეს გავიგე, თურმე ასე ყოფილა... ხშირად ვეხუმრებოდი, ტელეფონებმა შენ შესახებ რომ გაიგონ, ქმარს მომტაცებენ-მეთქი.

კომპიუტერთან მწყრაღად არც მე ვარ, მაგრამ იშვიათად მცალია მისთვის. იმ დღესაც ოჯახის საქმეებს რომ მოვრჩი, კომპიუტერს მაშინ მივუჯექი. „ფეისბუქი“ რომ გავხსენი, ვილაც ქალის გვერდი ამოვადა. შეიძლებოდა ავტომატურად ჩამეხურა კიდეც, ჩემი ყურადღება სექსუალურ ფოტოს რომ არ მიექცია. მოკლედ, ნეტა, არ მენახა! ჩემი ქმრის აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ანონიმური გვერდი აქვს გახსნილი, რომელიც ქალის სახელზეა დარეგისტრირებული. ვილაც უცნობი, სექსუალური ქალის ფოტოები უდევს. მიმონწერაში რომ შევედი, თავალებ კეფაზე მომექცა. ისეთი წერილები აქვს კაცებისთვის გაგზავნილი, გავოგნდი. ისინიც ისეთ პასუხებს სწერენ, გაგიჟდები! ამხელა ქალი ვარ და ლექსიკაში ეგეთი სიტყვები თუ არსებობდა, არც გამეყო.

ძალიან ცუდად გავხდი. ავდექი, წამლები დავლიე. ცოტა მოვლონიერდი და ისევ კომპიუტერს მივუჯექი. ჩემს თავს ვარწმუნებდი, ალბათ გეშლება-მეთქი, მაგრამ არა. ის „ქალი“ ისეთ რალაცვებს წერდა სტატუსებში თუ პირად მიმწერაში, აშკარად ჩემი ქმარია. ამას წინათ ფასდაკლებით ძალიან კარგი კოსმეტიკა ვიყიდე. ის „ქალი“ ზუსტად მაგას წერდა სტატუსში, ვაიმე, ისეთი კმაყოფილი ვარო და ჩემს სიტყვებს იმეორებდა. კიდეც ვნახე „ჩემული“ რალაცვები...

ვიცი, თქვენს უურნალს უამრავი ადამიანი კითხულობს, მათ შორის — ფსიქოლოგებიც. უომპენტენტური ადამიანის აზრი მაინტერესებს. მითხარით, ჩემს ქმარს რა სჭირს! გეი არ არის, არ არსებობს, ამაში ვცდებოდე. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ტრანსსექსუალი არ არის და არც ჩემს კაბებს იცვამს ჩუმ-ჩუმად. მაშინ გამაგებინეთ, რა სჭირს. რა ხდება მის ფსიქიკაში, რა პრობლემები აქვს? გთხოვთ, არ დაიხაროთ! ამის შესახებ ვერავის დაველაპარაკები, ვერც დას, ვერც დედას, მით უმეტეს, მეგობრებს. ერთადერთია „სარკე“ ვისაც გული გადავუშალე. დახმარებას ვითხოვ! გამაგებინეთ, ჩემს ოჯახს რა სჭირს.

თქვენი პრეტენზიული გიჟი

„ქალებს სითბო და ეთოგელება გვჭიხდება“

ამდენჯერმე ნავიკითხე ახალგაზრდა კაცის წერილი — სახლში ჩემი ცოლ-შვილის სითბო უნდა დავაბრუნო. ბევრს ვფიქრობ, ნეტა, რა ხდება ამ კაცების ტვინში. ნეტა, თუ იცინა, რა უნდათ. ხშირად ქალებზე ამბობენ, ვერაფერს გაუგებო. მათ ვერ გაუგებ ვერაფერს, თორემ ჩვენს გაგებას რა უნდა. ჩვენ ხომ მხოლოდ ყურადღება, სითბო გვჭირდება და უფსკრულშიც გამოგყვებით. საყვარელი ადამიანისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

თავის დროზე მეც ასე მოვიქეცი. ცოლად გავყევი ადამიანს, რომელიც ჩემს ოჯახს არ უნდოდა. მამა მეუბნებოდა, რომ მის გვერდით თუ მნახავდა, მოკვდებოდა. წარმოიდგინეთ, მშობლის წინააღმდეგ წავედი, არ შევებუე და მასთან შეხვედრა გავაგრძელე. მერე შანსი გამომიჩნდა, უცხოეთში წავსულიყავი და მესწავლა. დეიდაჩემი, რომელიც ევროპაში ცხოვრობდა, ამისთვის ყველაფერს აკეთებდა. ჩემი მშობლებიც ამაზე ოცნებობდნენ. მეც მინდოდა უცხოეთში განათლების მიღება, მაგრამ შეყვარებულმა მითხრა, იქ თუ წახვალ, ჩვენს ურთიერთობას ხაზი გადასმევალ. მის ნებას დავყევი და ევროპის უმაღლესი სასწავლებლის დიპლომის ნაცვლად ქორწინების მოწმობა დავიჭირე ხელში.

გეფიცებით, არაფერს ვინანებდი, ჩვენი სიყვარული რომ გაგრძელებულიყო. არასოდეს ვიფიქრებდი, რომ შეცდომა დავუშვი, როცა მამაის ბიუროში გავყევი. მაგრამ მან, ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა, ჩვენი სიყვარული დაანგრია — სხვა ქალთან წავიდა. ზუსტად ორ თვეში კი ჩემთან დაბრუნდა და პატივით მთხოვა. მითხრა, მივხვდი, შენზე მეტად ვერავის შევიყვარებო.

უცნაური რალაც დამემართა. იმ ორი თვის განმავლობაში ბევრჯერ მიფიქრია, რომ მოვიდეს, ყველაფერს ვაპატიებ-მეთქი. ერთხელ მესიჯიც კი გავუგზავნე, რომ თუ მოსვლას დააპირებდა, მივიღებდი. იმ დღეს კი რა დამემართა, ახლაც არ ვიცი. ჩემ წინ თითქოს სრულიად უცხო ადამიანი იდგა, სრულიად უცნობი მთხოვდა პატივებს. მის მიმართ არაფერს ვგრძნობდი, თითქოს ერთბაშად გაქრა თუკი რაიმე გრძნობა გამაჩნდა — ცუდიც და კარგიც. დაავიანდა, როცა სინანულისთვის მოიცალა, მე დაცარიელებული დავხვდი. მასთან ცხოვრებაზე უარი ვთქვი. უცნობ კაცთან ვერ ვიცხოვრებდი, ის კი სრულიად უცხო იყო ჩემთვის. ასე რომ, კაცებო, ზოგჯერ სინანული ძალიან გვიანია!

„სარკის“ პრეტენზიული გიჟი

„სხვისი ცხოვრებით ცხოვრებას ცუდი ქმა-შვილი სჯობია“

ურნალ „სარკის“ მე-15 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „57 წლის ასაკში მივხვდი, რომ სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრე“. თქვენი ცხოვრება რა შესაშურია, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, მაინც შემწურდა. თქვენ 57 წლის ასაკში მაინც მიხვდით, რომ სხვისი ცხოვრებით იცხოვრეთ და რალცნაირად თავი დააღწიეთ. მე კი ისევ სხვების საქმეებში ვარ თავიდან ბოლომდე ჩართული. მეც ძმის და დის ოჯახს ვუვლი. ხან ისე მტკუნე გულს, რომ... ამას წინათ სიძემ ძალიან დამცინა. ისეთი სიტყვები მითხრა, ორი დღე ცრემლები თავისით ჩამომდიოდა თვალებიდან, ვერ ვიშრობდი. არადა მასზე თან ვარ გადაყოლილი, ერთი სოფელი ბიჭი კაცად ვაქციეთ და ახლა მე დამცინის.

ჩემმა რალმა კი, იცით, ერთხელ რა მითხრა? სიბერეში რომ მოგიარონ, რამე უნდა გქონდესო. ეს ვითომ ისე თქვა, სხვისი მისამართით. მერე დედამისის მეზობლის მაგალითი მოიყვანა. აი, იმ ქალს ქონება ჰქონდა და დისვილებმა დაუშადლებლად მოუარესო. ჩემი მშობლების სახლშია გაპარპაშებული და თურმე მე არ მქონია სახლი და ქონება! ვერ მოვიფიქრე და ეს პირდაპირ პირში მივახალე. ამის გამო მთელი ოჯახი, ჩემი ძმის ჩათვლით, გამებუტა.

ასეთი ძალღერი ცხოვრება არ შემეძლია. ძალიან მეცდით, რომ თავის დროზე ოჯახი არ შევქმენი. ცუდი ქმარ-შვილიც რომ მყოლოდა, მაინც ჩემები იქნებოდნენ და ასე სალაპარაკო არ იქნებოდა.

ატივისცემით, თქვენი პრეტენზიული გიჟი

✓ რუბრიკა მთავრად ირინე მკვლდიძე

რამო თანაზერძოვს მიზე მევილდაძე ბერა ივანიშვილს

პროექტ „საქართველოს ვარსკვლავის“ კასტინგზე ჟიურიში მჯდომმა მიზე მევილდაძემ თავის ხუმრობაში „კბილი გაჰკრა“ რეპერ ბერას, საქართველოს პრემიერის ვაჟს. ერთ-ერთ კონკურსანტს, რომელიც რეპს ასრულებდა, უთხრა, შენ არც რიტმი გაქვს, არც ლექსის წერის ნიჭი, არც სმენა და არც 6 მილიარდიო (ივანიშვილების მილიარდები იგულისხმება). სამაგიეროდ აღვრთოვანდა სხვა კონკურსანტი, გოგონათი და უთხრა კიდევ მას: „ხარისხს ვგრძობო თქვენს სიმღერაში!“. აი, სწორედ აქ შეიქმნა უხერხული სიტუაცია — გოგონა ბერას სტუდიის მოსწავლე აღმოჩნდა.

„ეს სწორედ იმ „6 მილიარდიანი“ ბიჭის ხარისხია, ბატონო მიზე! ნიჭიერებს ფულამდე ნუ დაიყვანთ! ნიჭი ან გაქვს, ან არ გაქვს, მას ვერანაირი მილიარდებით ვერ იყიდის!“ — მიზე მევილდაძის მისამართით ეს მიმართვა „ფეისბუქში“ საქართველოს პრემიერმინისტრის უფროსი ვაჟის, უტა ივანიშვილის სახელით გავრცელდა.

38 წლის მიზე მევილდაძე, რომელსაც „სარკე“ ამ შემთხვევაზე და სხვა საინტერესო თემებზეც ესაუბრა, მრავალმხრივ არის ცნობილი ქართველი მაცურებლისთვის. ის წლებია ქართულ ტელე-რადიო სივრცეში მუშაობს. აღმოჩნდა, რომ მას თავისებურად საინტერესო ბავშვობაც ჰქონია გავლილი. „სარკესთან“ საუბარიც ამ თემით დაიწყო.

მიზე მევილდაძე:

— ბავშვობიდან მრავალმხრივი ინტერესები მქონდა. მაგალითად, სპორტის ნებისმიერი სახეობისთვის შემეძლო, მონუსხულს მეყურებინა. მერე მუსიკამ დაამაინტერესა. უფროსი მეგობარი მყავდა, გოგოცა სიბავშვით, რომელმაც მომასმენინა „დი ფარფლი“, „ლედ ზებელინი“ და „ბლექ საბათი“. თვითონ ბლეგ საბოტებს ეძახდა... დამაინტერესა, იმ დროისათვის რა ხდებოდა მუსიკალურ სფეროში. გაცივანი სხვა მოყვარულები და დავინწყეთ მუსიკის დაკრა. დღესაც აქტიური მსმენელი ვარ მუსიკის.

— **მუსიკის პარალელურად სკოლაში სწავლა როგორ მდგომარეობდა?**

— დედაჩემის მეთვალყურეობის ქვეშ ვმეცადინებო და გაკვეთილების სწავლისთვის უფრო მჭირდებოდა დაძალები, ვიდრე კითხვისას. კითხვა სულ მიყვარდა. შემეძლო, ამაღლო სკოლის სახელმძღვანელო და მთელი წლის მასალა ერთ დღეს წამეკითხა.

ჩემს ბავშვობაში მამა თითქმის სულ ციხეში იყო. კომიკური ამბებია. სადღაც დათვრებოდა და მერე რაღაც სისულელეს ჩადიოდა. პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონდა და ხშირად ეხვებოდა თავგადასავლებში, რომლებიც ძირითადად მხიარული იყო. ერთხელ გვერდით მდებარე მთელ კორპუსს ეჩხუბა. მარჯვენა ხელზე 4 თითი არ ჰქონდა და მარცხენაზე — ერთი, მაგრამ პიანინოზე მაინც უკრავდა.

— **რატომ არ ჰქონდა თითები?**

— ციხეში დაზღის ქვეშ მოიყოლა ხელები. 12 წელი ჰქონდა მისჯილი და ვილაცამ უთხრა, თუ პირველი ჯგუფის ინვალიდი იქნები, ამნისტია შეგეხებაო. ეტყობა, იფიქრა, თითები თუ არ ექნებოდა, პირველი ჯგუფის ინვალიდად ჩათვლიდნენ.

— **რა კონკრეტული დანაშაულისთვის იჯდა ციხეში?**

— ყაჩაღობის მუხლი ჰქონდა მიყენებული. ციხიდან რომ გამოვიდა, ლადაობდა, პოლიტიკურ საქმეზე ვიჯექი, დისიდენტი ვარო, რადგან ერთი ნაცნობი თანამდებობის პირის მანქანას ხელი დავუქნია. იმან არ გაუჩერა, მაგრამ შუქინიშანზე გაჩერდა. მისულა, აუტეხია ერთი ამბავი და ბოლოს საათი წაუთმეგია დასჯის მიზნით. ამის გამო მიუსაჯეს ყაჩაღობის მუხლი.

— **თითების დაკარგვის მერე ამნისტია მართლაც შეეხა?**

— არა, რადგან პირველის ნაცვლად მეორე ჯგუფის ინვალიდობა შეუფარდეს. ბოლოს კი შეეხო ე.წ. ჯაბას ამნისტია. ტრაგიკული ბიოგრაფია ჰქონდა. მერე ხან „პლანის“ გამო იჭერდნენ, ხან — რისთვის.

— **თქვენზე როგორ მოქმედებდა ეს ყველაფერი?**

— ბავშვობაში მამა რომ ციხეში იყო, ამას არ ვამბობდი. მერე კი, ციხიდან რომ გამოვიდა, ისეთი პერიოდი დავთხვავა, საამაყოც კი იყო, რომ მამა ყოფილი პატიმარი მყავდა.

ხანდახან რაღაც ჰკვიანურს კი იტყოდა ხოლმე. ნიჭიერი ჭკვი იყო და შეეძლო, ხსარტად ჩამოეყალიბებინა და აფორიზმებით ეთქვა მარტივი ჭეშმარიტება. ერთხელ მითხრა, ვაუჯაცობა არის ზრდილობაო და ეს ყველაფერ კარგად დამამახსოვრდა. გასულ საუკუნის შავბნელ 90-იან წლებში ეს რევოლუციური აღმოჩენა იყო, რადგან მამინ უზრდილობა უფრო დივილიბოდა ვაუჯაცობად.

— **როგორც ვიცო, ტექნიკური განათლება გაქვთ.**

— ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ვსწავლობდი. ფიზიკის ოლიმპიადაში გავიმორჯვე და ფიზიკის ფაკულტეტზე უგამოცდოდ უნდა ჩავრიცხულიყავი, მაგრამ მამინ საქართველოს ახალი მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობა და იურისტები და ეკონომისტები სჭირდებოდა. გადავწყვიტე, ეკონომისტი გავმხდარიყავი და უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. სწავლა დავამთავრე, მაგრამ დიპლომი ჯერ არც გამომიტანია. უნივერსიტეტში „კავენში“ ვთამაშობდი და პარალელურად აუდიტორად დავინწყე მუშაობა. „კავენების“ წამყვანი მუღმივად შალვა რამიშვილი იყო. ერთხელაც მითხრა, წამოდი, „რადიო 105“-ში გადაცემა გავაკეთოთ.

— **ერთი სიტყვით, შოუს სფეროში შალვა რამიშვილის კადრი ხართ. საუკეთესო მეგობრებადაც ითვლებოდათ. მერე კი მისივე შექმნილი გუნდი მასვე დაუბრუნდით.**

— დაპირისპირებას ვერ დავარქმევ. უბრალოდ, ავცდით ერთმანეთს. ის სხვა მიმართულებით აპირებდა „გახურებას“ და ბევრ საკითხზე ვერ ვთანხმდებოდით.

— **როგორც მსხვავს, ძირითადად ფინანსური საკითხები იყო თქვენი უთანხმოების მიზეზი.**

— კი მთავარი, რაზეც ვერ შევთანხმდით, ფინანსური საკითხი იყო. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჩვენი შრომის საბაზრო ღირე-



ბულება გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე შალვასთან გამოვიმუშავებდით და ეს ძალიან მალე დადასტურდა. შალვამ თავისი გზა გაიარა, ჩვენ კი ჩვენსას წავყვეით. პირადად მე და შალვას არასოდეს გვქონია დამბუღი და ართული ურთიერთობა. ხანდახან ახლაც დამინერს ხოლმე „ფეისბუქზე“ რაღაცას.

— **და ამ ნაწილებით ჩანს, რომ ერთმანეთს აბრაზებით.**

— ხანდახან შალვას ნერვები უმტყუნებს ხოლმე. მე არ ვბრაზდები. შალვაა, რა! ეგეთია და როგორ შეიძლება შალვაზე გაბრაზება?

— **როგორ ახერხებთ სულ კარგ ხასიათზე ყოფნას?**

— გადავწყვიტე, რომ სულ კარგ ხასიათზე ვიყო და...

— **ასე უბრალოდ გადაწყვიტეთ და გამოიყოფათ?**

— კი! სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობ, რასაც მას მერე გრძნობ, როცა საკუთარ თავთან არ გაქვს კონფლიქტი. გარემოს შენ თვითონ აყალიბებ, ყოველ შემთხვევაში, მე ისეთ გარემოში ვცხოვრობ, რომლის ჩამოყალიბებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შემაქვს. მაქვს ამის უნარიც, გამოცდილებაც და ახლა უკვე ავტორიტეტიც. შესაბამისად, გარემო არ მამბრაზებს.

— **მას შექმნა რაც შალვა რამიშვილის დაშორებით, „იმედზე“ გამაინდით. მოგწონდათ იქ მუშაობა?**

— „იმედზე“ ვაკეთებდით ნიკუშა ქავთარაძის შოუს, რომელსაც ძალიან მაგარი რეიტინგი ჰქონდა. მერე დისკომფორტი შეგვექმნა, რადგან ეს ტელევიზია რევოლუციურ პათოსზე გადავიდა და ძალიან პოლიტიზირებული ხდებოდა. ჩვენ ერთადერთი ჯგუფი ვართ, ვინც ამ ტელევიზიიდან წამოვიდა, ისინი სამსახურიდან არავის უშვებდნენ. მილიარდერების ტელევიზიას ნახევრად საქველმოქმედო, ჰუმანიტარული დატვირთვები უფრო აქვს ხოლმე, ვიდრე კომერციული. არ გვინდოდა, ბარიკადების იმ მხარეს ვყოფილიყავით და იმ ტელევიზიაზე გვემუშავა, რომელიც რევოლუციურ მოძრაობებს იწყებდა.

— **თელთ, რომ „რუსთავი 2“-ზე გადასვლით ნეიტრალურ არსზე გადასვლით?**

— „მზეზე“ დავინწყეთ სერიისი კავებები. მერე კი „რუსთავი 2“-ზე გამომოვიტანეთ ეს სერიალი სხვა სახელით — „ჩიპსების თიბა“. „რუსთავი 2“-ის მიმართულებას ყოველთვის ვიზიარებდით და ახლაც ვიზიარებთ.

— **არე მანც პოლიტიკა იყო მთავარი.**

— ბუნებრივია, გვაქვს ჩვენი სიმპათიები და ვართ სუბიექტურები, რადგან ადამიანები ვართ. ამსოლუტურ ობიექტურობაზე პრეტენზია არ მაქვს. ჯობია, იმუშაო იმ მხარეს, რომელიც გაცილებით ახლოს არის შენს მსოფლმხედველობასთან. ჩემი სიმპათიები ყოველთვის იქითკენ იხრებოდა, საითაც დასავლურ მოდელს ვხედავდი. „იმედში“ საბჭოთა კავშირი იყო. მდიდარი ადამიანების ტელევიზიაში სხვა პროორიტეტები. ასეთ ადგილებში ყველა პრიოდუქტი ერთი კონკრეტული პირის საამებლად იქმნება.

— **„რუსთავი 2“-ში ეს არ ხდებოდა?**

— არა, ერთი პირის საამებლად არ აკეთებდა. ვგულშემატკივრობდი „რუსთავი 2“-ის ტენდენციებს, ვიბრძოდი ბარიკადების ამ მხარეს. ახლაც გვულშემატკივრობ.

— **ყველაზე პოპულარული სერიალის „ჩემი ცილის დაქლები“ ერთ-ერთი პროდუსერი**

ალექსიზვილიძის კლინიკა

ბუასილი მარტივად იკურნება

დათო ვაშალომიძე (35 წლის, კერძო ბიზნესი):

— ისე გამაზნარა ამ ავადმყოფობამ, ბათუმიდან აქ ჩამოვედი. მქონდა სამონელი ტკვილები, სისხლდენა, დიდი ზომის კვანძები, შერყეობა. პირველივე კურსზე მომიწესრიგდა ეს ყველაფერი, დამრჩა მხოლოდ შემცირებული ზომის კვანძები, რისთვისაც მეორე კურსის მალამოები მიმაქვს. მომიწესრიგდა კუჭ-ნაწლავის პრობლემები და ეს ყველაფერი ნატურალური, მცენარეული საშუალებების წყალობით მოხდა.

თინათინ ალაშვილი (32 წლის, დიასახლისი, თბილისი):

— მოვედი ნაპრალის დიაგნოზით. მქონდა წვა, ტკვილი, ქავილი, ზოგჯერ სისხლდენაც. ყოველი დეფეკაციის შემდეგ ტკვილი 6-7 საათს გრძელდებოდა. მქონდა დისბაქტერიოზიც (შეკრულობა). ძალიან ვამყოფილი ვარ მკურნალობის. პირველი კურსის პირველივე დღეებში მომეხსნა ტკვილები, მერე გაქრა ქავილი და საათითაა ამენყო კუჭ-ნაწლავის მუშაობა. არ ვიცი, რა ეტყვა მადლობის მეტი. მკურნალობას ბოლომდე მივიყვან და მანანა ექიმს არ დავკარგავ.

მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი — თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საკმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიზვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედა-შვილი, ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.

ნინო ლომიძე, (27 წლის, თბილისი):

— სამი კვირის წინ ვიმშობიარე, რთული მშობიარობა მქონდა, ნაყოფი დიდი იყო — 3,5 კგ. მშობიარობის ტკივილები მონაგონია იმ ტკივილებთან, რაც მეორე გადავიტანე. ტკივილისგან გული მინუხდებოდა. არც ერთი გამაყუჩებელი არ მშველიოდა. აქამდე



დე ძლივს მოვალნივ. ქირურგმა გამხინჯა. უზარმაზარი კვანძები მქონდა, სამიველი ტკვილები... ნაწილად მალამოები, დანიშნულება და იმავე დღეს მომცა შეღავათი. ტკივილის სრულად მოხსნას კი 4-5 დღე დასჭირდა. დღეს მეორე კურსის ნაწილები მიმაქვს. ბევრად უკეთ ვარ, თავისუფლად ვჯდები. მქონდა ძლიერი შეკრულობა და ისიც მომიხსნა. დაუფრებლად ვარც ერთეტი მივიღე, უსწრაფესი. ახლა მშვიდად ვარ.

მისამართი: მეტრო „ნაძალადეთთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 15 საათამდე, ნინასწარი ჩანერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

ნართ. განა რამდენით მოითხოვა მსახიობმა ნინო ვაჩუხიძემ ანაზღაურების გაწვდა, რომ სერიოზულიდან გაუშვით ან რამდენად გაამართლა ამ ცვლილებამ?

— რა თქმა უნდა, გამართლებულია. თითოეულ მსახიობთან ვიყავით შეთანხმებული იმ ბიუჯეტიდან გამომდინარე, რაც გვექონდა. გადავლებას ვინცდებით, როცა გარკვეული ულტიმატუმი წამოგვიყენა. მარტივი პრინციპია — არავითარი მოლაპარაკება ტერორისტებთან! საფრთხის შემცველი იყო მისი ქმედება, რადგან ყველა მსახიობს იგივე მოეთხოვა.

— წამყვანი მსახიობები ყველგან სხვაზე მეტს თხოვენ.

— მაკა ძაგანია, ლევან ყოჩიაშვილი თუ სხვები არ იყვნენ წამყვანები?! გამორჩეული როლი არც ერთს ჰქონია. რთული იყო ნინოს შეცვლა, რადგან ამ ფილმით მაგრად გავაპირეთ ეს მსახიობი. გაცილებით კომიკური სიტუაცია იყო, რასაც საჯაროდ ვერ ვიტყვი. ერთს გეტყვი, ამ ისტორიამ დაყრდნობით, ადამიანისა და აუჯვის სიყვარულზე ერთი კინოს გადაღება შეიძლება. ყველას თავისი თავი ჰგონია ერთადერთი და განუყოფელი.

— „საქართველოს კარსკლავის“ ჟურნალში როგორ მოხდათ? თქვენი აზრით, იმდენად კარგად ერკვეით მუსიკაში, რომ კონკურსანტების ბუდი შეგიძლიათ განსაზღვროთ?

— დამიკავშირდნენ და შემომთავაზეს. მუსიკალური თვალსაზრისით სულ რაღაცას ვაკეთებდი. ბენდშიც ვუკრავდი დასარტყამ ინსტრუმენტზე. კარგად ვიცი მუსიკალური ტენდენციები. ეს პროექტი კი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ტენდენციებს აყალიბებს. თუ დააკვირდებით, სიმღერას „ჩემს დაბადებას შუშნუები არ მოჰყოლია“ აღარ მღერიან. ქათამაძის, ჩარკვიანის სიმღერებს ასრულებენ.

— საიდან სახეს იღებთ, როცა კონკურსანტს ნამდვილ „საიკრებლს“ მღერის?

— მეც „ვპასუვიკობ“ ხოლმე. გამაფრთხილეს, რომ ამ ადამიანების მიმართ არ უნდა ვიყო გულგრილი და ინდიფერენტული, ბოლომდე უნდა ჩავერთო. მე აბსოლუტური სმენა არ მაქვს და ამიტომ ძალიან მონდომებული ვარ, რომ ყურადღებით მოვუსმინო და ეს ალბათ სახეზეც მეტყობა.

— ანუ შეიძლება კარგი სმენა არ გქონდეს და მუსიკალური კონკურსის ჟურნალში ადამიანზე?

— სმენა ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ აბსოლუტური სმენა რასაც ჰქვია — ნავარჯიშევი და დამუშავებული, არ მაქვს, თუმცა ცუდ და კარგ ნამღერს ერთმანეთისგან ვარჩევ. მე იმისთვის ვარ, რომ სიახლე დავიჭირო, საინტერესოა ტიპი თუ — არა. როგორც



პროდიუსერი, ისე ვაფასებ — აქვს თუ არა კომერციული პოტენციალი ამა თუ იმ მომღერალს.

— რას ერჩით ბერას?

— ოფიციალური განცხადება გავეთდა, რომ უტა ივანიშვილი არ სარგებლობს ფეისბუქით და ის სიტყვები მისი დანერგული არ იყო. ვფიქრობ, ზოგადად ხუმრობა ნებისმიერ პიროვნებაზე მოსულა. ბერაზე არასოდეს მოთქვამს, უნიჭოა-მეთქი. 6 მილიარდი კი ამ სფეროში წარმატების მიღწევის ერთ-ერთი ფაქტორია და არა — ერთადერთი. იმ ადამიანს, რომელიც პროექტში მოვიდა და რეპუდაც, სწორედ ეს ფუთხარი — შენ არც 6 მილიარდი გაქვს-მეთქი. ბერას პოპულარობაში, რა თქმა უნდა, მილიარდების წილიც არის, მაგრამ მაგ

ტიმს რაღაც აქვს და ეს მხოლოდ მილიარდების დამსახურება არ არის. სხვა შემთხვევაში, ნებისმიერი მილიარდერის შვილს შეეძლება, იგივე გაეკეთებინა. თანაფერძნობა ბერას, რადგან ძნელია, როცა მუსიკა გიყვარს და შენს წარმატებას მილიარდებს აბრალებენ.

— თქვენი ფეისბუქის გვერდზე ბერა ივანიშვილის სტუდიის მშენებლობასთან დაკავშირებული კრიტიკულ სტატუსს კარგა ხანია აბიარებთ. — რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომ

დანერა, რომ ბერას სტუდიის ასაშენებლად ბოტანიკურ ბაღში ხეები იჩეხება. ალექსიზვილისაშვილი, რომელიც თბილისის ამქარია და, ასევე — ჩემი დიდი ხნის ნაცნობი და მეგობარი, ხეების გაჩეხის თემით არის დაინტერესებული. დავთავაგე და იმას მივანოდე — ასეთი რამ ხდება და რას აპირებ-მეთქი. სამი დღის განმავლობაში პასუხი რომ არ გამცა, იგივე გავიმეორე. ბერას ნინააღმდეგ არ იყო მიმართული ეს ყველაფერი. მაინტერესებს, შევამონმო, მათი რეაქცია შერჩევითი იყო თუ მართლა უყვართ ფლორა.

— თქვენს ოჯახურ ცხოვრებაში არის საინტერესო სახსრები?

— მყავს მუხლგე, თეონა ავალიანი, რომელიც ფინანსისტი და აუდიტორია. რვა წელია ცოლ-ქმარი ვართ. მანამდე ორი წელი მიყვარდა და ვეპრანჭებოდი.

— ოჯახშიც სულ კარგ ხასიათზე ხართ?

— კი, უხასიათო ნამდვილად არ ვარ.

— ექვანია არ ხართ?

— არა. ოჯახი ნინივას ერთგულებას სიყვარულში და თუ ეს არ არის, გინდა, იექვანე და გინდა — არა, რა აზრი აქვს?! სანამ ერთად ვართ, ესე იგი ყველაფერი კარგად არის. თუ ეს სურვილი გაქვება, მეორე ერთად აღარ ვიქნებით. ჩვენ კრიტიკული პერიოდი გადავიტანეთ.

— წავალ, ადარ მინდა შენთან, იყო ასეიანი?

— კი, მაგრამ, როცა ქალი ასეთ რამეს ამბობს, ყოველთვის ხედვები, ამას სერიოზულად ფიქრობს თუ კამათს მოჰყვება. სერიოზული მუქარა არ ყოფილა, სიტყვა „წავალ“ კი გაუფრებულა. ამას შანტაჟი ჰქვია. ხანდახან

მეც ვაშანტაჟებ ხოლმე. ძირითადად ჩემს უდროობას უჩივის და მარტივად ვუხსნი — როგორც შენ გაკვლია ჩემი ყურადღება, მეც იგივემართად მაკლიხარ-მეთქი.

— შეილის ყიდაზე ვერ არ გიზიზნიათ?

— ასე მოხდა. თავიდან არ ვაქცევდი ყურადღებას. თითქოს არ ვჩქარობდი. ახლა ჩემს მუხლგეს რაღაც დაავადება აღმოაჩნდა. გერმანიაში მივდივართ სამკურნალოდ. იქიდან რომ დავბრუნდებით, შვილზე აქტიურად ვიფიქრებთ. თუ პრობლემა იქნება, ვფიქრობ, არსებობს ბევრი სხვა გამოსავალი, რომ ოჯახში ბავშვი იყოს, თუნდაც — შევილად აყვანა.

✓ რუსულად აღიბე

ტერიტორიების 20 პროცენტზე მეტი-მეთქი. არავისთან გვაქვს საბო-
დინო, როცა ჩვენს ხელისუფლებას
პასუხს ვთხოვთ. სააკაშვილი თუ
მარათალია, რისი ემინია? პირიქით,
დაინტერესებული უნდა იყოს, კი-
დევერთი გამოძიება ჩატარდეს და
კიდევ ერთხელ გამართდეს ქარ-
თული მხარე, მაგრამ იცის, იმდენი
უბედურება გამოჩნდება საგამოძი-
ებო პროცესში, რომ...

— **კონკრეტულად?**
— უამრავი კითხვა შემოძლია
დასვა, დაწყებული ფინანსური
საკითხებამდე. 85 მილიონი გადა-
ვისხადეთ კავშირგაბმულობის სის-
ტემაში, რომელსაც კრიზისულ სი-
ტუაციებში უნდა ემუშავა და ომის
დაწყებამდე 25 წუთში მთლიანად
მოიშალა. ამის გამო მობილური
ტელეფონებით აძლევდნენ და ილ-
ებდნენ ბრძანებებს. მაინტერესებს,
85 მილიონად რა სისტემა ვიყიდეთ
ისეთი, რომ ნახევარ საათში გაითი-
შა. ასევე მაინტერესებს, ვინ გასცა
კოდორის ჩაბარების ბრძანება, რო-
ცა ეს მხარე იყო აუღებელი ციხე-
სიმაგრე. მაინტერესებს, თუ საო-
მარ მოქმედებებში უნდა ჩაერთო-

რი, გამაგებინე, რა ვქნათ, რა გეგმა
გაქვთ, ხალხს რამე უთხარი-
მეთქი.

— **რა გაბასუნათ?**
— რა უნდა ეთქვას, მარტო იყო,
არც მერაბიშვილი იყო მის გვერ-
დით და არც — ლომია და
ბოკერია. ვინ სად გარბოდა ოჯა-
ხიანად, კაცმა არ იცის. ბუნებრი-
ვია, ამასთან დაკავშირებით, პირ-
ველ რიგში, მთავარსარდლის პა-
სუხებია საინტერესო, მაგრამ ეწი-
ნია. იცის, რომ პირდაპირ ჰააგის
ტრიბუნალში მოუწევს წასვლა.

— **როგორ აფასებთ პროკურა-
ტურის პოტენციალს, რომ ომის
საქმე დროულად და პროფესიონა-
ლურად იყოს გამოძიებული?**

— გავლილი პერიოდის გათვა-
ლისწინებით, კითხვები მართლაც
ჩნდება, რამდენად შეძლებენ ფექ-
ტურად და სწრაფად აგვისტოს
ომის მასშტაბის საქმის გამოძიე-
ბას, მაგრამ ტალიავინის დასკვნა
არსებობს, რომელიც მნიშვნელოვ-
ნად შეუმსუბუქებს მათ საქმეს.

როცა სამართლიანობის აღ-
დგენაზე ვსაუბრობ, ჩვენი პარტიის
ნასამართლესი წევრებისთვის ჯერ

ნუზარ ნიკლაური: „ჩვენ მოვალატი პრემიერი არ გვჭირდება!“

საქართველოს პროკურატურა 2008 წლის აგვისტოს ომის
მიზეზებს იძიებს. ამის შესახებ პრესას იუსტიციის მინისტრმა
თუა წულუკიანმა განუცხადა. მისი თქმით, საქართველოს აქვს
ვალდებულება, გამოძიოს აგვისტოს ომი და ჰააგის სასამართლოში
პროკურორის სახელზე უკვე შეტანილია არაერთი განცხადება,
სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვა-
დასხვა ქვეყნის მოქალაქეები საუბრობენ იმაზე, რომ აგვისტოს ომის
დროს ჩადენილია დანაშაულოები კაცობრიობის წინააღმდეგ და
ისინი თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს.

აგვისტოს ომში დანაშაულები საქმის გამოძიების აუცილებლო-
ბაზე მოგვიანებით პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც ისაუბრა.

— პირადად მე ბევრი შეკითხვა მაქვს და ვთვლი, რომ იმ
სიტუაციაში ჩვენი პრეზიდენტი და მამინდელი ხელისუფლება
არაადეკვატურად მოიქცა. ძალიან მარტივად შეიძლება დასრუ-
ლებულიყო. მეც ძალიან დაძაბული ვიყავი იმ დროს. თქვენ იცით,
რომ არავითარი სასწაული არ მომხდარა. ერთ-ერთ სახელში
ნაღმმცოროსი შევარდა, მაგრამ ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია.
სოფლიდან საკუთარი იქნებოდა, მაქსიმუმ, 100 მცხოვრების
გაყვანა და საერთაშორისო დამკვირვებლების შემოყვანა. ამის
ნაცვლად, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ გაკეთდა ასეთი
სცენა... სიმართლე უნდა იცოდეს საზოგადოებამ, — აღნიშნა
ივანიშვილმა და დასძინა, რომ სააკაშვილიც დაიკითხება და იგი ამ
ფაქტს გაგებით უნდა მოეკიდოს.

ყოფილი მმართველი პარტიისთვის — ნაციონალებისთვის ეს
განცხადებები სამშობლოს ლაღატის ტოლფასია. გამოძიება ჯერ არ
დაწყებულა, ისინი კი უკვე წინასწარ სცემენ განცხადებებს და
ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ ქმედებებზე, გამყიდველობაზე,
რუსეთთან ვაბიტულაციაზე გაპყვირიან. განსაკუთრებით მწვავედ
რეაგირებენ ივანიშვილის შემდეგ სიტყვებზე: „გაუმართლებლად
მიმჩინა, რომ საჯარისო ნაწილები მზადყოფნაში მოვიდა და
დაიწყეს საომარი მოქმედებები მანამ, სანამ რუსეთმა გადმოლახა
სახლვერები“.

მართალია, პრემიერმა მეორე დღესვე განმარტა, მე არასოდეს
მითქვამს, რომ საქართველო იყო აგრესორი და ომის ინიციატორი,
პირიქით, სწორედ რუსეთმა დაარღვია სუვერენული სახელმწიფოს
ტერიტორიული საზღვრები, რასაც ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია
რეაგირებდა, მაგრამ ნაციონალებისთვის პრეზიდენტის დადანიშნულება
იგივეა, რაც საქართველოს დადანიშნულება და ეროვნული ინტერე-
სების ლაღატი, ხოლო ახლანდელი ხელისუფლების ქმედება —
რუსეთის დირექტივების მონური შესრულება.

პოზიციები სრულიად შეუბრუნებელია. ასე რომ, აგვისტოს ომის
გამოძიების სახით უმრავლესობა-უმცირესობას შორის აღმართულ
კედელს კიდევ ერთი, ძალიან მძიმე აგური დაემატა.

ნუზარ ნიკლაური, პარლამენტის ნაციონალი დეპუტატი:

— ქართულ სახელმწიფოს თუ სურვილი აქვს, გაარკვიონ, რა
ხდებოდა ქვეყანაში, შეუძლიათ გაგარძელონ ძიება, ყველა კით-
ხვა ამოწერონ, მაგრამ ამ სა-
კითხის პოლიტიზირება საქი-
რო არ არის. პრემიერმა თქვა,
რომ საქართველომ მანამდე და-
ინიყო საბრძოლო მოქმედებები,
სანამ რუსეთი საზღვარს გად-
მოკვეთდა. ტალიავინის კომი-
სიის დასკვნა კი ცალსახად
ამბობს, როცა საქართველოს
შეიარაღებულმა ძალებმა და-
ინიყეს გადაადგილება, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე იმყოფე-
ბოდნენ რუსეთის შეიარაღებული ფორმირებები, არა ბანდორომი-
რებები, როგორც ივანიშვილი ამბობს, არამედ რუსეთის ოფიცია-
ლური სამხედრო შენაერთები.

ამასთანავე გვაქვს რადიოჩანაწერი ოს სამხედრო მოსამსახურე-
ებსა და რუსეთისწარმომადგენლებს შორის, საიდანაც ჩანს, რომ
7 აგვისტომდე, მინიმუმ, 200 ერთეული სამხედრო ჯავშანტექნიკა
იყო შემოსული. ასევე დადგინდა, რომ ამ დროისათვის რუსეთის
სამხედრო ფლოტი სევასტოპოლიდან ჩვენს აკვადროში იყო
შემოსული. ესეც კიდევ ერთი დასტურია, რომ მანევრები მანამდე
იყო დაწყებული, სანამ ქართული მხარე რამეს გააკეთებდა. თუ
იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ერთი კვირიდან დასრულიდა
მოსახლეობის ევაკუაცია მოახდინეს, სრულიად ცხადი → 18

„85 მილიონად ხა სისებრა ვიყიდეთ ისეთი, ხომ ნახევარ საათში გაითიშა? ვინ გასცა ჯოძიხის ჩაბარების ბრძანება, ხოცა ეს მხარე იყო აუღებელი ციხესიმაგრე? ჩატომ ახ გადაიკეტა ხოცის გვიჩაბი? 40 გზადეს სიციხეში ბიჭების ცხედრები 4 დღე ჩატომ იყო დაყრილი. როცა „ნიტელ ჯვარში“ დავრეკე და ვთხოვე დახმარება, მითხრეს, პირ- ველი დაძინა ხართ, ვისაც ვესა- უბრებო. სად იყო მამინ ხელი- სუფლებზე? მე საერთოდ ვინ ვიყავი, რიგითი მოქალაქე. სპეციალურად არ გამოქონდათ იქიდან, რომ დაეშინებო, მსხვერპლი იყო. იმ დღეებში, რომლებიც მსაყვედუ- რობდნენ, პუტინს ხელი რატომ ჩამოართვეო და ვუპასუხე, იმიტომ, რომ სხვისი შვილები არ დაეხოცა- მეთქი, პასუხი არ უნდა მიიღონ, რატომ დაილუნენ მათი შვილები? გიგი უფულავა რომ ბრძანებებს იძლეოდა, ვინ ეკითხებოდა ქალა- ქის მერს ომში ბრძანებების გაცე- მას, რა კომპეტენტური ბრძანება უნდა გაცეცა საომარ მოქმედებებ- თან დაკავშირებით? როცა რუსე- თის ჯარი თბილისისკენ დაიძრა, თბილისი დაცული საერთოდ არ იყო. თავად რუსებმა გააჩერეს, საერთაშორისო აზრის გათვალის- წინებით ჯარი, თორღე ერთი კაცი არ იყო წინააღმდეგობის გამწევი. მე ვაგროვებდი ქალებს და ბავ- შუებს, რომ იქნებ ტანვები ქალაქში არ შემოვუშვებთ-მეთქი. იმ საღამოს დავურეკე სააკაშვილს და ვუთხა-

არ მოუხსნიათ ნასამართლეობა და
არც ერთ ადამიანს აქვს შესაძლებ-
ლობა, სამსახური დაინიშნოს. ეს
ნამდვილად არ უწყობს ხელს ოპ-
ოზიციის გაძლიერებას. ზოგადი
განცხადებები იყო, რომ კანონში
ცვლილებები შევა, გადაიხედება
უკანონო განაჩენები. ამ დროს კი
სრულიად უაზრო კანონები მიიღო
პარლამენტმა და მნიშვნელოვანი კი
რატომღაც ჭიანჭურდებდა.

— **საპრეზიდენტო არჩევნებში
მისწვლელობას გეგმათ, მაგრამ
საარჩევნო კოდექსთანაც ვკონ-
დათ ვარკვეული მითხვებთ.**

— ბევრი რამ რადიკალურადაა
შესაცვლელი. ერთადერთი რამ,
რაც შეიცვალა ამ უკუთხით, არის ის,
რომ მოიხსნა შიშის ფაქტორი. ეს
ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ
საკუთრისი არ არის. დასაბალანსე-
ბელია ფინანსური ველიც.

— **სამართლიანობა ურმით მო-
დისი — ეს „ოცნების“ მხრიდან
გაუგებრა.**

— კი, მაგრამ უნდა მოდიოდეს
და არა — ერთ ადგილას იდგეს.
არავინ ითხოვს, რომ ყველა საქმე
ერთბაშად იყოს განხილული, მაგ-
რამ, როცა ნ თვის განმავლობაში
მხოლოდ ერთ ნაწილისთვის აღ-
დგა სამართლიანობა და მხოლოდ
ერთ ნაწილს დაუბრუნდა წარმე-
ული ქონება, ცოტა უსამართლო-
ბის განცდას ბადებს.

ხდება, რომ საქართველომ მათ მხოლოდ უპასუხა.

პრემიერის განცხადება, რომ მხოლოდ ერთი ჭურვი გავარდა და რალაც პატარა კედელი დანაგრია, უპასუხისმგებლო. თამარაშენის დაბომბვის დროს ჩვენ უკვე გვეყავდა 2 გარდაცვლილი და რამდენიმე დაჭრილი. საქართველომ მხოლოდ უპასუხა საბრძოლო მოქმედებებს და ეს სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობა იყო. ანალოგიური ვითარება ისევე რომ შეიქმნას, ჯარმა ზუსტად ისე უნდა იმოქმედოს, როგორც მაშინ, ანუ დაიცვას ქვეყნის ინტერესები. ასე რომ, ეს გამოძიება არის დასრულებული, წამყვანმა ქვეყნებმა ცალსახად აღიარეს, რომ ავგისტოს ომის დროს ეთნიკური წმენდა მოხდა, მიწები კი ოკუპირებულია.

ივანიშვილის განცხადება არის პირდაპირი კოლაბორაციონიზმი. მან, საქართველოს მთავრობამ, თავის ქვეყანას ბრალი დასდო რუსეთთან ომის გაჩაღებაში. საქართველოში რუსეთს საოკუპაციო მმართველობაც რომ დაენიშნა, ივანიშვილზე მეტს ვერ გააკეთებდა. მაგალითად, ჩახალიანს, კრილინიკოსს, რუსეთის აგენტურის კოორდინატორებს ვერ გამოუშვებდა ციხიდან; ვერ შეარბილებდა ან გააუქმებდა ოკუპაციის კანონს; ვერ იტყვოდა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამზადებდა ტერორისტებს, რომლებიც შემდეგ გადადიოდნენ ჩრდილო კავკასიაში, სადაც აწყობდნენ არეულობებს; საქართველოს ვერ დასდებდა ბრალს ავგისტოს ომის დანაშაულებში, რითაც ტალახს მონაწილეობა რუსეთს. ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ რუსეთის მითითებებით გააკეთა, რაც ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

— ბატონო ნუგზარ, თუ ჩანალიანი ასეთი საშისი იყო, დაგუბატონებინათ ამ ბრალდებით, რასაც კვადრებით და დღესაც აქ იჯდებოდა.

— ჩახალიანი იჯდა ციხეში და იყო იზოლირებული. კადრებში ვნახეთ, როგორ შეიჭრა ქართულ ტაძარში, ახალქალაქის უნივერსიტეტში და რა განცხადებებს აკეთებდა ის ორგანიზაცია, რისი ხელმძღვანელიც ის გახლდათ. ჩემთვის აუხსნელია ისიც, რომ კრილინიკოვი, რომელიც ფულს არიგებდა და კოორდინატორი იყო მთელი რუსული აგენტურისა საქართველოში, სახელმწიფომ პოლიტპატიმრად გამოაცხადა. ეს არის ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება.

— ომის თემას მივუბრუნდეთ. არის ორი ვერსია — ეს იყო რუსულ ანკესზე წამოყვება და ეს იყო მანქანისმართული ქმედება პრეზიდენტის მხრიდან...

— ეს არის პრიმიტიული ლაპარაკი. კიდევ ერთხელ ვამბობ, ფაქტების დამდგენმა კომისიამ დადო ფაქტობრივი მასალები, რას ნებდობდა რეალობაში. არ დარჩენილა დასავლეთის არც ერთი სახელმწიფო, რომელიც არ გაგვეფრთხილებინა, რომ შესაძლებელი იყო, ასეთი რამ მომხდარიყო. ჩვენ ბოლომდე ვცდილობდით, შეგვეჩინა რუსებმა მშვიდობა. კულანბეტოვი, რომელიც სამშვიდობო ძალების სარდალი იყო, გვეუბნებოდა, რომ სიტუაციას ვერ აკონტროლებდა. იბომბებოდა სოფლები, იყო მსხვერპლი, გვეყავდნენ დევნილები და სხვა რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს? ჩვენ რომ მაშინ არ გვემოქმედა, გარწმუნებთ, დღეს დამოუკიდებელი საქართველო არ იარსებებდა. რუსეთისთვის კრახია, რომ 158 მილიონ

ნიანი ქვეყანა ვერ ახერხებს, გავრცელოს თავისი ვერსია და ამ შემთხვევაში ვინ შეიძლება, რომ მისი დახმარება მოახერხოს? რა თქმა უნდა, მსხვერპლმა ქვეყანამ, რომელიც იტყვის, რომ აგრესორი მე ვარ, იქით დავეხსი ცხინვალს, მინდოდა, რუსი მშვიდობისმყოფელები შემევიწროებინათო. რუსეთისთვის ამაზე დიდი ალბიონ რა შეიძლება იყოს საერთაშორისო არენაზე? თუ რუსეთს ახლა ვინმე მოსთხოვს, საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს, იტყვის, მე რატომ გავაკეთებ ამას, როცა თავად საქართველოს პრემიერი ამბობს, ომი საქართველომ დაიწყო.

— ხომ განმარტა ივანიშვილმა, არ მითქვამს, რუსებს ჩვენ დავეხსით თავსო. მეტი რა ქნას?

— კი და კომიკური ყანრის პერსონაჟად გადაიქცა. გამოვა ერთ დღეს, იტყვის რალა-



„თუ ვიტყვით, ომი მაშინ დაიწყო, სანამ ჩვენი გადმოკვეთა საზღვრის, ნიშნავს, ხომ საქართველო ახიხ დამნაშავე. ახვიან იკითხავს, ვინ იყო ჰეზიდენტი ან მინისტრი, სამაგიეროდ გასაგები გახდება, ჩაც ქვეყნის ჰეზიდენტი ალიაჩა, ხომ საქართველომ დაბომბა მინაჩე ცხინვალი, შეავინხოვა ჩვენი სამშვიდობოები და ა.შ. ეს ახიხ ჩვენი ვეხიან!“

ცას, რასაც გადასცემს მსოფლიო მედია... როცა ნახა, იმ განცხადების მერე რა რეაქცია ჰქონდათ საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც, მეორე დღეს ნათქვამი შეარბილა. მე ვამბობ, რომ ეს არის მიზანმიმართული გადაწყვეტილებები. ჩვენ არ გვჭირდება მოლაპარაკებები და არც ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი სიტყვების გაკონტროლება არ შეუძლია.

— თუ ასე ხართ დარწმუნებული თქვენს სიმართლეში, ჩატარდეს კიდევ ერთი გამოძიება, რატომ ეწინააღმდეგებით ასე ვამბავთ?

— გამოძიება არავითარი პრობლემა არ არის, თუ ამით პოზიტივი შევა, მაგრამ ეს არის უკვე პოლიტიკური საკითხი. როგორ შეიძლება გამოძიება იყოს ობიექტური, როცა პრემიერი პირდაპირ აცხადებს, რომ საქართველომ მანამდე დაიწყო ომი, სანამ რუსეთი გამოკვეთდა საზღვრებს. განა

ვინმეს ეჭვი ეპარება, როგორი იქნება დასკვნა? განა ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ მინისტრების დამოუკიდებლობის ხარისხი არ არის ნულის ტოლი? განა ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ივანიშვილის მითითებებით მიიღება გადაწყვეტილებები? ან ირაკლი ალასანიძე რომ არ არის დამოუკიდებელი, იმდენ ლაფს იტანს? გამოძიების წინააღმდეგ კი არ ვართ, არამედ იმის, რომ რუსეთის დავლებით ჩირქი მოსცხონ ჩვენს ქვეყანას.

— თავისი ჩინოსნების შეურაცხყოფა სააკაშვილისგან გავსისვს, თუ გავსისვს, მაგრამ ასეა ამაზე არ არის საუბარი. სანატრესია ნაციონალების მიდგომა — რატომ გულისხმობთ მუდმივად „ჩვენს“ საქართველოს, პრეზიდენტს ქვეყნისთან აივანებთ. პრეზიდენტის და მისი მთავრობის დანაშაული არ ნიშნავს ქვეყნის დანაშაულს.

— ესეც არის პრიმიტიული მსჯელობა. რალაც მომეჩქმი ქვეყნის პოზიციებს, მიდგომას წარმოადგენს კონკრეტული პირი, ვინც არის ხალხის მიერ არჩეული. ამას ვერავინ გამოიჯნავს და არც არავის გაუმიჯნავს, თუ რალაც „ნოუ ჰაუს“ არ მოვიგონებთ. პრეზიდენტი წამდვილად წარმოადგენს ქვეყანას და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს ქვეყნის გადაწყვეტილებას. თუ პრეზიდენტი არ არის ქვეყანა, მაშინ რატომ ემორჩილება ჯარი, აღმასრულებელი ხელისუფლება? ასეთი მსჯელობა არც კი ღირს განხილვად. თუ ვიტყვით, ომი მაშინ დაიწყო, სანამ რუსეთი გამოკვეთდა საზღვარს, ნიშნავს, რომ საქართველო არის დამნაშავე. არავინ იკითხავს, ვინ იყო პრეზიდენტი ან მინისტრი, სამაგიეროდ გასაგები გახდება, რაც ქვეყნის პრემიერმა აღიარა, რომ საქართველომ დაბომბა მინაჩე ცხინვალი, შეავინხოვა რუსი სამშვიდობოები და ა.შ. ეს არის რუსული ვერსია! საუბედუროდ, ჩავესი მოკვდა და მეორე ქვეყანა, რომელიც რუსეთის ინტერესებს ატარებს, საქართველო გახდა. ეს არის ტრაგედია! ან სად იყო ეს ომი? ბაიკალზე? არის თუ არა ცხინვალი საქართველოს უძველესი ტერიტორია? ასეთი უპრინციპობა როგორ შეიძლება?!

ახლა წერას არინა აყოლილი, როგორმე მოახერხონ ნაცემორაობის დაშლა. ეს კარგად მესმის, მაგრამ იმდენი კი უნდა იცოდნენ, რომ ასეთი მიმართულებით სვლა გვაზარალებს არა ჩვენ, არამედ — ქვეყანას. ის თუ ვერ გაურჩევიათ, სახელმწიფოში რა არის პირველხარისხოვანი საკითხი, მაშინ დიდი დღე არ აქვთ.

— „ქართული ოცნება“ კი ამბობს, რომ თქვენს 19 აპრილის აქცია იქნება ნაცემორაობის დასასრული.

— ეს იქნება ყველაზე ხალხმრავალი აქცია, რადგან თავიდანვე იყო ნათქვამი, რომ იქ მოსულიყვნენ არამხოლოდ ნაციონალები, არამედ ის ადამიანებიც, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დასავლური, დემოკრატიული ღირებულებები.

— დასავლური ღირებულებები ხელისუფლებისთვისაც მნიშვნელოვანია.

— ის, რაც დღეს ხდება, სრულიად საპირისპიროს გვიმტკიცებს. ამ ამბების მერე კი იქ ის ხალხიც მოვა, ვისაც ხელისუფლების დასავლურ კურსში აქამდე ეჭვი არ ეპარებოდა. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ყველაზე ხალხმრავალი აქცია, რაც კი ბოლო დროს გვინახავს.

რამაზ საყვარელიძე: „ხალხი ახალ პოლიტიკურ ლიდერს ეძებს“

«საპარლამენტო არჩევნებში
გამარჯვებული არც ნაციონალური
ძალა და არც — «ოცნებები»



საპრეზიდენტო არჩევნებამდე ექვსი თვე რჩება, მაგრამ პარტიები კანდიდატების დასახელებას არ ჩქარობენ. ოფიციალურად ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა გააკეთა განცხადება.

— ჩვენი ქვეყანა კვლავ არჩევანის, უფრო სწორად, კატასტროფის პირზეა. ე.წ. კოპაბიტაცია ივანიშვილისა და სააკაშვილის ჯგუფებს შორის შეხმატებლებასი გადაიზარდა. შექმნილი ვითარება გადაუდებელ მოქმედებებს მოითხოვს. დრო ცოტა გვაქვს. ერისა და ბერის წინაშე ვაცხადებ, მივიღე შემდეგი გადაწყვეტილება: ვიყრი კენჭს საქართველოს პრეზიდენტად, მზად ვარ, ავიღო პასუხისმგებლობა ქვეყანაზე, ხალხზე და საქართველო გამოვიყვანო ჩიხიდან! — ასეთია ნომერი პირველი ლეიბორისტის გზავნილი საქართველოს მოსახლეობისადმი. როგორი იქნება ადრესატის პასუხი მასზე, ეს ოქტომბერში გაირკვევა, თუმცა გასული წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიხედვით, პროგნოზის გაკეთება უკვე ახლავე რთული არ არის.

პარტიის გაძლიერებაზე უკვე დაიწყო ზრუნვა პოლიტიკასთან დროებით დამშვიდობებულმა ნინო ბურჯანაძემაც. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და ორგზის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, სავარაუდოდ, სწორედ საქართველო არჩევნებისთვის ემზადება, მაგრამ ჯერჯერობით ოფიციალური განცხადების განთავს იკავებს.

გამოჩნდა ევროპაში გაუჩინარებული სალომე ზურაბიშვილიც, რომელმაც საზოგადოებას თავი დაამხსოვრა ფრაზით — „ქაჯები კი არ მოდიან, ქაჯები მიდიან“. მან საქართველო 2 წლის წინ დატოვა და გაერო-ში წავიდა სამუშაოდ, მხარს კი ყოველთვის ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს უჭერდა და ხშირად სვდებოდა კიდეც. ცოტა ხნის წინაც სტუმრობდა პრემიერს, მაგრამ თემას ჯერჯერობით ასაიდუმლოებს. კულუარებში კი იმაზე ალაპარაკდნენ, რომ ივანიშვილის „დაღვინებული“ პრეზიდენტი შესაძლოა სწორედ საფრანგეთის მოქალაქე ზურაბიშვილი იყოს.

თითქმის ყველა არჩევნების წინ აქტუალური ხდება რუსეთში მცხოვრები ბიზნესმენის, ლევან ვასაძის გვარიც, რომელიც საზოგადოების წინაშე ძირითადად ეროვნული სამოსით, რელიგიური თემებითა და ლექსებით ჩნდება. ის ირწმუნება, რომ პოლიტიკაში ჩართვა არ სურს, მაგრამ ბოლო დროს მის მიერ გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელიც საზოგადოებამ პროგრამად მიიჩნია, მისი საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ ეჭვი გაამძაფრა.

ყველა ჩამოთვლილის პარალელურად, ამ კუთხით ისევ აქტუალურია ირაკლი ალასანიას, კახი კალაძის, ვახტანგ ხმალაძისა და

გიგი უგულავას ფიგურები, მაგრამ ნაც-მოძრაობა ირწმუნება, რომ მათი არჩევანი გიგი არ იქნება. „ოცნებაში“ არც კალაძესა და ხმალაძეზე აკეთებენ კომენტარს. ბოლო დროს არმაზ ასვლედიანზეც გავრცელდა ხმა, რომ „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ის იქნება, მაგრამ მმართველ პარტიაში არც ეს დაადასტურეს.

რა შანსები აქვთ სავარაუდო კანდიდატებს? პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „სარკესთან“ ვარიანტებს განიხილავს:

— შანსები, სავარაუდოდ, ყველა კანდიდატს თითქმის თანაბარი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ სპექტრში ძირითად პარტიებად გამოიყო „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ამას მოსახლეობის განწყობა მაფიქრებინებს, რომელიც აშკარად ახალ პოლიტიკურ ლიდერს ეძებს.

— რამდენად რეალურია ვარაუდი, რომ სალომე ზურაბიშვილი შეიძლება „ოცნების“ კანდიდატი გახდეს?

— ეს უფრო ყურნალისტიკის ვარაუდია. მეეჭვება, ზურაბიშვილმა „ქართული ოცნების“ მხრიდან მიიღოს მონაწილეობა. მას აქვს პოლიტიკური ორგანიზაცია და გააჩნია პოლიტიკური წონაც, რომ „ოცნებაზე“ დაყრდნობა არ დასჭირდეს.

— თქვენ კახი კალაძეზე?

— არის შანსი, მაგრამ არც ის დავივიწყოთ, რომ ალასანიასაც აქვს პრეტენზია. მაინც ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ახალი კონსტიტუციის მიხედვით რა კონცეფციას ჩაედებს „ოცნება“ პრეზიდენტის ინსტიტუტში. მერე გადაწყდება, ვინ იქნება — ალასანია, კალაძე თუ ხმალაძე. ასე რომ, ჯერ უცნობია, როგორი პოზიციაა თვითონ „ოცნებაში“ მომწინებელი.

— ალასანიას კანდიდატურა თითქოს მოისხნა. სწორედ მისი ამბიციის გამო არ დაისაჯა? გგონიათ, რომ საპრეზიდენტო ამბიციას არ შეუძლება და შეიძლება წინასაარჩევნოდ გამოიყოს კიდევ კოალიციას?

— ვერ დაგეთანხმებით, რომ დაისაჯა. უბრალოდ გარკვეული დამბაულობა იყო.

— აბა, რა ჰქვია თანამდებობიდან — ვიცუბო რეპიუტაციიდან გადაყენებას?

— ეს არ იყო იმ დონის თანამდებობა, რომ ამაზე ყურადღების გამახვილება ღირდეს. არც მისთვის იყო ეს თანამდებობა მნიშვნელოვანი, ამიტომ მგონია, რომ კოალიციაში მაინც იქნება მის კანდიდატურაზე საუბარი.

— მაგრამ ალასანია ისეთი დაღვინებულიც არ არის, როგორც პრემიერს უნდა.

— ქვეყნის საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა სწორად არ მიმართა. ვთვლი, რომ ამ წყობის გაგრძელება ჯობდა, ვიდრე ახალზე გადასვლა და ახალ მოულოდნელობებთან ადაპტაცია.

— ლევან ვასაძის ფიგურაზე რას ფიქრობთ,

რატომ გააქტურდა? საზოგადოებრივი აზრის მომწიფება სიმ არ უნდა?

— გეთანხმებით, რომ ვასაძე საინტერესო ფიგურაა და საზოგადოების მოწონებასაც იმსახურებს, მაგრამ არა მგონია, მან ისეთი ნაბიჯი გადადგას, რაც ივანიშვილთან არ იქნება შეთანხმებული. როგორც მისი წერილებიდან გახდა ცხადი, ის საკმაოდ კარგი აზრისაა ივანიშვილის მმართველობაზე.

„ოცნებისთვის“ შეიძლება გარკვეული სირთულეების შექმნილი გახდეს ის, რომ პრეზიდენტიც და პრემიერიც ერთი და იმავე პარტიიდან იყვნენ. ამიტომაც შეიძლება „ოცნებასაც“ ერჩივნოს, რომ პრეზიდენტის პოსტზე დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა აღმოჩნდეს.

— ბურჯანაძის ფიგურას როგორ ხედავთ?

— ბურჯანაძეს საკმაოდ დიდი შანსები აქვს იმ კუთხით, რომ ამომრჩეველი მის პიროვნებაში შეუპოვრობას აფასებს. „ქართულ ოცნებას“ იმას საყვედურობს, რომ დამთმობია, ბურჯანაძის პოლიტიკაში კი კომპრომისები იშვიათია, ამიტომ შეიძლება შანსი მართლაც ჰქონდეს.

— ნაციონალური თავს იკავებენ კანდიდატის დასახელებასთან, მაგრამ თქვენს რომ უგულავა არ აქვს?

— ძნელი სათქმელია. ნაციონალური ხშირად ამბობენ რალაცას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მერე ვერ მოიბოდიშებენ და ისევ იმას არ დააყენებენ კანდიდატად, ვისზედაც უარი თქვენს, მთავალითა, უგულავას. არ ვიჩქარებდი იმაზე დასკვნის გაკეთებას, ვინ იქნება ნაციონალურის კანდიდატი.

— ანუ ისევ რჩება უგულავას ფიგურა აქტუალურია?

— კი, რადგან მკვეთრი ფიგურაა, ენერგიულია. ასეთი კი წინასაარჩევნო ბრძოლაში მნიშვნელოვანია. ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ დაბრუნდნენ. უგულავას ვერსია ჯერჯერობით არ არის გადასაგდები.

— რას პროგნოზირებთ, ვის ველოდით სააკაშვილის შემცვლელად?

— მგონია, რომ გამარჯვებული არც ნაციონალურიდან იქნება და არც — „ოცნებიდან“?

— ზურაბიშვილი ან ვასაძე?

— სიმართლე გითხრათ, არ მაქვს განცდა, რომ ზურაბიშვილი იქნება ან ვასაძე, უფრო ალბათ ბურჯანაძე. ზურაბიშვილი და ვასაძე „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმების გარეშე ამ ნაბიჯს არ გადადგამენ, ბურჯანაძემ კი შეიძლება გადადგას.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა
მანანა გვეიამ

თეონა ბენაშვილი: „ზურას დამსახურებაა, რომ სამ თვეში შევუღლდით“

პარლამენტის ვიცესპიკერი მესამე შვილის მამა ხდება

საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი, ზურაბ აბაშიძე, მალე მესამე შვილის მამა გახდება. ის და მისი 29 წლის პედიატრი ცოლი, თეონა ბენაშვილი, ამ მოლოდინით ბედნიერები არიან, თუმცა ბავშვის სქესს ასაიდუმლოებენ. ეს ორივესთვის მეორე ქორწინებაა. ზურაბს პირველ ცოლთან ორი შვილი ჰყავს — 8 წლის ნიკოლოზი და 7 წლის ქეთევანი, თეონა კი ჯერჯერობით ერთი ბიჭის, ასევე 8 წლის ვაკოს დედაა.

როგორც ვიცესპიკერის მეორე ნახევრისგან შევიტყვეთ, გაუცვნიათ თუ არა ერთმანეთი, ბატონ ზურაბს მარიფათი გამოუჩენია და მათი რომანი თვალისდახამამებაში განვითარებულია. მალე შეუღლდნენ, თუმცა ქორწილის გადახდა ჯერ კიდევ წინ აქვთ. პოლიტიკოსი ზურაბ აბაშიძე სახლში სრულიად განსხვავებული, ლალი, რომანტიკულია და თბილის-ქუთაისის შორის მანძილი ხელს არ უშლის, ორსულ ცოლს სასესიო კვირაშიც არ მოაკლოს ზრუნვა და ყურადღება.

თეონა ბენაშვილი:

— დიდი ხანი არაა, რაც ერთმანეთს შევხვდით. ზურა ორი წლის წინ საერთო მეგობრების წრეში გავიცანი. ნაცნობობიდან სამ თვეში ჯვარი დავინერეთ.

ეს ყველაფერი ასე მალე რომ მოხდა, ზურას დამსახურებაა. დიდი ყურადღება და მონდომება გამოიჩინა. მეც მივენდე. მალე მივხვდი, რომ მის გვერდით მინდოდა ყოფნა. სამი თვე ცოტა დროა, მაგრამ ჩვენ შევუღლდით.

— როცა თქვენს რომანს დასაწყისი, ბატონი ზურაბის პარტია აქტიურ თბილისელებს საქმიანობაში იყო ჩართული. ეს ხელს არ უშლიდა თქვენს სასიყვარულო განწყობას?

— იმ პერიოდში ზურა მართლაც ოპოზიციის იყო. საერთოდ, არასდროს ვუყურებდი მას, როგორც პოლიტიკოსს და მის ამ ამბულას დიდ მნიშვნელობას არც ახლა ვანიჭებ. შეყვარებულები პოლიტიკაზე არ ვლაპარაკობდით, რადგან მე თვითონ ძალიან აპოლიტიკური ვარ, თუმცა ახლა ამ თემით მაინც მომიწია დაინტერესება... ზურა გავიცანი, როგორც პიროვნება და არა — როგორც პოლიტიკოსი. ჩვენ შორის საუბრის თემა პოლიტიკა საერთოდ არ ყოფილა.

— შეყვარებულებს ის სამი თვე როგორ გასსვენებთ, იყო სიურპრიზები, რომანტიკა და ა.შ.?

— ყველაფერი ზომიერად იყო. ისე წარიმართა ჩვენი ურთიერთობა, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს სურს. ძალიან კარგი დრო იყო. შეხვედრიდან რამდენიმე დღეში უკვე მეგონა, რომ ზურას

დიდი ხანი იყო, ვიცნობდი.

— ერთმანეთის შეილება როდის გაცნაო?

— ძალიან მალევე გავიცანი. ბავშვებს შაბათ-კვირას ერთად ვასეირნებდით. ჩვენი შვილები მალე დამეგობრდნენ. კვირაში რამდენიმე დღეს ახლაც ერთად ატარებენ. ბავშვებთან საერთო ენის გამოჩნდა არც ჩვენ გაგვიჭირვებია. ასე რომ, შვილები და მშობლები ერთდროულად დავეგობრდით. ბავშვებმა ჩვენი ურთიერთობა ძალიან ნორმალურად, ცივილიზებულად მიიღეს.

— როგორი ქორწილი გქონდა?

— ჯვარი დავინერეთ და იმ დღესვე საქორწინო მოგზაურობაში წავიდით, ერთი კვირა პარიზში გავატარეთ. ხელი არ გვაქვს მოწერილი, უახლოეს მომავალში ვაპირებთ. ქორწილის გადახდა გვიწინდოდა ჯვრისწერის და თავიდანისთვის მერე, მარხვა როცა დასრულდებოდა... ისევე



ასერებს ფეხშიძე ცოლზე მზრუნველობას?

— ზურა კვირაში რამდენიმე დღე ქუთაისშია, მაგრამ მაინც ასერებს, ყურადღებიანი მეუღლე იყოს. რა თქმა უნდა, მირჩევნია, უფრო ხშირად იყოს თბილისში. მეგონა, რომ პრეტენზიული არ ვარ, მაგრამ რაიმე განსაკუთრებული რომ მომინდეს, ზურა მოახერხებს, სურვილი შემისრულოს. ჯერჯერობით ასეთი სურვილი არ გამჩენია.

— როგორი მამა თქვენს ქმარს?

— ძალიან კარგი, ყურადღებიანი და მზრუნველია. მაშინ, როცა ზურას შვილები მოდიან ჩვენთან, ყველაფერს ვაკეთებთ ისე, როგორც ბავშვებს უნდათ. მათთან მკაცრი არასდროს არის. ბავშვებიც იმდენად კარგები არიან, რომ სიმკაცრის გამოჩენა საჭირო არ არის.

— შეუღლების შემდეგ თქვენს ურთიერთობას რა ახალი შტრისი დაემატა?

— განსხვავება ალბათ ის არის, რომ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. ახლა მეტად ვგრძნობ, რომ ჩემი

მეორე ნახევარია. ზურა უფრო ლაღი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. თავიდან ვფიქრობდი, რომ ძალიან სერიოზული იყო.

— ქმრის გემოვნებამ თქვენს სტილში, ცხოვრების წესში რაიმე კორექტივი შეიტანა?

— აკრძალვები არ მაქვს. ერთადერთი, ვერ ვიცვამ ისე, როგორც ადრე, ზურას გაცნობამდე. მაგალითად, არ უყვარს, როცა ძალიან დახეული ჯინსები ან ზედმეტად ამოღებული მაისური მაცვია.

— ბატონი ზურაბი რომანტიკული მამაკაცია?

— ზურა ხშირად მჩუქნის ყვავილებს. საღამოს სადმე გავდივართ ერთად და სახლშიც შეიძლება რომანტიკა მოვიწყოთ. რაც ადრე იყო, ახლაც არის ჩვენს ურთიერთობაში.

— რომელი უფრო აქტიურობით ერთმანეთისთვის სასაამოყენო წუთების ჩექებაში?

— ზურაც აქტიურობს და მეც. საჩუქრების მიღებაზე არანაკლებ მიხარია, როცა ადამიანს თავად ვსაჩუქრებ.

— კარგად ერკვევა თქვენს გემოვნებაში?

— კი, იცის, სუნამოს რა სურნელი მომწონს, რა ფერი მიყვარს. მეც ასევე ვიცი, მას რა სამოსი მოსწონს თავისთვის. ზურა ძალიან თბილი, ყურადღებიანი და მზრუნველი ქმარია. დღის განმავლობაში ხშირად მირეკავს, მით უმეტეს — მაშინ, თუ ქუთაისშია.

— უყურებთ ქმრის გამოსვლებს ტელეკრანზე?

— თუ მნიშვნელოვანი გამოსვლა აქვს, რა თქმა უნდა, ვუყურებ. ასევე, როცა ქვეყანაში

„ჩუქენიული ოხხელი ახ ვახ. მაგჩამ ჩიმი განსაუთიხებული ხომ მომინდეს, ზუჩა მოახეხებს, სუხილი შემისხელოს“.



■ ზურა და თეონა

„ღივი უხადლება და მონდომება გამოიჩინა. მეც მივენდე. მალე მივხვდი, ხომ მის გვერდით მინდოდა ყოფნა. სამი თვე ცოცა გჩოა, მაგჩამ ჩვენ შეუღლდით“.

ვეგემავთ ქორწილს. ჯვრისწერაში საქორწინო თეთრი კაბა მეცვა, რომელიც არც ძალიან სადა იყო და არც ძალიან გრანდიოზული, მაგრამ ძალიან მომწონდა.

— საერთო შეადის მილიონდონში ხართ. უკვე იცით სქესი და ის, თუ რას დაარქვით?

— კი, სქესი ვიცი, მაგრამ არ გავაზიარებ. სახელი ერთად შევფიქრეთ და, რა თქმა უნდა, არც ამას ვიტყვი.

— პარლამენტის ვიცესპიკერი ქუთაისიდან

რატომ ეპასუნენ გიორგი მოსიძის დედას საერთაშორისო დელათილს



გიორგის მოგონებები

დართველ მოაზროვნეთა კლუბის შემქმნელი და პრეზიდენტი, ინტელექტუალური გადაცემის „რა? სად? როდის?“ წამყვანი გიორგი მოსიძე, დირიჟორის, სახალხო არტისტ შალვა მოსიძისა და უცხო ენების პედაგოგ თამარ რჩეულიშვილის უფროსი ვაჟი გახლავთ. თავად მას სამედიცინო განათლება აქვს მიღებული, შემდეგ პოლიტიკაში ჩაერთო, პარტია „ახალი მემარჯვენის“ წევრი იყო, მაგრამ ახლა ეს, ნაკლებად, რომ ვინმეს ასსოვდეს. ინტელექტუალურმა თამაშებმა მოგვიანებით გაიტაცა და საბოლოოდ საკუთარი თავი სწორედ ამ სფეროში იპოვა. დედა, ქალბატონი თამარი, შვილის ამ გადამწყვეტილებით დიდად არ აღფრთოვანებულა, მის შესაძლებლობებს უფრო სხვა მიმართულებით ხედავდა, მაგრამ ვაჟის არჩევანს შეეგუა.

მათ ოჯახში რამდენიმე ეროვნებამ „მოიყარა თავი“. მთავარი დისასხლისი, ქალბატონი თამარი, ნახევრად უკრაინელი გახლავთ. გიორგის ცოლი აზერბაიჯანელია და მოსიძეებს სამ შვილს უზრდის. გიორგის ძმა, ოთარი, იაპონელ ქალზე გახლდათ დაქორწინებული. მას ერთი გოგონა ჰყავს, რომელიც დედასთან ერთად ამჟამად ტოკიოში ცხოვრობს.

ამ საინტერესო ოჯახზე „სარკვეს“ თამარ რჩეულიშვილი უამბობს.

— ქალბატონო თამარ, პირველი როგორი, თქვენზე გვიამბეთ. როგორც ვიცა, თქვენი ფეხვები უკრაინის უკავშირდება.

— დედა მყავს უკრაინელი. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უკრაინის პატარა ქალაქში დავიბადე. მამაჩემი, ოთარ რჩეულიშვილი, ცნობილი ინჟინერი იყო. მწერალი გურამ რჩეულიშვილი მამაჩემის ბიძაშვილი გახლდათ... მე დედასთან ერთად კიევიში 27 წლამდე ვცხოვრობდი. კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში ჩამოვედი და უცხო ენების ფაკულტეტი დავამთავრე. სხვათა შორის, კიევიში კათედრაზე სამუშაოდ დამტოვეს, მაგრამ მამაჩემი ვერ ისვენებდა, აქაურ მუშაულესთან შვილი არ ჰყავდა და ჩემი ჩამოსვლა უნდოდა. ამაში დედამაც შემინიჭო ხელი, მას საქართველოც და მამაჩემიც ძალიან უყვარდა, რომელიც მას ცუდად მოექცა.

მამა ომში რომ მიდიოდა, დედა უკვე ფეხმძიმედ იყო. თურმე მამამ დედას დაუბარა, თუ ბიჭი დაიბადებოდა, წმინდა გიორგის სახელი დაერქმია, თუ გოგო — თამარ მეფის... მოკლედ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში, მამასთან ჩამოვედი. ქართული საერთოდ არ ვიცოდი. დედობილი თურმანძი მყავდა, ძალიან კარგი ექიმი, ქირურგი.

— მობაჟელ მუჯღალესთან, მუსიკოს შალვა მოსიძესთან როგორ შეგახვედრათ ბავშვად?

— მამას ძალიან დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა. ერთ შაბათ-კვირას ქალაქგარეთ წამიყვანა. ქუჩაში მისი მეგობარი, შალვას ბიძა ვნახეთ, რომელ-

საც ჩვენთან ერთად წამოსვლა შევთავაზეთ. მან კი შალვაც წამოიყვანა. ერთმანეთი ასე გავიცანით. მას მერე შალვა ხან მირეკავდა, ხან სამსახურში მაკითხავდა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ოჯახი შექმენით. ნამდვილად უბედნიერესი ქალი გახლავართ, რომ შალვას მეუღლე ვარ. კარგი პიროვნებაა, დღემდე ძალიან კარგი, მეგობრული და თბილი ურთიერთობა გვაქვს. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ჩვენი ორი შვილი ასეთ კარგ გარემოშია გაზრდილი.

— როცა ერთმანეთი ვადაცნობ, თქვენი მეუღლე უკვე პრეფესორი მუსიკოსი იყო?

— კონსერვატორია დამთავრებული ჰქონდა. სანამ შევუღლდებოდით, გორის მუსიკალურ სასწავლებელში წავიდა სამუშაოდ. იქ გუნდი შექმნა. შალვას მუშაობის განსხვავებული მანერა აქვს,



პატარა გიორგი

„ჩოგოხე ჯი გოიხი გაჩნდა, 15 წუთში მომიყვანეს, ეს ღამაში ვისიაო. მახოდაც ძალიან ღამაში, ქეხა, ცხიფთივადება ბავშვი იყო“.

არაჩვეულებრივი მუსიკოსია. მუსიკოს მოყვარული მეც ვარ, რადგან დედაც კარგად უკრავდა და ჩემი მამობილიც. სხვათა შორის, დედაჩემი ისევ თბილისში ქართველზე, დარჩიზზე გათხოვდა. დაც მყავს, ის ახლა უკრაინაშია და ქართულის აბაფერი სცხია, გარდა გვარისა.

— პირველი შეიღის, თანაც ბიჭის, დაბადება როგორ გახსოვთ?

— გიორგის დაბადებით ყველანი ბედნიერები ვიყავით. როგორც კი გიორგი გაჩნდა, 15 წუთში მომიყვანეს, ეს ღამაში ვისიაო. მართლაც ძალიან ღამაში, ქერა, ცისფერთვალება, კარგი ბავშვი იყო, მტირალა და პრეტენზიული არ ყოფილა.

წელიწადსა და რვა თვეში კი ოთარი დაიბადა. მას ძმისგან განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. გიორგი მშვიდი, კომუნიკაბელური იყო, სულ გალიმებული დადიოდა. ოთარი კი ძალიან ცელქობდა.

— როგორ ზრდიდით ორ ბიჭს ახალგაზრდა ცილქმარი, უფროსები გეხმარებოდნენ?

— ორივე შვილს მარტო ვზრდიდი. ოთარი საბავშვო ბაღში ან ექიმთან რომ მიმყავდა, პატარა გიორგის ზოგჯერ სახლში მარტო ვტოვებდი, უფროსებს მივცემდი და შეეძლო, საათობით ეთვალეოებინა. შალვა ძალიან დაკავებული იყო. კვირაში სამჯერ გორში წასვლა უნდებოდა, დანარჩენი დღეები კონსერვატორიაში პედაგოგად მუშაობდა. ყოველ ორ-სამ თვეში გასტროლზე დადიოდა. სანამ ბიჭები 10-12 წლის არ გახდნენ, მანამდე არსად გავყოლილვარ. როცა წამოიზარდნენ, უკვე მამაჩემს ვუტოვებდი და შალ-

რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ხდებოდა, რა თქმა უნდა, საინფორმაციო გამოშვებებსაც ვუყუარებთ და ამ თემაზე ვსაუბრობთ კიდევ. საერთოდ კი ცვდილობთ სახლში პოლიტიკისგან შორს ვიყოთ.

— ქმარს აძლეოთ რჩევებს?
— თუ დებატებში მონაწილეობს, მინდა, რომ სიმშვიდე შეინარჩუნოს და თვითონაც ცდილობს, განონასწორებული იყოს.

— რა საკითხებში ვერ ახერხებთ შეთანხმებას?

— ასეთი თემები, ბუნებრივია, არსებობს. მეორე მხრივ, ეს იმდენად ყოფილი და უბრალოა, რომ არც მახსენდება, აზრთა

„კვი ვიცვამ ისე, ჩოგოხე ახე, ხუხას გაცნობამდე. მაგალითად, ახ უყვახს, ჩოცა ძლიან დახუცი ჯინსები ან ხედმეჯად ამოლებული მაისხი მაცვია“.

სხვადასხვაობა რაზე გეკონია.

— ვინ მადის პირველი დათმობაზე გამოთის შექმნა?

— ალბათ — ის, ვინც თავს დამნაშავედ გრძნობს... (იცინის). გაბუტვა არც ერთს გვახასიათებს.

— რა სჭირდება ყველაზე მეტად თქვენს პოლიტიკოს მეუღლეს, როცა სახლში მიდის?

— სიმშვიდე. ზურამ არ იცის პრობლემების თავზე მოხვევა და მოყოლა, რა მოხდა დღის განმავლობაში.

— რა სჭირდება იმისთვის, რომ სახლიდან გასულმა თავი კარგად იგრძნოს?

— რა თქმა უნდა, პერანგი სულ გაუთოებული უნდა ჰქონდეს.

— თქვენი სახლური კერძები ქმარს ანებებთ?

— ვერ ვიტყვი, რომ გურმანები ვართ. ხან სახლში ვსადილობთ, ხან — გარეთ. ზურას უყვარს, როცა სტივქს ვამზადებ. ცხიმში მოშუშულ ძროხის ხორცს სალათის ფურცლებს და პომიდორს ვუმატებ. ძალიან გემრიელი გამოდის.

— ორივეს გაქვთ უიღბლო ქორწინების გამოცდილება. ალბათ ახლა ურთიერთობაში ბევრ რამეს ითვალისწინებთ.

— კი, ალბათ უფრო დამთმობელი გავხდით და ერთმანეთის აზრს ანგარიშს ვუწევთ.

— რა არის საჭირო წყვილის მყარი ურთიერთობისთვის?

— პირველ რიგში, ერთგულება, ურთიერთგაგება და ანგარიშის გაწევა. ✓ **მანანა ნოღია**



ქაზანი — ოთარი და მიორანი

„პატარა გოგონის ზოგჯერ სახლში მახლო ვკოვებდი, ვეხნალებს მივყვებო და შეეძლო, საათობით ეთვადიეხებინა... ოთახთან ბუჯი ჭიდაობა და ხმამალაღი კითხვა დამჭიხდა, ხომ ნიგნის ინტეხესი გასჩენოდა“.

ვას დავეყვებოდი. უნივერსიტეტში მუშაობა მაშინ დავინწყე, როცა ბავშვების დატოვება შეიძლებოდა.

— გიორგი ბავშვობიდან „ინტელექტუალი“ ყოფილა, კითხვა ჰყვარებდა.

— დიას. კითხვა ძალიან უყვარდა. ოთართან ბევრი ჭიდაობა და ხმამალაღი კითხვა დამჭირდა, რომ ნიგნის ინტერესი გასჩენოდა, გიორგისთან — არც. სკოლაში სამიანები არ ჰყავდა, მაგრამ არც ისე დიდი ენთუზიზმით დადიოდა, არ მოსწონდა.

ოჯახით ხშირად გავდიოდი ქალაქგარეთ. ოთარი ძალიან მომრავი ბავშვი იყო, მის გასაჩერებლად მთელი გზა კითხვებს ვსვამდი — აბა, რომელი მეტყვიით, ისრაელის, საფრანგეთის დედაქალაქი რომელია-მეთქი... პატარაობიდანვე სულ ასეთ კითხვებს ვუსვამდი და, აი, რა მივიღებ. საღამოობით მე და შალვა რუსულ არხზე ინტელექტუალურ გადაცემას რომ ვუყურებდით, ესენიც მოგვისხდებოდნენ. გიორგი აგარაკზე ბავშვებს შეკრებდა ხოლმე, აბა, გოგოებო, ბიჭებს კითხვა დაუსვითო და ასე ერთობოდა. ბავშვობიდან სპორტი ძალიან უყვარდა, მაგრამ ფორტუხად სპორტული არ იყო. ცურვაზე, ფრთხილურთზე ვატარე. როცა სპორტით გატაცებული იყო, სულ ციფრებს იწერდა, ვინ სად გაიტანა გოლი. სხვათა შორის, ძალიან კარგი სპორტული ფურნალისტი იქნებოდა.

— გინდადით, ფურნალისტი გამოსულიყო?

— მას ჰუმანიტარული საგნების ნიჭი ჰქონდა და ვფიქრობდი, ფურნალისტი გახდებოდა, თუმცა არჩევანი სამედიცინოზე გააკეთა. როცა აფხაზეთის ომი იყო, გიორგი სასწრაფო სამედიცინო დახმარებაშიც მუშაობდა. სწავლის პერიოდში სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობდა.

— ოთარს რისკენ ჰქონდა მიდრეკილება?

— მას 6 წელიდან მუსიკის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა. ფორტეპიანოზე უკრავდა. ნიჭიერთა ათწლედი დამთავრა, შემდეგ კონსერვატორიაში შევიდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა კონსერვატორიის კარი აჭედეს, არც სწავლა იყო, არც სამუშაო. 19 წლის ასაკში, მესამე კურსზე იყო, როცა საზღვარგარეთ წავიდა. ლონდონში ინგლისური ენის სასწავლებლად კოლეჯში ჩააბარა. იქ დაახლოებით 7 წელი დაჰყო. ცოლად იაპონელი

მოიყვანა, შვილიც გაუჩნდა. ოთარი რამდენიმე პროფესიას დაეუფლა, ცხოვრებაში ბევრი რამ სცადა. ახლა უკრაინაში ერთ-ერთ იაპონურ კომპანიაში მუშაობს.

— სანამ ინტერესებს დაეწყებდით, მითხარათ, ახლობლები საერთაშორისო დედაბილის მექსდენჯინო, როგორ მიიღებთ თავის დროზე თქვენს აზერბაიჯანელი და იაპონელი რძლებს?

— ჩვენს ოჯახში ნაციონალისტური საუბრები არასდროს გვექონია. შვილებს ყოველთვის ვასწავლიდი, რომ მთავარი ადამიანობა იყო. მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანი რა ფერის, რა ეროვნების და რა სარწმუნოების იქნება. როცა ოთარმა იაპონელი გოგო მოიყვანა ცოლად, 21 წლის იყო. დაგვირეკა და გვითხრა, ჩემთან ერთად იაპონელი გოგონა სწავლობს და საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდაო. როცა ის დაფხმბიდა, ხელიც მოაწერეს. ჩემი შვილიშვილი, ქეთი, 3 თვის იყო, როცა საქართველოში ჩამოვიდნენ. აქ პატარა ქორწილი გადაუხადეთ... ქეთი ახლა 15 წლისაა.

— იბინა მასაც სრულიად განსხვავებული სამყაროა. ძალიან კონტაქტი თავიდან არ გიჭირდა?

— ოთარი 7 წელი ნანახი არ გვეყავდა. ერთადერთხელ ვიყავი ლონდონში ჩასული. მაშინ რძალი ფეხმძიმედ გახლდათ. მაშინვე მივხვდი, რომ ძალიან სხვანაირი გოგონა იყო და ურთიერთობა რთული იქნებოდა. რა თქმა უნდა, შვილისთვის არაფერი მითქვამს, რადგან მისით აღფრთოვანებული იყო. სამწუხაროდ, მათი ოჯახი დაინგრა. ერთად 7 წელი იცხოვრეს. ახლა ოთარი ხარკოვში ცხოვრობს. ქეთი თავის დედასთანაა, ტოკიოში. ნიჭიერი გოგონაა, აქ მუსიკაზე შევიყვანეთ, ოთარმა ინგლისური, ქართული შეასწავლა. ქეთი, სამწუხაროდ, 3 წელია არ გვინახავს.



ოჯახი

„ხოცა ოთახმა იაპონელი გოგო მოიყვანა ცოლად, 21 წლის იყო. დაგვიჩუქა და გვითხრა, ჩემთან ერთად იაპონელი გოგონა სწავლობს და საცხოვრებლად ჩემთან გადმოვიდა... მაშინვე მივხვდი, ხომ ძალიან სხვანაირი გოგონა იყო და კითხვითობა ხიული იქნებოდა“.

ხავს. ცოტა ხნის წინ ვესაუბრეთ.

— გიორგის ცოლზე რას გვეტყვით? მან სამი შვილიშვილი გაჩუქებთ.

— გიორგის მანამდე სერიოზული გატაცება არ ჰქონია, უფრო გოგოების მხრიდან ვგრძობდით მის მიმართ ყურადღებას. როცა გიორგი დაქორწინდა, 28 წლის იყო. სარძლოს არ ვიცნობდი. ერთ-ერთ კონფერენციაზე შეხვდნენ ერთმანეთს და ი შეუყვარდათ. გიორგიმ სახლში ეს ყველაფერი თქვა, თითქოს მოსინჯა, რა რეაქცია გვექნებოდა. ვუთხარი, რომ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მითხრა, ოთარის წინააღმდეგ არ წასულხართ და ჩემ წინააღმდეგ ხომ არ

წახვალთო. ერთი სიტყვიც, დაქორწინდნენ. ამ ყველაფერს გაგებით მოვეკიდებ. რადგან ეს გოგო აირჩია, დარწმუნებული ვიყავი, კარგი იქნებოდა.

სამი შვილი ჰყავთ. უფროსი 10 წლისაა და ისიც გიორგი მოსიძეა. მეორეს ელენე ჰქვია, მალე 9 წლის გახდება, ნიკოლოზი კი 2 წლის წინ გაჩნდა. რძალთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს.

— გადაცემიდან ისე ჩანს, რომ გიორგი მკაცრია. სანამდელებსაც ასეთია?

— არა, ძალიან რბილი ადამიანია. თამაშს სჭირდება ასეთი იმიჯი. ადრე უფრო კარგი ხასიათი ჰქონდა, ახლა ცოტა გაუფუჭდა. ცხოვრება რთულია. თან ამ გადაცემის გაკეთებაც არაა ადვილი. როცა უყურებ, თითქოს ადვილია, თამაშია, მაგრამ ეს ყველაფერი ბევრ შრომასთანაა დაკავშირებული. ყველა კითხვა უნდა დაამუშაოს, წყარო მოძებნოს, ყოველი სიტყვა შეამოწმოს...

— მის გადაცემას ალბათ ყოველთვის უყურებთ. შენსშენზე თუ ვაქტო სილმე?

— როგორ არა? ხანდახან მამალივით დაიყვილებს ხოლმე: „დაინყო პირველი რაუნდი!“. როცა რაღაც არ მომწონს, რჩევებს ვაძლევ.

— თქვენს უფროსი შვილი ერთ დროს პოლიტიკაშიც იყო. მოგწონდათ მაშინდელი მისი საქმიანობა?

— „ახალი მემარჯვენეების“ წევრი იყო. პოლიტიკა ჩვენგან შორს არის, ამიტომ მისი

ამ ნაბიჯით ძალიან უკმაყოფილონი ვიყავით. ინტელისგენტ კაცს პოლიტიკაში რა უნდოდა?! მერე თვითონაც ბევრ რამეს მიხვდა, მაგრამ გვიან. თუმცა ეს წლები მისთვის დაკარგული არ იყო, ბევრს მოგზაურობდა.

— ვიზუალურად გიორგი ძალიან გვაგონებს. ქუჩაში გცნობენ, რომ მისი დედა ხართ?

— ზოგჯერ ქუჩაში რომ მოვიდევარ ან მალაზიაში შევალ, მეკითხებიან, გიორგის დედა ხომ არ ხართო. სატრიაბახოდ არ ვამბობ, მაგრამ ჩემი შვილი საზოგადოებამ შეიყვარა, თუმცა მე ხშირად ვაკრიტიკებ. მამამისი ისეთი მოკრძალებულია, ოღონდ სადმე არ გადაიღონ და არაფერი უნდა, თავიდან კონცერტზე გასვლაც არ სურდა. გიორგი როგორ გამოვიდა ასეთი — არ ვიცი.

— თქვენ აგრძელებთ პედაგოგიურ მუშაობას?

— ახლა აღარ ვმუშაობ. მოწაფეები მყავს და ამით ჩემს ცოდნას არ ვკარგავ, მაგრამ უფრო მეტ დროს შვილიშვილებს ვუთმობ.

✓ კვა ლეონიჯავა

ეკა ბერიძე: „პრისკავ და ღებაბებს ვინცა, არ ვიცი, ნაციონალური მოძრაობა თუ არა“



ელეფურნალისტი ეკა ბერიძეს მწარედ ახსოვს ის დრო, როდესაც ტელეკომპანიების კარი მისთვის დახურული იყო. მაშინდელ ხელისუფლებას მასთან თავისი ანგარიშები ჰქონდა და წლების განმავლობაში ჟურნალისტი საყვარელი საქმის გარეშე ცხოვრობდა. ახლა მედია მენეჯერად გათავისუფლებულია ხელისუფლების წინააღმდეგ და გაგვიჩვენებს, მაგრამ პრობლემები ისევ დარჩა — ყოფილი მმართველი პარტიის წევრები ეკა ბერიძეს ისევ თავს არიდებენ და მის გადაცემაში მისვლაზე უარს აცხადებენ. უკვე რამდენი თვეა „მეცხრე არხზე“ „მთავარ კითხვაში“ ჯერ არც ერთი ნაციონალი დეპუტატი სტუმრად არ ჰყოლია.

უახლოეს მომავალში ეკა ბერიძის გადაცემა ფორმატს შეიცვლის — დებატები დაემატება. ვნახოთ, ისევ იტყვიან თუ არა ნაციონალები უარს მათთვის საძულველი ივანიშვილის ტელეკომპანიის ეთერში გამოჩენაზე.

ცოტა ხნის წინ ეკა ბერიძე რამდენიმე დღით ტელეკომპანიიდან „გაქრა“. გადაცემაში ის ნინო ვარდოსანიძემ ჩაანაცვლა. როგორც „სარკემ“ გაარკვია, ეს პერიოდი ჟურნალისტს ოჯახური დასვენებისთვის გამოუყენებია, რაც ასე ძალიან სჭირდებოდათ თავად მასაც და მის ქმარ-სვილსაც. მიიმე სამსახურისგან ცოტა ამოსუნთქეს და სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ.

— ქალბატონო ეკა, რა ხდება ბოლო პერიოდში თქვენს საქმესა და ცხოვრებაში, რა სახსრები გაქვთ?

— ახლა ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ჩვეულებრივი ეტაპია განსაკუთრებული ემოციების გარეშე. საქმეშიც და პირად ცხოვრებაშიც სიმშვიდეა, განსაკუთრებულ ცვლილებებს არ ველოდები. „მეცხრე არხზე“ სიახლეებია, ახალი ოფისისდაც გავდივართ ეთერში. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ამ ეტაპზე რეგულარული მუშაობა მიწევს. ჩემს ცხოვრებაში უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა დატვირთულად მუშაობა.

— თქვენთვის არჩევნების შედეგები როგორ აისახა თქვენს გადაცემაზე?

— ჩემთვის სტუმრების მოწვევის თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა, რადგან ვინც ჩემს გადაცემაში არჩევნებამდე არ მოდიოდა, არც ახლა მოდის. ძალიან გამაკვირვა ერთმა ფაქტმა: რამდენიმე დღის წინ „მეცხრეს“ გადაცემა „პოლიტმეტრში“ სერგი კაპანიძემ უსაყვედურა „მეცხრე არხს“, თითქოს ძველი ხელისუფლების წამომადგენლებს არ ვინვევთ. კარგია, ახლა ამის თქმის საშუალება რომ მქონდეს. არჩევნებამდე, როდესაც ის მინისტრის მოადგილე იყო, ჩემს ეთერში არ მოსულა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტელეფონი აკლებული გვქონდა. პირადად მე მისთვის ფეისბუქში უამრავი წერილი მაქვს მიწერილი, რაზეც არც კი გვეხმაურებოდა. სხვათა შორის, როცა „მეცხრე“ ვმუშაობდი, არც მაშინ მოსულა ჩემს გადაცემაში. ამიტომ მას ასეთი საყვედურის თქმის უფლება არ აქვს.

— რას ახსენებთ მხეზად ის რესპონდენტები, ვინც უარს გუვრუბან?

— ივანე მერაბიშვილის მოწვევა გვინდო-

და, მაგრამ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არც კი-ს ამბობდნენ და არც არა-ს. ბოლო მომენტში ნაციონალური მოძრაობის პრესმდივანმა ჩემს პროდიუსერს უთხრა, ის არ მოვა თქვენთან ეთერში, ჩემმა აზრმა გაიმარჯვა... არ ვიცი, რომელი ერთი ჩამოგიტვალთ. გვინდოდა დავით ბაქრაძის, გიგი წერეთლის, მიხეილ მაჭავარიანის მოწვევა, მაგრამ არ დაგვთანხმდნენ. დავით ბაქრაძეს ერთი თვე ვურეკავდით ისე, რომ ერთი დღეც კი არ ჩავიგდია. მისი მაშინდელი პრესმდივანი მაკა გიგაური გვეუბნებოდა, ზუსტად არ ვიცი, მოვა თუ არაო. ჩემი ორი პროდიუსერი დღის განმავლობაში რამდენჯერმე ურეკავდა და ბოლო მომენტში უარი გვითხრეს.

ბოლო ორი კვირაა, ნაციონალური მოძრაობის წევრებს აღარ შევხვდით. ვნახოთ, რას იზამენ, მოვლენ თუ არა. არ მინდა მოვლენების ცალმხრივად გაშუქება. არჩევნებამდე „მეცხრე“ — მენეჯერად, მაგრამ მაშინც მოდიოდნენ ჩემს გადაცემაში. „მეცხრე არხზე“ არცერთხელ არც ერთი ნაციონალი ჩემს ეთერში არ ყოფილა და ეს მათი მიზნობაა ხდება, უბრალოდ არ მოდიან.

— სხვა არხებზე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები „პროტული ოცნების“ დებატებში თითქმის ყოველდღე სხედან. თქვენ რას ფიქრობთ, „მეცხრე არხზე“ რატომ არ მოდიან?

— დებატები დგება „მეცხრე“ „იმედზე“ და „რუსთავი 2“-ზეც. დებატები არ დგება მხოლოდ „მეცხრე არხზე“, რადგან

„დებატები დგება „მეცხრე“ „იმედზე“ და „რუსთავი 2“-ზეც. დებატები არ დგება მხოლოდ „მეცხრე არხზე“, რადგან

ისინი კონკრეტულად ამ არხზე არ მოდიან. აქამდე დებატების ფორმატი ვერ დავინყეთ, რადგან მათგან ვერ მივიღეთ გარანტია, რომ ეთერში მოვიდოდნენ. ახლა უბრალოდ ვრისკავ და ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ვინცე დებატებს. იმედი მაქვს, ეს დებატები ექსპერტების დონეზე მაინც შედგება.

— თქვენს კოლეგა შალვა რამიშვილი „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ ახალ ხელისუფლებას გასაკრიტიკებელი არაფერი აქვს. კარგად გვანსოვს, როდესაც ნაციონალური მოედანზე სელისუფლებამ, ჟურნალისტების მოდუნებამ და „ცხელი თვალის დახუჭვამ“ რა შედეგებამდე მიგვიყვანა. თქვენც იზიარებთ შალვას ლიბერალიზმს თუ კრიტიკულობას ინარჩუნებთ?

„იხილეთ სათქმელი, ჩამდნად მზად ვაჩ ბუბიბიბისთვის, მაგჩამ ჰაკჩები ძლიან მიყვარს და გამინახდება ყიდუც, თუ ბუბია გახვებო“.

— ჟურნალისტის საქმე კრიტიკა კი არა, კრიტიკული შეკითხვის დასმაა. რა თქმა უნდა, კრიტიკული შეკითხვები ამჟამინდელ ხელისუფლებასთან მაქვს. კრიტიკული შეკითხვა თუ არ გიჩნდება, ეს არაჯანსაღი მიდგომაა. ასეთ კითხვებს ყოველთვის ვსვამ ჩემს გადაცემაში, ზოგჯერ დამაკმაყოფილებელ პასუხებს ვიღებ და ზოგჯერ არადასაკმაყოფილებელს. ცოტა ხნის წინ ჩემი სტუმარი იყო ეკონომიკის მინისტრი. ეს მისი პირველი პირდაპირი ეთერი იყო და ყველა ის კითხვა დავსვი, რომელიც მქონდა, მათ შორის — კრიტიკულიც, რაზეც საკმაოდ ამომწურავი პასუხები მივიღე. მაგალითად, როდესაც ახალი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ბიზნესგარემო გათავისუფლდა და დეპოლიტიზაცია ხდება, რატომ არ ჩანან აქამდე ახალი მოთამაშეები თუნდაც საწვავის ბაზარზე? ამაზე მინისტრმა მიპასუხა, ასეთი კომპანიები არიან, მაგრამ მათ ძველ მოთამაშეებთან შედარებით ნაკლები რესურსი აქვთ, ისინი ძალიან მალე შეძლებენ ბაზარზე გამოჩენას და შესაბამისად ბენზინიც უფრო გაიფუჭდება, რადგან კონკურენცია გაიზრდება.

წინა ხელისუფლების დროსაც არ მქონია კითხვის დასმის პრობლემა და არც ახლა მაქვს. ჩემთვის ის იყო პრობლემა, რომ არ არსებობდა დამოუკიდებელი ტელევიზია. წლების განმავლობაში მხოლოდ სახელისუფლებო არხები იყო, სადაც, ბუნებრივია, მე ვერ ვიმუშავებდი, რადგან მათთვის მიუღებელი ვიყავი. მქონდა მცდელობები, ამ არხებზე მოვხვედრილიყავი, მაგრამ ყოველთვის უარს ვიღებდი, სანამ არ გამოჩნდა „მეცხრე“. იმედი მაქვს, ეს ტენდენცია ახალი ხელისუფლების დროს არ გაგრძელდება და მედია თავისუფალი იქნება.

რამდენადაც ვიცი, მედიაგარემოში ამჟამინდელი ყველაზე დიდი პრობლემა ფინანსებია. საქართველოში ბიზნესი ისე არ არის განვითარებული, რომ მედიაო თვითდაფინანსებით არსებობა შეეძლოს. ახლა ამას უნდა მიხედვა და, თუ ბიზნესი გაძლიერდება, ჩვენი თავის შენახვას შევძლებთ.

— თქვენს მეუღლე კახა ბექაური „მეცხრე არხიდან“ წასვლის შემდეგ რას საქმიანობს?

მანქანა ისე დაზიანდა, იმით უკან დაბრუნება ვერ შეეძლო, მეგობრებმა ჩამოგვაციოთხეს და წამოგვიყვანეს. არ დავშავებულვართ, მხოლოდ ნიკას ჰქონდა მსუბუქი დაბეჭილოდა. მაშინ მართლაც გადავურჩით სიკვდილს. იმ დღეს სამსახურში მივიჩქაროდით და, ხომ გაგიგიათ, მოჩქარეს მოუგვიანდესო, ჩვენც ასე დაგვემართა.

— ძალიან წიფათია-ნა ყოფილხართ.

— ეგრე გამოდის. ბავშვობაში დედაჩემი მეუბნებოდა, ქვა რომ კაცადონ და გარშემო ათი კაცი იდგეს, შენ დაგეცემაო.

ერთხელ ზღვაში ვიხრჩობოდი. წინა ღამით კლუბში ვიყავით. დილით მეგობრებმა აიჩემეს, ზღვაზე გავსულიყავით. ყველანი ნაბახუსევი ვიყავით და ლუდის სმა დაეწიყეთ. ბევრი დაველი. მზემ ძალიან დააცხუნა და ზღვაში შევედი.

წყალს გაუთამამდი და ძალიან შორს გავედი. ახლა რომ ვისხენებ, ტანში კიდევ მზურ-ძგლავს, ამის გახსენებაც არ მინდა! უცებ

წყალში ფხის ძარღვი გამენასკვა, გული საშინლად დამელადა და წყალში ქოშინი დავიწყე. ვხვდებოდი, რომ უკან იმ მანძილს ველარ გამოვცურავდი. მიშველეთ-მეთქი, ვყვიროდი, მაგრამ ნაპირზე მეგობრებს ეგონათ, რომ ვხუმრობდი. ტირილი დავიწყე. უკვე ვხვდებოდი, რომ ვიხრჩობოდი. ბოლოს ჩემი მეგობრები მიხვდნენ, რაც მჭირდა, ორი წყალში შემოვარდა და გამომიყვანეს. ისინი რომ არა, უეჭველად დავიხრჩობოდი.

— რა განცდაა, როცა სიკვდილს ახლოს ვრძნობ?

— დედას გეფიცებით, ისეთი საშინელი შეგრძნება იყო, რომ სიტყვებითაც ვერ გადმოგცემთ. ეს რაღაცნაირი წამი იყო, თვალწინ მთელმა ცხოვრებამ გამოილევა. ჩემი გასვენების დღეზეც კი ვიფიქრე.

— ამდენი შემთხვევის მერე ახლა თუ მანაც აჩენთ სიფრთხილს?

— ნიკასთან და თემოსთან ერთად რაც დამემართა, იმან ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. იმ დღის შემდეგ თუ საჭეს სხვა მართავს, მე ეკლებზე ვზივარ. მანქანის ტარება ჩემმა მეუღლემაც იცის, მაგრამ თუ ძალიან დაღლილი არ ვარ, საჭესთან მე ვვდები, მას არ ვენდობი, ძალიან მეშინია. სწრაფად არასდროს ვმძრობ, ფრთხილი მძლოლი ვარ, არადა მანამდე მეც მიყვარდა სიჩქარე. როცა დასავლეთში მივდივარ, სულ იმაზე ვფიქრობ, საჭესთან არ დამეძინოს. ბევრჯერ მანქანა გამიჩერებია, სახეზე წყალი შემისხამს, დამიძინია კიდევ. არ არსებობს, საჭესთან ნასვამი დავჯდე, მით უმეტეს, როცა შორ მანძილზე მივდივარ. ამ შემთხვევებმა ეს ნამდვილად მასწავლა.

ასევე ვიცი, რომ წყალში ნაბახუსევი

ან მთვრალი არ უნდა შევიდე. ამას ყველას ვეუბნები, რადგან ასე ბევრი ადამიანია დამხრჩვალნი. ასეთ დროს ძალიან ჯანმრთელ ადამიანსაც კი შეიძლება გულმა, ფეხმა უმტყუნოს და დაიღუპოს. ბავშვობიდან მოყოლებული, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, მიმაჩნია, რომ გაფრთხილება იყო, როგორ არ უნდა მოვიქცე.

— ღმერთის რწმენა ვაგაძლიერთა?

— კი, ღმერთს მადლობას ვუხდის ყველაფრისთვის. ვფიქრობ, ის ყველა ადამიანს რაღაც მინიმუმას აძლევს, თუ როგორ უნდა მოიქცეს. როცა რაღაც მიჭირს, ყოველთვის ვხვდები, რომ უფალი ჩემთანაა. თუ ისეთი პერიოდი მაქვს, ტაძარში ვერ წავედი, უფალს მადლობა ვერ ვუთხარი, ყოველთვის მანიშნებს, რომ არასწორად ვიქცევი.

ერთი წლის წინ დიდი თოვლი რომ მოვიდა, ჩემი ცოლის მანქანით ვიყავი, საჭესთან ფხიზელი ვიჯექი. საბურთალოზე,

ერთ-ერთ მოსახვევში, მოხუც ქალს ბავშვი გზაზე გადაჰყავდა. მათ რომ არ დავჯახებოდი და ამეცილებინა, სამ მანქანას დავე-

იყო, გოთუას ქუჩაზე, ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. სამსახურიდან დაღლილი მოვედი და წამოვწექი, სოფო აბაზანაში შევიდა. უცებ მისი კვილი გავიგონე, წყალი შემომანოდო. სოფო აბაზანაში რომ შედის, იქიდან ნახევარი დღე აღარ გამოდის, მე კი დახურულ სივრცეში დიდხანს ვერ ვჩერდები. ორსულობის პერიოდ-

„ბუკი საშინლად დამელადა და წყალში ქოშინი დავიწყე. ვხვდებოდი, ხომ უკან იმ მანძილს ველარ გამოვცუხავდი. მიშველეთ-მეთქი, ვყვიროდი, მაგჩამ ნაპირზე მეგობრებს ეგონათ, ხომ ვხუმრობდი. სიხილი დავიწყე, უკვე ვხვდებოდი, ხომ ვიხრჩობოდი“.

ში მისთვისაც არ შეიძლებოდა აბაზანაში დიდხანს ყოფნა, ამიტომ ვეჩხუბე, ალბათ ცუდად იმიტომ გახდი, აბაზანაში რომ დიდი ხანი იყავი-მეთქი. არადა თურმე რაღაც 5 წუთის შესული იყო. სოფო აბაზანიდან რომ გამოვიდა, ისე ცუდად იყო, თმას დანოლილი იშრობდა, ფეხზე ვერ დგებოდა.

მეც ვხვდებოდი, რომ რაღაც კარგად ვერ ვიყავი. როცა ნაბახუსევი ვარ, გულის აჩქარება, პულსის ამოვარდნა ხშირად შემართება. ზუსტად ასეთი შეგრძნებები დამემწყო — გული ამიჩქარდა, ყურებში წუთის ხმა მესმოდა, თავი ამტკიცდა, სოფოსაც თავი სტკიოდა... ვერც ერთი მივხვდით, რა გვჭირდა. ვთხოვე, გულის წამალი მოეტანა. მითხრა, ძალიან ცუდად ვარ, ფეხზე ვერ ვდგებიო. წამოდგა, მაგრამ საწოლის ბოლოში გადავარდა და გულწასული დაეცა. რაღაც ძალამ, ალბათ უფალმა, წამომაყენა, სოფოსთან მივედი და მთელი ძალით ვურტყამდი, რომ გონზე მომეყვანა. თვალეები ჰქონდა გადატრიალებული. რო-

„ჩალაც ძალამ, აღბათ უფალმა, წამომაყენა, სოფოსთან მივედი და მთელი ძალით ვურტყამდი, რომ გონზე მომეყვანა. თვალეები ჰქონდა გადატრიალებული“.

გორლაც აივნამდე მივიყვანე, რომ სუფთა ჰაერი შემოსულიყო. ერთადერთი იმაზე ვფიქრობდი, რომ სოფო და ბავშვი გადარჩენილიყვნენ.

თვალი რომ გაახილა და გხედავო, მითხრა, მაშინ დავმშვიდდი. მერე როგორღაც მეზობელთან მივფოფხდი, ვუთხარი, ცუდად ვარო, გვიშველეთ-მეთქი. შემდეგ სასწრაფო დახმარება მოვიდა, გადასხმები გაგვიკეთეს და საავადმყოფოში გადაგვიყვანეს. მეზობლებსაც ამის შემდეგ დაუძახებ. ძალიან დიდი მადლობა მათ, ვინც მაშინ გვიშველეს. ჩვენ რომ დავგვიძნებოდა, დღეს არც ჩემი ცოლი იქნებოდა ცოცხალი და არც — მე.

ახლა, როცა პატარა ანდრია მყავს, სიცოცხლეს ასამადა ვაფასებ. სულ ვცდილობ, სხვანაირად და სხვა რიტმით ვიცხოვრო. ძალიან კარგია სითამამე, ადრენალინი, რისკი, მაგრამ სიფრთხილეს ყოველთვის უნდა იჩენდე.

✓ კა ლეონიჯაუ



სოფო და პასო

ლეო ანთაქა: „მანანასგან განსხვავებით, ქალიან წყნარი, გუნჯულა სოლი მყავდა“

ფროსი თაობის მსახიობები, მედია ლორთქიფანიძე და ლეო ანთაქა, ბედმა ერთმანეთს პირველად შეახვედრა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“, თუმცა მანამდე ერთმანეთს, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობიდან იცნობდნენ. მათი კოლორიტული წყვილი — მანანა და ჯემალი — ერთდროულად ტიპურიც არის და განსხვავებულიც. როგორც აღმოჩნდა, ქალბატონმა მედია თვის პერსონაჟში ბევრი რამ ჩაადო საკუთარი ხასიათიდან, ამიტომაც ესმის მისი. აი, ბატონმა ლეომ კი თავისი ჯემალის სახე ერთი ნათესავისგან აიღო, მისი თვისებები გამოიყენა და ცოტაც თავისი ფანტაზიით დაუმატა.



ლეო ანთაქა და მადია ლორთქიფანიძე

მათთან ინტერვიუ ქალბატონი მედებს სახლში შედგა. მასთან სტუმრად ლეო ანთაქესთან ერთად მივედით. კარი გაიღო და „მანანა“ შემოგვეგება, რომელმაც ნაცნობი ქოთქოთით შეგვიპატიჟა სახლში და სტუმრების გამასპინძლებად ზღურბლიდანვე დაიწყო სამზადისი.

თუ როგორ ძლებს ერთმანეთის გვერდით ეს ორი განსხვავებული ტემპერამენტის და ხასიათის ადამიანი ეკრანზე და მის მიღმა, მსახიობები თავად გვიამბობენ.

— ბატონო ლეო, საინტერესოა, როგორ შექმნა სერიალში თქვენი გმარის ჯემალის სახე ასეთი ტიპური თქვენივე ნაცნობი რეალური ცხოვრებად?

ლეო: ოზურგეთში ერთი ნათესავი მყავდა, პედაგოგი კაცი იყო. ოჯახში ხმას არ ამოიღებდა, მაგრამ თუ რამეს იტყოდა, მამოხლოდ კი არა, ჩუმად და მთელი ოჯახი კანკალებდა. ჩემი გმარის ხასიათი ძირითადად მისგან ავიღე. მახსოვს, ერთ დღეს ვსადილობდით, უცებ ამ კაცმა ბუზლუნი დაიწყო: „რა არის ეს, კატუშა?“. „რაია და ლომია, ილიკო“, — უპასუხა ცოლმა. „რაის ლომია, აი, ლომია?! ლომი კი არა, იგია კიდე!“ — ასე იმხამ მთელი დღე, შარზე იყო. ცოლი, შვილები გატრუნულები იყვნენ, ხმას არ იღებდნენ.

ეს ადამიანი გამახსენდა და მისი ხასიათი გამოვიყენე. ჯემალიც სულ თავისთვის ბუზლუნებს. არ მინდოდა, ჩემი გმირი ერთფეროვანი ყოფილიყო. მომენტები არის, როცა სხვანაირი ადამიანი. როცა მის დაბადების დღეზე მეგობრები ესტუმრნენ, სულ სხვა პიროვნება გახდა — ლაღი, მხიარული, ხმაურიანი.

— ქალბატონი მედო, მანანას ხასიათი თქვენივე ახლი და ვასაგება?

მედო: მანანა გულთ კეთილია, მაგრამ არც ისეთია, რამე რომ გადაყაროს. ფულს აგროვებს, რომ შვილიშვილებს მოახმაროს. ყოველდღე ბაზარში დადის, ოჯახში საქმელი სულ არის, მაგრამ მას არავინ უჯერებს. შვილიშვილები ძალიან ცუდად ექცევიან, არადა მათზე გადაყოლილია. რამდინ „ისე რა“ ექცევა, მაგრამ მანანა უთმენს, რადგან ის ბავშვებს კარგად უვლის, ქმარიც მოვლილი ჰყავს. რძლის საქციელი მინც არ მოსწონს, რაიონში გაზრდილი ქალია, სხვა წესსაა მიჩვეული. სახლის და ბაზრის მეტი არავფერი აინტერესებს.

ბატონ ლეოს, ჯემალისგან განსხვავებით, იუმორის გრძობა აქვს, სიცოცხლით სავსეა. ჯემალი სხვანაირია და იცით, როგორც ცოლი შეხვდა? თავის დროზე წამალს ასმევს, აჭმევს, არავფერს ისეთს არ გააკეთებს, რაც ჯემალს არ ესიათვინება.

— ბატონო ლეო, ასეთ ბიბიქან ცილის როგორც მანანა, რეალურ ცხოვრებაში აფუქტაბი?

ლეო: განსხვავებული ხასიათის ადამიანს სხვანაირი ელფერი შემოაქვს ურთიერთობაში და ცხოვრება უფრო საინტერესო ხდება. როცა ცოლ-ქმარი ერთნაირები არიან, მოსაწყენია და ძალიან ბევრი შემთხვევა ვიცი ასეთი.

მე და მედია ერთმანეთისგან მართლაც ძალიან განსხვავებული გმირები ვართ ტემპერამენტითაც და ხასიათითაც. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ასეთი წყვილები ერთმანეთს უფრო ეწყობიან. მანანა სულ ჯაჯლანებს, სულ ალიაქოთობა და ამას ჩემი გმირი მწყურვალად უდგება, მაგრამ ის უკვე შეჩვეულია ამისთანა ცხოვრებას და სხვანაირი ცოლი ვერც წარმოუდგენია. გარეშე თვალს ალბათ უკვირს, ასეთი განსხვავებული ხასიათის ადამიანები ერთად როგორ ცხოვრობენ.

მედო: რად გინდა შემთხვევები? ჩემი ქმარი უმშვიდესი კაცი იყო. გურული კაცი ასეთი წყნარი მე არ მინახავს! მე კიდევ სახლში სულ ვქოთქოთებდი. სტუმრები ძალიან მიყვარს, ვინმე რომ მოვიდოდა, აბააა, მობრძანდით-მეთქი და ერთ ამბავში ვიყავი. ჩემი ქმარი მუდამ მორიდებული იყო. მეგობრებში ანექდოტებსაც ყვებოდა, პიანინოზე უკრავდა, მაგრამ ამ ყველაფერს მე ვაცოცხლებდი.

ახლაც მთელი ჩემი სამუშაოლო თავს ჩემთან იყრის. მე ასეთი ცხოვრება

მიყვარს. ჩემი გმირი მეგავს, ოღონდ ძუნწი არ ვარ. ფული არასოდეს მაქვს, ჯიბეში არ მიჩერდება. რამდენჯერ ფული ლეოსგან მისესხია. ქოთქოთში მანანას ვგავარ.

— ბატონო ლეო, თქვენ საერთოდ არ გვაგიტოვებთ?

ლეო: მე მრავალფეროვანი ხასიათი მაქვს. არის მომენტი, როცა დინჯ ვარ, აფეთქებაც ვიცი, იუმორიც მიყვარს. ის პიროვნება, რომლისგანაც ჯემალის ხასიათი ავიღე, სულ ერთფეროვანი იყო. მე უფრო სხვანაირი ხასიათის ვარ. ძალიან მიყვარს დროსტარება, მხიარულება, მეგობრები, სუფრა. კარგი მოლენეა ვიცი.

— თქვენს გმარს საინფორმაციო გამოშვებების გარეშე ცხოვრება არ შეუძლია თქვენ როგორი დაბოკებულიება გაქვთ ტელევიზიისადმი?

ლეო: ჯემალს უფრო მეტად პოლიტიკა აინტერესებს. ქვეყანაში რა ხდება, მეც მაინტერესებს, მაგრამ გუშინ ფეხბურთსაც ვუყუარე. სხვათა შორის, მთელი ახალგაზრდობა სპორტს მივდედი. ფეხბურთი, კალათბურთი ძალიან მიყვარდა. ჩემს კალათბურთზე გაგვიცინებთ, მაგრამ ჯერ სკოლაში ვთამაშობდი, შემდეგ თეატრალური ინსტიტუტის გუნდში. ცოტა ხანი კრივზეც დავდიოდი.

როგორც გითხარით, ჯემალისგან განსხვავებული ვარ, მაგრამ არის მომენტები, როცა ჩაფიქრებული ვზივარ. ხან როლზე ვფიქრობ, ხან — ამ ცხოვრების უკუღმართობაზე და ხანაც — სხვა რამეზე.

მედო: სხვათა შორის, მეც ტანმოვარჯიშე ვიყავი და ათი წელი ვცეკვავდი, მაგრამ არც შეჯიბრზე გამიშვეს ლენინგრადში, არც ცეკვას გავეყვი და გავთხოვდი. ახლა ხომ ხედავთ, არც მოცეკვავებს ვგავარ და არც ტანმოვარჯიშეს. თან ასაკიც მოვიდა. ლეოსავით რომ ვიყო, რა მიჭირს! ისე, ლეოს სერიალში ძალიან კარგად შევეწყვე.

— ჯგბლი შეალიშვლებთან კეთილი ბაზუა ბატონო ლეო, რეალურადც ასეთი ხართ?

ლეო: ბევრად უფრო თბილი ვარ. შვილიშვილების გარეშე ერთი წუთი არ შემოძლია. ჩემი ქალიშვილი ვარკეთილშია გათხოვილი. თითქმის ყოველდღე მივდივარ შვილიშვილების სანახავად. 4 შვილი მყავს, 2 გოგო და 2 ბიჭი, 6 შვილიშვილი და 4 შვილთაშვილი. ამ შორივ ძალიან მდიდარი ვარ, ადამიანისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ეს არის. როცა შვილი გამიჩნდნენ, ახალგაზრდა ვიყავი, ამის ელ კარგად ვერ ვაცნობიერებდი. ახლა შვილიშვილების მეშვეობით მათ ბავშვობას ვიხსენებ. შვილიშვილები როცა დამინახავენ, ბაბუ მოვიდომ და ერთ ამბავს ტევენ, მკოცნიან. რომ ვერ მწვდებიან, ზოგი ხელზე მკოცნის, ზოგი მუცელზე. ბაბუ, გუშინ ტელევიზორში გნახეო, მეუბნებიან.

მედო: იცით, რა რბილი ბებო ვარ? ჩემს მეორე შვილიშვილს კბილი ამოუვიდა და ზეიმი გვაქვს. სხვათა შორის, ამ ზოლო დროს ჩემმა შვილიშვილმა, რატიმ, ჩემზე გული აიყარა, ვერ ვქრთამავ, ჩემთან დარჩენა არ უნდა. ერთ-ორჯერ დედამისმა დამიტოვა და ალბათ ემინია, კიდევ არ დატოვოს. ბიჭი შვილიშვილი ძალიან ცელქია, გოგო იმაზე უარესი იქნება. მგონი, რატი ჯგუზზე მეტად ცელქია.

— რატი იდენზე დავსჯათ სიციქისთვის?

მედო: გატის დასჯა არ უნდება. თუ გაჯუტდა და, არაო, თქვა, ვერ გადაათქმეინებ. თავისი ლექსები, თავისი მუსიკა აქვს. ჩემსას არავფერს სწავლობს.

— თქვენს „შელებზე“ — ნინას და დათის წყვილზე რა აზრის ხართ?

მედო: სანამ დათო ცოლს უღალატებდა, მომწონდა.

ლეო: ნინა კარგი გოგოა, მაგრამ მანანა ყველაფერს უწუნებს. მე მგონი, ჯემალი ნინას სიმპათით უყურებს. შვილს ნინად საყვედურობს, რომ ნამეტანი ქეიფი და სმა უყვარს. ჩემი შვილები ლვინოს ქარბად არ სვამენ, მაგრამ დროსტარება კი უყვარს.

მედო: როგორც ჩანს, ჯემალი თავის დროზე ქალბუმიც კარგად დაბობდა და კარგადაც ქეიფობდა. ჩემი მეუღლეც კარგი ემშაკი იყო, მაგრამ არც მე მომწონებდა კაცი, რომელიც არ დალევს, ქალს თვალს არ გააყოლებს. „მუღო“ რა ჯანდაბად მინდა?!

— ბატონო ლეო, მანანა თქვენს მეუღლეს რამით თუ გაჯიბნებ?

ლეო: ჩემს მეუღლეს ღმერთმა ნუ დაამსგავსოს, ის გარდაცვლილია. მანანასგან განსხვავებით, ძალიან წყნარი, ბუნწულა ცოლი მყავდა.

— ერთად პირველად თამაშობთ?

ლეო: შემოქმედებაში ერთმანეთს პირველად შეხვდით. სასოფლო-

სამეურნეო ინსტიტუტში კუკური მეჯანაძემ სახალხო თეატრი ჩამოაყალიბა, რომელიც არაჩვეულებრივ სპექტაკლებს უშვებდა. მედიკო იქ მონაწილეობდა, თავის მსახიობურ ჭიას ახარებდა. პროფესიით მსახიობი არ არის. ამ საქმეს რომ გაჰყოლოდა, ახლა ბრწყინვალე არტისტი იქნებოდა. ამ სერიალში მისი თამაშით ყველა გაოცებულია. მეკითხებიან, ვინ არის, საიდან გამოჩნდაო. ყველა აქებს. უკვირთ, აქამდე რატომ არ ხედავდნენ ეკრანზე ან სცენაზე. მგონი, ქართველმა მაყურებელმა ცხვირი დაკარგა იმით, რომ ის მსახიობი არ არის და თვითონაც. დიდი იმედი მაქვს, ამ სერიალის შემდეგ სხვაგანაც აიყვანენ. სხვათა შორის, ერთ ფილმში გადაუღიათ, რომელიც ჯერ არ მინახავს.

მედეა: ხელი არ შემინწყვეს, ჩემო ჯემალ, თორემ რა მინდოდა სასოფლოში, ან პედაგოგიურს რას ვამთავრებდი, ან მოსკოვში რატომ ვისწავლე?!

როცა წარმოვიდგინე, რომ ლეო ანთაძის პარტნიორი უნდა ვყოფილიყავი, შემეშინდა! ის სახალხო არტისტია, ტიტულოვანი, ამდენი როლი უთამაშია. სულ „ბატონო ლეო“-ს ვეძახდი. ახლა, თუ საზოგადოებაში არ ვართ, ბატონოთი აღარ მივმართავ. „ლეო, მასესხე, რა, ფული“ — ვუუბნები ხოლმე. ისეთი ხელგამოლილია, არაფერს დაიზარებს.

სერიალმა ძალიან დაგვაახლოვა. ლეომ მითხრა, რომ მამაჩემის სურათი გორის თეატრშია — მამაჩემი იქ რეჟისორი იყო. მას შემდეგ ლეო ჩემთვის ღმერთით გახდა! ძალიან კარგი პიროვნებაა, მგონი, ცხოვრებაში არავისთვის უწყენინებია. იუმორი ისეთი აქვს, იცოცხლეთ! თქვენ მისი ცეკვა არ გინახავთ. დაუღლებელია! ლეო, მოდი, წამიყვანე, კიბეზე ჩამიყვანე-მეთქი, ვეხვეწები. ეს კიდევ კიბეებზე არბის, გულგაღვლილი დადის. შეიფუთე, არ გაცივდე-მეთქი, ვუუბნები. ოჰ, კაი ერთიო, მპასუხობს. ცნობისთვის, წელს ოთხ ფილმში ითამაშა.

— სერიალის მეშვიდე სერიისთვის თქვენ ყოველდღიური ცხოვრება მუშაობა?

ლეო: მე და ჩემი ვაჟი ვცხოვრობთ ერთად, რომელიც 39 წლისაა და ცოლი კატეგორიულად არ მოჰყავს. ძალიან ძნელია სახლი ბავშვის გარეშე. ბავშვი რომ არ დარბის, ამით ბევრს კარგავ. ჩემი უფროსი გოგო გადმოვიდა ახლა ჩვენთან, ის გვივლის. ჩემი გმირის არ იყოს, ტელევიზორს ვუყურებ ხოლმე. საინფორმაციო გამოშვებების ყურება მიყვარს. ძალიან საინტერესო დროში ვცხოვრობთ, ყოველდღე რაღაცა იცვლება, მინდა, ყოველთვის ვიცოდე, სად რა ხდება.

ამას გარდა, ლილი იოსელიანთან ძალიან რთულ პიესაზე ვმუშაობ. მეტად საინტერესო, ფსიქოლოგიურად დატვირთული როლი მაქვს. ისეთი ღრმა ხასიათის როლია, ვერ ამოწურავ ბევრი სამუშაო მაქვს.

მედეა: ჩემი ყოველდღიური ცხოვრება დამაღლებელია, სულ დაღლილი ვარ. სახლში მარტო ვცხოვრობ. ჩემთან ყავის დაღვევა, სიგარეტის მონევა, ნებისმიერ დროს მოსვლა შეიძლება. ეს ყველა იცის. კარს საერთოდ არ ვკეტავ, სულ მეზობლებთან ერთად ვარ.

— თქვენი აზრი მანტურესებს შეკლების თაობაზე მგალაითად დიტისხანარი, კატისხანარი ასაღვარებლები მოგწონს?

ლეო: ასეთები ყოველი ფეხის ნაბიჯზე არიან. სხვათა შორის, სცენარის ავტორი ქეთი დევდარიანი ძალიან ნიჭიერი პიროვნებაა. ის შესანიშნავად იცნობს დღევანდელ ახალგაზრდობას. ყველა სახე საოცრად ორგანულია. დღეს ზუსტად ასეთი გოგოები და ბიჭები არიან და ბევრად უარესებიც. რეჟისორმა კი მსახიობების არჩევისას ათიანში გაარტყა. ასეთი რამ იშვიათად მინახავს.

მედეა: პატიოსნებას დიდი ფასი აქვს, მაგრამ ახლა შევლიან გოგოს უფრო თხოულობენ, ვიდრე, რომ გაიგებენ, ამან ის გამოიცვალა, ამან ესო. უღამაზესი თაობა წამოვიდა. მგონი, კაცები ცოტა დაპატარავდნენ. გოგოებს რა ფეხები, რა ტანი, რა სახე აქვთ! ადრე ხომ ამბობდნენ, ქართველ ქალს სახე კარგი აქვს, ტანი არაო, ახლა პირიქითაა. გოგოები ბიჭებზე ათასწლიად უკეთესები არიან.

ყველას თავისი ცხოვრება აქვს. ზოგს არ უმართლებს. ხომ შეიძლება, პირველი ქმარი არ გამოგადგეს, ნარკომანი იყოს? ამიტომ ვერავის განვსჯი. **ლეო:** ჩემს ახალგაზრდობაში ბიჭს გოგოს მიმართ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა. დღეს უფრო მეტი თავისუფლებაა. გოგო და ბიჭი ხასიათებით თუ შეეწყობიან, შეიძლება რაღაცეები აპატიონ, თვალი დახუჭონ.

— თქვენ ეს მოგწონს?

ლეო: რა თქმა უნდა, ჯობია, როცა ორივე სუფთაა. მთავარია, შემდეგ იყოს ოჯახში პატიოსნება და ერთგულება. ქართველი კაცი უცხოელს ბევრ ცუდ რაღაცაში ბაძავს. თუნდაც გეის ამბებს, რაც ამ სერიალშია, უფრო გაგებით და შემწყნარებლურად უყურებენ. რამდენი დიდი პიროვნება იყო ასეთი?! ძალიან ბევრი გენიოსი ეგეთი იყო. მე რა ღმერთი გამიწყრა, არ ვიცი.

მედეა: ყველა ერიდება გეისთან მეგობრობას, არ გავილანძლოო. გეებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ნუ გავრიყავთ, პირიქით, დავუგებობდეთ.

✓ **კა ლეონიჯაძე**

ლეო: „ხოც ცოლ-ქმარი ერთნაირი არიან, მოსაწყენია“.

www.abdiibrahim.com.tr

ქსოვილთა ნაზურალური რეგენერატორი

ფიტო კრემი

Triticum Vulgare / Ethyleneglycole Monophenylether

მოქმედების 4 მექანიზმი:



- ეზოვამა და კანის ფსორიაზისმაგვარი დაზიანება (ერიტროდერმია, სხვადასხვა დერმატოზები, ალერგიული ქავილი)
- ყველა ხარისხის დამწვრობები, მათ შორის მზის დამწვრობა
- ჭრილობები, კანის ნაკანკები, სისხივით გამოწვეული კანის ნახეთქები
- კანის დეფორმაციის გამოწვევი სვლილებები (ვარიკოზული წულულები, ფისტულები, ნაწოლები)
- კოსმეტიკით განვირობებული კანის დაზიანებები

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოკლებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

PSP №1 საპარამეტრო, თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III



„მე და ჩემს დაქალს ერთი და იგივე ბიჭი შეგვიყვარდა“

ძალიან დავიბენი, აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. მე და ჩემი დაქალი თამაშში გავერთეთ და ახლა ყურებადმდე ვართ შეყვარებულები. ერთი ბიჭი მოგვწონდა. ჯერ ინტერნეტით დავეკონტაქტეთ, ხან მე ვწერდი, ხან — ჩემი დაქალი. ძალიან დავუახლოვდით. მერე ვხვდებოდით კიდევ. ეს ჩვენთვის გაართობა იყო. ის ბიჭი ძალიან ხუმარა და კარგი ადამიანი აღმოჩნდა. თამაშში აგვეყვა, ისიც კარგ ხასიათზე დგებოდა, ჩვენთან ურთიერთობა სიამოვნებდა.



ერთ დღესაც აღმოვაჩინე, რომ ძალიან მიყვარდა, მაგრამ თქმის მერიდებოდა. ერთხელ კი ჩემი დაქალი გამომიტყდა, რომ სიგიჟემდე იყო შეყვარებული. ვეღარ ვუთხარი, რომ იმ ბიჭის მიმართ მეც იმავეს ვგრძნობდი. საშინელ მდგომარეობაში ვარ. ჩემი დაქალი ყოველდღე მოდის და მენუნუება, რა ძალიან უყვარს, როგორ ათენებს ღამეებს მასზე ფიქრით. მეუბნება, როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, რომ მიხვდეს, როგორ მიყვარსო. მას რა უნდა ვურჩიო, როცა მეც იმავეს ვგრძნობ?

ჯობდა, დაქალისთვის მე დამესწრო და მეტქვა, როგორ მიყვარდა. ახლა კი მისი წუნუნის მოსმენა მინევს. ზოგჯერ მინდა, სიმართლე ვუთხრა, მაგრამ ძალიან მრცხვენია. იმის წარმოდგენაც არ მსურს, რომ იმ ბიჭმა მას უთანაგრძნოს და შეიყვაროს. ამას ნამდვილად ვერ გადავიტან. შეიძლება ცუდ ნათქვამად ჩამითვალოთ და ბოროტი გეგონოთ, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, ამას მიჩვენია, არც ერთი შეგვიყვაროს. ჯობია, სხვა გოგო აირჩიოს, ვიდრე ჩემი დაქალი.

მამისხელი, 16 წლის

„ნუ გაქნება ილუზია. რომ ძველ შეყვარებულს დაივიწყებს“

ქურნალ „სარკის“ მე-15 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ბიჭს, რომელიც მიყვარს, სხვა გოგოს დასავინყებლად ვჭირდები“. ეს წერილი აუცილებლად უნდა მომენერა და ჩემი ამბავი მომეყოლა. იქნებ დაგეხმარო, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

მეც ზუსტად იგივე სიტუაციაში ვიყავი. მიყვარდა ბიჭი, რომელიც თავის შეყვარებულთან ნაჩხუბარი იყო. არასოდეს მოვუტყუებოვარ, თავიდანვე ვიცოდი, რომ სხვა უყვარდა. ჩემ მიმართ რასაც გრძნობდა, იმასაც გულწრფელად მეუბნებოდა. ამბობდა, რომ ძალიან მოვწონდი, ჩემთან თავს კარგად გრძნობდა და უნდოდა, რომ შევეყვარებოდი.

მე ილუზიებით დავიწყე ცხოვრება. მეგონა, იმ გოგოს სამუდამოდ დავავინყებდი და მხოლოდ ჩემზე იფიქრებდა. მისთვის რას არ ვაკეთებდი, ორივე ბედნიერები ვიყავით, მაგრამ, როცა მეგონა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და მისი სიყვარული მოვიპოვე, სწორედ მაშინ აირია ყველაფერი.

ერთ დღეს მოვიდა და მითხრა, რომ ძველ შეყვარებულს დაუბრუნდა. ბოდიში მომიხადა, შენ ვეღარ შეგხვდებიო. მისხინდა, ჩემთან რა ბედნიერი იყო, როგორ ვუყვარდი, მაგრამ არა ისე, როგორც ის გოგო. ამ სიტყვებმა წარმოუდგენელი ტკივილი მომაყენა. ჩემს ემოციას ვერ გადმოგცემთ! იმ მომენტში ათას სისულელეზე ვფიქრობდი...

იმ ამბიდან ერთი წელი გავიდა, მაგრამ მაინც მასზე ვფიქრობ. მასთან მეგობრული ურთიერთობა ვერ შევინარჩუნე. მიუხედავად იმისა, რომ არ მოვუტყუებოვარ, მაინც ვერ შევძელი მისი პატიება.

გირჩევ, არც შენ იცხოვრო ილუზიებით. ეტყობა, იმ ბიჭს ძველი შეყვარებული ისევ ძალიან უყვარს. იმედი ნუ გექნება, რომ მასზე მეტად შეგიყვარებს. ამას იმეტომ გეუბნები, რომ ჩემსავით არ გეტკინოს. წარმატებებს გისურვებ. მართალია, არ გიცნობ, მაგრამ შორიდან გიქომაგებ.

„სარკის“ მამისხელი, 17 წლის

✓ რუბრიკა მოამზადა თრინე მჭედლიძემ

რა უნდა ვიცოდეთ გაუფილტრავი ლუდის შესახებ

ლუდის ყველა მოყვარულმა კარგად იცის რა არის გაუფილტრავი ლუდი და როგორ უნდა დავლიოთ იგი. ყველა ამ საკმის კარგი მცოდნე და ხშირად გამოცდილი ექსპერტია. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს და რა არასწორი წარმოდგენები შეიძლება არსებობდეს ჩვენს ლუდის მსმელებში, მოდით, ერთად გავარკვიოთ და პასუხი გავცეთ რამდენიმე მარტივ შეკითხვას:

რა არის გაუფილტრავი ლუდი და რითი განსხვავდება ჩვეულებრივისაგან?

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ლუდი მრავალი სახეობისაა და ტერმინები „ჩვეულებრივი“ და „არაჩვეულებრივი“ ლუდი, როგორც წესი, არ გამოიყენება. დღესდღეობით, მსოფლიო მასშტაბით, უმეტესად გავრცელებულია ლაგერის ტიპის გაუფილტრავი ლუდი და იგი ლუდის წარმოების 80 პროცენტზე მეტს იკავებს. გერმანული სინმინდის კანონის თანახმად, ლუდის ხარშისთვის მხოლოდ ოთხი ინგრედიენტი — ალაო, სენა, საფუარი და წყალი — გამოიყენება. ლუდის წარმოება 3 ძირითადი ეტაპისაგან — ხარშვა, ფერმენტაცია, ფილტრაცია და ჩამოსხმა — შედგება. სწორედ აქ არის განსხვავება. გაუფილტრავი ლუდი არ გადის ფილტრაციის ეტაპს და მისი

ჩამოსხმა ფერმენტაციის შემდეგ ხდება. განასხვავებენ ასევე თეთრ და შავ ლუდებს, პორტერს, ექსპორტს, ჩამოსასხმელს (draught beer) და სხვას, რაც ძირითადად გამოყენებული ინგრედიენტების სახეობებსა და ხარშვის ტექნოლოგიებზეა დამყარებული.

როგორია გაუფილტრავი ლუდი?

გაუფილტრავი ლუდი, რომელსაც გერმანულ ენაში სპეციალური ტერმინით — Kellerbiers — აღნიშნავენ, რაც პირდაპირ თარგმანში „სარდაფის ლუდს“ ნიშნავს, ჩვეულებრივი ლაგერის ტიპის ლუდია, რომელსაც არაომატი სპეციალური სვიისგან აქვს მინიჭებული. ასეთი ლუდი სხვადასხვა სტილიერისაა და, როგორც წესი, მას ალკოჰოლის საშუალო გრადუსი აქვს 5,5-დან 6,5-მდე. უფრო ხშირად გაუფილტრავი ლუდები მუქი ქარვისფერია, ამ ფერს მათ შედარებით მუქი ფერის ალაო (ენ. მიუნხენური ალაო) ანიჭებს, რომელსაც მონითალო შეფერილობა გააჩნია.



ძველად ორიგინალურ ანუ ნამდვილ გაუფილტრავ ლუდს გაზიანობა დიდხანს არ მიჰყვებოდა, რადგან ის სუფრაზე, როგორც წესი, თავლია მდგომარეობაში მიჰქონდათ ძირითადად ხის კათხებით, როდესაც გაფუფის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ტრადიციული გაუფილტრავი ლუდი მუქი და მღვრიე შეფერილობით გამოირჩევა, რადგან დაუფლუბელი ექსტრაქტი ვერ იჭერს გაზს და ლუდში შემავალი ნივთიერებები ადვილად შედის რეაქციაში უანგბადთან და იყვანება.

როდის იხმევა გაუფილტრავი ლუდი?

გაუფილტრავი ლუდი საუკეთესოა მადის გამაძლიერებელ სასმელებს შორის და მისი სადილის წინ მიღება ყველაზე მეტად არის რეკომენდებული. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, სადაც ლუდის ხარშვის კულტურა მაღალ დონეზე განვითარებული, გაუფილტრავ ლუდს, როგორც წესი, მცირე ზომის ლუდხანებში ხარშავენ, სადაც ძირითადად თიხის ან ხის კათხებს იყენებენ, შუშისა და თუნუქის ნაცვლად.

ნინი ცნობილაქა: „მადლობელი ვარ არაჯანსაღი კრიტიკისთვის, საქმეს უფრო მეტი ერთუზიანებით შევუდგები“

20 წლის მომღერალი ნინი ცნობილაქე კონკურს „ახალი ტალღის“ წინაშესარჩევი ტურის შედეგის მოლოდინშია. თბილისში ჟიურის და სალომე ქათამაძე აირჩია, კვივეში კი მწვანე შუქი სალომეს აუნთეს, თუმცა კონკურსის ორგანიზატორებმა წელს საქართველოსთან მიმართებაში შესაძლოა გამოწვევის დაუშვან და ჩვენი ქვეყნიდან მას შემდეგ წინაშე ორივე წარდგეს. ჟიურის წევრების შეფასებები ნინის მიმართ მართლაც ძალიან მაღალი იყო — კვივეში მას მომავალი მსოფლიო ვარსკვლავი უწოდეს.

— ნინი, როგორ აღმოჩნდით „ახალი ტალღის“ შესარჩევ კონკურსში — თავად ვადაწყვეტილ, ვინმე გირჩიათ თუ შეთავაზება მიიღეთ?

— ჩემმა პროდიუსერმა ნატო დუმბაძემ გადამწყვიტა, რომ ამ კონკურსში მიმელო მონაწილეობა. საქართველოში წინაშესარჩევ ტურში, თუ არ ვცდები, 30 მომღერალი ვმონაწილეობდით, ყველანი ძალიან მაგარი კონკურსანტები იყვნენ. რამდენიმეს გარდა, თითქმის ყველა ცნობილი სახე იყო, მათ შორის — მაგდა ვასაძე, თავო გაჩეჩილაძე, მინა სულუხია, თემო საჯაია, მარიამ კახელიშვილი, ანი ხანალიანი. ნინი ნიკლაური და ოთო ნემსაძე დუეტით წარდგნენ.

— ვინ იყვნენ საქართველოში ჟიურის წევრები, რომლებმაც თქვენსა და სალომეზე შეაჩერეს არჩევანი?

— ალექსანდრ რევიზინი, ვალერი მელაძე, ნანი ბრეგვაძე, დუეტი „ჯორჯია“, სოფო ხალვაში და რუსა მორჩილაძე. ამ ადამიანებმა გადამწყვიტეს, რომ მე და სალომე წავიდოდით იურმალაში. ამ ტურიდან ზუსტად 2 დღეში კვივეში გავფრინდით, ფიქრისთვის დროც კი არ გვქონდა. რემერტუარის შერ-

„მამაჯაცისკენ ხალცამ უნდა მიგიზიდოს, მაგჩამ — ჩამ, მამს ვეხახეხოს ახსნის... მამაჯაცებს ჩემი გულგებობა ცოცხალი აქვს“.

ჩევაც ძალიან სწრაფად მოხდა. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

— უცხო ქვეყნის პუბლიკის წინაშე წარდგომა ალბათ განსხვავებულ ემოციებს უტარებდა, აქამდე ხომ მსოფლიო ქართველი მსოფლიოსთვის მღეროდით.

— უცხო ქვეყანაში, უცხო გარემოში ვიყავი, უცხო საზოგადოება მისმენდა, მაფასებდა და ეს ემოციები იყო ძალიან კარგი. მოდიოდნენ და კომპლიმენტებს მეუბნებოდნენ, აღფრთოვანებას გამოხატავდნენ.

— ჟიურის წევრებიდან ყველაზე მეტად ვისი გეშინოდით?

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კონკურსის დამაარსებლის, იგორ კრუტოის შეფასება იყო.

— რა გითხრათ იგორ კრუტოის?

— სიმართლე გითხრათ, მის ასეთ რეაქციას არ ველოდი. რამდენადაც ვიცო, ის შეფასებისას თავის ემოციებს დიდად არ გამოხატავს. ჩემ მიმართ ძალიან თბილი დამოკიდებულება ჰქონდა. როგორც კი

შესარჩევი ტური დამთავრდა, დამიძახა, სცენიდან ჩამომიყვანა და ძალიან თბილად მესაუბრა, დეტალები ამის-სნა. მის მიმართ ძალიან დადებითად განვწყვე. მართლა არ მეგონა, ასეთი ადამიანი თუ იყო. მისგან თბილი, ადამიანური დამოკიდებულება ვიგრძენი.

— ჟიურის დანარჩენი წევრებისგან თუ მიიღეთ კომპლიმენტები?

— საკმაოდ ბევრი კომპლიმენტი მივიღე და კარგ ხასიათზე დავდექი. არ მინდა, ხმამალალ ნათქვამად ჩამეთვალოს, მაგრამ იქ მყოფებმა და ჟიურის ფარულმა წევრმაც მომავალი მსოფლიო ვარსკვლავი მინოდეს. ჩემი ხმის ტემბრს და ინდივიდუალიზმს ხაზი გაუსვეს. სხვათა შორის, როცა იკითხეს, იურმალას მაყურებელს გამორჩეულად ვინ ახსოვდა, უკრაინელი ჯამალა და დუეტი „ჯორჯია“ დაასახელეს. ჩემზეც ამბობდნენ, რომ

ინდივიდუალური მომღერალი ვარ, მსმენელს დაგამახსოვრებოდი და კონკურსს აუცილებლად ვჭირდებოდი.

— თუცა არჩევანი მაინც სალომე ქათამაძეზე გააკეთეს და რამდენადაც ვიცო, თქვენ რეზერვში ხართ. ეს რას ნიშნავს, აგვისხნით.

— „ახალი ტალღის“ ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, საქართველოდან ორი კონკურსანტი, მე და სალომე წავედით. პატარა ქვეყნებიდან ერთზე მეტი კონკურსანტი არასდროს გაჰყავთ. ჩვენს შემთხვევაში კი ამის პრეცედენტი დაუშვეს. პატარა ქვეყანაში ორი სხვადასხვა უანრის მომღერალი აღმოაჩინეს. საორგანიზაციო ჯგუფს სურვილი აქვს, რომ ამ კონკურსზე ორივე მოგვხვდეთ. წინაშესარჩევ ტურში კიდევ რამდენიმე ქვეყანამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. თუ კონკურსანტებში ჩემი ტემბრის მქონე მომღერალი აღმოჩნდება, ორ ერთნაირ მომღერალს კონკურსზე ვერ გაიყვანენ. თუ არ ვცდები, ყაზახეთი და მოსკოვი დარჩა და თუ ჩემნაირი ხმის კონკურსანტი იქაც ვერ აღმოაჩინეს, მეც მივიღებ მონაწილეობას.

— არადა, როცა პროექტ „ახალ სმას“ მონაწილეობდით, სწორედ თქვენს ტემბრს აგრესიულობდა ბევრი.

— ჩემთვის სასაცილოა ფრაზა: „დაყენებული ხმა“. არ ვიცი, ეს რას ნიშნავს. ვინც თვლის, რომ ჩემი ხმა დაყენებულია, დაელაპარაკოს იმ ჟიურის, ვინც მომისმინა და ვისგანაც ასეთი შეფასებები მივიღე. ის ადამიანები პროფესიონალები არიან, რომლებიც ჩემი მონაცემებით გაცეხებული დარჩნენ. ალექსანდრ რევიზინმა მკითხა, თუ რომელი მუსიკალური სასწავლებელი მქონდა დამთავრებული და ჩემს პასუხზე, რომ



„ჯორჯიას ჰედაგოთან ახ მივიღა, ეს უფლის ნაჩუქარი ხმაა“.

თვითნასწავლი ვარ, გაოცდა. ვოკალის პედაგოგთან არ მივლია, ეს უფლის ნაჩუქარი ხმაა. მადლობელი ვარ არაჯანსაღი კრიტიკისთვის, საქმეს უფრო მეტი ერთუზიანებით შევუდგები.

— ჟიურის ასეთი შეფასებების შემდეგ ალბათ უფრო მეტად დაგწყვიტა გული, კონკურსზე რომ ვერ მიხვედით.

— არა, რადგან ამ კომპლიმენტებმა იმდენად ამავსო, შემდეგ ტურში რომც ვერ გადავიდე, არ ვინერვიულე. ასეთი შეფასებების მიღება უკვე ძალიან დიდი წარმატებაა ჩემთვის. ასეთი დიდი მასშტაბის კონკურსზე არასდროს გავსულვარ, ამიტომ გულდასანყვეტი არაფერია. სალომე ქათამაძის მამა მოძღვარია, რომელიც ჩვენ მხარდასაჭერად იქ იმყოფებოდა. თუნდაც როცა ასეთი ადამიანი გქომაგობს, გული რაზე უნდა დაგწყვიტოს? სალომეს მამამ დაგვლოცა, ასე რომ, ყველაფერი კარგად იქნება.

— როგორი მეგობრული ურთიერთობაც უნდა გქონდეთ სალომესთან, მაინც ერთმანეთის კონკურენტები აღმოჩნდით, რაღაც უხერხულობის გრძობა თქვენ შორის არ იყო?

— არა, როგორც ჟიურის წევრები ამბობდნენ, ჩვენ ერთმანეთისგან ისე განვსხვავდებოდით, როგორც ცა და დედამიწა. ის მომენტი არ მქონია, რომ სალომეს ვეჯიბებოდი. ჩვენ აბსოლუტურად სხვადასხვა უანრს წარმოვადგინეთ. სალომეს კონკურენტად არ აღვიქვამ, მისი შემოქმედება ძალიან მომწონს.

— როგორია საბოლოო შედეგის მილოდინი, დაბაბული ხართ?

— ძალიან მშვიდი. საკუთარ თავზე სრულ ვეშუაობ, მაგრამ იქიდან პასუხს რომ მივი-

„სალომე ქათამაძის მამა მოძღვარია, ხომელიც ჩვენ მხახდასაქუხად იქ იმყოფებოდა. თუნდაც ხოცა ასეთი ადამიანი გქომაგობს, გული ხაზე უნდა დაგწყვიტოს? სალომეს მამამ დაგვლოცა, ასე ხომ, ყველაფერი ახად იქნება“.

ლბ, მუშაობას მეტი ერთუზიანებით შევუდგები.

— რა შეცვალა ამ შესარჩევმა ტურსმა თქვენს ცხოვრებაში?

— მეტად თავდაჯერებული გავხდი, სტიმული მაქვს, რომ საქართველოში უფრო მეტი გავავეთო.

ბიორგი გაგნიძე: „დიდი სენაბისკან გზა სოსა კარკრასმა გამოსნა“

ქართველი მომღერალი მსოფლიოს საუკეთესო ბარიტონად აღიარეს

— ამ კონკურსის გარდა კიდევ რა გეგმები გაქვთ?

— ქართულ-სომხურ მუსიკალურ პროექტში ვმონაწილეობ. სომეხი მომღერლები ქართველ კოლეგებთან ერთად დუეტებს წერენ. შემოდგომაზე კი გალა კონცერტი გაიმართება. სიმღერა უკვე გადმომიგზავნეს, რომელიც საკმაოდ საინტერესო და კარგია. იმედი მაქვს, რომ ეს სიმღერა, რომელიც ქართულ-სომხურ ენაზეა, პიტი გახდება. ეს პროექტი რამდენიმე ქვეყანაში გაკეთდა, კარგი და დახვეწილი კონცერტები გამოვიდა, ვნახოთ, რა იქნება.

— კარიერაში აქტიური პერიოდი გაქვთ. პირად ცხოვრებაში რიგობრივი საჩუქრები?

— პირად ცხოვრებაში არაფერი ხდება, რადგან მთლიანად კარიერაზე ვარ გადართული. ამ ყველაფრის პარალელურად ვსწავლობ, ჟურნალისტიკის მესამე კურსის სტუდენტი ვარ. თუ გეგმები შეიცვალა, უნივერსიტეტში ერთწლიან აკადემიურ შვებულებას ავიღებ და მუსიკალურ კარიერას მივხედავ.

— „ახალი სმის“ შექმნა, რაც ხალხს გაგაცნობს, თაყვანისმცემელი ბიჭები მოგიმზადდნენ?

— რა თქმა უნდა, თუმცა ჯერ ამისთვის დრო არ მაქვს. როცა შედარებით ცნობადი ხდები, ალბათ თაყვანისმცემლები გემთაბინიან, მაგრამ ეს ისეთი არაფერია.

— თაყვანისმცემელი ბიჭები მოგწონს, ვინ იქცევა თქვენს ყურადღებას?

— გარეგნობას ყურადღებას კი ვაქცევ, მაგრამ აქამდე ვინც მომწონებია, ფიზიკურად კარგი არ ყოფილა. მამაკაცისკენ რაღაცამ უნდა მიგიზიდოს, მაგრამ — რამ, ამას ვერასდროს ავხსნი.

— ადვილად ისინი და მოგწონს?

— კი. შეიძლება ორ კვირაში ერთხელ მომეწონოს ვინმე, მაგრამ ჩემამდე ადვილად არ ვუშვებ. ერთი სიტყვით, ხშირად მომწონს, მაგრამ ხანმოკლე დროით.

— სერიოზულად არაყის გყვარებთა?

— კი, როგორ არა. სერიოზულად შეყვარებული ერთხელ ვიყავი, მაგრამ იმ ყველაფერმა ძალიან მალე გადაიარა.

— რთული ხასიათი გაქვთ?

— ვისთვის როგორ... რთული ხასიათი მაქვს.

— მგალობდა, ეს რითი გამოსახება?

— ვერავინ გაიგებს, რა მინდა. ცვალებადი ხასიათი მაქვს, მაგრამ არა — საქმის მიმართ. ზოგადად ნიშნით სასწორი ვარ და ეს ალბათ ამის ბრალიც არის. შეიძლება ვერ გაიგოთ, რა მინდა და ისე ვერ მომიდგეთ, როგორც საჭიროა. მამაკაცებს ჩემი გულგრილობა ცოტა აშინებთ.

✓ კვა ლეონიჯავა

მ პერის მომღერალი გიორგი გაგნიძე 2012 წელს მსოფლიოს საუკეთესო ბარიტონად აღიარეს. „ლა სკალა“, „მეტროპოლიტენ ოპერა“, პარიზის და ტოკიოს ნაციონალური ოპერის თეატრები, ბერლინის „დოიჩე ოპერა“, მადრიდის „რეალ ოპერა“... — ეს იმ თეატრების არასრული ჩამონათვალია, სადაც ქართველ მომღერალს წამყვანი პარტიების შესასრულებლად იწვევენ. „გიორგი გაგნიძე არის სცენის ძალა, ის ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში ყველა თაობის ბარიტონებს შორის, უბრალოდ რომ ვთქვათ, ის რიგოლეტოა!“ — წერს მის შესახებ ამერიკული პრესა. გიორგი გაგნიძე წლებია სამშობლოდან შორს ცხოვრობს. ამჟამად ოჯახით გერმანიაში, ქალაქ ვაიმარშია, ფეხმობიკდებული. წელს, ზამთარში, საქართველოში პატრიარქის, ილია II-ის იუბილესადმი მიძღვნილ „იანანას“ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა და ქართველი საზოგადოების წინაშე იმღერა. ეს მისთვის უბედნიერესი წუთები იყო, რადგან მსოფლიოს საუკეთესო ბარიტონის სამუშაო კალენდარი 2017 წლამდეა გაწერილი და არავინ იცის, კიდევ როდის მოუწევს მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმა.

— ბატონო გიორგი, მსოფლიოს დიდ სცენებზე მღერით, პოპულარული გამოცემები „ვაშინგტონ პოსტი“, „ნიუ იორკ ტაიმსი“, „ფიგარო“ თქვენზე წერენ. რა იყო პირველი წარმატება, რომელმაც მსოფლიოს სცენების კარი გაგიღო?

— ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი 2003 წელს იტალიაში, ჯუზეპე ვერდის მშობლიურ ქალაქ ტურინში ჩატარებული კონკურსი აღმოჩნდა. უიურის თავმჯდომარე ჩვენი დროის გამორჩენილი ტენორი, ხოსე კარერასი იყო, რომელმაც გრან პრი მომანიჭა და გზა გამისხნა მსოფლიო სცენებისკენ. როდესაც ნიუ იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“ რიგოლეტოს პარტია შევასრულე, პლასიდო დომინგომ საოცარი შეფასება მომცა. ის ლოს ანჯელესში საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. გამოვიდა, ხელი მომიკიდა და მითხრა, მინდა, ჩემს თეატრში წამოხვიდეო. 2005 წელს ქალაქ ვალენსიაში მიმიწვია ცნობილმა დირიჟორმა ლორინ მანუელმა, რასაც მასთან ხშირი კონტაქტი მოჰყვა. ამ მავსტროს ჩემს კარიერაში დიდი წვლილი მიუძღვის. ის უდიდესი დირიჟორია. არტურო ტოსკანინის ორკესტრს ჯერ კიდევ 11 წლის ასაკში უდირიჟორა. ყველა დიდმა მომღერალმა მის ხელში გაიარა.

ჩემი პირველი გასტროლი იაპონიაში, ტოკიოს ნაციონალურ ოპერაში შედგა. შემდეგ იყო ვალენსია-ესპანეთი, „ლა სკალა“ თეატრი და ნიუ იორკის ფილარმონია. როცა პირველმა გასტროლმა დიდი წარმატებებითა და ანშლაგით ჩაიარა, შემდეგ უკვე „მეტროპოლიტენ ოპერადან“, პარიზის „ბასტილიის ოპერადან“ და სხვა თეატრებიდან წამოვიდა შემოთავაზებები.



გიორგი გაგნიძე

„ბელჯვილობა ჩვენი ჰომეხის თანხვეჭია. სხვათა შოხის, ეს თვისება სენაზე მეხმახება ჯიდე. თუ ბელჯვილი ახ იქნები, ვეხს ხოლმი მეხვად, სათქმელს მაყუხებდამე ვეხ მიიგან“.

— „ლა სკალაში“ შესრულებულმა რიგოლეტოს პარტიამ მსოფლიო კრიტიკოსები ალბაპარაგ. რითი იყო გამორჩეული ეს სპექტაკლი?

— „ლა სკალას“ სცენაზე ჩემი მესამე გასტროლი შედგა, მანამდე 2007 წელს ვერდის „ტრავიატაში“ მივიღე მონაწილეობა, 2012 წლის აპრილში — პუჩინის „ტოსკაში“. რაც შეეხება „რიგოლეტოს“, ის ჩემი ფავორიტი როლია. მუსიკის კრიტიკოსები დამეთანხმებია იმაში, რომ ეს ბარიტონისთვის ურთულესი პარტიაა. „ლა სკალას“ თეატრში სეზონის გახსნა და „რიგოლეტოს“ პრემიერის შესრულება საოპერო ხელოვნებაში მართლაც მსოფლიო მოვლენაა. ეს პრემიერა კიდევ იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ფანტასტიკური ხალხი იყო შეკრებილი. დირიჟორი ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან პოპულარული გუსტავო დუდამელი გახლდათ, ხოლო რეჟისორი — გილბერტ დე ფლო. პრემიერაზე ცნობილი მომღერლები იყვნენ — ელენა მოშუკი, ვიქტორია გრიგოლო და ქართველი მეცოსოპრანო ქეთევან ქემოკ-

→ 32

ლიძე.

საქართველოში როდის და როგორ დაიწყო თქვენი საბავშვო კარიერა?

— 1991 წელს კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი, მეორე კურსიდან ოპერის თეატრში უკვე სოლისტად მიმიწვიეს. დიდმა მანქანებში ვხვდებოდი კახიძემ ნდობა გამომიცხადა და თავის დასში მთავარი როლის შესასრულებლად მიმიწვია.

ყოველთვის აღნიშნავთ, რომ თქვენს წარმატებას ქართული საბავშვო სკოლის წარმატებაცაა. რამდენსე თვის წინ ამ სკოლას მაქსტრო სიადარ ანდლელოაქე გამოაკლდა. მასთან ახლო ურთიერთობა გქონდათ?

— მისი გარდაცვალება მართლა დიდი დანაკლისია ქართველი საზოგადოებისთვის. ის ყველასგან გამოირჩეოდა. ნოდარ ანდლელოაქის მოსწავლე არ ვიყავი, მაგრამ მასთან მისვლა ხშირად მიწევდა. ჩვენი კათედრის გამგე იყო, სტუდენტებისთვის არასდროს არაფერს იშურებდა. მისგან კონსულტაციებს ხშირად ვიღებდი. შარშან, 13 დეკემბერს, მისი დაბადების დღე იყო, საიუბილეო კონცერტზე დამაპატიჟეს, მაგრამ, სამწუხაროდ, „მეტროპოლიტენ ოპერაში“ კონტრაქტის გამო საქართველოში ვერ ჩამოვედი და მანქანის დაბადების დღე პირადად ვერ მივულოცე.

უცხოეთში მცხოვრები ქართველები ხშირად ეკსტრემალურად თქვენს სპექტაკლებს?

— პარიზში ჩემს გამოსვლას რეჟისორი თემურ ბაბლუანი დაესწრო და მაშინ მითხრა, ისეთი პლასტიკა გაქვს, ფილმში უნდა გადაგიღო.

როცა მომდერლები ერთმანეთს ხვდებიან, მაშინაც მუსიკა თქვენს სასაუბრო თემა?

— მუსიკა ყოველთვის ჩვენი სალაპარაკო თემაა და სულ რომ არ გვინდოდეს, თვითონ არ გვანებებს თავს. სხვა რაღაცეებზეც ვსაუბრობთ, მათ შორის — ოჯახურ საკითხებზე. რაც მთავარია, პოლიტიკას არასდროს განვიხილავთ, რადგან ეს ჩემი თემა არ გახლავთ. ამ მხრივ, ძალიან მშვიდი ვარ.

როგორც ვიცით, გერმანიაში ოჯახით ერთად ცხოვრობთ. გვიამბეთ იქაურ ყოფაზე, თქვენს ცოლ-შვილზე.

— დიდი ხანია გერმანიაში ვცხოვრობთ. 6 წლის წინ საცხოვრებლად გადავედით ვაიმარში — გოეთეს, შილერის, ლისტის ქალაქში. ჩემი მეუღლე, მია გოგოლაძე, პროფესიით ექიმი და მუსიკოსია, მაგრამ არ მუშაობს. ის არის ადამიანი, რომელსაც ჩემს შვილებს ბოლომდე ვანდობ. გასტროლზე ხშირად ვერ დამყვება, რადგან ბავშვებთან ვერავინ დარჩება, სიდედრი გერმანიაში გადმოსვლაზე ვერ „შევაბი“.

ორი შვილი გყავს — 11 წლის მარიამი და 7 წლის დავითი, რომელიც გერმანიაში დაიბადა. სკოლაში იქ დადიან,

კარგ განათლებას იღებენ. ქართული არ ავიწყდებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, გერმანული ენა უკეთ იციან. მშობლიური ენა რომ არ დაკარგონ, ქართულ საკვირაო სკოლაში დაგვყავს. მარიამი გერმანიის საბავშვო

ჩემს შვილებს ქართული ახ ავიწყდებათ, მაგამ, სამწუხაროდ, გერმანული ენა უკეთ იციან. მშობლიური ენა ხომ ახ დაკარგონ, ქართულ საკვირაო სკოლაში დაგვყავს.



მარიამი სულ-შვილთან ერთად

ოჯახთან ერთად გასახლებული ღლები ხომ შეუძლებო, წელიწადში ერთი ან ორი თვე გამოვა. მათთან ყოფნა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. ამდენი გასტროლისა და ხიური გარეგნის შემდეგ სახლში მესვლა უხარბზახი დადებითი ენეხგიით დამუხტვას ნიშნავს. დიდი ხნის განმუხების შემდეგ ყოველთვის დიდი გულით მელოდებიან“.

ორკესტრში ფლეიტაზე უკრავს, საკმაოდ წარმატებულია. ფორტეპიანოსაც ფლობს და გუნდშიც მღერის. მომღერლობა უნდა. ბიჭს ცოტა ნაკლებად გამოჰყვია მამის ნიჭი, მაგრამ კარგი მსმენელია. შვილებს მუსიკისკენ უზუბიძგებ, მაგრამ არაფერს ვაძალებ. დავითიც ცდილობს, ფორტეპიანოს დაეუფლოს.

თქვენ როდის ეხიარეთ სულ პირველად მუსიკას?

— სხვათა შორის, მუსიკასთან ჩემი დაახლოება უცნაურად მოხდა. მშობლებს ჩემი და დაჰყავდათ მუსიკაზე და მე, როგორც პატარა ძმა, მისი გაკვეთილის დასრულებას დედასთან ერთად ველოდებოდი. ძალიან მომწონდა და სულგანაბული ვუსმენდი. ჩემი და ამ გზას არ გაჰყვია, ჩემთვის კი მუსიკა ცხოვრებად იქცა.

გასტროლების გამო ოჯახს ხშირად ხართ მოწყვეტილი. რა სდება, როცა დიდხნის განმუხების შემდეგ ცოლ-შვილს ხვდებით?

— ოჯახთან ერთად გატარებული დღეები რომ შეგვირიბო, წელიწადში ერთი ან ორი თვე გამოვა. მათთან ყოფნა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. ამდენი გასტროლისა და რთული გრაფიკის შემდეგ სახლში შესვლა უხარბზახი დადებითი ენერგიით დამუხტვას ნიშნავს. დიდი ხნის განმუხების შემდეგ ყოველთვის დიდი გულით მელოდებიან.

ყრადღებანი ქმარი ხართ?

— ვცდილობ, თბილი მეუღლე ვიყო, რადგან იმის კომპენსაცია, რასაც მათი აკეთებს, ძალიან რთულია. კამათი ყველა ოჯახშია, მაგრამ ჩვენ ამის დროც არ გვაქვს. ყოველთვის ვცდილობთ, ერთმანეთს გაუგოთ და არაფერზე ვიდავოთ. ნებისმიერ საკითხს მშვიდად ვუდგებით და ყველაფერი იოლად გამოგვდის. მათთან ყველაზე დიდი საჩუქარი ჩემთან ერთად გასტროლზე წამოსვლაა, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ახერხებს. როცა ჩემს შვილებს არდღეობები დაეწყებათ, პალერმოში ალბათ მათაც წავიყვან.

ვიჭერთ გასტროლებზე მართლ ყოფნა?

— როცა ღმერთის გვერა, მარტო არასდროს ხარ. სცენაზე გასვლის წინ ღოცვას ყოველთვის ვაბობ.

სცენაზე ზოგჯერ გუოვალისწინებელი რაღაც სდება, კურიოზებს რომ გუწოდებთ, რომლებსაც მერე არტისტები სიცილით იხსენებენ. თქვენს პრაქტიკაში რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები?

— ასეთი მოულოდნელობები თბილისში უფრო ხშირი იყო. „აბესალომ და ეთერი“ მურმანის როლს ვასრულებდი, სცენაზე თემურ გუგუშვილთან ერთად ვიდექი. „ამალამდლო დამეო“ — ვმეროდი და უტებ ორკესტრში შუქი ჩაქრა, დირიჟორი გაქრა და ჩვენ განათებულში დავრჩით. მაყურებელი გაოცებული გვიყურებდა. თემურს ვუთხარი, უმუსიკოდ გავაგრძელოთ-მეთქი. ხალხი სიცილით დაიხიცა.

ამბობენ ოპერის მომდერლები გულჩვილები არიანო. ეს თვისება საკუთარი თავისთვის შეგამწნევათ?

— დაძაბული ცხოვრება გვაქვს და გულჩვილობა ჩვენი პროფესიის თანხვედრია. სხვათა შორის, ეს თვისება სცენაზე მესმარება კიდევ. თუ გულჩვილი არ იქნები, ვერც როლში შესვალ, სათქმელს მაყურებელამდე ვერ მიიტან. ადვილად მწყინს, მაგრამ, ვერ მთავარიან, მალევე მავინყდება.

უკვე დაგვამოდა გასტროლების პარალელურად, ახალი იდეებს, პრაექტების განსორციელებას თუ ახირებთ?

— უცხოეთში ქართული მუსიკის შესრულების დიდი სურვილი მაქვს და ამის მოთხოვნაც არსებობს. კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის ნოტები ნავილო, ვცდილობ, ჩემს კონცერტმეისტერთან ერთად შევისწავლო და უახლოეს მომავალში ეს პროექტი გერმანიასა და ამერიკაში განვახორციელო.

✓ სოფო ბოჭორიძე

თენგიზ და ლარისა ბაჩიაილაძეები კერძი „ძმაცაცური“ გამოიბონეს



„**ა**ვიდეთ გაჩეჩილაძეებთან, კარგი პურმარლი გველის“ — ასე მოცეკვავე წყვილის, თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეების მეგობრები ამბობენ. ცოლ-ქმარი სამზარეულოში უცხო-უცხო კერძებს იგონებენ. კულინარიაც ისევე კარგად გამოსდით, როგორც ცეკვა და ამით თავადაც დიდ სიმოწინებებს იღებენ. ბატონ თენგიზს ასისტენტი სამზარეულოშიც სჭირდება. ინგრედიენტების დაჭრა, გარეცხვა, მომზადება ქალბატონი ლარისას მოვალეობაა, კერძის „დადგმა“ კი — ბატონი თენგიზის. მის ერთ საფირმო კერძს „ძმაცაცური“ ჰქვია. ქალბატონმა ლარისამ მისი მომზადების წესი ჩვენც გვასწავლა.

— **ქალბატონო ლარისა, მიუღო დღეებს სტუდიაში ატარებთ. სასწაული მისულს კიდევ გაქვთ ესერგა, კერძები მიაშხადით?**
— სამზარეულოსთვის მინიმალური დრო მრჩება. ჩემი სამუშაო დღე დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე გრძელდება. მაინც ვახერხებ, ჩემი ოჯახის „მინდა“ დავაპყროფილო. ჩემთვის მზარეულობა განტვირთვის საშუალებაა. ამისი შესაძლებლობა კი ძირითადად ღამით, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ მეძლევა.

— **როგორ გვინათ, კარგი მზარეული რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?**

— სადღილე ისე არ უნდა იწვევდეს ოჯახის წევრებს, თუ ყველაფერი წესრიგში არ ექნება. ძალიან კომპია და სუფთა უნდა იყოს. მე ეს თვისებები დედისგან მერგო. ჩემი დედამთლიანც ძალიან სუფთა ქალი იყო. როცა სტუმრად მივდივარ, ვაკვირდები, დიასახლისი კერძს როგორ აკეთებს.

— **ბატონ თენგიზს ესერგება კულინარია?**

— ისიც ძალიან გემრიელ საჭმელებს აკეთებს. ბევრ კერძს თავად იგონებს, მდიდარი ფანტაზია აქვს.

— **თქვენი ოჯახის მამაკაცებს ყველაზე მეტად რა უყვართ?**

— თევზეული. მე ხორცის კერძები მიყვარდა, მაგრამ თენგიზმა გადაამჩვია.

— **ბატონი თენგიზი თავის საფირმო რეცეპტებს გამოქვით?**

— კი, რადგან უჩემოდ არც ერთ კერძს აკეთებს. მისი დახმარება ვარ, ინგრედიენტებს ვურჩევ, ვურეცხავ, ვუჭრი და მერე თავად ამზადებს. სახლში შეფშარეული ჩემი მუღილეა.

— **თქვენც გჭირდებათ სამზარეულოში დამხმარე?**

— არა, მე მარტო, სხვების დახმარების გარეშე მიყვარს ყველაფრის გაკეთება. ჩემი უმცროსი ბიჭი (ახლა ამერიკაშია, იქ ცეკვავს) სულ ჩემთან ერთად იყო სამზარეულოში. როცა ვუზნებოდი, აქედან გადი-მეთქი, მპასუხობდა, რა გინდა, გეხმარებო. ასე ბევრი საჭმლის გაკეთება ისწავლა და საკმაოდ გემრიელადაც ამზადებს. სახლში მოსულს ხშირად მხვდებოდა მისი გამოცხვარი ნამცხვრები, ღვეზელები, მაგრამ საზაგიეროდ მთელ სამზარეულოს დალაგება სჭირდება, ისეთი არეული იყო. საყვედურს ვერ ვუზნებოდი ან როგორ უნდა მეთქვა, ბავშვი საჭმელს მახვედრებდა!

— **თქვენი უფროსი ვაჟი გივც კარგად ამზადებს?**

„მოცეკვავები იმდენ უნახვიას ვახვავთ, ხომ ჩემთვის დიუა ახ ახებობს. დედაჩემი პოლონელია, ძველი ახისტოქიატი, მან მასწავლა მაგიდინს ისე ადგომა, ხომ შიმშილის გიძნობა კიდევ მქონდეს“

— გიგის სამზარეულოში ტრიალი არ მოსწონს. სამაგიეროდ ძალიან უყვარს, როდესაც ლანგარზე განყოფილ საუზმეს საძინებელში მიაერთებ. სწრაფი კვების ობიექტებმა შვილი წამართვეს. სულ ვეჩხუბები, რომ სახლში გაკეთებული საჭმელი ბევრად უკეთესია, მაგრამ რა ქნას, ხშირად უწევს გარეთ ყოფნა და სხვა გზა არ აქვს. კვრცხის მოხარშვა, კარტოფილის შეწვა შეუძლია, მაგრამ ამითაც დიდად არ ინუხებს თავს.

— **თქვენს სახლში ყველაზე ხშირად რა კერძი კეთდება?**

— ჩემს მუღილეს ძალიან უყვარს ლობიო და ყველაზე ხშირად მის შეკვეთას მაძლევს. ასევე ძალიან უყვარს ჩემი გაკეთებული ლობიო. მე კი განსაკუთრებით სალათები მიყვარს. რა პროდუქტიც მომხვდება ხელში, ყველაფერს ვიყენებ. ხილსაც ვყრი, ბოსტნეულსაც და ყოველთვის გემრიელი გამოდის.

გასწავლით თენგიზის საფირმო კერძს, რომელსაც „ძმაცაცური“ დაარქვა: ქვაბში ფენა-ფენა ჩავალაგებთ თევზის ფილებს და ტარხუნას. ყველა ფენის შემდეგ ცოტა კარაქს, ზეთს და მარილს ვუზნებთ. გაზქურაზე დავდგამთ და 20 წუთში მზადაა. ამ კერძის რეცეპტს ბევრი გთავსებს. თევზი და ტარხუნა ერთად ძალიან პიკანტურია. როცა ტარხუნის სეზონი არ არის, სხვა მწვანილებით ვამზადებთ. მეორენაირადაც შეიძლება მომზადდეს, ქვაბში თევზის ფილსთან ერთად სტაფილოს და პომიდორს ჩავანყობთ, ასევე ტარხუნას, არ დაგვავიწყდეს კარაქი, ზეთი, მარილი და მოხარშავთ. აქვე ვიტყვი, რომ ყველაფერს კახური ზეთი ჯობია.

თუ მაქვს დრო, ვაკეთებ ტოლმას, ხინკალს. ადრე გემრიელ ტორტებსაც ვაცხოზობდი. ახლა ამის ფუფუნება აღარ მაქვს. საერთოდ, კარგ ხასიათზე უნდა იყო, რომ გემრიელი საჭმელი გამოგივიდეს. ჩემი რჩევაა, ცუდ ხასიათზე მყოფი სამზარეულოს არ გაეკაროთ! საჭმელმა შენი სიყვარული უნდა იგრძნოს. სიყვარულით გაკეთებული კერძები ბევრად უკეთესია.

— **მოცეკვავები ყოველთვის ფირმაში უნდა იყვნენ. ამის გამო კვებაში შეზღუდვებს არ უწესებთ საკუთარ თავს?**

— იმდენ ენერჯიას ვხარჯავთ, რომ ჩემთვის დიუა არ არსებობს. სუფრასთან როდესაც ზომიერად დავნაყრდები, სასწაული კერძი რომ შემოიტანონ, პირს აღარ ვაკარებ. ჩემი ორგანიზმი იმდენადაა შეჩვეული ზომიერ კვებას, მერე თავსაც კი აღარ უნდება საჭმელი. დედაჩემი პოლონელია, ძველი არისტოკრატი, მან მასწავლა მაგიდიდან ისე ადგომა, რომ შიმშილის გრძნობა კიდევ მქონდეს. არც ღამით ჭამას ვერიდები, ჩემს კუთვნილ უღუფას თამამად გეახლებით.

— **თითქმის მთელი მსოფლიო გაქვით შემოვლილია. ყველაზე მეტად რომელი ქვეყნის სამზარეულოთი დარწით აღფრთოვანებული?**

— ქართულ სამზარეულოზე გემრიელი არსად არის. ამას ჩვენი უცხოელი სტუმრებიც — მსაჯები, მოცეკვავები ადასტურებენ. უცხოელები ამბობენ, ქართულ ხინკალზე და ხაჭაპურზე უკეთესი რა უნდა ჭამო. ჩვენი მჭავეულობა ძალიან მოსწონთ. ნიგვზიან საჭმელებზე გიუფდებიან. ასე რომ, ნურავინ დაიტრაბახებს, ქართველებზე უკეთესი სამზარეულო გვაქვსო. გულიანი გამასპინძლებაც ვიცი.

— **თქვენს სახლში ღამაში სუფრები იშლება?**

— კი და ეს მთელი ცერემონიაა. პირველ რიგში, ქათქათა სუფრის გადაფარება საჭირო და მერე საყვარელი თევზების, ჭიქების, დანა-ჩანგლის დადება. კერძი, რომელიც სუფრასთან მიმავს, აუცილებლად ღამაზად უნდა იყოს გაფორმებული. ამაში ჩემი ბოსტნეული, ხილი, მწვანილი მხმარება. ეს ყველაფერი სტუმრების მოსვლამდე უნდა მოვასწრო, რომ მოსვლისთანავე მითხრან, რა ღამაზაიაო, ჩემს კერძებს რომ გასინჯავენ, მერე კი მითხრან, რა გემრიელიაო. სუფრაზე რომ არაფერი რჩება, ეს მიყვარს. სტიმულს ყოველთვის მაძლევენ. ამბობენ ხოლმე, წავედით გაჩეჩილაძეებთან,

„ჩემი ჩვევაა, ცუდ ხასიათზე მყოფი სამზარეულოს ახ გაეახით! საჭმელმა შენი სიყვარული უნდა იგრძნოს“

კარგი პურმარლი გველისო.

— **სამზარეულოსთვის საჭირო ნივთების შექმნა გიყვართ?**

— სამზარეულო კომფორტულად მაქვს მოწყობილი. დიასახლისისთვის ეს მნიშვნელოვანია. რატომაც ვერაფრით შევეჩვიე ბლენდერებს და წვეწანურებს.

— **თქვენს ოჯახში კარგი სასმელიც ყოველთვის იქნება.**

— აბა, რა! კახური ღვინო სულ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ მეც იმერელი ვარ და თენგიზიც, კახეთში სახლი ვიყიდეთ. თენგიზი ყურძენს ყიდულობს და ჩვენი სახლის მომვლელს აწურინებს. ჭურ-მარანი გვაქვს და იქ დაყენებული ღვინით სტუმრებს ვმასპინძლობთ. ვცდილობთ, ჩვენი ღვინის რეკლამა ტურნირებზე გავაკეთოთ. მსაჯებს ჩვენი ოჯახის ერთ ბოთლ ღვინოს ვატანთ და ვუზნებთ, რომ ამ ღვინით საქართველოს სადღეგრძელო დალიონ.

✓ **ჭეთი დინოშვილი**

ია კინემატივილი: „ჩემი გარეგნობის საიდუმლო მასაჟიში მდგომარეობს“

„არაფერი მაქვს გაკეთებული, მათ შორის — არც ბოტოქსი“



სამოდერნო სააგენტო „იმიჯ ცენტრის“ ხელმძღვანელი, ია კინემატივილი, სამსახურისგან თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს გარეგნობაზე ზრუნვას უთმობს. ყველა დეტალი — ფეხის ფრჩხილიდან თმის ძირამდე — ნესრიგში უნდა ჰქონდეს. თავის მოვლას დედამ ბავშვობიდან მიაჩვია, რის გამოც მისი მადლიერია. სახის კანის კრემების გამოყენება 12 წლის ასაკიდან დაიწყო. ახლა იმავე ქალურ რჩევებს თავის ქალიშვილებს, 19 წლის ანასა და 17 წლის თეკლეს აძლევს. დიდ ყურადღებას აქცევს, თუ როგორ მეტყველებენ, ილიმებიან მისი გოგონები, სურს, რომ მათ დახვეწილი მანერები ჰქონდეთ. საკუთარი თავით კმაყოფილია, თვლის, რომ ყოველწლიურად გარეგნობას იუმჯობესებს და სარკეში ჩახედვის დროს თავისი თავის მიმართ პრეტენზიები არ აქვს.

— ქალბატონო ია, თქვენ მიერ მოწყობილი

სილამაზის კონკურსებში უამრავი მოდელი ცდას ბედს. პირადად თქვენ რას მისდევთ აფასებთ ქალის გარეგნობას, რა არის თქვენთვის ამოსავალი პრინციპი?

— ქალი მოვლილი უნდა იყოს ნებისმიერ სიტუაციაში.

ყველა ქალს აქვს თავისებური სილამაზე, უბრალოდ ზოგმა არ იცის, როგორ წარმოაჩინოს საკუთარი გარეგნობა. სამწუხაროდ, ამის მიზეზი უდროობა ან უფინანსობაა, ზოგჯერ უყურადღებობაც. როცა გარკვეულ ასაკს აღწევს, მერე გვიანია თავში ხელების შემორტყმა. ჩვენს სააგენტოში რომ მოდიან გოგონები, პირველ რიგში, თავის მოვლას და ჯანსაღი ცხოვრების წესს ვასწავლით.

— თავად რა ასაკში დაიწყეთ გარეგნობაზე ზრუნვა?

— მოზარდობის ასაკში. მშრალი კანი მაქვს და მის დატენიანებას ყურადღებას ყოველთვის ვაქცევდი. 12 წლიდან ბავშვის კრემებს ვიყენებდი. დედაჩემიც ხელს მინ-

ყოფდა. ყოველთვის მაინტერესებდა თავის მოვლის საშუალებები. როგორც ყველა მოზარდი, მეც დედის კოსმეტიკას ვიყენებდი. სპორტული წარსული მაქვს, ახალგაზრდულ და საბჭოთა კავშირის კალათბურთის ქალთა გუნდის წევრი ვიყავი. საყვედურები მიმიღია, დღეში შვიდჯერ რატომ იცვლი ტანსაცმელსო. შეკრებებზე როცა დავდიოდით, ძირითადად სპორტული ფორმა გვეცვა და სულ ვაპროტესტებდი ამას. თუ შესაძლებლობა მქონდა, ვცდილობდი, მოკლე კაბით მევლო. როცა მოვლილი ვარ და ის მაცვია, რაც მომწონს, უკეთესად ვგრძნობ თავს. ჩემი სამოსის გამო ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი. ეს ჩემი პიროვნების ნაწილია. მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა.

— სახის კანისთვის მარტო საცხებო საკმარისია?

— გულახდილად ვიტყვი, კანის და ზოგადად თავის მოვლის ჩემი საიდუმლო მასაჟიში მდგომარეობს. მყავს კოსმეტოლოგი, რომელიც სპეციალურ მასაჟებს მიკეთებს.

— დედათქვენი როგორ უყვლიდა თავს?

— ბავშვობიდან მასწავლიდა, უხეში, სპეციალური სახეხით გამეხება კანი. ახლა ამას ძვირადღირებულ სალონებში პილინგს უწოდებენ. მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი, რომ ამას პილინგი ერქვა. კვირაში ერთხელ რომ ეს უხეში სახეხი არ გამოგვეყენებინა სახლში, არ შეიძლებოდა. მახსოვს შამპუნის სურნელი, რომელსაც „მარგალიტი“ ერქვა და მისი გამოყენების მერე თმა აბრუნებული ხდებოდა. ახლაც უყვარება ის შამპუნი.

— დღეს როგორ უყვით თმას?

— ძალიან ხშირად ვიყენებ ნილებებს. სხვადასხვა სახის ზეთებს ვურევ ერთმანეთში და ვისვამ. გასწორება და დავარცხნა თმას სტრუქტურას უცვლის, ამიტომ მის მოვლას დიდ დროს ვუთმობ.

— დღეს სხვებს ასწავლით, როგორ იბოვონ საკუთარი სტილი. თავის დროზე თქვენ ვინ დაგეხმარათ გარეგნული იმიჯის შექმნაში?

— ეს ალბათ თავისთავად იქმნება. პირველ რიგში, ამას აყალიბებს ის, თუ რა გარეგნობა აქვს ადამიანს, შემდეგ — რა გარემოში იზრდება და ბოლოს — რა გარემოში მუშაობს. პირადად მე ძალიან მრავალფეროვანი ცხოვრება მაქვს, ამიტომ დღეში ხშირად რამდენჯერმე ვიცვლი სამოსს. მაგალითად, დილას ვარჯიშზე მივდივარ, ვარჯიშის მერე — სალონში. სალონის მერე სამსახურში ვარ წასასვლელი და უნდა გამოვიცვალო. შემდეგ შეიძლება ვახშამზე წავიდე და კვლავ სხვა რამ უნდა ჩავიცვა. მიყვარს სიტუაციის შესაბამისად ჩაცმა. ვცდილობ, ამითაც გავიმარაგოვო და გავიხალისო ცხოვრება.

— ფერებს რა მნიშვნელობა ანიჭებთ თქვენს სამოსში?

— თუნდაც ის, რომ დღეს მწვანე ფერი შევარჩიე ინტერვიუსთვის, წელიწადის ამ დროის გავლენაა. გაზაფხული, ყველას უხარია მკვეთრი ფერები.

— სილამაზის სალონზე ხართ დამოკიდებული თუ თავადაც შეგიძლიათ თავის მოწესრიგება?

— არცთუ იშვიათად თვითონ ვინესრიგებ თავს. რა თქმა უნდა, სალონს ხშირად მივმართავ, რადგან მინდა, უკეთესი შედეგი მივიღო. ესაა, რომ საკუთარ თავს მასაჟს ვერ გაუუკეთებ. დღეს წარმოდგენილად მიმაჩნია, სალონის მომსახურების გარეშე თანამედროვე ქალმა არსებობა შეძლოს. გინდა თუ არა, დამოკიდებული ხდები და არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ თუ დრო არ მაქვს და მეჩქარება, თავადაც კარგად გამოვლის მაკიაჟის გაკეთება.

— რომელია თქვენი საყვარელი ფერები კოსმეტიკაში?

— მიყვარს იასამნისფერი, მუქი მწვანე ჩრდილები. შავი ლაინერის და ტუშის გარეშე დღეს მაკიაჟი წარმოუდგენელია. იყო დრო, ლაინერს

ირონიულად ვუყურებდი, მაგრამ მოდის ტენდენციებს მიყვები. ძალიან ხშირად კოსმეტიკის გარეშეც გადასარევად ვგრძნობ თავს. ვცდილობ, მაკიაჟი ნაკლებად გამოვიყენო, მაგრამ მას თუ მივმართავ, კოსმეტიკა აუცილებლად მაღალი ხარისხის უნდა იყოს. შედარებით ნაზი და მგრძობიარე კანი მაქვს. იოლად რეაგირებს სხვადასხვა სახის კოსმეტიკაზე, ამიტომ ფრთხილად ვარჩევ მას. ზედმეტი ექსპერიმენტებისგან თავს ვიკავებ.

— მაკიაჟით აქცენტს თვალზე აკეთებთ და თითქმის არასოდეს ტუჩებზე...

— კი, უფრო თვალზე ვაკეთებ. სხვაზე მომწონს ნითელი ფერის პომადა, მაგრამ მე თავს ვიკავებ მისგან. არ მომწონს, ყოველდღიურ ცხოვრებაში რომ იყენებენ. ბოლო დროს ტენდენციაა, ყველგან ნითელი პომადა წაისვან — ქუჩაში, ტრანსპორტში, თან ასაკის მიუხედავად... ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია. მივხატვარ პირდაპირ ვეუბნები, კასტინგზე ნითელი ფერის ტუჩსაცხით ნუ მიხვალთ-მეთქი. საფრთხილო ფერი. ნითელი პომადა ხშირად ასაკს მატებს და რატომღაც ყველა დანარჩენ მინუსს უსვამს სახეზე ხაზს, რაც ისე არ ჩანს.

— კიდევ რა რჩევებს აძლევთ მოდელებს?

— ვთვლი, რომ ქალს ფრჩხილები ყოველთვის უნდა ჰქონდეს ნესრიგში, როგორც მანიკიური, ისევე პედიკიური. ფრჩხილი, სახის კანი, თმის ხარისხი, კბილები, წარბები, სხეულის კანის მდგომარეობა და ა.შ. ეს ის საკითხებია, რაზეც, პირველ რიგში, ვსაუბრობ ახალგაზრდებთან. დიდ ყურადღებას ვაქცევ სხეულის კანის მდგომარეობას და გოგონებისგანაც იმავეს ვითხოვ.

— მაგალითად, სხეულის კანს როგორი მოვლა სჭირდება?

— ვარჯიში და სწორი კვება საჭირო. ეს მოქმედებს ფორმებზე. რაც შეიძლება ნაკლებად უნდა გავიროუჯოთ. პირადად მე სოლარიუმთან ფრთხილი დამოკიდებულება მაქვს. არ ვამბობ, რომ არ გამომიყენებია. სეზონის შესაბამისად რუჯი ზოგადად მიყვარს, მაგრამ უპირატესობას მსუბუქს ვანიჭებ. დღეში ათი წუთით მზეზე ყოფნა

ამისთვის საკმარისია.

— **თქვენს დადგენილებასთან დაკავშირებით არაფერს ახსოვს. ეს თქვენს დადგენილებასთან დაკავშირებით არაფერს ახსოვს. ეს თქვენს დადგენილებასთან დაკავშირებით არაფერს ახსოვს.**

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკას. ჭარბი კილოგრამები არასოდეს მანუხებდა, მაგრამ წონას მაინც ძალიან დიდი ყურადღებით ვაკონტროლებ. ჭამა ძალიან მიყვარს. არავის ეგონოს, დიეტას ვიცავდე, მაგრამ ზომიერებას ყურადღებას ვაქცევ. ყოველ დილას სასწორზე ვდგები. რაც თავი მახსოვს, ჩემი წონა 58-61 კილოგრამებს შორის მერყეობს, ორსულობის პერიოდს არ ვთვლი. სიმაღლეში 1 მეტრი და 77 ვარ.

— **შეიძლება, ანაბა და თქვენს მიმართ აღობათ ძალიან მითითებული ხართ, როცა საქმე მათ გარეგნობას ეხება.**

— ხშირად, როცა რამეს დიდი ენთუზიაზმით მიყვებიან, სიტყვას ვაწყვეტინებ შემდეგი რჩევებით: „შუბლი გაასწორე, ნაოჭები გაგინდებდა; თანაბრად გაიღიმე, გასწორდი, ხელები ჩამოუშვი“ და ა.შ. უკვე შენიშვნას მაძლევენ ამაზე და ვცდილობ, საუბრის დროს მაინც არ გავამახვილო ამგვარ რაღაცეებზე ყურადღება. ეს ალბათ ჩვევაში მაქვს გადასული. ვასწავლი, რომ დროზე მიხედონ გარეგნობას და გაიუმჯობესონ ის, რისი გაუმჯობესებაც შეუძლიათ.

— **გარეგნობის პლასტიკური ქირურგიით გაუმჯობესებაზე რას ფიქრობთ და თავად თუ გამოვიყენებთ ეს მეთოდი?**

— პლასტიკურ ქირურგიაზე ვფიქრობ, რომ ბოლო წლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რევოლუციური სიახლეა მედიცინაში, მაგრამ თვითონ ძალიან კონსერ-

თემიკო ჭიჭინაძე:

„ჭკვიან ქალთან ურთიერთობა ჩემთვის აზარტია“

27 წელი გაატარა რუსთაველის თეატრში, რომელსაც თან ახლდა ალმა-დალმა სვლები, თუმცა თემიკო ჭიჭინაძე თავს ილბლიან და ბედნიერ მსახიობად მიიჩნევს, რადგან დიდი რეჟისორის, რობერტ სტურუას ბოლო წლების ყველა სპექტაკლში ითამაშა. თეატრი მისი მეორე სახლია, სადაც თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. პირველი და უმთავრესი სახლი კი, რა თქმა უნდა, ოჯახია. ის არის მისთვის პრიორიტეტიც, სიამაყეც და საყრდენიც.



ბოლო პერიოდში მსახიობის ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე გაჩნდა როლით პოპულარულ სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“. რომანტიკული ლაშვიკოს პერსონაჟი მოსწონს, არც ფემინისტი თინას საწინააღმდეგო აქვს რამე და საერთოდაც ჭკვიანი ქალების მხარესა... ერთი სიტყვით, ამ ყველაფერზე ქვემოთ, თემიკო ჭიჭინაძესთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

— **თეატრსა და სერიალში პარალელურად მუშაობას კარგად უთავსებთ ერთმანეთს?**

— ჯერჯერობით ერთი მეორეს ხელს არ უშლის. თუ სპექტაკლი მაქვს და დაკავებულ ვარ, სერიალში ყველანაირად ხელს მიწყობენ. რომ გითხრათ, ინტენსიური გრაფიკი მაქვს-მეთქი, მოგატყუებთ. ჩემი გმირი ახლა იკვალავს გზას სერიალში.

— **თქვენი ოჯახური ცხოვრება როგორ მიყვარება?**

— რამე ორიგინალურს ვერ ვიტყვი, ჩვეულებრივი ქმარი და მამა ვარ. მიმანია, რომ ადამიანის ცხოვრებაში უპირველესი ოჯახია. ყველაზე იდეალური, კომფორტული და პრიორიტეტული ჩემთვის ეს არის. არ ციცი, ამ ყველაფერზე სხვა როგორ ფიქრობს. გამიმართლა, რომ ასეთი კარგი ცოლი და შვილი მყავს.

— **თქვენი შვილი რა ასაკის არის, რა ინტერესები აქვს, რიგობია თქვენს რილი მის ცხოვრებაში?**

— ჩემი ელისაბედი უკვე დიდი გოგოა — 21 წელი შეუსრულდა. თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტია, დიზაინის ფაკულტეტზე სწავლობს. თავის პროფესიაზე შეყვარებულია, ძალას და ენერჯიას არ იშურებს, რომ კარგად ისწავლოს. მონდომებულია. კარგი მამაშვილობა გვაქვს, თუმცა დედა უფროა მისი მესაიდუმლე.

— **ელისაბედის თანატოლებში ბევრი ფანი გყავთ...**

„**ხოგოც ამბობენ, თუახის შინაგანანუსია, ხომ უნდა იყოს ინტიგა, სჯანდალი. მე კი მიჩვენია, ამ ყველაფერს გუხიდან ვუყუო.**“

„შეიძლება იფიქროთ, ხომ დიდი ნახმოდგენა მაქვს თავზე, მაგამ, ჩემი ახხით, ჯეჯეხობით ყოველნიუხად ვიუმჯობესებ გახეგნობას.“

ვატული ბუნების ვარ, ვცდილობ, პლასტიკური ქირურგია არ გამოვიყენო. რა თქმა უნდა, არ მომწონს უგემოვნოდ და უფორმოდ გადაიდებული ტუჩები. ცხვირის ოპერაციის მიმართაც ძალიან ფრთხილი დამოკიდებულება მაქვს. ბუნებრივი ფორმის ცხვირი უფრო მომწონს. არაფერი მაქვს გაკეთებული, მათ შორის — არც ბოტოქსი, მაგრამ რაც უფრო ასაკში შევალ, ალბათ უფრო დამინტერესებს.

— **სარკის წინ რა დროს ატარებთ და ვინ გიყურებთ იქიდან, როცა მასში ისელებით?**

— სარკეს ხშირად ვიყენებ, მაგრამ იშვიათად, რომ მის წინ დიდხანს ვიდეგ. ვიცი, რომ სარკიდან უნდა მიყურებდეს ძლიერი, დამოუკიდებელი, თავმოყვარე, განონასწორებული, კეთილი, საქმიანი ადამიანი. არასდროს ვეძებ საკუთარ გარეგნობაში ნაკლს. გეყოლებათ მეგობარი, რომელიც სარკეში ყურებისას სულ ამბობს, როგორ დაგებდა, რას ვგავარო და ა.შ. ჩემთვის სარკეში ჩახედვა „ვია“ არასოდეს ყოფილა. სულ ვცდილობ, პოზიტივი დავინახო.

— **გულწრფელად რომ გვათხრათ, წლების წინანდელი უფრო მოგწონთ საკუთარი თავი თუ დღევანდელი?**

— ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემი თანატოლისთვის შემხედავს და მიფიქრია, რომ ასაკი დაეტყო. შეიძლება იფიქროთ, რომ დიდი წარმოდგენა მაქვს თავზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ჯერჯერობით ყოველწლიურად ვიუმჯობესებ გარეგნობას. ალბათ ეს იმის დამსახურებაა, რომ ახალგაზრდებთან მიწევს ურთიერთობა.

— **ბევრი ლამაზმანის მასწავლებელი ხართ. მათ მიმართ ჯანსაღი კონკურენციის მოქმეტი თუ გქონიათ?**

— კი, კი, რა თქმა უნდა! კონკურენციაზე მეტად ამას პასუხისმგებლობას ვუნოდებდი, რომ ყოველთვის კარგად გამოვიყურებოდე, ფორმაში ვიყო, შევესაბამებოდე ამ ასაკის გოგონებს, არ ჩამოვრჩე მათ არც გარეგნობით და არც — აზროვნებით.

— **სახლშიც მუდამ მოწყვნიტებული ხართ?**

— სახლი ის ადგილია, სადაც ადამიანი ისვენებს. ამ დროს მიყვარს კომფორტული და თავისუფალი სამოსი. მაკიაჟის გარეშე, ანუული თმით, თავისუფალი სამოსით — ასეთი ვარ სახლში. ✓ **მანანა ნოღია**

„ლიბა“ სამკურნალო ლიბა
„ლიბა“ სამკურნალო ლიბა
„ლიბა“ სამკურნალო ლიბა

სექსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

— (იცინის)... მათი თაობა ძალიან მომწონს. საოცრად ნიჭიერები არიან, უფრო მეტად პროგრესულები, ვიდრე ჩვენ ვიყავით, მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ჩემი შვილის მეგობრებთან ვემგობრობ და ვცდილობ, მათ რიტმს ფეხი ავუწყო. ეს სინთეზი იძლევა იმას, რომ თაობების შერწყმა მოხდეს, მამათა და შვილთა ბრძოლა და პრობლემები არ იყოს.

— რა შექმნევაში ხართ ქალიშვილთან მტკიცე?

— კონკრეტული გადაწყვეტილებების დროს ვიჩენ სიმკაცრეს და ხისტ პოზიციას, მაგრამ ძირითადად მაინც ლოიალური ვარ. მგონია, რომ ძალიან ლმობიერი, რბილი მამა ვარ.

— ელისაბედი განსაკუთრებული მაცურებელი იქნება თქვენთვის.

— რა თქმა უნდა, ის თეატრის კულინგებში გაიზარდა და ცუდის და კარგის გარჩევა კარგად იცის. მისი აზრი მნიშვნელოვანია ჩემთვის და ხშირად ვეკითხები კიდევ. ასეთი

**„ღაშიკოსნაიხი
ხომანტიკული ახ ვახ. ჩემს
გმიხს ეყვება, ხომ უცხო
ქვეყანაში ჩამოყალიბდა, მე
ჟი ტიპური ქართველი ვახ“.**

ურთიერთობა ყოველდღიურობაში ძალიან მუხმარება. ელისაბედი რამდენიმე პროექტში მონაწილეობდა, ფილმშიც გადაიღეს, უნდოდა, მსახიობი გამხდარიყო, მაგრამ საბოლოოდ მაინც სხვა პროფესია არჩია.

— თქვენი გავლენა სომ არ იყო, რომ მსახიობის სურვილი გაუქმდა?

— არა, რას ამბობთ! უბრალოდ არ მოიხიბლა ამ სფეროთი, ამ ყველაფრით.

— თნი მსახიობი — ცოლი და ქმარი — ერთ ჭქარქკეშ, ეს არ ქმნის სირთულეს, გარკვეულ დისკომფორტს?

— არა, რატომ? პირიქით, ნინოც რომ მსახიობია, ეს ჩემთვის კომფორტია. ამ მხრივაც გვაქვს საერთო ინტერესები, საერთო მეგობრები გვყავს. ისე, როგორც ნინო მიგებს, არა მგონია, სხვა პროფესიის ქალს გაეგო ჩემთვის. ზუსტად იცის, სად ვარ და რა საქმეს ვეჭიდები.

— თნი ათუეული წელი ერთად გამოიარეთ. ოჯახურ ცხოვრებაში კრიზისები გქონიათ?

— არა, კონფლიქტიც კი არ მოგვსვლია, თუმცა ხშირად გვიკამათია. საერთოდ, ცოლქმრობა ეტაპებად იყოფა. მე და ნინო ჯერ შეყვარებულნი ვიყავით, მერე ოჯახი შევქმენით, შემდეგ შვილი შეგვეძინა, პასუხისმგებლობები მოგვემატა. ელისაბედი გაიზარდა... მე და ნინოს იდეალური, მშვიდი თანაცხოვრება გვაქვს. გარდა იმისა, რომ მეუღლეები ვართ, კარგი მეგობრებიც გახლავართ. უამრავი წელი გავატარეთ ერთად. სიძნელები, გაჭირვება, ბევრი სისარული და წარმატება ერთად გამოვიარეთ. ნინო არის ის ადამიანი, რომელიც ჩემ გვერდით უნდა ყოფილიყო. ბედნიერი ხარ, როცა წლების შემდეგ ხედვები, რომ სწორი არჩევანი გააკეთეთ.

— თეატრი თქვენი მთავარი ოჯახია. მის კედლებში გატარებულ დროს როგორ აფასებთ წლების გადასახვედიდან?

— როგორც მსახიობმა, სხვადასხვა ეტაპები გავიარე, იყო აღმასვლა და დაღმასვლა, წარმატება და წარუმატებლობაც, ის-

ვევ, როგორც ყველა შემოქმედის ცხოვრებაში. ამ ეტაპზე სამომავლო გეგმები არ მაქვს, მიმდინარე სპექტაკლებში ვარ დაკავებული. თეატრი ის ადგილია, სადაც, როგორც მსახიობი, ყველაზე კარგად ვგრძობო თავს. მაქვს ბედნიერება, არაჩვეულებრივ რეჟისორებთან ვიმუშაო. რობერტ სტურუას ბოლო წლებში დადგმულ ყველა სპექტაკლში ვმონაწილეობდი, ამან ჩემს მსახიობო ოსტატობას ბევრი რამ შემატა, დიდი ნახტომი გავაკეთე და ამისთვის მთელი ცხოვრება მისი მაღლიერი ვიქნები.

— როგორც მსახიობი, რა სიძნელებს შეეჭიდეთ და დაძლიეთ ან ვერ დაძლიეთ?

— სიძნელები მრავლად იყო. მსახიობი მუდმივად ეჭვის რეჟიმში უნდა ცხოვრობდეს. ერთდღიანი წარმატება ერთ კონკრეტულ წარ-



მოდგენაში არ ნიშნავს, რომ სრული ინდულგენცია გაქვს და მომავალი სამუშაო ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც წინა იყო. ყოველდღე გამოცდას ვაბარებ. ახალი როლი, ახალ სპექტაკლზე მუშაობა კიდევ ერთი წინადადგმული ნაბიჯია ჩემთვის.

— თეატრალური სკანდალები, ინტრიგები პირადად შეგხვებიათ?

— ვცდილობ, ამ მორევმა არ ჩამითრიოს და მისი მსხვერპლი არ გავხდე. როგორც ამბობენ, თეატრის შინაგანანესია, რომ უნდა იყოს ინტრიგა, სკანდალი. მე კი მირჩვენია, ამ ყველაფერს გვერდიდან ვუყურო, ეს არ მხიბლავს და არ მაინტერესებს.

— როგორ შექმნიდა თქვენს ცხოვრებაში ახალი გმირი, ლაშკო, რომელსაც სერიალში თამაშობთ?

— პირველ რიგში, გეტყვით, როცა დრო მქონდა, ამ სერიალს სიამოვნებით ვუყურებდი, ხარისხითაც და ესთეტიკურადაც გამორჩეულად მიმაჩნდა, პლუს, ამ პროექტზე ჩემი მეგობრები მუშაობდნენ და მათ ყოველთვის ვგულშემატივრობდი. მას შემდეგ, რაც უშუალოდ ჩავერთე, ახლა უფრო აქტიურად ვუყურებ. არ მინდა, ის ძაფები დაემკარგოს, რაც პერსონაჟებს შორის არის გაბნეული. რაც შეეხება ჩემს გმირს, ლაშკოს, ის რომანტიკული, დადებითი პიროვნებაა. სერიალში სხვადასხვა ხასიათის და ტემპერამენტის პერსონა-

ჟები არიან. ჩემი გმირი მათგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანია, კეთილი და სანუკვარი სასიძოა. შეყვარებული პერსონაჟების თამაში ხშირად არ მინევს და ჩემი გმირი ამიტომაც მომწონს.

— ლაშკოს რომანტიკული ხასიათი ზგაყნარა?

— არა, ლაშკოსნაირი რომანტიკული არ ვარ. ჩემს გმირს ეტყობა, რომ უცხო ქვეყანაში ჩამოყალიბდა, მე კი ტიპური ქართველი ვარ.

— სერიალში თქვენთვის სასურველი ქალის, თინას მსგავსი ფემინისტი ქალები ცხოვრებაშიც თუ მოაწონთ?

— ფემინისტური საწყისი ყველა ქალში არის ჩადებული და არც ჩემი ცოლია გამოწვევისი, თუმცა ასეთი რადიკალური ახირებები არ ახასიათებს. საჭიროებაც არ არის იმის, რომ ნინომ ფემინისტური შეხედულებები გაატაროს ოჯახში. ქალთა უფლებების დაცვის მომხრე ვარ, თუმცა ყოველგვარ ზედმეტობას უარვყოფ. მიხარია, როცა წარმატებულ ქალებს ვხედავ პოლიტიკაში, ბიზნესში.

— როგორ ხსნით მამაკაცების შიშს თუ უნდობლობას ჭკვიანი ქალების მიმართ?

— კაცს ყოველთვის აქვს სურვილი, ურთიერთობაში დომინანტი იყოს, ის წყვეტდეს საკითხებს, თუმცა ერთი სიამოვნებაა ერთდირებულ, განათლებულ ქალთან ურთიერთობა. ასეთებს მრავლად ვიცნობ და მათთან მეგობრობით ვამაყობ. ჩემი მეუღლეც ასეთ ქალად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, ცოტა რთულია ჭკვიან ქალთან ურთიერთობა, ბევრ რაღაცაში ვერ გახვალ ფონს, მუდმივად მობილიზებული უნდა იყო, რომ აპყვე მის გონებას, ჭკუას, ინტელექტს და გამჭირაობას.

**„ფემინისტური ხასიათი
ყველა ქალში ახის ჩადებული
და ახე ჩემი ცოლია
გამონაყლისი, თუმცა
ხადიყალეხი ახიხებები
ახ ახასიათებს“.**

რალა დაგიმალოთ და, ჩემთვის ასეთ ქალებთან ურთიერთობა საინტერესო და აზარტულია.

— თინას პარტნიორი მამაკაცი დადნანს არ რჩებთან სერიალში. როგორ ფიქრობთ, თქვენს გმირსაც აფიყე ბუდი სომ არ ექვება?

— არ ვიცი, ჩვენს ურთიერთობას როგორი ფინალი ექნება. ეს სცენარისტზე, ჩემზე, მაკაზე (თინას როლის შემსრულებელი მკა მაგანია. ავტ.) და მყურებელზე დამოკიდებული. ზოგი ვერსკის გულშემატივრობს, ზოგი — მე. ვნახოთ, რა გამოვა.

— სერიალში ტიპური ქართული ოჯახების ცხოვრება აღწერილია. თაყად რამდენად მოაწონთ, ვთქვათ, კატის და დიტოს ოჯახს?

— მათი მსგავსი ოჯახები ჩვენს რეალობაშიც არსებობს, მაგრამ მოგწონს თუ არა, ეს უკვე სხვა საკითხია. მათი გმირები და ოჯახი მესიმიზატივრობა. ისინი როგორც მთყველებენ, მე ისე არ ვლამპარაკობ, არც მათი მსგავსი ადამიანები მეგულება ჩემ გარშემო, მაგრამ იმდენად თბილი პერსონაჟები, იმდენად უბოროტოები არიან, რომ მათზე ხშირად მეცინება. ეს არის ჩემი, როგორც მყურებლის, შეფასება.

✓ ლანა კიქაძე

ხველა მნაველები — ბანალური სიმატონი თუ ქრონიკული დაავადების ნიშანი?

უმანუხებელი ხველა ნახველის გამოყოფით, გახშირებული და გაძნელებული სუნთქვა განსაკუთრებით ფიზიკური დატვირთვის დროს მწველთა უმრავლესობისთვის კარგად ნაცნობი სიმპტომებია. თუმცა, ცოტამ თუ იცის, რომ დაავადება, რომელსაც ეს სიმპტომები ახასიათებს, 1996 წლის სტატისტიკური მონაცემებით, სიკვდილიანობის მიზეზთა შორის მსოფლიოში მე-6 ადგილზე იდგა, ხოლო პროგნოზული მონაცემები 2020 წლისთვის მას ამ რეიტინგში მე-3 ადგილზე გადანაცვლებას „უქადის“¹. ამ დაავადებას სამედიცინო ენაზე ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ დაავადებას (ფქოდ) ანუ ე.წ. მწველთა ქრონიკულ ბრონქიტს უწოდებენ. მისთვის დამახასიათებელია ფილტვის ქსოვილის პროგრესირებადი დაზიანება და სასუნთქი გზების ობსტრუქციის ანუ დახშობის განვითარება. ფქოდ-ის პირველი კლინიკური გამოვლინება გახლავთ დილის ხველა ჭარბი ნახველის გამოყოფით, რასაც ხშირად მწველთა ხველას უწოდებენ; სწორედ ის სიმპტომატიკა, რომელიც მწველთა საკმაოდ დიდ ნაწილს აღენიშნება. მწველობა (როგორც აქტიური, ასევე პასიური) გვევლინება ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად¹.

— სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ შემაშფოთებელია, რა არის ამის მიზეზი?

— სტატისტიკის თვალსაზრისით სანუგეშო არაფერია. დასტურად ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები გამოგვადგება 2004 წლის ჯანმო-ს მიხედვით, მოსახლეობის 64 მილიონს აქვს დიაგნოსტირებული ფქოდი, ხოლო 2005 წლის სტატისტიკა გვამცნობს, რომ ფქოდ-ით გამონეულმა სიკვდილიანობამ 3 მილიონი შეადგინა⁵. ფქოდ-ს ახასიათებს ნელი მიმდინარეობა, თუმცა ცვლილებები, რომლებიც სასუნთქ სისტემაში ვითარდება, არის პროგრესირებადი და შეუქცევადი. კლინიკური კვლევები ადასტურებენ, რომ ფილტვის პირველადი დაზიანებიდან დაახლოებით ოცი წლის მერე ხდება დაავადების დიაგნოსტირება, რაც უარყოფითად აისახება დაავადების გამოსავალზე¹. დაავადების დიაგნოსტირების სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ თავდაპირველად ის გამოვლინდება ისეთი ბანალური სიმპტომით როგორც არის ხველა ნახველით. უმანუხებელი კლინიკა კი — ქოშინი, სუნთქვის გაძნელება უფრო მოგვიანებით ჩნდება¹.

— ვინ მიეკუთვნება ფქოდ-ის განვითარების რისკის ჯგუფს?

— თამბაქოს მოხმარება არის ფქოდ-ის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკფაქტორი: ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შედიან თამბაქოს კვამლში, განაპირობებენ ფილტვის ქსოვილის ანთებით და ფიბროზულ დაზიანებას, რაც იწვევს ფილტვის ელასტიკურობის დაქვეითებას და სუნთქვის დარღვევას¹. ფქოდ-ის განვითარების რისკფაქტორებს მიეკუთვნება ასევე პასიური მწველობა, გარემოს საყოფაცხოვრებო თუ სამრეწველო დაბინძურება. თუმცა მწველობა მაინც რჩება წამყვან ფაქტორად და მასზე დაავადების განვითარების მიზეზების 85-90% მოდის⁴.

— როგორია მკურნალობის ძირითადი მეთოდები?

— მკურნალობის რეჟიმი მრავალკომპონენტური და მოიცავს ანტიბიოტიკებს, ბრონქოდილატატორებს,

კორტიკოსტეროიდებს, მუკოლიტიკებსა და სხვა საშუალებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუკოლიზური საშუალებები. მედიკამენტთა ამ ჯგუფის დანიშნულებაა ნახველის გათხევადება და მისი ევაკუაციის გაადვილება. მწველთა ბრონქიტის დროს ნახველის ეფექტური დრენირების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. სწორად შერჩეული მუკოლიზური საშუალება ხშირ შემთხვევაში გართულებების თავიდან აცილების და მკურნალობის ეფექტურობის გაზრდის შანსს იძლევა. ამ თვალსაზრისით ფქოდ-ის (მწველთა ბრონქიტის) დროს უპირატესობა სწორედ აცეტილციისტინს ენიჭება. სწორედ აცეტილციისტინის ჯგუფს მიეკუთვნება **აბს**, ფარმაცევტული კომპანია „სანდოზის“ პრეპარატი, რომელიც ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დროს გამოხატული ეფექტურობით ხასიათდება^{2,3}. უაღრესად მნიშვნელოვანია ისიც, რომ **აბს**-ს ეფექტი არ შემოიფარგლება მხოლოდ მუკოლიზური მოქმედებით: **აბს**-ს განსაკუთრებულია მდგომარეობს მის ანტიოქსიდანტურ მოქმედებაში, რაც დადასტურებულია სამეცნიერო კვლევებით³. სწორედ ამიტომ **აბს** გამოიყენება არა მარტო ქრონიკული ბრონქიტის გამწვავების ფაზაში, არამედ ამ გამწვავებების პრევენციის მიზნითაც^{2,3}. არსებობს მონაცემები იმის შესახებაც, რომ **აბს**-ს გამოყენება ასოცირებულია ფქოდ-ის ე.წ. მწველთა ბრონქიტის დროს ფილტვის ფუნქციური მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან³. სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ, რომ **აბს**-ს რეგულარული და ხანგრძლივი გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ქრონიკული ბრონქიტის გამწვავებების რიცხვს, აუმჯობესებს ზოგად მდგომარეობას და ცხოვრების ხარისხს.

1. Chronic obstructive pulmonary disease (COPD)
Dr Rob Hicks
2. Role of N-acetylcysteine in the management of COPD
Anna M Sadowska, J Verbraecken, K Darquennes, and WA De Backer
3. High Dose N-Acetylcysteine in Patients With Exacerbations of Chronic Obstructive Pulmonary Disease R. Zutin, A. Palamidese, R. Negrin, L. Catozzo, A. Scarda, M. Balbinot
Disclosures
4. Chronic Obstructive Pulmonary Disease (COPD) Fact Sheet
February 2011
5. Chronic obstructive pulmonary disease (COPD)
Fact sheet N°315 November 2012
2/678/GE/26.03.2013

ზურა ყიფშიძის საოცარი თავდასავლავი

„ორ ავიაკატასტროფაში ვარ მოყოლილი“



სახიბო ზურა ყიფშიძისთვის მოგზაურობა დიდი ბედნიერება და შთაბეჭდილებების ზღვაა. არაერთი ქვეყანა აქვს ნანახი და ყველა მათგანიდან ემოციებით დატვირთული დაბრუნებულია. ცოლთან, ლელა გოცირიძესთან ერთად შორ გზებზე საკუთარი ავტომობილითაც ბევრჯერ უვლია. რამდენიმე წლის წინ მსახიობმა ახალგაზრდობა გაიხსენა და ბაქოში ცოლთან ერთად მანქანით წავიდა, თუმცა ქველებურად ველარ ისიამოვნა, სულ თავებზე იწყებდა... ზურა ყიფშიძის მოგზაურობები საოცარი თავგადასავლებითაა სავსე, რომელთა შესახებ საუბარი დაუსრულებლად შეუძლია.

— ბატონო ზურა, რას ნიშნავს თქვენთვის მოგზაურობა, რა შეგრძობებს უკავშირდება?

— ჩემთვის მოგზაურობა ამქვეყნად ყველაზე სასიამოვნო რამაა. სამწუხაროდ, ბოლო დროს ხშირად ვერ ვმოგზაურობ. ბავშვობიდან მოყოლებული, წელიწადში 3-4 თვე საქართველოში არ ვიყავი. დასარტყამ ინსტრუმენტზე ვუკრავდი და ყირიმში საერთაშორისო დასასვენებელ პუნქტში ნუგზარ კვამალთან, თემურ კანდელაკთან, ნუგზარ კერესელიძესთან და სხვებთან ერთად გახლდით. ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი, სულ მოგზაურობაში ვიყავი. ბოლო წლები კი ისე ველარ ვმოგზაურობ. სხვადასხვა ქვეყანაში დავდივარ, მაგრამ ამას დიდ მოგზაურობას ვერ დავარქმევ. მოსკოვში თუ ნავალ სერიალის გადაღებაზე, რომელიც მერე არ გამოდის, უკან ვბრუნდები უფულოდ და ნერვები მემულება.

— გასსენეთ თქვენს ცხოვრებაში ყველაზე დიდი, თუ გნებავთ, მთავარი ან საინტერესო მოგზაურობა.

— ჩემი მთავარი მოგზაურობა 1989 წლის 9 აპრილს დაიწყო და 1991 წლამდე გაგრძელდა. ბედმა გაგვილიმა და 3 წელიწადში უამრავი

„კოლუმბიაში კინალამ ჩაგვაცემენტეს. ვილაც ნახკომანებში, ცოცხა სხვანაიხ ტაბებში მოხვდით. ერთხელს, ამ სახელში 5 ჯაცია ჩაცემენტებელიო. ამ გაუგებხობაში სხელიად შემთხვევით აღმოვჩნდით. ფელი და ხალაცეები ვარქუეთ და გამოგვიშვეს, თოხემ მახილა ჩაგვაცემენტებდენ“.

ქვეყანა ვნახეთ. მადრიდიდან დავიწყეთ, მას მოჰყვა ლათინური ამერიკა, ავსტრალია... მაშინ მოგზაურობის ფულს კომუნისტები იხდიდნენ და სადაც ჩავდიოდით, იქაც ორ კაპიკს გვასვენებდნენ.

— 1989 წლის 9 აპრილი ქართველი ხალხისთვის ტრაგიკული და ამაყ დროს ერთგული მნიშვნელობის თარიღია. ამ დღეს რატომ დაიწყო თქვენი ეს ხანგრძლივი მოგზაურობა?

— ჩვენს თეატრს დიდი გასტროლები

ენცებოდა. მე, რეზო გაბრიაძე, ქეთი დოლიძე და გოგი მესხიშვილი გავემგზავრეთ. პარიზი, გლაზგო, ამსტერდამი, სრონიგენი და ლონდონი უნდა მოგვევლო. თურმე ჩვენს თვითმფრინავს გოგა ხანგრძლივად გადაღებული კასეტა წამოუვლია. 9 აპრილს გამთენიისას გავფრინდით,

„საზღვაგაჩეთ ნასახვლელად სოცა ახასახუველი გახდით, ჩადგან თავის ეხოზე ჰიპი ვიყავი“.

მოსკოვში დავთვერით და 10-ში დილით, როცა უკვე პარიზში ვიყავით, ჩვენი ჩატანილი კასეტა ჩაწრთე. თქვენ ეს ყველაფერი ერთად არ გინახავთ, უბრალოდ გახიციადეთ, მე კი ეს ყოველივე ვნახე. დავიწყე ყვირილი, წამიყვანეთ აქედან, ხალხი დამიხოცეს და აქ რა მინდამეთქი. არ წამომიყვანეს, რა თქმა უნდა. მერე იქაური მასმედიის წარმომადგენლებს შევხვდით, რესტორანში დავგაბატეთ, 9 აპრილის ამბებზე გვეკითხებოდნენ და რეზო გაბრიაძემ დიდი „ციურები“ მოაწყო — შენ „ფსიხი“ ხარო და არაფერი მათქმევინა. თვითონ რა თქვა, კაცმა არ იცის, „უკლებზე“ დაიწყო ლაპარაკი: „კაცმა ის სდელალ სვავიუ პერვუიუ უკუკლუ...“. უნჭიერესი კაცია, მაგრამ...

— თქვენი ყველაზე მდიდარი შთაბეჭდილებები რომელ ქალაქს ან ქვეყანას უკავშირდება?

— გადასარევი სიდედრი მყავდა, ჰერა გოცირიძე. ძალიან ნაკითხი ქალი იყო. გასტროლიდან რომ ვბრუნდებოდი, შთაბეჭდილებებს მას ვუზიარებდი. რაც უნდა მომეყოლა, რომი ხომ არ გინახავსო, ყოველთვის მეკითხებოდა. ესპანეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, ავსტრალია და კიდევ რა არ ვნახე და მეტი არაა უნდა ვნახო-მეთქი. სულ მაინტერესებდა, რა იყო ეს რომი და წავედით, ოლონდ ერთი დღით. მე, ჩემი მეუღლე, გო გურგულია, ნანკა კალატოშვილი და რომა რეკილაძის დისწვილი გავემგზავრეთ. ერთ დღეში რომი როგორ უნდა მოიბრინო? დავიარეთ, რაც კი შევძელით. ეს კი თამრიკო ფოცხიშვილის დამსახურებაა, რადგან თავის დროზე გო გურგულიას (თამრიკო ფოცხიშვილი, გიორგი გურგულიას ყოფილი ცოლი. — რედ.) ასწავლა, რა იყო იტალია.

— გაამართლა თქვენი სიდედრის ნათქვამა?

— ნამდვილად! შემოილი ადამიანი გინახავთ? რომიდან შემოილი დავბრუნდი. ასეთი არაფერი მინახავს! მარმარილოს გამჭვირვალე ქვაში იასმინისფერი ვენები და კაპილარები — სასწაულია! რომი ისეთი ფონია, რომელზეც ვერაფერს დავიდებთ. ესპანეთში ორჯერ ვიყავი, სამწუხაროდ, ბარსელონა ვერ ვნახე, მაგრამ ეს არაფერი. რაც მთავარია, რომი ერთი დღით ხომ მაინც ვიყავი. ასეთი შთაბეჭდილება არაფერს მოუხდენია! ყველა გზა რომისკენ მიდისო, ტყუილად არ თქმულა. შთაბეჭდილი იყო რომი, თუცა არც ამერიკაა ნაკლები.

— ამერიკაში როდის იყავით?

— გასტროლზე სწორედ მაშინ გახლდით, როცა ჩვენს ქვეყანაში გადატრიალება მოხდა. აეროპორტს გაიფიცა და გავიჭედეთ ამერიკაში. ვაშინგტონში ოჯახებში დავგვანაწილეს. მასსოვს ჯორჯ ბუშის დაბადების დღე რკინიგზის სადგურზე. სახლიდან თეატრამდე ის ტერიტორია უნდა გავგველო. ერთ დღესაც აღმოჩნდა, რომ ვაგზლის ტერიტორია მუყაოში იყო შემოვლილი. რა ხდება-მეთქი, ვიკითხე და პრეზიდენტის დაბადების დღეს ვიხდითო. წარმოვიდგენითა, ჩვენმა პრეზიდენტმა რკინიგზის სადგურზე რომ გადაიხადოს დაბადების დღე?

ისიც წარმოიდგინეთ, ამერიკაში რა დონის სადგურია, რომ პრეზიდენტის დაბადების დღეს იხდიდნენ!

საოცარი ხალხი ცხოვრობს ამერიკაში. ჩვენი გარდამავალი მერიოდი ყველამ გაიზიარა. ოჯახის უფროსს 5-6 მანქანა ჰყავდა. „აუდი“ გამოიყვანა და წავედით. რალაც წიგნი მომცა, ვკითხე, რა არის-მეთქი. მითხრა, შტატების წესები და კანონები, სხვა შტატში მივედივართ და მათი კანონები თუ არ გვეცოდინება, ვერ წავალთო. ანუ იქ ძალიან წესიერი ხალხი ცხოვრობს, თუმცა ბევრი რამ ისეთი აქვთ, რაც არ მომწონს.

— მთავალითად, ამერიკელების რა არ მოგეწონათ?

— საკუთარ თავს მეოცე საუკუნის კაცად ველო. ჩვენ ისეთი რთული პერიოდი გავიარეთ, როცა იარაღს ვიბიდან კანფეტით ვიღებდნენ, დანაზე არაფერს ვამბობ. ჩემს დროს ძალიან ბევრი მიმტყველობდა და სიბორო იყო. ამერიკაში კი ეს ყოველივე უცხოა. მიმტყველობით ნორმალური ურთიერთობა მყარდება.

— როგორც ვიცო, დიდი ავტომობილურ ბრძანდებო. მასწავლით ვამოგზაურათ?

— როგორ არა?! მე და ჩემი ცოლი დონეცში, უდანოვში, მოსკოვსა და კიევში სულ მანქანით დავდიოდით. მაშინ ეს ყველაფერი ადვილც იყო. რამდენიმე წლის წინ ბაქოში გადაღება მქონდა. ცოლს ვუთხარი, ლელკა,

„შემილი ადამიანი გინახავთ? ხომიდან შემილი დავბიხენდი. ასეთი ახაფეხი მინახავს!“.

თბილისი-ბაქო რომ დავბოდიშ, წამოდი, ახალგაზრდობა გავისწვროთ-მეთქი. 12 საათის სავალი გზა არაფრად ჩავადგეთ და წავედით მანქანით. საზღვარს გავცდით და აღმოჩნდა, რომ ჩემი ცოლის პასპორტი ვადაგასული ყოფილა. დავითარსეთ, უკან მოგვბრუნეს. მეორე დღეს ავიღეთ პასპორტი და ისევ წავედით.

შეიადრ ალიევის მიმართ ძალიან დიდი სიმბათობით ვარ განმსჭვალული, მაგრამ ცნობილია, რომ მისი მმართველობის დროს აზერბაიჯანი ყველაზე კორუმპირებული ქვეყანა იყო. ჩავედით თუ არა ბაქოში, პოლიციამ პირველივე შესახვევში გაგვანერა — ერთი საათი დავიდეთ, გადაღებულ მასალას მოიტანენ, სადაც ჩანს, თუ როგორ დავრღვეთ მოქრაობის წესიო. მოკლედ რომ გავთხრა, ბაქოში წასვლანამოსვლისას 600 დოლარი გზებზე ჯარიმებისთვის უნდა გაითვალისწინო. პოლიციისთვის ყოველ შესახვევში ფული უნდა მიგეცა. როგორც გავიგე, ახლა ასეთი რამ აღარ ხდება, მაგრამ მაშინ მე და ჩემმა ცოლმა ისეთი გადავიტანეთ, რომ აღარაფერი გვინდოდა.

ბაქოდან რომ წამოვედით „მაზინი“ დავუდე, 20 კმ/სთ სიქარით ვივლი და ფულს ველარავინ მოგვთხოვს-მეთქი, მაგრამ წავედე.

— კომფორტული მოგზაურობისთვის რა გჭირდება?

— სადაც უნდა იმოგზაურო, თუ კარგად განწყობილი ადამიანები გხვდებიან, სულ რომ დასაძინებელი ადგილი არ გქონდეს და კარავში გეძინოს, ასეთი მოგზაურობა ყოველთვის სასიამოვნო იქნება.

— ვინ არის თქვენთვის ყველაზე სასურველი თანატოლკაცი?

— ყველაზე დიდ სიამოვნებას ჩემს ცოლთან ერთად მოგზაურობით ვიღებ, რადგან ისიც ჩემნაირი ტიპია. კი არის ჯაჯლანა და „ქველი ბიჭი“, მაგრამ მასთან ერთად მოგზაურობა ძალიან მიყვარს.

— რაზე „გეგავჯანებთ“?
 — ისევე ჩემი ჯანმრთელობის გამო მეგავჯანება. უნდა, რომ სულ ფიზიკური ვიყო. თვითონ ძალიან ფიზიკური ადამიანია, მაგრამ მას რომ რაღაც სტკივა, ძალიან მწყინს, მინდა, ვუშველო და ამის საშუალებას არ მძლევს. მე და ჩემი ცოლი ერთმანეთის გადარჩენასა და სიყვარულზე ვჩხუბობთ, თორემ არანაირ გაუგებრობას ადგილი არ აქვს.

— **შეიღებთან ერთად ვიმოგზავრებით?**
 — გიორგი პატარა იყო, როცა გადავწყვიტე დაშვავა. შვილები დიდ ექსპედიციებში არასდროს წამიყვანია. მე, ჩემი ცოლი და გიორგი ერთხელ თურქეთში წავიდეთ და ისე მომიშა-

„ავსტრალიაში ყველა ვინც მანქანას აჩეხება, გასაღებს უკანა ბოხბალებს და მოკლედ გამაგიჟებს!“

ლეს ნერვები, კვარიათში გამოვბრუნდი. იმთ ეგონათ, დიდი ფულით მიმყავდა და გემებში დაანყვს, არადა ბევრი ფული არ მქონდა წაღებული. მოკლედ რომ გითხრათ, გაუგებრობა მოგვივიდა, თურქეთში რაღაც სამინილელებში „გავიჩითე“ და გამოვექეცი.

— **რამდენჯერ ქალაქში მოგზავრდათ ყველაზე მეტად თავისი სიღამისათ?**

— პრალა საოცრება! მახინჯ შენობას ვეძებდი და ვერ ვიპოვე!

— **თქვენს მოგზაურობებში საინტერესო, კალიბრული ადამიანებიც მრავლად შეგვხვებოდნენ.**

— ავსტრალიაში მოგზაურობა ძალიან კარგად მასწავლდა. სასტუმროს მენეჯერი გადასარევი ტიპი იყო. საიდანაღაც მასსოვარ-მეთქი, ვუთხარი. არ გახსოვს, პარიზში რომ დაგვხვდით. მერე რას წუწუნებდი-მეთქი. მაშინ ფული არ მქონდა, ახლა ბევრი მაქვსო და „ფორდის“ მარკის ავტომობილი დამიქირავა. რა ჯანდაბად მინდა, ამხელა ავსტრალიაში სად წავიდე-მეთქი. პლაჟზე მაინც ივლიო. მერე დავფიქრდი. იქ „შმოტკეპი“ არ არსებობს, მაშატივით და, ნიფხვებით დადიან. გასაღები სად წავიღო-მეთქი, ვვითხე. გაიხედა-გამოიხედა და სადაც ტიპები დებენ, შენც იქ დადეო. დავაკვირდი და ყველა, ვინც მანქანას აჩეხებდა, გასაღებს უკანა ბორბალებს დებდა. მოკლედ გამაგიჟეს! მანქანა უკან ჩავაბარე და ტროლიბუსითაც მშვენივრად დავდიოდი.

— **თუკარის დასთან, კოლეგებთან ერთად მოგზაურობა რთულია?**

— გადასარევი! ავსტრალიაში ფესტივალზე გახლდით. ძალიან საინტერესო არქიტექტურულ ნაგებობაში დიდი ბარია პატარა სცენით. ერთსაათიანი სცენა უნდა დადგა, რომ მიხვდნენ, რა უნდა ითამაშო. „დონ ჟუანის“ ნაწყვეტებს ვერ ვითამაშებდით. გვახსოვდა, რომ ერთხელ იქ რუსთაველის თეატრმა იმერსა. ავდექით და ჩვენც იგივე გავითამაშეთ. ჩემი სიმღერა ხომ წარმოგიდგენიათ? ერთი საათის განმავლობაში ქართულ სიმღერებსა და საგალობლებს ვმღეროდით. ჩვენს გამოვლას ცნობილი ჯაზმენები ესწრებოდნენ და აღფრთოვანება ვერ დაძალებს. ნინო ბურდულას და რამაზ იოსელიანის დაბადების დღეზეც კი მოვიდნენ, თანაც გიტარებით, ოლნდ თქვენ უნდა იმღეროთო. ამხელა ჯაზ-მენები ხართ, დაუტკარით, რა დროს ჩვენი სიმღერაა-თქო, ვუთხარი. არაო, გადაირიგენ. ასეთ სიმღერებს მღერით და ჯაზში რა მოგწონთო, მაინც გვამღერეს.

— **დასთან ერთად მოგზაურობის დროს კურთხევს ბევრია...**

— კი. ერთხელ კოლუმბიაში, ბოგოტაში, მე და ჩემი კოლეგა და მეგობარი, ამირან ამირანაშვილი დავიკარგეთ. კინალამ ჩაგვაცემენტეს. ვილაც ნარკომაზებში, ცოტა სხვანაირ ტიპებში მოვხვდით. გვიტხრეს, ამ სახლში 5 კაცია ჩაცემენტებულიო. ამ გაუგებრობაში რაულიად შემთხვევით აღმოჩნდით. ფული და რაღაცები ვაჩუქეთ და გამოგვიშვეს, თორემ მართლა ჩაგვაცემენტებდნენ.

ჩვენ რომ გვგონია, ყველა ქართველებივით სტუმართმოყვარეა, ასე არაა, ზოგი იმსაც ფიქრობს, რაღაც რომ გასიამოვნა, თურმე იმაში უნდა გადაუხადო. ჩვენ რომ ამდენს ვერ ვტვიზავთ, იალღიშებიც ამიტომ გვემართება. ამაზე მეტი კურიოზი რაღაც მოგიყვებ, კინალამ ჩაგვაცემენტეს!

— **საბჭოთა პერიოდში საზღვარს ისე ვერ გასცდებოდათ, „კაგუკე“-ს თანამშრომელი რომ არ წამოგყვლიდათ. შიგრაგდით ამ ადამიანებს?**

— აბა, რა, მაგათ რა გამიფერა უნდოდათ?! მადრიდშიც თან გვახლდნენ და იმდენს დავგდევდნენ, თვითონვე იმიფერებოდნენ. თან მადრიდი პირველი ქალაქი იყო, სადაც გამიშვეს. საზღვარგარეთ წასასვლელად ცოტა არასასურველი გახლდით, რადგან თავის დროზე შიპი ვიყავი. ჯინსებზე, გრძელ თმსა და ბუჭებზე გვიჭერდნენ. ემინოდათ, საზღვარგარეთ არ დავრჩენილიყავი. ჩემი ქვეყანა ისე მიყვარს, სად უნდა დავრჩენილიყავი?

მოკლედ, ჩემი მადრიდში წასვლა კაკო დავლიშვილმა და რეზო ჩხეიძემ თავის თავზე აიღეს. „კაგუბეშისკ“, რომელიც გამომაყოლეს, მე ვუვეციდი, სადაც მშატიუბდნენ, ყველგან თან დავათრევდი. წამოდი-მეთქი, რომ ვეტყოდი, ჯერ არ მომიყვებოდა, გამო-მამზარებდნენო. ვის რა ჯანდაბად უნდისარ, წამოდი-მეთქი და მაინც მიმყავდა. ვენაცვალე სულში, თავის საქმეს აკეთებდა. „ბაჟინზე“, დიდ ფართებზე დავ-

„ყველაზე დიდ სიამოვნებას ჩემს ცოდნან ერთად მოგზაურობით ვიღებ, ხაფან ისევ ჩემნაიხი სტოპა. ჯი ახის ჯავანა და „ძველი ბიჭი“, მაგჩამ მასთან ერთად მოგზაურობა ძალიან მიყვარს... მე და ჩემი ცოლი ერთმანეთის გადარჩენასა და სიყვარულზე ვჩხუბობთ.“

დიოდით. ყველა საცურაო კოსტიუმში იყო და ეს შარვალ-კოსტიუმსა და ჰალსტუხში იწვებოდა. რაღაც გამოამკარავებო უნდოდა!

— **ესპანელები ქართველებს ჰგვანან?**

— იქ ისეთი ერი ცხოვრობს, თავი სახლში მეგონა. ესპანელები ქართველებს ძალიან ჰგვანან. ბასკებთან ურთიერთკავშირი ტყუილად არ არის. 1987 წელს უცბათ კარგი საქართველო ვნახეთ.

— **უცხოეთში საყიდლებზე სიარული თუ გაყვართ?**

— ამ საქმის დიდი მოყვარული არ გახლავართ. პატარა ბუტიკები იმიტომ მიყვარს, რომ ერთი ჯინსი კიღია და ბევრი ძებნა არ მჭირდება. დიდ მაღაზიებს, ბევრ სიარულსა და ტანსაცმლის არჩევის პროცესს ვერ ვიტან და საყიდლებზე არც არავის დავყვები. მიყვარს, როცა უცხოეთში ფული მაქვს, ბუტიკში შევალ და ერთ რაღაცას ვიყიდი. ჯინსების გარეშე ვერ

ვძლებ და სულ ვყიდულობ. სათვალეებიც ძალიან მიყვარს, ვყიდულობ, მაგრამ ძირითადად ვკარგავ ან ვინმეს ვჩუქნი.

მეგობრებისთვის საჩუქრებიც ხშირად ჩამომავს. მადრიდში მე და ამირან ამირანაშვილი მალაზიებში დავდიოდით, „ინსპექტორებზე“ სერიოზული გართობა გვეკონდა და ვეძებდით. რომელიღაც მალაზიის ვიტრინაში ორი წყვილი იდო — თეთრი და ყავისფერი. ფერებიც დავისაკუთრეთ. ინგლისური ცუდად ვიცით და დავუწყეთ გამყიდვლს ასხნა. დარწმუნებულხარ, რომ ამის ყიდვა გინდათო, გვკითხა და ჩვენც დავეთანხმეთ. ამოიღო ფესსაცმელი და სასწაული ფასი დაახეთქა. გადავირეთ! რა იყო, მერსედესისა-მეთქი, ვიკითხე. ბოლოს აღმოჩნდა, რომ „გოლფის“ სათამაშო ფესსაცმელი ყოფილა. წარმოგიდგენიათ, ჩვენ, გოიმები, გოლფის ფესსაცმელს ვყიდულობდით.

— **საზღვარგარეთ აღბათ ლამაზი ქალებს-კენაც აპარებდით თვალს. ყველაზე მომხიბვლელი მანდილოსნები სად ნახეთ?**

— ვენესუელაში. იქ სქელს, დაბალსა და მსუქანს ვერ შეხვდებით, ყველა ქალი ლამაზია. ასეთი სილამაზე არსად მინახავს. ხომ ამბობენ, იტალიელებს ლამაზი ქალები ჰყავთო, კი, ბატონო, მაგრამ ვენესუელაში ყველა სიმპათიურია. ასეთი ლამაზი ერი არსად შემხვედრია. ტყუილად არ არის, რომ „მის მსოფლიოს“ და

„მიყვარს, როცა უცხოეთში ფული მაქვს, ბუტიკში შევალ და ერთ რაღაცას ვიყიდი. ჯინსების გარეშე ვეხ ვძლებ და სულ ვყიდულობ.“

სილამაზის სხვადასხვა ტიტულები სულ ვენესუელელ ქალებს აქვთ.

— **უცხო კერძების დაგემოვნებაც გეყვარებათ.**

— დიდი მჭამელი არ გახლავართ, მაგრამ გამორჩეული საჭმელები მიყვარს. ნიუ იორკში ჩემმა მეგობარმა ისეთ რესტორანში წამიყვანა, ასეთი კერძები არსად გამიხინჯავს. შეიძლება ბევრს არ ვჭამ, მაგრამ პატარა-პატარა გემრიელი რაღაცეები მიყვარს. ზღვის პროდუქტებზე ვვიყვები, ყველზე ხომ — საერთოდ! გენიალური რამაა. ნებისმიერ ქვეყანაში და თან ყველაფერთან ერთად შემიძლია მივირთვა.

— **თვითმფრინავში კომფორტულად გრძნობთ თავს?**

— ორ ავიატრასტროფში ვარ მოყოლილი. პირველად 13 წლის ვიყავი. „მაცი ხვიტისა“ გადაღების დროს სვანეთიდან ზუგდიდში მივეფრინავდით. ნაძვის ხეს დავუტაკეთ, რომელიც ორივე ფრთას შეერჭო და ასეთ მდგომარეობაში ვიფრინეთ ზუგდიდამდე. აღმოჩნდა, რომ მფრინავი მთვრალი ყოფილა. დაიჭირეს, მაგრამ ყველას ძალიან შეეშინდა. მეორე შემთხვევა სტუდენტობის პერიოდში მომიხდა. მოსკოვიდან თბილისში მოვეფრინავდით. თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა, დავეშვით მიწაზე, ჩააქრეს, დავგმუშვიდეს და გზა განვაგრძეთ. ვილაც ლიპიანი კაცები აღარ ამოვიდნენ, შეეშინდათ.

— **უახლოეს სიამაყალში აპირებთ სადამე გამგზავრებას?**

— ყველგან ვაპირებ წასვლას, მაგრამ ეს სიამოვნება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მოგზაურობას დიდი ფული უნდა. ევროპელები და ამერიკელები მთელი ცხოვრება ატროვებენ ფულს, რომ სიკვდილის წინ ყველაფერი მოიარონ და ეს სიამოვნება თან წაიყოლონ. ჩემს საყვარელ ადამიანთან ერთად მსოფლიო მოვიარო, ამას რამე სჯობია?

ხალხსო, ერთხელ ვცხოვრობთ, უნდა ვიმრომოთ, ფული დავაგროვოთ და, როგორც ამერიკელები იტყვიან, მოგზაურობით სიბერეში მაინც დავტკბები, ამაზე დიდი სიამოვნება არ არსებობს!

✓ **სოფო ბოჭორიძე**



ჰაიფა — ისრაელის ლამაზი ნაპირი



ჰაიფა

ჰაიფა ისრაელის სიდიდით მესამე ქალაქი და უდიდესი საზღვაო პორტია. ქალაქი ამ ადგილას ჯერ კიდევ რომის იმპერიის პერიოდში დაარსდა. ერთ-ერთი ვერსიით, ქალაქის სახელწოდება ებრაული სიტყვების „ჰაფ“ -ისა და „იაფ“ -ს სინთეზის წარმოადგენს, რაც ლამაზ ნაპირს ნიშნავს. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ეს სახელი ქალაქმა ძველი არამეული სიტყვა „ჰაფა“ -დან მიიღო, რაც ასევე ნაპირს ნიშნავს.

მცხე ხამ ისყოიიდან

მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილას ებრაელები ძველთაგანვე ცხოვრობდნენ, ქალაქის ისტორიის ათვლას რომელთა ბატონობის დროიდან იწყებენ, თალმუდის დროს (ძვ.წ.ალ-ით V-III საუკუნეები) აქ ებრაული დასახლება იყო. 1880 წლიდან ჰაიფამ იმდროინდელი პალესტინის მთავარ პორტს, აკოს პირველობა ჩამოართვა და სწრაფად დაიწყო განვითარება.

გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ჰაიფა ისრაელში დაბრუნების მსურველთა მთავარი კარიბჭე გახდა და ჯერ გერმანიიდან, მოგვიანებით პოლონეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნიდან ნაცისტურ რეჟიმს გადარჩენილი ებრაელების უდიდესი ნაწილი პალესტინაში სწორედ ჰაიფას გავლით მოხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი მთელ ახლო აღმოსავლეთში ტოლერანტობით გამოირჩეოდა, ებრაულ-არაბული კონფლიქტი მასაც არაერთხელ შეეხო.

ეკონომიკა

ჰაიფასათვის ხმელთაშუა ზღვის კლიმატი დამახასიათებელი. ცხელი ზაფხული, სასიამოვნო გაზაფხული და შემოდგომა, ხოლო ზამთარი გრილი და სველი იცის. ზამთარში ტემპერატურა იშვიათად ეცემა 5 გრადუსზე დაბლა. თოვლი კი 1950 წლის შემდეგ არ უნახავთ. ზაფხულში საშუალო ტემპერატურა 26 გრადუსია.

მაღალი ტენიანობის მიუხედავად, ნალექი ზაფხულში იშვიათია.

ფული

ჰაიფას, ისევე როგორც მთელი ისრაელის, ეროვნული ვალუტა ახალი შეკელია. 1980 წლამდე მიმოქცევაში ისრაელის ფუნტი იყო, შემდეგ ის ძველმა შეკელმა შეცვალა. 1985 წლიდან მიმოქცევაში ახალი შეკელი შემოვიდა.

გაითვალისწინეთ, რომ ქალაქის სასტუმროებსა და რესტორნებში საფასურის გადახდა დოლარებში ხდება. რაც შეეხება საკრედიტო ბარათებს, მათ თავისუფლად გამოიყენებთ და ნებისმიერი დაწესებულების პერსონალი მაღალეირიც კი დაგჩნებათ.

ენა

ჰაიფა ორენოვანი ქალაქია. იქ ორი

სახელმწიფო ენა გამოცხადებული — ებრაული და არაბული. შესაბამისად, საგანმანათლებლო სისტემაც ორენოვანია.

ტურისტულ ადგილებში თავს ძირითადად ინგლისური ენა გავრავიანდა. ადგილობრივები ინგლისურ ენას საფუძვლიანად ფლობენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ენობრივი ბარიერი არ შეგექმნებათ, რადგან თარჯიმნები ყველა ტურისტულ ზონაში მრავლად არიან და მათი დაქირავება არცთუ ისე ძვირია.

ხილიცა

რელიგიას ადგილობრივების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ყველაზე მეტი ებრაელი ცხოვრობს. მოსახლეობის 75,4% ებრაელია, 20,6% — არაბი, დარჩენილ რაოდენობას კი ემიგრანტები წარმოადგენენ.

ქალაქში და შესაბამისად ქვეყანაში რელიგიის თავისუფლება. ჰაიფას მოსახლეობის უმეტესობა (75,4 პროცენტი) იუდაიზმის აღმსარებელია, 4 პროცენტს მუსლიმები შეადგენენ, ხოლო 14 პროცენტს — ქრისტიანები. დარჩენილი რაოდენობა თავს რელიგიურად არ მიიჩნევს ან სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარია.

გადაადგილება

ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ჰაიფაში მოხვედრა ადვილია. ქალაქს საკუთარ აეროპორტთან ერთად ახლომდებარე ბენ გურიონის საერთაშორისო აეროპორტიც ემსახურება, რომლის მიმართულებითაც ნებისმიერი ქვეყნიდან ხორციელდება ფრენები. ორივე აეროპორტიდან ცენტრამდე მატარებლით, ავტობუსით და ტაქსით მიხვალთ. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას 8 დოლარად შეძლებთ, ხოლო ტაქსი, სულ მცირე, 30 დოლარს მაინც გამოგართმევთ.

ისრაელის სხვადასხვა ქალაქებიდან ჰაიფას მიმართულებით ყოველდღიურად სრულდება ავტობუსებისა და მატარებლების რეისები. ტურისტების უმეტესობა კი ქალაქში ჩასვლას გემით ამჯობინებს.

ჰაიფას ტერიტორიაზე სამომაროდ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ავტობუსი უკონკურენტოა, ხოლო სისწრაფით მეტრო ლიდერობს. აღსანიშნავია, რომ ჰაიფას მეტრო ერთადერთია მთელ ისრაელში. მას 8 სადგური აქვს და რატომღაც ცოტა მგზავრი ჰყავს, ამიტომ დასაჯდომ ადგილს, სხვა საზოგადოებრივი ტრანსპორტისაგან განსხვავებით, ადვილად იპოვით.

ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასი 1,5 დოლარია. თუ ფული საკმარისად გაქვთ, მანქანის დაქირავებას უპრობლემოდ შეძლებთ.

სამზახელო

ისრაელის ტრადიციული კერძები ძირითადად ზღვის პროდუქტებითა და ბოსტნეულით მზადდება. ეროვნულ სამზარეულოზე მეზობელი ქვეყნების გავლენა აშკარაა. ქალაქში მრავლადანა სწრაფი კვების ობიექტები, რომელთაგანაც ყველაზე პოპულარული იტალიური პიცის რესტორანი „ბაროა“, სადაც მსოფლიოში უგემრიელეს ლიმონათს 15 ახალ შეკვლად დააგემოვნებთ. სწრაფი

კვების ობიექტებში ტურისტების სტუმრობის მთავარი მიზეზი უგემრიელესი ბარბექიუა, რომლის დაგემოვნება 20 დოლარი დაგიჯდებათ. ტრადიციული კერძებიდან აღსანიშნავია ჰუმუსი.

ალკოჰოლი ჰაიფაში საკმაოდ მოთხოვნილია. ადგილობრივები უპირატესობას ღვინოს ანიჭებენ, ხოლო ტურისტები რატომღაც — ლუდს.

ლიხსესანიშნაობები

როგორც ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქალაქი, ჰაიფა საერთაშორისო ტურიზმისათვის მიმზიდველი ადგილია. ის ქვეყნის უმთავრესი საპორტო ცენტრია. მისი მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა მთა კარმელია, რომელზეც ძვ.წ.ალ-ით IX საუკუნეში ელია წინასწარმეტყველი ცხოვრობდა, დღეს კი ელიტური საცხოვრებელი სახლები და გასართობი ცენტრებია განლაგებული.

ჰაიფას ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია ჯვაროსნების მიერ აგებული კარმელიტების ორდენის მონასტერი, ჰერცევის ქუჩაზე მდებარე ჰაიფას დიდი სინაგოგა და ულამაზესი ბალებით გარშემორტყმული ბასიის ტაძარი.

ჰაიფა მუზეუმების სიმრავლითაც გამოირჩევა. ყველაზე ხალხმრავალი მცენიერების ეროვნული მუზეუმი, რომელსაც ყოველწლიურად 150 ათასი მნახველი ჰყავს. ასევე აღსანიშნავია ჰაიფას მუზეუმი და იაპონური ხელოვნების მუზეუმი.

არ შეიძლება, არ ვახსენოთ ქალაქის მთავარი ტურიტული ცენტრი — ბაჰაიზმის მსოფლიო ცენტრის შენობა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს როგორც წმინდა ადგილს პილიგრიმთათვის, ისე ბაჰაიზმის საერთაშორისო ადმინისტრაციულ ცენტრს. ის მოიცავს 20-ზე მეტ ადმინისტრაციულ ოფისს, პილიგრიმთა შენობებს, ბიბლიოთეკებს, არქივებს, ისტორიულ რეზიდენციებს და სალოცავებს. ყველა ზემოჩანათვლილი სტრუქტურა 30-მდე ინდივიდუალური ბაღის შუაგულშია მოქცეული. 2008 წელს იუნესკომ ეს შენობა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიტანა.

ესაფიხობების ნუსხები

ჰაიფაში გამგზავრებამდე კარგი იქნება, თუ ყველა საბუთს მოაწესრიგებთ. შინაური ცხოველის, ძაღლის ან კატის ყოლის შემთხვევაში, თუ მათი ასაკი 2 თვეს აღემატება, საზღვრიდან უკან გამობრუნება გარანტირებული გაქვთ.

ებრაულ ენაზე ერთობ მორწმუნენი არიან. მათ რელიგიურ ნუსებს უდიდესი პატივი უნდა სცეთ. ჰაიფაში უზრდელობას, განსაკუთრებით კი მომსახურე პერსონალის მიმართ, არავინ გააპატიებთ. თუ არ დაგაპატიმრეს, ჯარიმას მაინც გადაგახდევინებენ.

რაც შეეხება პირადი ნივთების დაკარგვას ან ძარცვას, ეს ტურისტულ ადგილებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხშირია, ამიტომ დიდი ყურადღების გამოჩენა გმართებთ.

უბის ნიგნაი

ქვეყანა — ისრაელი;
ქალაქი — ჰაიფა;
მოსახლეობა — 266.300;
ფართობი — 63,666 კვ.კმ;
ოფიციალური ენა — არაბული, ებრაული; ფული — ახალი შეკელი.

✓ მიაჩხადა თათია ბოჭორიძე

რა იქნება ბავშვის მეტყველების ბავშვის მიღება



სატარები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ დაყო ბავშვები ოთხ ტიპად იმ უნარების მიხედვით, რომელთა გამოვლენას ისინი 3-4 წლის ასაკიდან იწყებენ. აღმოჩნდა, რომ პატარების ხასიათის ტიპს მათი მეტყველების ტემპიც გვაძინებს.

პატარა სანგვინიკები ამაღლებული განწყობისანი არიან, გამოირჩევიან კარგი მადით, ღრმა ძილით, ძლიერი იმუნიტეტით.

პატარა ქოლერიკები აქტიურობით გამოირჩევიან, მუდმივად მოძრაობენ, აქვთ უშრეტო ენერჯია, მათთვის ნებისმიერი აკრძალვა მტკივნეულია, მაგრამ სიბრაზე და წყენა ძალიან მალე ავიწყდებათ.

ფლეგმატიკები მშვიდი ბუნებისანი არიან, მაგრამ ძალიან უჭირთ გრძნობების გამოხატვა. ბუნებით ოპტიმისტებს პრობლემების გადაჭრა შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ, რათა დასახულ მიზანს მიაღწიონ.

მელანქოლიკებს, როგორც წესი, სიახლის მიმართ შიში აქვთ. გამოირჩევიან ემოციურობით. მაგალითად, მთელი დღე შეუძლიათ იტირონ, თუ სათამაშო გაუტყდათ. მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნა.

რაც შეეხება მეტყველებას, სანგვინიკებისა და ქოლერიკებისათვის ნორმალური ტემპია დამახასიათებელი, მაგრამ ქოლერიკები სანგვინიკებთან შედარებით სწრაფად ლაპარაკობენ. ნერვიულობისას პატარა ქოლერიკი კიდევ უფრო უმატებს ლაპარაკის სისწრაფეს, იბრუნება მისი სუნთქვის სიხშირეც, პატარა იწყებს ერთი და იმავე სიტყვის რამდენჯერმე გამეორებას ან ყლაპავს სიტყვებსა და ასოებს.

ამ სიტუაციაში საჭიროა მისი ყურადღების გადატანა სხვა რამეზე, თორემ შეიძლება გამოიწვიოს საუბრის ტემპის მნიშვნელოვანი დარღვევა. ეს საკმაოდ ხშირი ჩივილია 2-5 წლამდე პატარებში. თუ ბავშვი მშვიდ და წყნარ გარემოში ცხოვრობს, მშობლების მხრიდან სიყვარული და სითბო არ აკლია, როგორც წესი, პრობლემა არ მწვავედება, პირიქით, მოკლე დროში ყველაფერი თავისით გვარდება.

მშობლებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ ასეთ პატარასთან არ შეიძლება ჩხუბი და ძალდატანება, რომ ნელა ილაპარაკოს. ასეთი

მიდგომა სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს და ბავშვის ფსიქიკურ და ემოციურ მდგომარეობაზე ძალიან ცუდად აისახება. პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია შვილის მიყვანა ლოკოპედთან, ნევროლოგთან და ფსიქოლოგთან, რომ მიზეზი დადგინდეს და მკურნალობის მეთოდი შეირჩეს.

ესმის, მაგრამ არ ლაპარაკობს

ფლეგმატიკებსა და მელანქოლიკებში, სხვა ტიპებთან შედარებით, უფრო ხშირია ლაპარაკის დაწყების შეფერხება. ამ შემთხვევაში მათი ფსიქიკური განვითარების ტემპი შედარებით შენელებულია, მაგალითად, ფლეგმატიკმა შესაძლოა 3-4 წლის ასაკში აიღვას ენა ერთბაშად და გამართულად დაიწყოს ლაპარაკი.

მელანქოლიკების საუბრის ტემპი სხვებთან შედარებით თითქოს უფრო შენელებულია, მათთვის დამახასიათებელია ე.წ. განელები ლაპარაკი. თუ გენეტიკას გამოვრიცხავთ, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს რომელიმე სომატური, ფსიქიკური ან ნევროლოგიური დაავადებით.

რა ვქნათ?

მთავარია, არ ჩავარდეთ პანიკაში. ნებისმიერი მცირედი პრობლემაც კი არ უნდა დატოვოთ უყურადღებოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვის კვალიფიციურ სპეციალისტთან მიყვანა, კონსულტაცია, გამომწვევი მიზეზის დადგენა და მკურნალობის ჩატარება აუცილებელია.

ბავშვის მეტყველება პატარა ასაკიდანვე რომ სწორი იყოს, როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, მნიშვნელოვანია მასთან მშობლის კომუნიკაცია. ბევრი ელაპარაკეთ, მიუხედავად იმისა, ესმის თუ არა აზრი, უკითხეთ ნიგნები, მინიმუმამდე დაიყვანეთ კომპიუტერთან და ტელევიზორთან გატარებული დრო. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბავშვის ნერვული სისტემა არ გალიზიანდეს და არ აღიგზნოს.

რავოლუსია კუჭში

ხოგოხ დავამახცხოთ დისბაქტერიოზი

თუ ბავშვს ღამით ცუდად სძინავს, აწუხებს მუცლის არეში ტკივილები, დარღვეული აქვს კუჭის მოქმედება (აშლილი აქვს), შებურღილი აქვს მუცელი, ეს ნიშნავს, რომ დისბაქტერიოზის ალბათობა ძალიან მაღალია. რა მეთოდებით შეიძლება ამ დაავადების დამარცხება?

კუჭ-ნაწლავის სისტემაში ბინადრობენ როგორც სასარგებლო, ისე მავნე მიკრობები. თუ მათი ბალანსი ოპტიმალურია, ბავშვის თვითშეგრძობება ნორმალურია, მაგრამ თუ ეს ბალანსი დაირღვა, როგორც წესი, თავს იჩენს „რევოლუსია კუჭში“ ანუ დისბაქტერიოზი.

ასეთ დროს პედიატრის ვერდიქტი, როგორც წესი, მშობლის მიერ აღწერილ ჩივილებს ეფუძნება. სპეციალური ანალიზების ჩატარების შემდეგ ინიშნება მკურნალობის კურსი, რომელიც მიმართულია მიკროფლორის ბალანსის აღდგენისკენ.

დისბაქტერიოზის არსებობა აფერხებს რკინის შეწოვისა და შეთვისების პროცესს, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი ვიტამინების შეთვისებასაც, როგორცაა: დე, კა და ბე ჯგუფის ვიტამინები, კალციუმი. ამიტომაც, რომ დისბაქტერიოზის დროს ბავშვის ორგანიზმი ვერ ახერხებს აუცილებელი ნივთიერებებით შევსებას. დროთა განმავლობაში კი ეს მდგომარეობა პრობლემებს წარმოშობს, მაგალითად, რკინადეფიციტურ ანემიას, რაქიტს, ავიტამინოზს. მინერალების დეფიციტმა შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის ზრდა-განვითარების შეფერხება, იზრდება დაავადებების სისშირეც, მაგალითად, გაციების.

დისბაქტერიოზის დროს შესაძლოა მუცლის ტკივილი იმდენად ძლიერი იყოს, რომ ბავშვი შეუწყვეტილ ტიროდეს. თავს ყველაზე ცუდად ჭამიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ

გრძნობს, რადგან ნაწლავებში შემცირებულია ბიფიდობაქტერიები, რომლებიც ნაწლავების პერისტალტიკას უზრუნველყოფს.

არსებობს ორი სახის დისბაქტერიოზი — პირველადი და მეორადი. პირველადის განვითარების მიზეზი შესაძლოა გვიან დაწყებული ძუძუთი კვება იყოს, არასაკმარისად მიღებული ხსენი (რძის წინამორბედი სითხე), ასევე ხელოვნურ კვებაზე ჩვილის ნაადრევად გადაყვანა, მეძუძურობის პერიოდში დედის მხრიდან მიღებული ანტიბიოტიკები და ჰორმონული პრეპარატები.

მეორადი დისბაქტერიოზის განვითარების მიზეზებია კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დაავადება, მაგალითად, ქოლერისტიტი, გასტრიტი, ჰეპატიტი, პანკრეატიტი, ნეკროზოვანი დაავადებები და სხვა, ანუ დაავადებები, რომელთა დროსაც ორგანიზმში ნორმალური მიკროფლორა მნიშვნელოვნად მცირდება.

ჩვილების შემთხვევაში დისბაქტერიოზის წინააღმდეგ მკურნალობის უნივერსალური იარაღი ძუძუთი კვებაა. თუ არსებობს სერიოზული მიზეზი, რომ შეწყდეს ძუძუთი კვება, ამ დროს კვალიფიციურმა პედიატრმა ზუსტად უნდა შეარჩიოს პატარასთვის საჭირო ხელოვნური საკვები, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს პრეობიოტიკებს.

თუ დისბაქტერიოზი შორსნასულია, ექიმები ბაქტერიოფაგებსაც ნიშნავენ. მნიშვნელოვანია დიეტაც. რაციონში შექცინებითა და უჯერდისით გაჯერებული საკვები უნდა იყოს.

დაბოლოს, დისბაქტერიოზის მკურნალობა შესაძლოა დროში გაიწელოს (2 კვირიდან 6 თვემდე) და ეს საგანგაშო არ არის. მთავარია ექიმის რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულება და საჭირო კვებითი რეჟიმის დაცვა.

✓ **მიამზად ნათია ტოტიკაშვილმა**

სოლის სიყვარულმა მოლაპტე ქმარი მოჯახში დააბრუნა

„ჩემი შვილი და რძალი ცხოვრების თავიდან აწეობას ცდილობენ“

დამაკაცის ცხოვრებაში შეიძლება დადგეს მომენტი, როცა ახალი შეგრძობების ძიების სურვილით სხვა ქალთან გააბას რომანი, ის სითბო და ერთგულება დაივიწყოს, რასაც ცოლი ჩუქნის, ოჯახზე გული აიცრუოს და ვნების მორევში ჩაეფლოს. ამ ცდუნების წინაშე ე.წ. ძლიერი სქესის დიდი უმრავლესობა უძლურია, თუმცა არიან გამონაკლისებიც. ოჯახური კერიდან გაქცეულთაგან ზოგს მალევე უნათდება გონება და საკუთარ შეცდომას ხვდება, ზოგი კი ბოლომდე გზააბნეული რჩება. ზოგს უმართლებს და უარყოფილი ცოლი პატიობს, მის ღალატს სიყვარულით და მიტევებით პასუხობს. ზოგი კი სამუდამოდ განწილებული რჩება...



ვნახოთ, რა გზა გაიარა ჩვენი რესპონდენტის, ქალბატონ ელენეს ვაჟმა ნამდვილი სიყვარულიდან ბრმა ვენებამდე და უკან.

მკვლელობა:

— ადრეულ ასაკში გავთხოვდი სიყვარულით. სანამ შეყვარებულები ვიყავით, მე და ჩემი მომავალი ქმარი ერთმანეთს ვუგებდით, საერთო ენას ვპოულობდით, მაგრამ თანაცხოვრებისას ყველაფერი შეიცვალა — ერთმანეთისთვის სრულიად უცხოები აღმოვჩნდით, სასიათებით ვერაფრით ვენწყობოდით. მუდმივ დაძაბულობაში ვცხოვრობდით. თუმცა, ძველი სიყვარულის ერთგულებით ან იქნებ სხვა მიზეზით, ერთმანეთს ვერ ვთმობდით. ბოლოს ჩემმა ქმარმა გამოსავალი იპოვა, „თავს უშველა“ და სხვა ქალთან წავიდა. ასე გადაწყდა ჩვენი ოჯახის ბედი. შვილთან ერთად ჩართო დავრჩი. მაშინ ჩემი ბიჭი 8 წლის იყო.

— შვილის გაზრდაში ყოფილი ქმარი გეხმარებოდა?

— ჩემმა ქმარმა ის ქალი ცოლად შეირთო და მასთან შვილები შეეძინა. ასე რომ, ახალ ოჯახზე გადაერთო. ჩვენი ვაჟი, თორნიკე, მხოლოდ იშვიათად ახსენებოდა, ისიც მაშინ, თუ მის აღზრდაში პრობლემები შემექმნებოდა და დახმარებას თავად ვთხოვდი. დარღვეული ოჯახების ბავშვებს გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ, დათრგუნულები და კომპლექსიანები ხდებიან. ჩვენც ამ პრობლემის წინაშე დავდექით. ეს ყველაფერი დიდი ძალისხმევის ფასად გადავლახეთ.

თორნიკე გაიზარდა, უნივერსიტეტი დაამთავრა და მუშაობა დაიწყო. იმავე წელს ცოლი მოიყვანა. მართალია, 21 წლის ასაკში ვაჟისთვის დაოჯახება, ცოტა არ იყოს, ნაადრევია, მით უფრო, როცა ზურგს არავინ გიმარებს, მაგრამ სიყვარულიც დიდხანს ვერ იცდის.

— როგორი რძალი შეგვყავდა?

— ღვთის მადლით, ჩემი ვაჟის ქორწინებამ გაამართლა. მისი მეუღლე, თამთა, არაჩვეულებრივი გოგოა — ჭკვიანი, ინტელექტუალური, წინდახედული, გემოვნებიანი, თანამედროვე. შევიძინათ ნიკუშა — შესანიშნავი ბავშვი, გონებააბსვილი, აზრიანი. ცოლი თორნიკეს ყოველმხრივ უწყობდა ხელს კარიერის აწყობაში, ოჯახურ ურთიერთობებშიც. ცდილობდა, მისთვის გაეგო, სულ უყვავებდა, ხელს აფარებდა... წლების განმავლობაში ისე ჰარმონიულად ცხოვ-

...
„ღაინახა, რომ მისი ქმარი უგუნურ მდგომარეობაში იყო და, როგორც ავადმყოფს, ისე მიუფდა. ყველანაირად ერწადა, მისთვის გონს მოსვლის საშუალება მიერა, რდილობდა, დარდი გულში ჩაეკლა“.
 ...

რობდნენ, ალბათ თითზე ჩამოსათვლელი იქნებოდა შემთხვევა, როცა ერთმანეთში უსიამოვნება ჰქონდათ. კამათი და აზრთა სხვადასხვაობა ყველა ოჯახშია. ნამდვილად ბედნიერი ოჯახი ჰქონდათ და ამით ვნარობდი, თუმცა, როგორც ჩანს, ცხოვრება მაინც ვერაგია, დიდხანს სიხარულს და მშვიდად ყოფნას არ გაცდის...

— თქვენ შვილის ოჯახს შეეხმობა რაიმე?

— განსაცდელი ჩვენს ოჯახსაც დაატყდა თავს. ჩემი ვაჟი სამსახურიდან ორთვიანი მივლინებით გაუშვეს საზღვარგარეთ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მივლინება გაუხანგრძლივეს და ეს ორი თვე შვიდ თვედ იქცა. თამთა ყველაფერს გაგებით და შეგნებით მოევიდა, ექვთიანობა არ სჩვეოდა. თავად ჩაულაგა ქმარს ბარგი და გაამზავრა. ერთმანეთს ინტერნეტით ყოველდღე ესაუბრებოდნენ, მარადიული შეყვარებულებივით იყვნენ.

— მაგრამ, როგორც ჩანს, რძალც მოხდა.

— როგორც ჩანს, თორნიკესთვის ეს შვილი თვე ცხოვრების განმსაზღვრელი აღმოჩნდა. ჩამოვიდა სულ სხვა ფსიქოლოგიით, სხვა დამოკიდებულებებით.

— მენტალური სხვაობა გახდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის განსეთქილების საბაბი თუ სხვა მიზეზიც იყო?

— სხვა მიზეზიც იყო. უცხოეთში ყოფნისას თორნიკემ გაიცნო ერთი მომხიბლავი ქართველი გოგო, სალომე, რომელიც იქ ასევე მივლინებაში იმყოფებოდა. დროთა განმავლობაში დაახლოვდნენ და მათ შორის გრძნობამ იფეთქა. ალბათ მნიშვნელოვანწილად ამან განაპირობა ჩემი ვაჟის ასეთი სახეცვლილება. უცხოეთიდან ჩამოსულს ახალი ეტაპი დაუდგა, სამსახურში დაანინაურეს, მაღალანაზღაურებად ხელფასზე გადაიყვანეს, პირადი ცხოვრება კი აერია. ცოლთან ურთიერთობა ძალიან გაუჭირდა. ერთი თვის განმავლობაში გაუთავებელ

კამათში იყვნენ, ერთი სული ჰქონდა, სახლიდან როდის გაიქცეოდა, ღამით კი გვიან ბრუნდებოდა.

— თბილისში სალომესთან შესვედრებს ავრძლებდა?

— მასთან ერთად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დადიოდა, თანაც — დაუფარავად.

— ამ ფაქტს ოჯახში, ცოლთან როგორ ხსნიდა თუ უბრალოდ მალავდა?

— თავიდან არაფერს ამბობდა, მაგრამ, როცა უკვე ამკარა გახდა, ცოლს ყველაფერი მოუყვა.

— თამთა ამ ფაქტს როგორ შესვედა, თორნიკეს აბატია?

— ჩემი რძალი განონანსობრებულად და ჭკვიანი გოგოა. დაინახა, რომ მისი ქმარი უგუნურ მდგომარეობაში იყო და, როგორც ავადმყოფს, ისე მიუდგა. ყველანაირად ეცადა, მისთვის გონს მოსვლის საშუალება მიეცა, ცდილობდა, დარდი გულში ჩაეკლა, ჩემთანაც კი არაფერს ამჟღავნებდა. თორნიკეზე თუ რაიმე საყვედური წამომცდებოდა, იქვე მჩერებდა. ერთი სიტყვით, ქმარს ხელს აფარებდა.

— თქვენ საიდან შეიტყვეთ, რომ თქვენს ვაჟს გვერდზე რომანი ჰქონდა?

— სამწუხაროდ, მე ყველაზე გვიან შევიტყვე. ერთ საღამოს მე და თამთა ტელევიზორს ვუყურებდით და ერთი ლონისძიებიდან პირდაპირი რუპორტაჟი აჩვენეს. ცნობილი პიროვნება ჟურნალისტს ინტერვიუს აძლევდა, მის უკან კი ამკარად გამოჩნდა თორნიკე, რომელიც ხელგადახვეული იდგა იმ გოგოსთან. „უი, თორნიკე! — მექანიკურად წამომცდა, — ხომ არ მეშლება?“ არადა დაგვებარა, სამსახურში თათბირი გავქვესო... თამთას სახე აელენა და მეორე ოთახში გავიდა. მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

— ალბათ თქვენს შვილს დაეკლარაკეთ. ეს ფაქტი როგორ აგისხნის?

— მომიყვა, რაც დაემართა.

— ანუ გაითნაო, სხვა შემთხვევად?

— საშუალება არ მივეცი, ეს სიტყვა წარმოეთქვა. განვუმარტე, რომ სიყვარული და ვნება სხვადასხვა ცნებებია და დამიანს, სანამ გამამწყვეტ ნაბიჯს გადადგამს, საკუთარ თავში გარკვევა მართებს. თორნიკემ მიიხრა, სალომე ჩემი ახლო მეგობარია.

...
„ორი წელი დასჭირდა გონზე მოსასვლელად. ამ ხნის განმავლობაში დარწმუნდა, რომ ის, რაჯ სალომესთან აკავშირებდა, მხოლოდ ვნება იყო. ნამდვილი სიყვარული კი თამთას მიმართ ჰქონდა“.
 ...

ერთად კარგად ვართ, თამთასთან კი ურთიერთობა აღარ გამოდის, თუ ასე გაგრძელდა და ერთმანეთს დავლით, ცოლს გავშორდებო. იმაზე კი არ ჰქონდა აქცენტი, რომ ეს ურთიერთობა თვითონ დაარღვია, თამთაზე მიჰქონდა იერიში, ძალიან შეიცვალა და მშვიდად ცხოვრებას არ მაცლისო. ეს ჩემი შვილის მსჯელობას არ მკავდა, ასეთი უსამართლო არასდროს ყოფილა.

მიხვდები, რომ თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, სულიერად ავად იყო.

რა ზომები მიიღო?

— ვცდილობდი, მისთვის თვალი ამეხილა, თუმცა შვილის მდგომარეობა იმდენად განვიცადე, რომ ბოლოს ნერვებმა მიმტყუნა და ლოგინად ჩავვარდი. მშობელი ძალაუნებურად შვილის საქციელზე პასუხისმგებლობას იღებს და სწორედ ეს განცდა მკლავდა. საკითხისადმი მისი ეგოისტური მიდგომა მაგიჟებდა, ასეთი არასდროს ყოფილა. როგორ შეეძლო, ვილაც გოგოს გამო ანგელოზივით ცოლ-შვილი გაეწირა?! ნიკუშას არაფერს მოვაკლებო, მითხრა. არადა მამამისის გაკვეთილი წინ ედო — რამდენი რამ მოაკლდა იმის გამო, რომ მას სხვა ცოლ-შვილი ჰყავდა. თუმცა ამ შემთხვევების შედარება არც შეიძლება: მამამისი რომ სხვა ქალთან წავიდა, ეს კანონზომიერი იყო, მაგრამ თორნიკეს შემთხვევაში ასე არ ითქმის — ის ხომ ბედნიერ ოჯახს სხვა ქალის გამო არღვევდა.

თამთას მდგომარეობას ძალიან განვიცდიდი, უზომოდ მეცოდებოდა. ნამდვილად არ იყო იმის ღირსი, რომ ქმარს სხვა ქალის გამო მიეტოვებინა, მას ხომ თორნიკეზე ნამდვილად დიდი ამაგი ჰქონდა.

— არის მეთორმეტი მოქმედი: როცა ადამიანი არმეც ცხოვრებას ეწყება, ის ამით ყველაზე მეტად ზარალიღება. აღბათი თქვენი შვილის საგადასო მდგომარეობაც არანაკლებ გავლენიანია.

— რა თქმა უნდა, ორ ცეცხლშუა დგომა ძალიან ძნელია. ასე დიდხანს ყოფნა ფსიქიკას აზიანებს, ამიტომ ჯობია, საკითხი დროულად გადაიჭრას. ვუთხარი, რომ

„ჩემს შვილს მამის გაკვეთილი წინ ედო — რამდენი რამ მოაკლდა იმის გამო, რომ მას სხვა ცოლ-შვილი ჰყავდა“.

თამთას და ნიკუშას არავითარ შემთხვევაში შინიდან არ გაუშვებდი და დანარჩენი თავად განესაზღვრა, როგორ მოქცეულიყო.

რა გადაწყვიტა?

— ოჯახიდან წავიდა, ბინა იქირავა და იმ ქალთან ერთად დაიწყო ცხოვრება. ორი წელი დასჭირდა გონზე მოსასვლელად. ამ ხნის განმავლობაში დარწმუნდა, რომ ის, რაც სალომესთან აკავშირებდა, მხოლოდ ვნება იყო. ნამდვილი სიყვარული კი თამთას მიმართ ჰქონდა. კიდევ კარგი, სალომე არ დაორსულდა და შვილი არ გაუჩინა, თორემ თორნიკე ვერაფერს გადაწყვეტდა და მუდმივად სასწორზე მდგომი უარესად დაიტანჯებოდა.

— ამ ხნის განმავლობაში თქვენთან და ცოლ-შვილთან რა ურთიერთობა ჰქონდა?

— ძალიან მძიმე წლები გადავიტანეთ. თავიდან თითქოს მიწყრებოდა, რომ არჩევანი მისი ცოლ-შვილის სასარგებლოდ გადაკეთე, სახლში მოსვლა არ უნდოდა. არც მაინცდამაინც ცოლ-შვილის წინაშე გრძობდა პასუხისმგებლობას. როგორც ჩანს, მთლიანად ვნების მორევში იყო გადაშვებული, მაგრამ როდესაც ვნება ჩაცხრა, თანდათანობით გამოერკვა და სალომესთან ცხოვრება არც მთლად საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მოეჩვენა. მერე მიხვდა თავისი ცოლ-შვილის ფასს.

ოჯახს დაბრუნდა და თამთაც მიიღო?

— ღვთის მადლით, ცოლს შუერიგდა. კიდევ კარგი, ამ ორი წლის განმავლობაში თამთამ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო და ცალკე, პირადი ცხოვრების მოწყობაზე არ იზრუნა. რამდენი ქალია, ქმრის ლალატის შემდეგ შურისძიებაზე რომ ფიქრობს.

— თორნიკემ ცოლთან დარღვეული ურთიერთობა როგორ აღადგინა, დაკარგული წაბა როგორ დაიბრუნა?

— გულწრფელი მონანიებით და ქცევებით. ახლა ცხოვრების თავიდან აწყობას ცდილობენ. ღმერთმა ქნას, ყველაფერი დალაგონ, მით უმეტეს, რომ ორმხრივი სურვილია. ნიკუშაც იმ ასაკშია, განსაკუთრებით რომ სჭირდება მამის მხარდაჭერა. ძალიან განვიცდიდა უმამობას.

— შვილის საქცელობა თავის დროზე ღოგინად ჩაგადგო. ახლა როგორ ხარ?

— ხომ გაგიგონიათ გამოთქმა, რამაც მომკლა, იმან მომარჩინაო. შვილის დაბრუნებამ გამომაცოცხლა, ნერვები დამიწყნარა, ახალი ენერგიით ამავსო. ვფიქრობ, ყველა დავადადება თანდათან აღაგდება და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნებდი.

✓ ნანა კობახიძე



კანის განსაკუთრებული მოვლა გაზაფხულზე

გაზაფხულზე ჯანსაღი კანიც კი მცემს. მისი კანზე სხივები კოლაგენს ზიანს აყენებს. გამოიყენეთ დამცავი კოსმეტიკური საშუალება ულტრაიისფერი ფოტონით.

სახლში სახესა და სხეულზე იზრუნეთ. გამოიყენეთ ანტიმჟანგავები. პირველ რიგში, ნატურალური პროდუქტები, რომლებშიც ბევრი C ვიტამინია.

განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება თვალბის ირგვლივ კანს. ამ ზონაში კანქვეშა ცხიმოვანი უჯრედები პრაქტიკულად არ არსებობს და კანი ადვილად იჭიმება. შედეგად, ნაოჭები, შემუშება ჩნდება. გაზაფხულზე რეკომენდებული არ არის პროფესიული პილინგი. განმედა კანის მგრძობელობას ულტრაიისფერი სხივების მიმართ ამაღლებს.

გაიკეთეთ დამატენიანებელი ნიღბები. დილით — დამამშვიდებელი დამატენიანებელი კრემი, ხოლო საღამოს მკვებავი წაისვით. მოერიდეთ ცხარე, მარილიან და შემწვარ კერძებს. უპირატესობა მიანიჭეთ ქორფა ხილსა და ბოსტნეულს, კარგად გამოიძინეთ და სუფთა ჰაერზე ხშირად იყავით — ყველაფერი ეს არამხოლოდ გაზაფხულის დაღლისა და ავითამინოზის დაძლევის ეხმარება, ამავდროულად თქვენს სახეზე საუფეთესო კუთხით აისახება.

ფოთლები და ყვავილები სიღამაზისთვის

გაზაფხული უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს, მცენარეთა მრავალფეროვნებით ვისარგებლოთ. ისინი გვეხმარებიან, გარეგნობა შევიცვალოთ, კანი ახალგაზრდული, სუფთა, მოჭიმული გავხადოთ. მრავალმარტივად შეუცვლელი საშუალებაა კანის სწრაფად მოსავლელად. მისი ნაყენით (1 ს.კ. ფოთლებს 1 ჭიქა მდულარე დასახით) მშრალი და მგრძობიარე კანი გაიწმინდეთ.

ჭინჭარი კანში მიმდინარე გაცვლით პროცესებს აძლიერებს, კანს რბილსა და ელასტიკურს ხდის, სისხლის მიმოქცევასა და სახის ფერს აუუმჯობესებს.

ბაბუაწვერა უნივერსალური კოსმეტიკური საშუალებაა კანისა და თმისთვის. დაბრთლებული ფოთლებისა და თაფლის ნარევის ნიღბი კანს ახალგაზრდავებს. ყვავილების ნაყენი (1 ს.კ. ყვავილებს 1 ჭიქა მდულარე დასახით) დასაბანად, კოსმეტიკური ლოსიონის ან კოსმეტიკური ყინულის მოსამზადებლად გამოიყენეთ.

პიტნის ახალდაყენებული ჩაი შესანიშნავად ეხმარება ფერიმჭამელბისა და სხვა გამოწყარის გაქრობას. სასარგებლოა როგორც ჩაის სახით დალევა, ასევე სახის განმედა. მგრძობიარე კანისთვის შეუცვლელია პიტნის ფოთლებისა და სახამებლის ნიღბი-ვისელი. თუ კანი მომჭკნარია, მაშინ ამ შემადგენლობაში რძე ან მცენარეული ზეთი დაუმატეთ.

ოსრახუმი ჭორფლისა და პიგმენტური ლაქებისგან გათავისუფლების შესანიშნავი საშუალებაა. ჭორფლის გასაფერვლად გამოიყენეთ ოსრახუმის ახალგამოწურული წვენი სველი საფენების ან კომპრესის სახით.

ჭინჭრის, ბაბუაწვერას, პიტნისა და მრავალმარტივას რამდენიმე ფოთლო დააქუცმაცეთ. აღნიშნული ბალახების თითო კოვზი აურიეთ. 1 ჩ.კ. გადადუღებული წყალი, 1,5 ჩ.კ. თაფლი დაუმატეთ და კიდევ აურიეთ. ნიღბი სახის კანზე 20-25 წუთი დაიდეთ, შემდეგ გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

თუ კანი ძალიან მშრალია, დაიბანეთ ჩაის ან გვირილის, ცაცხვის ყვავილის, ხალების, პიტნის ცივი ნაყენით. მოხარშეთ, როგორც ჩაი. 20 წუთი დადგით და განურეთ. დაბანის შემდეგ სველ კანზე თქვენი ჩვეულებრივი მკვებავი კრემი წაისვით. 5-7 წუთის შემდეგ ხელსახოცით მოიწმინდეთ.

პრაქტიკულად ნებისმიერი სამკურნალო მცენარისგან შეგიძლიათ მწვანე ნიღბი მოამზადოთ, მაგრამ უმჯობესია ბალახთა ნაკრები გამოიყენოთ. მაგალითად, გვირილის, პიტნის, მრავალმარტივას 1 ს.კ. ნარევის 1 ჭიქა მდულარე დასახით. როდესაც გაგრილდება, განურეთ. 1 ს.კ. სახამებელი დაუმატეთ და მოურიეთ. სახეზე დაიდეთ, ნახევარი საათის შემდეგ ცივი წყლით ჩამოიბანეთ. იგივე ნიღბი გამოიყენება ხელის კანის დასარბელებლად.

✓ მიამზადა აზა გაგოშიძემ

გიგი უანდერი: „გოგოს კარგად ჩასვა და ლაპაზი მუსიკის მოსმენა უხდება“

26 წლის მუსიკოსის გიგი უანდერის (ჭიპაშვილი) ცხოვრებაში ჯერ არ გამოჩენილა ქალი, რომელსაც თავისიანად ჩათვლის და სიყვარულს აჩუქებს. სჭირდება ადამიანი, რომელსაც მუსიკა მასავით ეყვარება და მათი გემოვნებაც ამ მხრივ ერთნაირი იქნება. თავის დროზე, ამერიკაში ცხოვრებისას, იტაურმა გოგონებმა იმედი გაუტრუსეს, მათთან საერთო ენის გამოჩნახვა ვერ შეძლო. გიგი ამბობს, რომ ქალს, ვისაც ცხოვრების თანამგზავრად აირჩევს, ამქვეყნად ყველაფერს მიუძღვნის და დაუთმობს, მუსიკალური კარიერის გარდა.

— გიგი, როგორ ფაქტობთ, სასურველი სახისი ხართ?

— ეს ქალებმა უნდა გადანწყვიტონ, მაგრამ ალბათ ვარ. არ ვსვამ, არ ვწევი, ვვარჯიშობ, ჩემი საქმე მიყვარს და რატომ უნდა ვიყო არასასურველი სახისი?

— თქვენთვის როგორი გოგონა იქნებოდა სასურველი?

— ძალიან გემოვნებიანი უნდა იყოს და, რაც მთავარია, მუსიკალურად. გოგოს კარგად ჩაცმა და ლაპაზი მუსიკის მოსმენა უხდება. ოღონდ ძალიან მაგარ მუსიკას

„ვინც შემეყვარება, იმ ქალთან ისეთი უხიოხითობა მექნება, ახასოფებს მილატებს. სითბოთი და უხიოხებით იმდენ ხამეს მივცემ, ჩემ მიმართ გულცივი ვეხახეხოს გახდება.“

არავის გაუფიქრებია.

— საყვარელი არასოდეს გწვევიათ?

— საზღვარგარეთ მქონდა რომანი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ის სერიოზული არ იყო. სხვათა შორის, რაც საქართველოში ჩამოვედი, რომანი არავისთან მქონია და ყველა ჩემი მეგობარი თუ ნაცნობი ამაზე გიჟდება.

— არც არავის მოგწონებიათ?

— როგორ უნდა მომწონებოდა, როცა კონტაქტი არავისთან მქონია?! გოგოსთან ერთად ერთი დღითაც არსად გამოსეირნია. ურთიერთობა თავისით უნდა აეწყო და ასეთი ჯერ არავინ შემხვედრია.

— ამერიკელი გოგოები როგორები არიან?

— ვერ ვიტყვი, რომ ქართველებისგან რამით განსხვავდებიან. ისიც არ მესმის, ჩვენს გოგოებზე რომ ამბობენ, ის გახსნილია და ის ჩაკეტილიაო. ერთი ის ვიცი, რომ ვინც შემეყვარდება, ჩემთვის სასურველი ყველა თვისება ექ-

ვერანაირად გაუზუბდავ. ჩემი საყვარელი ქალი კულტურული და ძალიან ღრმა უნდა იყოს. ყველა ცხოვრებისეულ საკითხში უნდა ერკვეოდეს, ნებისმიერ თემაზე საუბარში აყოლა უნდა შეეძლოს. არც თავის მეგობრებთან უნდა ეშლებოდეს რამე და არც ჩემებთან. რაც მე გავაკეთე, ბევრი ვიკითხე, დავუკარი და ვუსმინე, ხომ მინდა, რომ ჩემს საყვარელ ადამიანს გიჟივით ანთებულად გადავცე? ამიტომაც მინდა, რომ გოგო, რომელიც მეყვარება, ამ ყველაფერში ერკვეოდეს. რასაც ვგრძნობ, ამ ყოველივეს ქალს თუ ვერ გადავცემ და მისგან სიცივეს ვიგრძნობ, ჩვენ შორის დიდი კედელი აღიმართება. ეს ხომ ჩემი ყოველდღიური ცხოვრებაა, ამას ვერანაირად შევცვლი და ხვალ ფეხბურთის თამაშს ვერ დავინწყებ.

— როგორი გარეგნობის გოგონები მოგწონთ?

— პირველ რიგში, ქალი ძალიან მოველილი უნდა იყოს და დანარჩენს მერე შევხედავ. ფორმაში უნდა იყოს, მაგრამ გამხდარი გოგოები არ მომწონს, მოდელურებს დიდ უპირატესობას არ ვანიჭებ. ძალიან ქალური, ნაზი და შესახედად სასიამოვნო უნდა იყოს. შეიძლება გრძელთმიანი გოგოც მომეწონოს, მაგრამ თამამად შემოძლია განვაცხადო, რომ ქერა ქალისკენ არასოდეს გადავიხრები.

— რატომ ასე კატეგორიულად?

— არ ვიცი, ბავშვობიდან ასე ვარ. ქერა გოგო არასოდეს მომწონდა.

„ამეხიჯაში გოგოებს ვეჩაფხის გაუგებ, ყვადს გეჩიფხენდობა უნდა, წინასწარ ათახვავა ჰიხოხას გიყენებ. ეს კი ახ მომწონს.“

ნება და უცხოელ გოგოებთან შედარება არ დამჭირდება.

ამერიკაში გოგონების 40% ძალიან ერთნაირია. ისეთი შეურაცხადი ტიპები არიან, მათ ვერაფერს მოვთხოვ, ვერც ჩემი მოსაწონი მუსიკის მოსმენას და ვერც კლასიკურად ჩაცმას. სხვანაირად არიან ალბრდილი. იქ დახვეწილი გოგონებიც არსებობენ, მაგრამ შეუბოჭილები და ამერიკულ სტილზე გაზრდილები. ასეთ გოგონებს თავიანთი პრინციპები და კანონები აქვთ და სულ დასაბუთებით გელაპარაკებიან. 5 წელი ერთად ვიაროთ და მერე — ვნახოთო. სად უნდა ვიარო 5 წელი?! ეს ჩემთვის ისეთი მიუღებელია, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ.

— თქვენ როგორი ურთიერთობის მომხრე ხართ?

— ერთგული ვარ და ვისაც შევიყვარებ, მთელი ცხოვრება იმ გოგოს გადავყვები. ძალიან თბილი და ყურადღებიანი ვარ... ამერიკაში გოგოებს ვერაფერს გაუგებ, ყველას გერლფრენდობა უნდა, წინასწარ ათახვავარ პირობას გიყენებენ. ეს კი არ მომწონს.

— ქალის მთავარ ღირსებად რა მიგაჩნიათ?

— ძალიან ყურადღებიანი და ერთგული უნდა იყოს, მაგრამ ესეც მამაკაცისგან უნდა გამომდინარეობდეს. ქალს იმას არასდროს მოვთხოვ, მე სადაც მინდა, გადავუხვევ და შენ ჩემი ერთგული უნდა დარჩემეთქი. ვინც ნამდვილად მეყვარება, ამას

და. ადრე ბრიჯიტ ბარდო მხიბლავდა და ისიც არ გახლავთ ქერა.

— ბრიაჯიტ ბარდო თქვენი კერპია?

— არა, ქალის იდეალი არასოდეს მყოლია. სოფი მარსოც მომწონდა.

— რა ასაკის ქალს ანიჭებთ უპირატესობას?

— ჩემზე უფროსი თაობის წარმომადგენელს ბევრს ვიცნობ და ვმეგობრობ კიდევ. ახლა რომ ვუფიქრებდი, 17-18 წლის ასაკში ისინიც გიჟობდნენ და ცელქობდნენ, მაგრამ ჩვენს თაობას ცოტათი მირჩვენია. ჩემს თანატოლ გოგონებსაც შევხვედრივარ სერიოზულებს, მაგრამ იმ თაობას უფრო დალაგებული ახალგაზრდობა ჰყავდა. ისე, არასერიოზულ ქალთან კონტაქტი არასოდეს მქონია.

— ქალს არასერიოზულობად რას უთვლით?

— არასერიოზულ ქალს არაფერი აინტერესებს და ძალიან დაბნეულია. საქციელსაც დიდ ყურადღებას ვაქცევ. არ მიყვარს, როცა ქალი სვამს. სიგარეტზე არაფერს ვამბობ, რადგან ბევრ ქალს უხდება კიდევ. კლუბური ამბები იმდენად არ მიზიდავს, იქ მოსიარულე ქალიც არ მომწონს.

უნდა უსმენდეს. განათლებასაც არანაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებ. მოკლედ რომ გითხრაო, გოგო, რომელიც მომეწონება, ძალიან ჩემიანი უნდა იყოს. ჩემს სტივ უანდერის სტილში თუ გამოყვება, მომეწონება. თუ უხარისხო მუსიკას უსმენს და ჩემს საყვარელ მუსიკაზე ამბობს, მოძველებულიაო, ამ დროს ვითიშები. არ აქვს მნიშვნელობა, გოგო რა პროფესიისაა, მთავარია, გემოვნებიან მუსიკას უსმენდეს.

— გემოვნებით ჩაცმას რას უწოდებთ?

— კლასიკურად, ძალიან დახვეწილად ჩაცმული ქალები მომწონს. როგორც 40 წლის წინანდელი მუსიკა მიყვარს, ასევე მიყვარს ქალზე ძველი სტილის სამოსი.

— სპორტულად ჩაცმული გოგოსკენ თვალი არ გაგაქცევიათ?

— ვარჯიშის დროს კლასიკურად ვერც ჩაიცვამს, მაგრამ ტიპაჟს და გამომეტყველებას რომ შევხედავ, მივხვდები, ის სხვა სიტუაციაში როგორი ჩაცმული იქნება. გოგოსთან ერთიერთზე რამდენიმე ხანს რომ დავრჩე, უკვე ვხვდები, ვინ არის.

— ანუ ქალის წინაგანი ბუნების გამოცნობა ადვილად შეგიძლიათ?

— ყოველ შემთხვევაში, ქალისგან მოტყუებული არასოდეს დავრჩენილვარ, რადგან მათთან მიმართებაში ძალიან სერიოზული ვარ. ქალი ჩემთან ახლოს თუ მოვუშვი, მერე შეიძლება მთელი ცხოვრება ასე დარჩეს.

— ესე იგი ჯერ თქვენამდე არც ერთი ქალი მიგიშვიათ, რადგან მართლსაღებო ხართ?

— ახლა რომ ვუფიქრებდი, არა. ჯერ



სომ გეუბნებით, ცოტა ძველმოღუ-
რი ვარ.

— საყვარელ ქალს რას არ
აბატიებთ?

— ვინც შემიყვარდება, იმ
ქალთან ისეთი ურთიერთობა მექ-
ნება, არასოდეს მიღალატებს. სით-
ბოთი და ერთგულებით იმდენ რა-
მეს მივცემ, ჩემ მიმართ გულცივი
ვერასდროს გახდება.

— როცა ვიყვართ ან მოგწონთ,
როგორია წარსული ურთიერთობაში?

— რაც მთავარია, ეჭვიანი
ნამდვილად არ ვარ. საყვარელი
ქალისთვის ძალიან დამჯერი ვიქ-
ნები. როცა მივხვდები, რომ ის

ფაბრეზასი მამა გახდა

ესპანეთის ნაკრებისა და კატალონიური კლუბის „ბარ-
სელონას“ ნახევარმცველ ფრანცესკ ფაბრეგასს ჩემპი-
ონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალური მატ-
ჩის დროს, რომელიც „კამპ ნოუზე“ გაიმართა (მისი კლუბი
ფრანგულ კლუბ პსუ-ს დაუპირისპირდა (1:1)), გოგონა
შეეძინა.

თავად ფეხბურთელმა ამ სასიხარულო ახალი ამბის
შესახებ მატჩის მთავარი მსაჯის საფინალო სასტვენის
შემდეგ შეიტყო და მაშინვე იმ საავადმყოფოსკენ გაემშურა,
სადაც მისმა მეგობარმა ქალმა დანიელა სემანმა იმშობიარა.

ესპანელი ფეხბურთელი პირველად გახდა მამა.
ბედნიერმა მშობლებმა გოგონას ლია დაარქვეს.



■ ფრანსესკ ფაბრეგასი

გულგარეული ფანები ფეხბურთელების ავტობუსს თავს დაესხნენ

ოულგარეული კლუბის „ლევსკის“ ფანები პოლიციამ კლუბის მოთამაშეებისა და მწვრთნელების
ავტობუსზე თავდასხმის გამო დააკავა.

„პირინ გოცე-დელჩევთან“ „ლევსკის“ გასვლითი მატჩის თამაშით უკმაყოფილო ასამდე
ფანმა თავისი საყვარელი გუნდის ავტობუსს გზა გადაუკეტა, როცა მოთამაშეები და მწვრთნელები
ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ბრუნდებოდნენ. ისინი მათგან განმარტებებს ითხოვდნენ.

საქმეში პოლიციელები ჩაერივნენ, რომლებმაც ოცზე მეტი გულშემატკივარი დააკავეს
საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით.

სერენა უილიამსი ჰოლივუდში თავს იმკვიდრებს



■ სერენა უილიამსი

სპორტსმენები, რომლებიც შოუბიზნესში ჩართვას ცდილობენ,
თითქმის ყოველთვის იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ერთია
სპორტში წარმატების მიღწევა და სულ სხვაა ჰოლივუდში
დამკვიდრება.

გასართობი ინდუსტრია გადავსებულია სპორტსმენებით, რომ-
ლებიც ტელეეკრანებიდან ცდილობენ, საზოგადოებას თავიანთი ნიჭი
აჩვენონ. მათ რიცხვს განეკუთვნება ცნობილი ამერიკელი ჩოგბურ-
თელი სერენა უილიამსიც, რომელმაც გაზეთ „ლოს ანჯელეს ტაიმსს“
განუცხადა: „მე არასოდეს ვთვლიდი ჩოგბურთს ჩემს ერთადერთ
გატაცებად, ყოველთვის მომწონდა სხვადასხვა საქმის კეთება.
უამრავი შესაძლებლობა მაქვს და, დაე, ჩოგბურთი ჩემი პატარა
გატაცება იყოს, რომელიც ოდნავ ხელს უშლის ჩემს სამსახიობო
კარიერას“.

სერენა უილიამსისთვის მსახიობობა დროებით გატაცებას
სულაც არ წარმოადგენს. თავისი სამსახიობო კარიერის დასაწყისში
ის არტისტობის დასახვეწად მასწავლებლებსაც კი ქირაობდა და
რეგულარულად გადიოდა მოსმენებს.

— კასტინგებზე დავედივარ, რათა რეჟისორებმა გაიგონ, რა
შემიძლია, მსურს, ისინი კარგად გაეცნონ ჩემს შესაძლებლობებს და
მაშინ სხვების დუბლიორობა აღარ მომიწევს, — განაცხადა სერენამ.

სპორტსმენის ეპიზოდური როლების სია არც ისე დიდია,
მაგრამ რეგულარულად იზრდება. ასე რომ, გამორიცხული არ არის,
ერთ მშვენიერ დღეს უფრო სერიოზული როლიც მისცენ.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„დახვენიდაც ჩაცმული
ქალები მომწონს.
ხოგოხც 40 წლის
წინანდელი მუსიკა
მიყვარს, ასევე
მიყვარს ქალები ძველი
სტილის სამოსი“.

ადამიანი ჩემი უნდა გახდეს, ყველა-
ფერში მივინდობი, სადაც უნდა, იქ
გაისეირნოს.

— თქვენი მომავალი ოჯახური
ცხოვრება როგორია წარმოსიდგენია-
თ?

— თუ ქალს შემოსავალი
მეტი აქვს, ვერასდროს მივხვდები,
უპირატესობით რატომ უნდა სარ-
გებლობდეს. ჩემს ოჯახში ეს არ
მოხდება. თუ ცოლ-ქმარს შორის
დალაგებული ურთიერთობაა, ყვე-
ლა თავის ადგილზეა. ჩემს ცხოვრე-
ბაში ფული უკანა პლანზე დგას.
მიუხედავად იმისა, რომ საქმეში
ძალიან მჭირდება, ჩემს ცოლს ფულს
არ მოვთხოვ და არც მოთხოვნებს
წავუყენებ. გადაწყვეტილებას მარ-
ტო არასდროს მივიღებ, რადგან
საყვარელი ადამიანი ჩემს ცხოვრე-
ბაში ძალიან დიდ როლს ითამა-
შებს. თუ გასტროლზე წასვლას
დავაპირებ და მთხოვს, არ წახვი-
დეო, არ წავალ. გულს ვერანაირად
ვატყენ.

— საყვარელი ადამიანის გამო
კარიერაშიც უკან დაისევთ?

— არა, ჩემ გვერდით არასო-
დეს იქნება ადამიანი, რომელსაც
ჩემი საქმე არ ეყვარება. ისეთ
გოგოს ვიპოვი, ჩემი საქმიანობა
მოსწონდეს. საყვარელი ადამიანის
გამო, კარიერის გარდა, ყველაფ-
რის დათმობა შემიძლია.

— ქორწინებამდელი ურთიერ-
ობა აუცილებლობად შეგაჩნდა?

— არ ვიცი, ჩემს შემთხვევა-
ში როგორ მოხდება, მაგრამ შემიძ-
ლია დიდი ხნის განმავლობაში
ჯვარიც არ დავინერო იმ ქალთან,
ვისთანაც ვიცხოვრებ. სტატუსს რა
მნიშვნელობა აქვს? როცა ყველა
გაიგებს, რომ ვიღაც გოგოსთან
ვცხოვრობ, ვეტყვი, რომ მიყვარს
და იქ დაიხურება თემა.

✓ სოფიო ბოკორიძე

❖ ჩინეთში კანონით
აკრძალულია ადამიანის
გადარჩენა, თუ ის იხ-
რჩობა. ეს არის ჩარევა
მის ბედში, ამის გაკეთე-
ბა კი უზრალო მოკვდავთ
ეკრძალებათ.

❖ ადამიანი ერთა-
დერთი არსებაა, რომელ-
საც ემოციისაგან ტირი-
ლი შეუძლია.

❖ ტიბეტში ჩაიში
შაქრის ნაცვლად მარილს
ყრიან.

❖ ალექსანდრ ბელის

ეს იცოდი?

მეორე შექმნილი ტელეფონის
აპარატის ოფიციალურად წარ-
დგენის შემდეგ (1876 წელს),
ერთ თვეში მხოლოდ 6 აპარა-
ტი გაიყიდა.

❖ სალფეტი რეზინის პირვე-
ლი ფაბრიკა თომას ადამსონმა
გახსნა 1845 წელს ამერიკაში.

❖ ამერიკაში ტორნადო
ყველაზე ხშირად მაისის თვე-
ში ხდება.

❖ მზის სხივს დედამიწამ-
დე მოლნევისათვის 9 წუთი
სჭირდება.

❖ ყველაზე ძველი პი-
ანინო, რომელმაც ჩვენამ-
დე მოაღწია, 1720 წელსაა
დაწყობილი.

❖ მოცარტმა ოპერა
„დონ ჟუანი“ ყოველგვა-
რი გადათეთრებისა და
შესვენების გარეშე დაწე-
რა. ალსანიშნავია ისიც,
რომ ამ ოპერის შესრულე-
ბისას რეპეტიცია არ გა-
უვლია.

❖ მოცარტი დაასაფ-
ლავეს სამარეში, რომე-
ლიც სხვისთვის იყო გათ-
ხრილი.

მსოფლიოში ყველაზე დიდი იახტა



იახტების მშენებელმა ერთ-ერთმა გერმანულმა ფირმამ 590 ფუტი სიგრძის იახტა შექმნა. მისი სახელია „აზამი“.

იახტა რომან აბრამოვიჩის განთქმულ იახტაზე ბევრად დიდია. ფირმა არ ახმაურებს მფლობელის ვინაობას. სიდიდესთან ერთად „აზამი“ ძალიან სწრაფია, 94.000 ცხენის ძალა აქვს და, ამასთანავე, არცთუ ღრმა წყალშიც კი შეუძლია ცურვა. მის ბორტზე მყოფი სტუმრებისთვის კი საოცარი კომფორტია შექმნილი.

ინგლისელი ფეხმეხი ხდისგან ახაყს ხვის

ინგლისში, დორსეტის საგრაფოში მცხოვრები ფერმერი, ჯეისონ ბარბერი, რძისაგან არყის გამოხდის მეთოდს 3 წლის განმავლობაში ამუშავებდა. 47 წლის ფერმერს ეს იდეა ერთ-ერთი დოკუმენტური ფილმის ნახვის შემდეგ გაუჩნდა. ფილმში არაყს იაკის რძისაგან ამზადებდნენ.

ჯეისონს ფერმაში 250 ძროხა ჰყავს და შესაბამისად რძეც საკმარისად აქვს. ფერმერი არყის გამოხდის საიდუმლოს არ ამხელს. არაყი, სახელწოდებით „შავი ძროხა“, ინგლისის მასშტაბით უკვე იყიდება და 1 ლიტრი 42 დოლარი ღირს.

დრაკონის ხიდი



ვიეტნამის საპორტო ქალაქ დანანგში ახალი ხიდი გაიხსნა, რომელიც დრაკონის ფორმისაა და შესაბამისად დრაკონის სახელით არის ცნობილი. ხიდის განათების შემდეგ დანანგმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საფუძვლიანად არის აღიარებული მსოფლიოში ულამაზესი ხიდების ქალაქად.

ხიდი მდინარე ხანზუა გადებული. მისი მშენებლობა 87 მილიონი დოლარი დაჯდა. დრაკონის ხიდი დაახლოებით 1000 ტონას იწონის, სიგრძეში 666 მეტრია, ხოლო სიგანეში — 37,5. ხიდის გახსნა ქალაქის გათავისუფლების 38-ე წლისთავს დაამთხვავს.

12 კილომეტრი საჭაერო ბურთებით



37 წლის სამხრეთაფრიკელმა მეთ სილვერ ველენსმა ზღვის გავლით კუნძულ რობენიდან კაპშტატამდე მანძილი 160 საჭაერო ბურთის საშუალებით გადაკვეთა.

200 მეტრი სიმაღლეზე 12 კილომეტრიანი მანძილის დასაფარად მას თითქმის ერთ საათი დასჭირდა, მოპოვებული თანხა კი იოჰანესბურგში მშენებარე ბავშვთა კლინიკას გადაურიცხა.

კასი, რომელმაც 50.000 დოლარი მოიგო, კარავში ცხოვრობს

ბრიტანელი უსახლკარო, რომელმაც ლატარიაში ჯექ პოტი მოიგო, ცხოვრებას უწინდებურად ტყეში გაშლილ კარავში აგრძელებს. 58 წლის დენის მათური 1978 წლიდან მოყოლებული ტყეში ცხოვრობს. მან ლატარიის ბილეთი ბენზინგასამართ სადგურზე შეიძინა და გათამაშების შემდეგ ბილეთი შესამონებლად უკან მიიტანა. აღმოჩნდა, რომ 50.000 დოლარი ჰქონდა მოგებული.

დენისს ძალიან მოსწონს ბუნებაში ყოფნა, ამიტომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას არ აპირებს და უახლოეს მომავალში ახალი კარვის ყიდვას გეგმავს. უნდა, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოს, ესტუმროს ერთადერთ შვილს და ყველა იმ უსახლკაროს, ვისაც იცნობს, 100 დოლარით დაეხმაროს.





ასხიაქამია

18 წლის გოგონა, ჯორჯა რედმენი, ატრიის გარდა არაფერს ჭამს. ყველა დანარჩენი საკვების დანახვისთანავე გოგონა გარბის. ეს უცნაური დაავადება, რომელსაც ექიმები კვების მოშლილობას ეძახიან, ჯორჯას 8 წლის ასაკიდან სტანჯავს. ერთი კვირის განმავლობაში მას, სულ მცირე, 8 პაკეტი ატრია სჭირდება და იშვიათ შემთხვევაში ანაცვლებს მას კარტოფილით ან ქათმის ხორციით.

— ძალიან მიყვარს ატრია. დედა ყოველ კვირადღეს მიდის სუპერმარკეტში, რათა ჩემთვის იმდენი პაკეტი ატრია მოიტანოს, რამდენსაც ზიდავს. საბედნიეროდ, საკმაოდ იაფი ღირს. ხშირ შემთხვევაში უმიც დამიგემოვნებია, — აცხადებს რედმენი.

ჯორჯა მხოლოდ 45 კილოგრამს იწონის. მისი ერთადერთი ოცნებაა, ნორმალურად კვება შეძლოს და წონაში მოიმატოს.

სასტუმრო ლეგოტი



კალიფორნიის ლეგოლენდის პარკში პირველი ლეგოსასტუმრო გაიხსნა. შენობა მთლიანად ლეგოს კონსტრუქტორებითა და აგურებითაა აგებული. ამ უჩვეულო სასტუმროში 250 ნომერია, რომლებიც სამ სახეობადაა დაყოფილი — სამეფო, სათავგადასავლო და მეკობრული. ამას გარდა, სასტუმროს ტერიტორიაზე არის აუზი, რესტორანი და ბარი. სასტუმრო ლეგოს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიხსნა.

მაისური 91.500

დოლარად

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მაისური ნიუ იორკში მდებარე მაღაზია „შერმეს-ში“ იყიდება და მისი ფასი 91.500 დოლარია. მამაკაცის მაისური ნიანგის ტყავისგანაა შეკერილი.

გასულ წელს ფრანგული მოდის სახლმა ნიანგის ტყავისაგან ჩანთა შექმნა, რომლის ღირებულებაც 1.980.034 დოლარი იყო.

ცნობისათვის, თითოეული სამოსისა თუ აქსესუარის შექმნას, სულ მცირე, 3 ნიანგის სიცოცხლე ეწირება, რასაც ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია სასტიკად ეწინააღმდეგება.



მედიატორებით შექმნილი ჯიმი ჰენდრიქსის პორტრეტი



გიტარების მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმის დაკვეთით, ბრიტანელმა მხატვარმა ედ ჩემპანმა, გიტარისტ ჯიმი ჰენდრიქსის პორტრეტი გიტარის 4.000 ცალი სხვადასხვა ფერის მედიატორით შექმნა.

ლონდონის მაღაზიაში პორტრეტი, სახელად „ხალხი, ჯოჯოხეთი და ანგელოზები“, ჰენდრიქსის გარდაცვალებიდან 43 წლის შემდეგ გამოიფინა და მისი პირველი ალბომის გამოცემის დღეს დაემთხვა.

ცაქვა ფუსხებთან

ამერიკაში, ორეგონის შტატში მცხოვრები სარა მაპელი მთელ ტანზე დასეული ფუტკრებით ცეკვავს. მისი პარტნიორი



12 ათასი ფუტკარია. ისინი მთლიანად ფარავენ ქალის სხეულს. როგორც გაირკვა, სარა ფუტკრების მეშვეობით მედიცინას ატარებს. ის უკვე 10 წელია, რაც ამ საქმიანობითაა დაკავებული. ასეთ მდგომარეობაში ყოფნა 2 საათის განმავლობაში შეუძლია და ამ დროს ჩაის დალევასაც კი ახერხებს.

— მე მკურნალი, მოცეკვავე, მხატვარი და ფუტკართა მფარველი ვარ! — აცხადებს სარა მაპელი.

უს იცოდით?

- ❖ ამერიკის პრეზიდენტ ჯეიმს გარფილდს თავისუფლად შეეძლო ორივე ხელით ერთდროულად წერა. თან პოლიგლოტიც იყო — 8 ენა იცოდა. მას შეეძლო, მარჯვენა ხელით ძველბერძნულად ეწერა, მარცხენათი — ლათინურად.
- ❖ ინგლისის პრემიერმინისტრი უინსტონ ჩერჩილი დღეში 15 სიგარას ეწეოდა.
- ❖ „კინგ კონგი“ ადოლფ ჰიტლერის საყვარელი ფილმი იყო.

როგორი უსიქოზიზი ადამიანი ხართ?



1) გადახლართეთ თითები, როგორც პირველ სურათზეა ნაჩვენები.

თუ ზევიდან მარცხენა ხელის ცერა თითი აღმოჩნდა, ფურცელზე დაწერეთ სიმბოლო X, თუ მარჯვენა ხელის, მაშინ O.

2) ხელი უჩინარ სამიზნეს დაუმიზნეთ.

თუ მარცხენა თვალთ უმიზნებთ და მარჯვენას ხუჭავთ, დაწერეთ სიმბოლო X. თუ პირიქით — O.

3) გადააჯვარედინეთ ხელები მკერდზე.

თუ მარცხენა ხელის მტევანია ზევით, დაწერეთ სიმბოლო X, თუ მარჯვენა — სიმბოლო O.

4) დაუკარით ტაში.

თუ თქვენ მარცხენა ხელს ურტყამთ მარჯვენას, დაწერეთ სიმბოლო X, თუ პირიქით — O.

შედეგები:

0000 — ასპროცენტუანი მემარჯვენე ბრძანდებით. გახასიათებთ კონსერვატიზმი, სტერეოტიპებისადმი მიდრეკილება, არაკონფლიქტური ბრძანდებით.

000X — თქვენი ხასიათის საკმაოდ მკვეთრი მახასიათებელია თავდაჯერებული ნაკლებობა.

00X0 — თავდაჯერებული, ურთიერთობების მოყვარული, არტისტული ბუნების ხართ და გაქვთ იუმორის გრძნობა.

00XX — იშვიათი შეხამებაა. წინა პუნქტში დახასიათებულს ჰგავს ხართ, მაგრამ შედარებით რბილი ხასიათი გაქვთ.

0X00 — ანალიტიკური აზროვნება გახასიათებთ. ძნელად ეგუებით ახალს, ურთიერთობებში ფრთხილი ხართ. ცოტა ცივი ადამიანი ხართ, მაგრამ საოცარი მოთმინების უნარით გამოირჩევით.

0X0X — ყველაზე იშვიათი შეხამებაა. უსუსური ხართ და სხვების გავლენის ქვეშ ადვილად ექცევით.

X000 — ემოციური ხართ, კონტაქტებს ადვილად ამყარებთ, კარგი მეგობარი ბრძანდებით, მაგრამ მიზანსწრაფვა გაკვლიათ.

X00X — მიამიტი ხართ და ძალიან რბილი ხასიათით გამოირჩევით, თქვენი მოტყუება ადვილია.

XX00 — თავისუფლების მოყვარე ბრძანდებით, გიყვართ მეგობრები, მიდრეკილი ხართ თვითნაღიზისკენ.

XX0X — მიმდობი ადამიანი ბრძანდებით, მსუბუქი ხასიათი გაქვთ და თქვენთან ურთიერთობა იოლია.

XXXX — ემოციური, ენერგიული და თავდაჯერებული ბრძანდებით.

XXXX — ასპროცენტუანი ცაცია ხართ. ანტიკონსერვატიული ბრძანდებით, ძველისთვის ახლებურად შეხედვის უნარი გააჩნიათ. გახასიათებთ ძლიერი ემოციები, ინდივიდუალიზმი, ეგოიზმი.

X0X0 — ძლიერი ხასიათი გაქვთ, ენერგიული, მიზანსწრაფული, თავდაჯერებული ბრძანდებით და საკუთარი აზრის გატანა ყოველთვის შეგიძლიათ.

X0XX — ცოტა ჩაკეტილი ადამიანი ხართ და გიჭირთ მეგობრების შექმნა.

0XX0 — რბილი ხასიათი გაქვთ, გაურბიხართ კონფლიქტებს და ხშირად იცვლით აზრს.

0XXX — დამოუკიდებელი ბრძანდებით, მაგრამ საოცრად ცვალებადი ხასიათი გაქვთ. გიყვართ, როცა ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებთ.

შეიცანი თავი მუნი

1. ქვემოთ მოყვანილი ცხოველები თქვენი სიმპათიის მიხედვით დალაგეთ (პირველ ადგილზე ის დააყენეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ და ა.შ.)

- ა) ძროხა
- ბ) ვეფხვი
- გ) ცხვარი
- დ) ცხენი
- ე) ღორი

2. ჩამოთვლილ არსებით სახელებს გვერდით ერთი სიტყვა მიუწერეთ, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად შეეფერება.

- ა) ძალი
- ბ) კატა
- გ) ვირთხა
- დ) ყავა
- ე) ზღვა

3. გაიფიქრეთ თქვენთვის ყველაზე ახლობელ და ძვირფას ადამიანებზე და თითოეულ ფერს გვერდით ის სახელი მიუწერეთ, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად მიესადაგება (ერთი და იგივე სახელი ორჯერ არ გამოეორთ).

- ა) ყვითელი
- ბ) ნარინჯისფერი
- გ) წითელი
- დ) თეთრი
- ე) მწვანე

ტესტის განმარტება:

პირველი კითხვის პასუხი თქვენს ცხოვრებისეულ პრიორიტეტებს განსაზღვრავს.

ძროხა — ოჯახი; ვეფხვი — თავმოყვარეობა, გულწრფელობა;

ცხვარი — სიყვარული;

ცხენი — კარიერა;

ღორი — ფული.

მეორე კითხვის პასუხები ასე იშიფრება:

ძალი — საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება;

კატა — პარტნიორის აღწერა;

ვირთხა — მტრის აღწერა;

ყავა — სიყვარულისა და სექსისადმი თქვენი დამოკიდებულება;

ზღვა — თქვენი ცხოვრების დახასიათება.

მესამე კითხვა განსაზღვრავს, რა დამოკიდებულება გაქვთ თქვენთვის ძვირფას ადამიანების მიმართ.

ყვითელი — ის, ვინც დაუვიწყარია;

ნარინჯისფერი — ის, ვისაც საუკეთესო მეგობრად თვლით;

წითელი — ადამიანი, რომელიც მთელი გულით გიყვართ;

თეთრი — სულით ახლობელი ადამიანი;

მწვანე — ის, ვინც ისიცოცხლის ბოლომდე გემახსოვრებათ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სულოკუს პასუხები იხ. გვ. 78

ს უ ღ ლ კ უ

სულოკუს არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად

№ 1

ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას განიძრებათ.

№ 2

		1		6		4
	9	7				
8			4		3	5
	4			8		
7			3	9	1	
		5		2		
3		7	8		4	
	6			1		9
		8		2	7	

		3	7			2
6				2		8
	5		1		4	
7				9	3	
	1			2		
		8		4		6
9		2	3			1
	4			1		
				9	6	7

სულოკუს შედგება 9-9 კორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ კორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

რა გაეცლია, რომ გემოვნებასი გინოდოთ?

1. როცა მალაზიაში კოსმეტიკას, სამკაულებს, პარფიუმერიას ირჩევთ, რითი ხელმძღვანელობთ?

- ა) ფასით, რაც უფრო ძვირია, მით უკეთესი — 10
- ბ) ჩემი გემოვნებითა და სურვილებით — 5

2. ქმრისგან, საყვარელი მამაკაცისგან ან მეგობრისგან როგორი საჩუქარი გესიამოვნებთ?

- ა) ლამაზი თაიგული — 5

ბ) ძვირფასი სუნამო — 10

გ) რაიმე ორიგინალური წვრილმანი — 0

3. საშუალება გაქვთ, მთელი თქვენი გარდერობი განაახლოთ, რა პრინციპით აირჩევდით სამოსს?

ა) საყვარელი ფერის მიხედვით — 0

ბ) მხოლოდ მოდურს — 10

გ) იმის მიხედვით, რაც მომიხდებოდა — 5

4. ატელიეში კაბა შეიკვრეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პატარა გაქვთ, როგორ მოიქცევით?

ა) ვეცდები, გადავკეთებინო — 0

ბ) გარდერობში დაკვიდებ ისე, რომ თვალში არ მომხვდეს და ვეცდები, დავივიწყო მისი არსებობა — 10

გ) რომელიმე მეგობარს ვაჩუქებ — 5

5. ქმარს (მეგობარ მამაკაცს) წვრილზოლიანი პიჯაკი აქვს, როგორ პერანგს შეურჩევდით?

ა) ასეთივე ზოლებიანს — 5

ბ) ერთი ტონალობის პერანგს — 10

გ) იმავე ფერში გადანყვებულ კუბიკებიან მოდურ პერანგს — 0



შედეგები:

50-40 ქულა — თავდაჯერებულობა ნამდვილად არ გაკლიათ. ქალური, ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანი ხართ, ადვილად პოულობთ ადამიანებთან საერთო ენას. თქვენი წარმატების საიდუმლო იმაშია, რომ ყოველთვის იცით, რა გიხდებათ და რა არა, ვის მოსწონხართ და ვის არა. არასოდეს მისდევთ განუხორციელებელს და ძნელად მისაღწევს.

35-20 ქულა — გემოვნება არ გაკლიათ, მაგრამ ცოტა მორიდებული ხართ და არ გიყვართ ზედმეტად თავის გაჩინება. ვინც კარგად გიცნობთ, იცის თქვენი ღირსებების შესახებ, უცნობები კი თავიდან ცოტა დისტანციას იჭერენ, მაგრამ როცა გაგიცნობენ, მათთვისაც საკმაოდ მიმზიდველი ხდებით. ცოტა მეტი სითამამე ნამდვილად არ განწყენდათ. თუ ამას გაითვალისწინებთ, წარმატების კარის ბოქლომის გასაღები თქვენს ხელთ იქნება.

15-0 ქულა — პირქუშ ადამიანს ვერ გინოდებთ, მაგრამ თავისებური ნამდვილად ხართ. არანაირად გალულებთ, რას ფიქრობენ სხვები თქვენზე, რა გაცვიოთ და გახურავთ, მთავარია, თავს კომფორტულად გრძნობდეთ. არც ის განაღვლებთ, წარმატებას მიაღწევთ თუ არა. თქვენთვის მთავარია სტაბილურობა და იმის შენარჩუნება, რაც ამჟამად გაქვთ. უფრო მეტი კი არ გინდებათ. გვერწმუნეთ, თუ მიზნად დაისახავთ, უკეთესად გამოიყურებოდეთ, უფრო მეტს მიაღწიოთ ცხოვრებაში, გაცილებით წარმატებული გახდეთ და ამისათვის მოტივაციასაც იპოვით, თქვენი ცხოვრება გაცილებით სახალისო, საინტერესო გახდება, სტიმულიც მოგემატებათ და თქვენს ირგვლივ მხოლოდ კმაშაშა, სიცოცხლით სავსე ფერები იქნება.

როგორ ამოვიცნოთ ადამიანის ხასიათი ტუჩებით



ადამიანის ხასიათის განსაზღვრა სხვადასხვა მეთოდითაა შესაძლებელი. ბუნებრივია, ხანგრძლივი ურთიერთობების შედეგად ხასიათის მცირე დეტალების დადგენაც შესაძლებელია, მაგრამ თუ ტუჩებს კარგად დააკვირდებით, მოკლე დროში შეგიძლიათ მეტ-ნაკლები წარმოდგენა შეგექმნათ მათი პატრონის შესახებ. აქ საქმე ეხება არა ტუჩების ფორმას, არამედ მიმოიკვებს და ნაოჭებს, რომლებიც ბაგეების ირგვლივ იქმნება.

მაშ ასე, გაინტერესებთ, რა ადამიანი დგას თქვენ წინ?

1. როცა ადამიანი მუდმივად უკმაყოფილებას გამოხატავს და ტუჩებს კუმავს, მათ ირგვლივ ჰორიზონტალური ნაოჭები ჩნდება.

2. თუ სევდიან ადამიანთან გაქვთ საქმე, მას ცხვირიდან ტუჩის კუთხეებამდე ნაოჭები უჩნდება და ისინი მამინაც თვალშისაცემია, როცა ის კარგ ხასიათზეა. ასე რომ, თუ ხშირად ხართ მოწყენილი, იცოდეთ, ეს სახეზე აუცილებლად აისახება.

აი, მხიარულ და პოზიტიურ ადამიანებს კი ასეთი ნაოჭები მხოლოდ ასაკთან ერთად უჩნდებათ.

3. კეკლუცებს ტუჩების ირგვლივ (განსაკუთრებით, როცა ტუჩებს ბაფთის ფორმით კუმავენ) ვერტიკალური ნაოჭები „ამხელთ“ და ეს ერთობ სახასიათოა ასეთი ადამიანებისთვის. საწინააღმდეგო სქესთან კეკლუცობა აუცილებელია, მაგრამ ამისათვის სხვა მეთოდებიც არსებობს, მაგალითად, მზერა, უესტები და ხმა.

4. ტუჩების კუთხეებში ნაოჭები ბოროტ ადამიანებს უჩნდებათ, რომლებიც ხელსაყრელ მომენტს არ უშვებენ ხელიდან, რომ ვინმეს ბოროტად დასცინონ. ასე რომ, თუ ტუჩის კუთხეებში ნაოჭებიან ადამიანს ხედავთ, ფრთხილად იყავით, ის შანსს არ გაუშვებს ხელიდან რამე სისაძაგლის გასაკეთებლად.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ მხიარულ, სიცოცხლისმოყვარულ ადამიანებს სახეზე ნადრევი ნაოჭები იშვიათად უვითარდებათ, ამიტომ, იმისათვის, რომ კარგად გამოიყურებოდეთ და შესაშური ჯანმრთელობა გქონდეთ, ხშირად იცინეთ, იხალისეთ, არ გაუშვათ ცხოვრების ბედნიერი წუთები და იშვიათად ინერვიულებთ წვრილმანების გამო.

რომელ მაიმუნს ჰგავხართ?

1. დაახლოებით რა სიმაღლის ხართ?

- ა) საშუალოზე მაღალი — 6
- ბ) საშუალო — 4
- გ) დაბალი — 2

2. რა ფერის კანი გაქვთ?

- ა) ღია — 4
- ბ) მუქი — 6
- გ) მოყვითალო — 2

3. დიდი ყურები გაქვთ?

- ა) დიას — 6
- ბ) ნორმალური ზომის — 4
- გ) ძალიან პატარა — 2

4. როგორ საზოგადოებაში გიყვართ ყოფნა?

- ა) მეგობრების წრეში — 4
- ბ) მარტოობა მირჩევნია — 6
- გ) ძალიან დიდ კომპანიაში — 2

5. რა სახის საკვები გიყვართ?

- ა) ხორცეული — 6
- ბ) მცენარეული საკვები — 4
- გ) ყველანაირი — 2

შედეგები:

10-14 ქულა — მათაა

პატარა და კოსტა ბრძანდებით, ხალი-



სოთ აღსავსე.

15-24 ქულა — შიმპანზე

ყველაზე სიმპათიური მაიმუნი ბრძანდებით.

25-30 ქულა — მხანგეტანი

ადამიანთან ყველაზე ახლო მდგომი მაიმუნი ბრძანდებით, ჭკვიანი და ცივილიზებული.



სამკურნალო ბალახებითა და სწორი კვებით სველას დაბაბარსებთ

ხველა ყოველთვის ცივ ამინდთან და გაციებით გამოწვეულ დაავადებებთან დაკავშირებული არ არის. რაშია მიზეზი?

1. ალერგიული ხველა გარემოს არახელსაყრელი ვითარებითაა განპირობებული. მაგალითად, სახლისა და მცენარეთა მტვრით, საყოფაცხოვრებო ქიმიის უმცირესი ნაწილაკებით და ა.შ. თან ახლავს ცრემლდენა, ცემინება და ცხვირში გაჭედვა.

2. დილის ხველა (რამდენჯერმე წამოხველება მცირე რაოდენობის ნახველთან ერთად), ეს არის მწველის ტიპური ხველის გამოვლენა.

3. ნაზალური (ცხვირისმიერი) სინდრომი — ცხვირიდან წყლის დენა ქრონიკული რინიტის ან ჰაიმორიტის მაჩვენებელია. ლორწო ცხვირიდან ხახაში გადადის, შემდეგ ბრონქებში ხვდება და მუდმივ ხველას იწვევს.

4. მშრალი ხველა უცებ იწყება განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო პრეპარატების მიღებისას. ეს მკურნალობის გვერდითი ეფექტია.

5. გულსმიერი ხველა დაკავშირებულია გულთან. იწვევს გულს უკმარისობა, მანკი, აორტის ანევრიზმა.

6. ხველა პირში მწარე გემოთი, გულმმარვა მაშინ აღინიშნება, როდესაც კუჭის მუშავე შიგთავსი ბრონქებში ხვდება და მის ლორწოვანს აღიზიანებს.

7. ბავშვებში ხველა შეიძლება დაკავშირებული იყოს ასკარიდებთან (პარაზიტებთან), რომლებიც სასიცოცხლო ციკლის ნაწილს ფილტვებში ატარებენ (საჭიროა პარაზიტოლოგის კონსულტაცია).

4 საუკეთესო ბალახი

ზოგიერთი სამკურნალო ბალახი გაჭიანურებული ხველის დაძლევის კარგად ეხმარება. ისინი ფილტვებს მავნე მიკრობიებისგან ასუფთავებენ.

სამფერი ია ბრონქებში ჯირკვლის სეკრეციას აუმჯობესებს, ნახველს ათხელებს და ამოხველებას ეხმარება. 1 ს.კ. ბალახს 1 ჭიქა მდულარე დაასხით და 15 წუთი წყლის აბაზანაზე გააცხელეთ. იმდენი ადუღებული წყალი დაამატეთ, რომ ერთი სავსე ჭიქა მიიღოთ. 1/3 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ დალიეთ. ყურადღება: ნაყენი რეკომენდებული არ არის თირკმლისა და ღვიძლის ანთებითი დაავადებების დროს.

ტუბტის ფესვები ბრონქების ლორწოვანი უჯრედების აღდგენას, ნახველის გათხელეებასა და ამოხველებას ეხმარება. 2 ჩ.კ. დაქუცმაცებულ ფესვებს 1 ჭიქა ადუღებული წყალი დაასხით. ყოველ 2 საათში 1 ს.კ. დალიეთ. უკეთესად მოქმედებს სიროფი და ექსტრაქტი (შეიძინეთ აფთიაქში).

ბეგქონდარა ბევრ ეთერზეთს შეიცავს.

ბრონქებს აფართოებს, ანთებისა და სპაზმების საწინააღმდეგო, აგრეთვე ამოსახველებელი ეფექტი გააჩნია. თერმოსში 1 ს.კ. ნედლეული ჩაუშვით, 1 ჭიქა მდულარე დაასხით და 1 საათი დადგით. განურეთ და დღეში 3-4-ჯერ, ჭამის შემდეგ, 3 ს.კ. მიიღეთ.

ვირისტერფას ფოთლები ძველი ნაცადი საშუალებაა ნებისმიერი ხველის დროს. ნაყენს ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვს. აგრეთვე ბრონქების სპაზმს ხსნის. 1 ჩ.კ. ბალახს 1 ჭიქა მდულარე დაასხით. დალიეთ, როგორც ჩაი.

ბუნებრივი მინაქი საშუალებები

ბევრი საკვები პროდუქტი ხველის დაძლევის ეხმარება და, აბებისგან განსხვავებით, პრაქტიკულად გვერდითი ეფექტები არ აქვს.

აილეთ ქორფა ლეღვის ან ჩირის 2 ნაყოფი და 1 ჭიქა რძეში წამოადუღეთ. 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ, ჭამის შემდეგ დალიეთ. ძახველის კენკრის ნაყენი მოამზადეთ და თავლი შუურით (თანაფარდობა 1:2). 1-2 ს.კ. დღეში 4-5-ჯერ მიიღეთ, თბილი წყალი დააყოლეთ.

ქერის მარცვლები დიდი რაოდენობის წყალში დაბალ ცეცხლზე ადუღეთ. განურეთ. მიიღებთ მღვრიე ნახარშს, რომელიც 1/2 ჭიქა დღეში 4-ჯერ უნდა დალიოთ. შეგიძლიათ ლიმონის ან ფორთოხლის წვენი

დაუმატოთ. 6 ცალი შავი ბოლოკი თხელ ნაჭრებად დაჭერთ. თითოეულს სველ ფენად შაქარი მოაყარეთ. 10-12 საათის შემდეგ ტკბილი წვენი წარმოიქმნება. 1 სუფრის კოვზი ყოველ საათში მიიღეთ.

კვება მსუბუქი სუნთქვისთვის

არ იფიქროთ, რომ სწორად კვება საჭიროა მხოლოდ კუჭ-ნაწლავის, დიაბეტისა და პოდაგრის დაავადებების დროს. სასუნთქი სისტემა ასევე შესატყვის და მოკიდებულეებს ითხოვს იმის მიმართ, რასაც ვჭამთ. თავისუფალი რადიკალების დამამგრეველი მოქმედებისგან რომ დავიცვათ, რაციონში აუცილებლად უნდა იყოს საკმარისი ანტიოქსიდანტები. ეს არის ვიტამინი C (ყველა ქორფა ხილი და ბოსტნეული), ბეტა-კაროტინი (სტაფილო, ტკბილი წინაჟა), ლიკოპენი (პომიდორი) და სელენი (მთლიანი მარცვლეული, ზღვის პროდუქტები, თხილეული).

ციზიმინა ომეგა-3 სასუნთქ გზებს ანთებისგან იცავს, ალერგიულ რეაქციას ამცირებს. მათი წყაროა ზღვის ცხიმიანი თევზი, ფოთლოვანი ბოსტნეული, სოია.

მაგნიუმის ნაკლებობა სასუნთქი გზების სპაზმებს იწვევს, იმუნიტეტს ასუსტებს. მაგნიუმი უხვადაა თხილეულში, თესლებში, მთლიან მარცვლებში, ზღვის კომბოსტოში.

გამორიცხეთ ყველა ხელოვნური დანამატი, გაზიანი სასმელი, სოუსი, სწრაფი მომზადების პროდუქტები.

პირაბი მიკროინსულტი

მიკროინსულტი — ეს არის თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა. ინსულტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, მიკროინსულტის დროს თავის ტვინის მხოლოდ წვრილი სისხლძარღვები და მისი ქსოვილის მცირე მონაკვეთები ზიანდება. ამ მიდამოში სისხლის მიმოქცევა საკმაოდ სწრაფად აღდგება. მიკროინსულტი ხშირად შეუქმნეველია, ამიტომ დიდ საშიშროებას წარმოადგენს. შეიძლება ადამიანმა დაავადება ისე გადაიტანოს, რომ ექიმს არც კი მიმართოს და არც იცოდეს მკურნალობის აუცილებლობის შესახებ.

როგორ მიმდინარეობს მიკროინსულტი და რა სიმპტომები ახასიათებს?

შეიძლება გამოვლინდეს თავის ტვინი ან თავბრუ, თითებისა და სახის დაბუჟება, არტერიული წნევის მკვეთრად მომატება, წონასწორობის დაკარგვა და მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა. შესაძლებელია აუტანლობა კამკამა სინათლის მიმართ, გონების ხანმოკლე დაკარგვა.

თუ ერთდროულად 3-4 დასახელებული სიმპტომი აღმოაჩინეთ, ყველაფერს საერთო გადალას ან ამინდის ცვლილებას ნუ მიაწერთ. სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას. თუ მკურნალობას დაიწყებთ დაავადების აღმოცენებიდან პირველი 6 საათის განმავლობაში, ტვინის ფუნქცია შესაძლებელია პრაქტიკულად სრულად აღდგეს.

ფეხებს ხელებით ხშირი დაბანა სჭიხება

ბთავაზობთ ფრანგი ექიმების მიერ შემოთავაზებულ ფეხის აბაზანის რეცეპტს.

მოამზადეთ შემდეგი სახის ნარევი: სუროს ნაყენი 50 გრამი, ახალი წყალმცენარე — 150 გრამი, რომბარინის ზეთი — 2 ს.კ. კვიპაროსის, პიტნის ან ლიმონის 25 წვეთი, სუფრის მარლი — 3 ს.კ. ამ ნარევით გაყენილი ღრუბლით მუხლები და წვივები დაისველეთ. მკვდარი კანის მოსაცილებლად ქუსლები და ტერფები გაიხეხეთ. აბაზანა 15-20 წუთი გრძელდება. კვირაში ერთხელ სპეციალური კრემით ან ზეთით მასაჟი გაიკეთეთ. ეს თქვენს ფეხებს ძალიან არგებს.

ფეხებს ხელებით ხშირად დაბანა სჭირდებათ. დღეში ფეხების 2-ჯერ დაბანა თბილი ან ცივი წყლით აუცილებელია როგორც პიგიენური თვალსაზრისით, ასევე დასამშვიდებლად, განტვირთვისა და სისხლის ნორმალური მიმოქცევისთვის.

✓ მოამზადა აზა გაგომიქი



გვკახსუხობს ექიმი

— იმუნიტეტის ასამაღლებლად რა შეიძლება, რომ მივიღო?

— მცდარია მოსაზრება, რომ ვიტამინებით მდიდარ აბებს თუ მიიღებთ, იმუნიტეტს გაიძლიერებთ, თვითნებურად ნუ დატვირთავთ ორგანიზმს. სახლის პირობებში კი კარგია, თუ ყოველ დღით, უზომოზე ერთ კოვზ თავლს შეჭამო.

— მენსტრუაცია ჯერ არ მომსვლია, მაგრამ მაქვს თეთრი, ბლანტი გამონადენი.

— თეთრი, ბლანტი გამონადენი ხშირად საფუარი სოკოს არსებობით არის გამოწვეული. ამიტომ, უმჯობესია, მიმართოთ ბავშვთა გინეკოლოგს, რომელიც ანალიზს ჩაგიტარებთ და მკურნალობას დაგინიშნავთ. არ გეგონოთ, რომ მენსტრუაციის წამოსვლის შემდეგ პრობლემა მოგეხსნება.

— მწვავე ტკივილი მაქვს სახსარში. რა მიზეზია?

— სახსრების ტკივილი და გართულების შედეგად ფორმის დაკარგვა ართრიტით



არის გამოწვეული. დროულად მიმართეთ თერაპევტს, სწორი მკურნალობით გართულებას თავიდან აიცილებთ. შეიძლება ნევროპათოლოგის კონსულტაციაც საჭირო გახდეს.

— პირის ღრუში მაქვს წყლული. რას მირჩევთ?

— პირის ღრუში გამოივლით სუსტი შაბიანი წყალი. ერთ ჩაის ქიკა ონკანის წყალში ჩააგდეთ შაბის პატარა ნატეხი, გააჩერეთ ერთი ლამე და დილით პირის ღრუში გამოივლით.

— ვარ გათხოვილი, მაგრამ არ ვფეხმძიმდები. გადავცდნა მქონდა. როგორ მივაქციე?

— უნდა მიმართოთ გინეკოლოგს, სავარაუდოდ, ჰორმონალური ბალანსი გაქვთ დარღვეული, რომლის აღსადგენად დროული და ზუსტი მკურნალობაა საჭირო. ჰორმონალური გამოკვლევის გარეშე ნებისმიერი მკურნალობა უშედეგოა.

— ვარ 47 წლის ქალბატონი. მაქვს სისუსტე, ენერჯის უკმარისობა. მირჩიეს გადასხმა. წნევა მაქვს ცვალებადი, ხან — მაღალი, ხან — სწორის ფარგლებში. შეიძლება თუ არა გავაკეთო გადასხმა და მიშეკლის თუ არა?

— გასარკვევია „გადასხმაში“ რას გულისხმობთ. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როცა ვიტამინებით გაჯერებული ფიზიოლოგიური ხსნარის გადასხმა მიაჩნიათ მკურნალობის უებარ საშუალებად და ხშირად მიმართავენ ხოლმე. კატეგორიულად დაუშვებელია და არ გირჩევთ არანაირ „გადასხმას“ ექიმის დანიშნულების გარეშე. იგი უკვალოდ არ ჩაივლის და შეიძლება უკუშედეგი მოგცეთ, თუნდაც ალერგიული რეაქცია, რომელიც ზოგჯერ სერიოზული გართულებებით და მძიმე შედეგით მთავრდება, მით უმეტეს, მაშინ, როცა გაქვთ არტერიული წნევის ცვალებადი მაჩვენებლები. გირჩევთ, მიმართოთ კარდიოლოგს და წნევის ცვალებადობის მიზეზი გამოიკვლიოთ. არ არის გამორიცხული, რომ სისუსტის მიზეზი აქედან მომდინარეობდეს.

— მაქვს ქრონიკული ბრონქული ასთმა. შეიძლება თუ არა, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ აზირომიცილის მიღება?

— აზირომიცილი ანტიბაქტერიული საშუალებაა, რომელიც კარგი ამტანობით ხასიათდება. თუ გნებავთ, რომ გვერდითი მოვლენები არ გამოიწვიოს, მიიღეთ ექიმის კონტროლით. საჭიროების შემთხვევაში წელიწადში 2-ჯერ მიღება დასაშვებია.

— მასტობათია სიმსივნეა?

— მასტობათია სიმსივნე ნამდვილად არ არის, მაგრამ მისი გართულების თავიდან ასაცილებლად დროული მკურნალობაა საჭირო.

— თვალის ქუთუთოზე მაქვს გამონაყარი და მუქებება. რას მირჩევთ?

— თვალის ქუთუთოზე გამონაყარს ფრთხილად მიდგომა სჭირდება, რადგან ქუთუთოს ქვეშ თითქმის არ არის ცხიმოვანი უჯრედები. გამონაყარი შეიძლება ალერგიულია. არ არის გამორიცხული, სოკოვანი დაავადების დასაწყისი იყოს. ზეპირად რჩევის მოცემა არასწორია. ქუთუთოზე გამონაყარს და ქავილს ზოგჯერ ნამწამების დაავადებაც იწვევს. გირჩევთ, მიმართოთ კვალციფიციურ ოფთალმოლოგს. სახლის პირობებში განკურნება წარმოუდგენელია.

— მაქვს გარე ორსულობის ოპერაცია ვაკუუმული. ამჟამად ვიყენებ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას, პატენტექსს. რამდენად ხანდი და უსაფრთხოა იგი?

— საუკეთესო საშუალებაა თავის დასაცავად. თუ მასში შემავალი კომპონენტების მიმართ ალერგიული არ ხართ, უსაფრთხოა.

მელამ ლეჭით და წონაში დაიკლები

ყველას არ აქვს სხეულის თანდაყოლილი იდეალური პროპორციები. ქალების ერთი ნაწილი ამას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს. მეორე ნაწილისთვის კი სერიოზული პრობლემაა, რომელიც უამრავ კომპლექსს ბადებს. თუ თქვენ ამ უკანასკნელთა კატეგორიას მიეკუთვნებით, ზედმეტი კილოგრამებისგან გათავისუფლებაში განსაკუთრებული დიეტური რეჟიმი — გრეიზინგი (ინგლისურიდან თარგმანი „მუდამ ლეჭვას“ ნიშნავს) დაგეხმარება.



დიეტის არსი ასეთია: დღეში 6-ჯერ მცირე ულუფობით უნდა ჭამოთ და კვირის ბოლოს 3-5 კგ-ს დაიკლებთ. სურვილის მიხედვით დიეტა შეგიძლიათ დაიცვათ არა — ერთი, არამედ ორი კვირა მიყოლებით.

როგორც გაირკვა, ადამიანის ორგანიზმში არის ჰორმონი, რომელიც შიმშილის შეგრძნებას იწვევს. ევროპელმა მეცნიერებმა ამ ჰორმონს გრელინი უწოდეს. ის კუჭის ლორწოვანში გამოიშვავდება და თავის ტვინში შიმშილის ცენტრზე ზემოქმედებას ახდენს. მისი რაოდენობა დამოკიდებულია კვებას შორის შესვენებების ხანგრძლივობაზე. ადამიანი რაც უფრო დიდხანს არ ჭამს, ეს ჰორმონი მით უფრო აქტიურად გამოიშვავდება. შესატყვისად, შიმშილის გრძნობა ძლიერ იზრდება და ადამიანი ბევრს ჭამს. აღნიშნული ჰორმონი მხოლოდ ჭამის შემდეგ მშვიდდება, როდესაც სისხლში მისი დონე მკვეთრად ეცემა და მაძღრობის შეგრძნება ჩნდება.





დიეტოლოგებმა ასეთი დასკვნა გააკეთეს: თუ ადამიანი ხშირად, მაგრამ ცოტას ჭამს, ჰორმონი გრელინი ამ დროის მონაკვეთში იმ რაოდენობით გამოიშვავება ვერ ასწრებს, რომ შიმშილის გრძნობა გაჩნდეს.

დიეტის მთავარი პირობა:

1. საკვების ხანგრძლივად ლეჭვა ფაფისმაგვარ მდგომარეობამდე.
 2. პროდუქტების საერთო მაქსიმალური კალორიულობა დღეში 1500 კკალორიას არ უნდა აღემატებოდეს.
 3. რაციონიდან საერთოდ უნდა გამოირიცხოს პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი, თხილეული, შაქარი, ცხიმები. ძირითადი რაციონია ბოსტნეული (კარტოფილისა და სიმინდის გარდა), ხორცი (არაუმეტეს 200 გრამისა დღეში), ნებისმიერი ხილი. დასაშვებია ნებისმიერი ვარიაცია.
- როდესაც მთელი დღისთვის აუცილებელი პროდუქტების რაოდენობას შეარჩევთ, მთელი მასა ექვს მიღებად დაყავით. გვიანი ვახშამი დაძინებამდე 2 საათით ადრე მიირთვით. საკვების მიღებებს შორის შუალედი 3 საათზე მეტს არ უნდა შეადგენდეს.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ანო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 1779 მაგთიდან ან ჯაოსალიდან. თქვენს კითხვებს შეპლანისდაგვარად გავხვებით პასუხს. ერთი სეს-ის ფასია 50 თეთრი.

1. ესპანელი მევიოლინე და კომპოზიტორი; 2. ზრდილობიანი მიმართვა იაპონიაში; 3. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 4. სცენის გასანათებელი მონოპოლიზაცია; 5. ძროხის კანისგან დამზადებული კერძი; 6. შუქფარი; 7. ... პაჩინო; 8. თხის ჯოგი; 9. სოფელი ლეჩხუმში; 10. ფულის კურსის აწევა; 11. ბილიარდის ჯოხი; 12. ძირეული ხმოვნის დარბილება მომდევნო ხმოვნის გავლენით; 13. შუშა; 14. საფარიკაო დაშნა; 15. ლანგარი; 16. ... მანდელშტამი; 17. გერმანული ასტრონომი; 18. იტალიური ლეგენდი; 19. მწვერვალი დუშეთის რაიონში, თუშეთ-ხევსურეთის კავკასიონზე; 20. ხანა, ეპოქა; 21. თევზის დასაჭერი მონოპოლიზაცია; 22. სახობო ლექსი; 23. ძველფრანგული ოქროს და ვერცხლის ფული; 24. ფულისა და სხვადასხვა ნივთების გათამაშება ბილეთების საშუალებით; 25. ცუდი თვისება, დეფექტი; 26. ხილისგან მომზადებული ცომისებური ტკბილეული; 27. ქართველი მწერალი; 28. სასვენი ნიშანი; 29. სისხლის ალგების ადათი კორსიკაზე; 30. კავკასიური მინერალური წყალი; 31. ბუნებრივი საღებავი; 32. გაუშლელი ყლორტი; 33. ერთიანი სიმალის ორი ან რამდენიმე ნოტის ერთდროული უღერა; 34. სასტუმროს კარისკაცი საფრანგეთში; 35. შტო, ტოტი; 36. დედის ან მამის დედა; 37. პლანეტის სამოძრაო გზა; 38. ბიბლიური პერსონაჟი; 39. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 40. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 41. ცნობილი დიზაინერი; 42. ზღვის პატარა კიბო; 43. სიგრძის ძველებური საზომი ერთეული; 44. ღვთისმშობელი კათოლიკეში; 45. ხელიკისებური წყალხმელეთა ცხოველი; 46. ცომის ასაფხვეი პატარა ნიჩაბი; 47. ერთ-ერთი კონტინენტის ნაწილი; 48. წილი ბიზნესში; 49. მგოსანი; 50. ეკლესია, რომელსაც პატრიარქი მეთაურობს; 51. ანგარიშსწორება ძალადობით ან მკვლევლობით; 52. პურეული მცენარე; 53. ტაროსი; 54. რისამე მიწოდება-მიცემისას ხმარებული ნაწილაკი; 55. ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 56. ქალბატონო ფრანგულად; 57. კაშკაშა მეტეორი; 58. ... შყონია; 59. დედამიწვილი; 60. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 61. კავერინის „... კაპიტანი“; 62. ავადმყოფისათვის საკუთარი სისხლის გამლევი ადამიანი.



სიყვავი-კოდი

1	2	3	4	5	6

ტვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანორკლის პასუხები

1. მარკა; 2. ატრია; 3. ნაირა; 4. რამპა; 5. პორგი; 6. კროსი; 7. კაკაპო; 8. პინია; 9. ნისანი; 10. ამინ; 11. არი; 12. კონტრაქტი; 13. ტირე; 14. ლიმიტი; 15. ამაღამა; 16. ნუგა; 17. „მინდია“; 18. მერაბ; 19. პოა; 20. რუ; 21. კეზი; 22. ალმური; 23. იაგანი; 24. ნიკონი; 25. რადა; 26. ბაზილი; 27. ნალჩიკი; 28. ჩუკი; 29. ბეკეტი; 30. ცვარი; 31. ბარემ; 32. რასა; 33. ცირკი; 34. უღელი; 35. რაქურსი; 36. სული; 37. როქი; 38. არკებუზი; 39. ბრა; 40. „ნაბუკო“; 41. ლუ; 42. სი; 43. სინდისი; 44. ილიამნა; 45. ბზიკი; 46. „რევერსი“; 47. სირენა; 48. ბონდარჩუკი; 49. ოსმიუმი; 50. კალიდასა; 51. ივ; 52. ისტორია; 53. ნისლი; 54. ნანდილი; 55. ჯაკუზი; 56. ნიზამი; 57. ილი; 58. ფუფალა; 59. ალენი; 60. ნარ; 61. ლეგარი; 62. აბრა; 63. ფაგი; 64. იფქლი. **სურათებში:** პინკი; რიკი მარტინი; ეროს რამაზოტი; ნელი ფურტადო.

ხედი: გხანდი.

რა ინფორმაციას ბასსაჟან თქვენი ხელაბი და ფხეაბი ქესტების ენა

თვალყური ადვენეთ, ჩვეულებრივ, როგორ დგამთ ფხეებს, საუბრის დროს ხელები რა პოზაში გაქვთ, როგორ მდგომარეობაშია თქვენი ხელისგულები, როგორ ზიხართ სკამზე...

პოზები და ქესტები, რომლებსაც თქვენ და თქვენი თანამოსაუბრეები იყენებთ, გარკვეულ ინფორმაციას იძლევა.

ე.ნ. ნაპოლეონისეული პოზა (გულზე დანყობილი ხელები) ან ხელები ჯიბებში — დამცავი პოზიციაა: თანამოსაუბრე არ გენდობათ ან თქვენგან თავს იცავს.



ხელების უკან შემოწყობა — დაუკმაყოფილებლობას, თავის კონტროლის მცდელობას ნიშნავს.

თანამოსაუბრისკენ მიმართული გაშლილი ხელები — პირდაპირობაზე, ადამიანის გულდასაწყობაზე მეტყველებს.

მუშტად შეკრული თითები — მტრობის, აგრესიულობის და საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაცვის განზრახვის ნიშანია.

ნიკაბზე ხელის ჩამოსმა — დაფიქრებულობაზე, გადანყვებულობის მიღების სურვილზე, დასკვნების გაკეთებაზე მიუთითებს.

მაგიდაზე თითების კაკუნი — განგაშის ან მოუთმენლობის მაუწყებელია. ბეჭედზე, ლილვზე და ა. შ. თითებით შეხება — რწმენის არქონაზე, ნევროზულობაზე, შფოთვაზე მიგვანიშნებს.

თუ ხელებით საყარძლის ან სკამის გვერდებს ძლიერ ეჭიდება, მასსადამე, თანამოსაუბრე ძლიერ დაძაბულია და დამატებით „საყრდენს“ ეძებს.

ხელებით პირის დაფარვა ან ხელების მიტანა ტუჩების კუთხეებში, ყურზე შეხება — თანამოსაუბრის უპატიოსნობის შესტებია (თითქოს პირს იფარავს და ყურს იხშობს, რათა სიმართლე არ დასცდეს და საკუთარი ტყუილი არ გაიგონოს).

თუ ადამიანი ყურის ბიბილოს ისრებს, სამოსის საყელოს ანვალებს ან ყელზე ხელს ისვამს — თავის მოსაზრებაში დარწმუნებული არ არის, მაგრამ არც თავისი პოზიციის დათმობა აქვს განზრახული. ან კიდევ, სურვილი აქვს, აზრი გამოთქვას, მაგრამ იძულებულია, გაჩუმდეს.

ფხეების გადაჯვარდინება (ისევე როგორც ხელების) — უარყოფით ან თავდაცვით დამოკიდებულებაზე მეტყველებს: არ სურს, რაიმე მოგიყვეთ ან თავში იკეტება.

თუ მჯდომარე ადამიანმა ფხი ფხეზე გადაიდო და ხელები მუხლზე შემოიხვია, ჯიუტ თანამოსაუბრესთან მძიმე ლაპარაკისთვის მოემზადეთ.

თუ ადამიანი მხოლოდ ერთ ფხეზე დგას, ხოლო მეორის წვერი იატაკს ეხება (ან ისე ზის, რომ ქუსლებით იატაკს ეხება), ოცნებაში ნავარდი უყვარს, უფრო მეტად ინტუიციას ენდობა, ვიდრე დამამტკიცებელ ფაქტებს.

უხერხულობა სიცილით დაქლით

ს შირად გვემის: „მოსწავლესავით განითლდა, დაიმორცხვა, შეცბა“... სინამდვილეში უხერხულობა და განითლება მხოლოდ ბავშვური თვისებაა არაა. ის ბევრი მოზრდილის და მათ შორის წარმატებული პიროვნების „თანამგზავრია“. განსაზღვრულ სიტუაციებში განითლება, დამორცხვება პიროვნებას ამშვენებს კიდევ, მაგრამ, თუ ადამიანი მის მიმართ გამოთქმულ ყოველ სიტყვაზე ან მცირეოდენ არასტანდარტულ სიტუაციაში თავს კარგავს და ნითლდება, ეს უკვე პრობლემაა. მას უნდა ებრძოლოთ. როგორ? ამას ქვემოთ შეიტყობთ.

გაიცინეთ!

ისწავლეთ „შეკვეთით“ გაცინება, როგორც ამას მსახიობები აკეთებენ. ეცადეთ, მიადწიოთ იმას, რომ სიცილი ბუნებრივი გამოვიდეს. ჩვევად გაიხადეთ, თქვენთვის უხერხულ სიტუაციაში გაიცინოთ ან ფართოდ გაიღიმოთ, მაშინ მომხდარი ისეთი საშინელი აღარ მოგჩვენებათ. ირგვლივ მყოფებიც თქვენს მსახრულ ტალღაზე გადაერთვებიან და მომხდარზე ერთად გაიციანება.

აუტოკიხინიტი

შეარჩიეთ ან გამოიგონეთ ფრაზა, რომელიც დაგეხმარებათ, თავი მტკიცედ იგრძნოთ. ეს ფრაზა ხმამაღლა გაიმეორეთ და ამავდროულად სარკეში თავს უყურეთ. ითამაშეთ მიმიკით. კრიტიკულ მომენტში ეს ფრაზა გულში გაიმეორეთ. ტვინი მაშინვე მოახსენებს რეაგირებას და სახეს შესატყვის გამომეტყველებას მისცემს. ამგვარად, თქვენი უხერხულობა გარშემომყოფებისთვის შემწიხველი დარჩება.

ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა

ეს უმარტივესი და უნივერსალური სავარჯიშოა, ვინაიდან ყველას მისადაგება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში. როგორც კი იგრძნობთ მოახლოებული სინითლის, უხერხულობის პირველ მომასწავებელ სიგნალს (ზოგს პულსის გახშირება აღენიშნება, ზოგსაც გულის ფრიალი ეწყება), მაშინვე ღრმად ჩაისუნთქეთ და ამავდროულად მხრები გაშალეთ. შემდეგ სრულად ამოისუნთქეთ (მხრები გაშლილი რჩება). ამით არამხოლოდ დროს მოიგებთ, ასევე სავარჯიშოს შესრულებაზე გადაერთვებით. გარდა ამისა, გაშლილი მხრები ქვეცნობიერად აიძულებს ადამიანს, სიტუაციას რამდენადმე ზემოდან შეხედოს. ეს კი ნიშნავს, რომ უხერხულობა თქვენს გარეგნობას ვერაფერს დააკლებს.

მტკიცებულებები

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომელსაც ეთანხმებით და გულში ან ხმამაღლა წარმოთქვით, როდესაც ამის საჭიროებას იგრძნობთ.

1. ზოგჯერ ყველა ადამიანს აქვს უხერხულობის მომენტები. ეს სრულიად ნორმალურია.
2. საშინელი არაფერი მომხდარა.
3. ყველას აქვს უფლება, გაიცინოს და ამისთვის საბაბი გარშემომყოფებს მე მიყვები.
4. რაღაც გასახსენებელი და შვილიშვილებისთვის მოსაყოლი მაინც მექნება.
5. ასეთი მომენტები ცხოვრებას ახალისებს და უფერულ დღეებს აფერადებს.

ხმოხი დავდით ხაღმხავლობის შიში

რსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელსაც ხალხის თავშეყრის ადგილებში ყოფნის ეშინია. ასეთ მდგომარეობას ფსიქოლოგიაში აგორაფობია ეწოდება და ბერძნულიდან თარგმანში „ბაზრების შიშს“ ნიშნავს. ასეთი მოშლილობით დატანჯულ ადამიანს ხალხმრავალ ადგილზე მოხვედრისას გულისცემა უხშირდება, ოფლდენა ეწყება. ე.ი. შიშის შეგრძნებას ერწყმის ფიზიოლოგიური უქეიფობა, რომელიც სიტუაციას მხოლოდ აღრმავებს. როგორ ვებრძოლოთ ასეთ შიშს?

მცირედით დაიწყეთ. ჯერ სახლთან ახლოს, პატარა მაღაზიაში წასვლა დაგეგმეთ. წინასწარ საყიდლების სია შეადგინეთ. ეს დაგეხმარებათ, მთელი გულისყური შენაძენს მიაპყროთ და არა — გარშემომყოფებს. შეგიძლიათ



პლერი იქონიოთ. ნაცნობი მუსიკის მოსმენა გარემოვლენებისგან მოგწყვეტთ. პირველი მარშრუტის წარმატებით ათვისების შემდეგ უფრო შორს იმოძრავეთ — მსხვილ მაღაზიას ეწვიეთ და ასე განაგრძეთ ყველაზე მსხვილ სავაჭრო ცენტრამდე.

თუ პანიკური შეტევის მოახლოებას იგრძნობთ, ფოკუსირება სუნთქვაზე მოახდინეთ. გახშირებული და ღრმა სუნთქვა თვითონ ახდენს შიშის პროვოცირებას, რომელიც, თავის მხრივ, გაიძულებთ, უფრო ღრმად და ხშირად ისუნთქოთ, ამიტომ თანაბრად და მშვიდად ისუნთქეთ: ჩაისუნთქეთ თვლაზე „ერთი, ორი“, შემდეგ სუნთქვა შეიკავეთ თვლაზე „ერთი, ორი“ და ამოისუნთქეთ თვლაზე „ერთი, ორი, სამი, ოთხი“.

სახლში ყოფნისას უსაფრთხო ვითარებაში აგორაფობიის შეტევა ხელოვნურად გამოიწვიეთ. ისე მოიქეცით, როგორც გასურთ: იყვირეთ, აცახცახდით, სანოლის ქვეშ შეიმალეთ. ეს სავარჯიშო რამდენჯერმე გააკეთეთ. იგრძნობთ, რომ ყოველ ჯერზე პანიკის გამოწვევა სულ უფრო ძნელი გახდება. ასეთ როლში თავს თანდათან უფრო უცნაურად, უაზროდ იგრძნობთ. ამგვარად თქვენი შიშის აღმოფხვრას შეძლებთ.

✓ მოამზადე აზა გავოშიძემ

ქართული ანკალოგები



— ხას მოითხოვთ ჩემგან?
 — ახაფხის, ქაღალდის!
 — ხაჯი ახვა, მაშინ ახლა ჩემს სუხვილებზე გადავიდეთ.

— ექიმო, მაგნიტი გადა-მეყლაბა!

— სხვა საშუალები არ არის, უნდა გატყრაო.

— აუ, ვერ ვიტან ოპერაციას! რა უნდა ვქნა?

— მაშინ რა უნდა ქნა და რკინიგზის სადგურს მოერიდე, თორემ შეიძლება ზუგდიდში ჩამოგხსნან მატარებლიდან.

— მივდიოდი გალენილი მთვრალი ჩემი ჟიგულითა, — უყვება კახელი თანამეინახეს თავისი სიყვარულის ისტორიას, — წამეძინა, დავეჯახე გოგოსა, გადარჩა... გაუქანე საავადმყოფოში, ვუპატრონე. მერე მისიანებს რო არ ეჩივლათ, ცოლად შავირთო.

— ჰოო, სხვას რა ერჩი, შენი ბრალი ყოფილა!

დიდი ხნის უნახავი გურულეები ხვდებიან ერთმანეთს.

— რაფრა ხარ, ძამა, რაფრა! — ეკითხება ერთი, — მეტყვი თუ დევეყრდნო პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე მოცემულ დაპირებებს?

სექსის შემდეგ:

— გოგო იქნება თუ ბიჭი?

— როგორც უფალი ინებებს... ისე, შენს ქმარს რომელი უნდა?

— შვილო, რომ მოვკვდე-ბი, არ დამასაფლავო. დამწვი და ჩემი ფერფლი ეზოში მოაბნიე,



ღოთი ნაბახუევება. მიაბიუებს ქუჩაში და თვალებს აცეცებს. ბელი: სიყვარული მინდა! ტვინი: გახევე, შე ჩემა? ხა სიყვარული ატიყდა, 100 გხამი ბვინდა!

— ეუბნება სიდედრი სიძეს.
 — რომ მერე ისევ სახლში შემომივარდე, არაა?!

ექიმი გურულს:
 — თქვენთვის დალევა არ შეიძლება.
 — აუ! კიდო?
 — არც მონევა.
 — ვაი! კიდო?
 — დასაძინებლად ადრე უნდა დანვეთ და დილითაც ადრე ადგეთ.
 — მომისმინე, ძამა! ამხელა კაცი ხარ და ჩემი ცოლის ნაბუტურები რომ არ გეიმი-

ორო, შენი აზრი არ გაქ?

— გუშინ ჯიმშერასთან გილალატე, — ეუბნება ცოლი ქმარს.

— მერე, ქალო, რა სინდისით მეუბნები მაგას?! — გაგიჟდა ქმარი.

— ჰო, ნუ გადაირიე ახლა, იმის თქმა მინდოდა, რომ საერთოდ არ უდგება!

— რაფერი მთვრალი იყავი ნუხელი, შე ჩემა, ორჯერ აგაყენე და ორივეჯერ წაიქეცი, — ეუბნება ქუთაისელი ძმაცაცს.

— წავიქეციდი, აბა, რას ვიზამდი, ორივეჯერ თავით დამაყენე და...

— ქალო, პიჯაკი და შარვალი გამინმინდე?

— კი, აბა რას ვიზამდი.

— ფეხსაცმელი?

— ფეხსაცმელი — არა.

— რეიზა?

— ჯიბეები არ აქ ფეხსაცმელს და იმიზა!

სამეურნეო მაღაზიაში ოქროს თევზი შესრიალდა.

— ცელი გაქვთ? — ეკითხება გამყიდველს.

— რად გინდა?

— სვანს სურვილი უნდა აუფსრულო.

გინეკოლოგი:

— გოგონი, ორსულად ხართ. თქვენთვის ადრე არაა?



უთო ზედამხედველი მეოხე:
 — გეიგე, ბომო?
მეექვსე კამეჩაში ხმ ზაუხია იფდა, ქე გაპაჩიელა ნუხელ!
 — ძან ჯაი უქნია.
მთელი ღამე ახ მადინებდა მათისი ქიბის ნიჩინი.

გადმოსტომას აპირებს, თან ვერ ბედავს. ქვემოთ მთელი სამაშველო სამსახურია მობილიზებული. უყურა ზესტაფონელმა, უყურა და მოთმინება დაელია:

— ჰე, ბიჭო, გადმოსტი ახლა, თუ ხტები, თვარა გამასწრო მატარებელმა!

— გოგონი, მდიდარ სულელს გაჰყვები შენე? — ეკითხება ზესტაფონელი ქალს.

— დევიჯერო ახლა, მილიონერი ხარ შენე?

ქირურგი ნარკოზიდან გა-



— მამი, მახთალია, ხმ მისვალბელები მეოხე მოდიან? — ეკითხება ჰატაჩა კახელი მიხოს.
 — მახთალია, მა!
 — ესე იგი, ბებო ხმ მოყვება, ისეუ მოვა?
 — ეხლა დაიძინე, თოხე თავ გაგიქყიციტამ, შე ვიხმ, შენა!



ჰიხველიანებები საუბხობენ:
 — ჩამს სახლში ნამდვილი სამოთხეა.
 — ხოგოხ?
 — ხოგოხ და, მამაჩემს ადამი ჰქვია, ედას ევა, ბებიაზე ჯი მამა ამბობს, ნამდვილი ბველიაო.

— რა თქმა უნდა, ექიმო. ჯერ მხოლოდ ოთხი თვის ვარ.

— მომეცი ერთი სიგარეტი.

— კაცო, გუშინწინ მთხოვე, მოგეცი, გუშინ მთხოვე მოგეცი — ჭამ, შე შობელ-ძაღლო?!

16 სართულიანი სახლის სახურავზე კაცი დგას და

მოსულ პაციენტს:

— ქალბატონო, საკეისრო კვეთა კარგად ჩატარდა, მაგრამ ნაყოფი ვერ აღმოვაჩინეთ.

— რა ნაყოფი, ექიმო, მე ბრმა ნაწლავის ოპერაცია უნდა გამეკეთებინა!

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატები



სტიინერის კოტეჯის კარი რომ შევალე, სიგარეტის სუნი ვიგრძენი, რაც ადრე არ შემიძინავს. მაშინ ერთმანეთში ბევრი სურნელი იყო არსული, მათ შორის უკვამლო დენთისაც, მაგრამ სიგარეტის სუნი ამ თაბაგულში არ იგრძნობოდა.

სუნთქვაშეკრული ცალ მუხლზე დავეშვი და მივაყურადე. სახლში სამარისებური სიჩუმე იდგა, მხოლოდ წვიმას გაჰქონდა სახურავზე რახარუბი. ნამოვდექი, ტორმერისკენ გავემართე ალაღებდნენ და შუქი ჩავრთე.

კედელზე რამდენიმე გობელენი გამქრალიყო. ცარიელმა ადგილებმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, თორემ მათი დათვლა არასოდეს მიფიქრია. აღარსად იყო სტიინერის გვაშიც, იმ ადგილას კი ვილაგას გობელენი დავუვიარე, როგორც ჩანს, კვალის დასაფარავად.

ბოლოს ფოტოკამერაც გამახსენდა და მისი გასაღებიც ვიპოვე, მაგრამ შიგ კასეტა აღარ იყო, ანუ იმ ვილაგამ ფოტოსურათებიც ცხვირწინ ახაცალა! სტიინერის გვაში არც მის საძინებელში აღმოჩნდა, რომელიც ქალისას უფრო ჰგავდა, ვიდრე მამაკაცისას.

კანონის დამცველები გვამს ვერ ნაიღებდნენ, რადგან მაშინ აქ რომელიმე მათგანი დარჩებოდა. მე და კარმენი აქედან მხოლოდ საათნახევრის წინ წავედით და ეს ყველაფერი იმ ვილაგამ ასე უცებ როგორ მოასწრო?

შუქი ჩავაქრე, კოტეჯიდან გამოვედი, ჩემი გალუმპული „კრაისლერისკენ“ გავემართე, შიგ ჩავჯექი და ძრავა ჩავრთე.

11 დანეყნული იყო, როცა ბერგლუნდში დავბრუნდი, მანქანა გარაჟში დავაყენე და ჩემს ბინაში ავედი. შხაპის მიღების შემდეგ პოჟამა ჩავიცვი, წინ გროგი დავიდგი, სავარძელში მოვკალათდი და სტიინერის ლურჯი ბლოკნოტის ფურცელს შევუდედი. შიგ თავმოყრილი პირობითი შემოკლებებისა და სხვადასხვა ნიშნების გამოფერას თუ შევძლებდი, საჭირო გვარ-სახელებსა და მისამართებსაც მოვიპოვებდი. მათი რიცხვი ოთხასს აჭარბებდა. თუ ყველა ესენი სტიინერის კლიენტები იყვნენ, იშვიათი წიგნების მეპატრონეს არც მათი დამანტაუება გაუშენლდებოდა და იოლადაც გაამტარდებოდა.

სის ნებისმიერი წვერი შეიძლება მკვლელობაში ეჭვმიტანილი ყოფილიყო და სულაც არ მშურდა იმ პოლისმენების, რომლებსაც მალე ამ ბლოკნოტს გადავცემდი.

შუალაშე გადასული იყო, როცა ამ საქმეს შევეში, საწოლს მივაშურე და მალევე დაძინა.

დილით ისაამანმა ჯიმ დამირეკა. ჩაცმული არც ვიყავი, მაგრამ განუთი უკვე გადავთვალე და შიგ მისტერ ჰაროლდ ჰერდვიკ სტიინერი გაკვრითაც არ იყო ნახსენები. ისაამანი ჯი ყოჩაღად ლაპარაკობდა — იმ ადამიანით, ვინც კარგად გამოიძინა და არც დიდი ვალები აწევს ტვირთად.

— როგორ ხარ? — დაიწყო ისაამანმა.
— ვარ, რა... ჩვეულებრივად.

ჯიმ რალაც დაბნეულად ჩაიცნა, მერე კი დასერიოზულდა:
— დრავეკი რომ გამოგიგზავნენ, გაუკეთე რაზე?

— მაგრად წვიმს, — მიუგოე ფანჯრისკენ მაცქერალმა, თუ ამას პასუხი ეთქმოდა.

— როგორც ჩანს, ის მუდმივ თავგადასავლებშია, — ცოცხლად განაგრძო ჯიმ, — ახლა მისი ახალთახალი „კადილაკი“, ლიდოში რომ მეთევზეთა ნავისადგომია, იქ დგას, ზღვის მოქცევას იგერიებს და ქვიშანარევი წყლით მაგრად დაზიანდა... მთავარი კინალამ დაამაინყდა: შიგ გვაში იპოვეს!

— დრავეკის? — დავიჩურჩულე სუნთქვაშეკრულმა.
— არა. ვილაგა ბიჭია ახალგაზრდა. დრავეკისთვის ჯერ არ მითქვამს.

მანქანას იცავენ. იქნებ ერთად ნავსულიყავით?
— რა თქმა უნდა.

— მაშინ იჩქარე. ჩემს კანტორაში დაგელოდები, — და ჯიმ ყურმილი დაკიდა.

საოლქო სამმართველოს დახურული შავი მანქანის საჭესთან მჯდარმა ისაამანმა გეზი ლიდოსკენ აიღო. დაახლოებით 45 წუთის შემდეგ მან გრძელი ნავისადგომის ახლოს დაამუხრუჭა და ჩვენ მანქანიდან გადავიდით. თევზის მძაფრი სუნი ორდღიანი წვიმის შემდეგაც არ გამქრალიყო.

— აი, ბუქსირზე დგას, — თქვა ჯიმ და ხელი ნავისადგომის ბოლოსკენ გაიშვირა.

„მადილაკი“ გარედან კარგი შესახედავი იყო — ორი ტონის მწვენი ფერს გვერდებიდან მუქწითელი ზოლები გასდევდა. მე და ჯიმ შიგ შევიხედეთ: საჭეზე შავთმიანი, გამხდარი ყმანვილი

იყო დამხობილი. მის ლამაზ სახეს მოლურჯო-თეთრი ფერი დასდებოდა, ლია პირში ქვიშა მოუჩანდა, თავზე კი სისხლი შეხმობოდა, ზღვის წყლისგან შემთხვევით გადაურეცხავი.

ჯიმ ამოიხენემა, გვერდზე გადაგა, პირში თავისი საყვარელი ისაამანს-გემოინი სალექი რეზინი ჩაიღო და ყბებში ამუშავა. სწორედ ამ რეზინის გამო შეერქვა თავისი მეტსახელი.

— ეს როგორ მოხდა? — საქმიანად იკითხა მან.
— მანქანა, როგორც ჩანს, ჩქარა მოდიოდა და წყალში მაშინ გადავარდა, როცა მოქცევა იყო. დღეს დილით სათევზაოდ მოსულმა ბიჭებმა შენიშნეს, ჩვენ კი ბუქსირით ამოვიყვანეთ და ეს მკვდარი ახალგაზრდაც მაშინ შევნიშნეთ, — მიუგო ფორმიანმა პოლისმენმა.

— ეტყობა, მაგარი მთვრალი იყო, თან სისწრაფე უყვარდა და თავი ვერ შეიკავა. უფრო სწორად, მანქანა ვეღარ შეაჩერა, — ჩაილაპარაკა ისაამანმა.
— მთვრალი კი იყო, მაგრამ... ვილაგამ მანქანის მუხრუჭები წინასწარ დააზიანა, — ჩუქროს საუბარში მეორე ფორმიანი, — ჩემი აზრით, ეს განზრახ მკვლელობაა.

— თქვენ რას ფიქრობთ? — შევიკითხა ჯი პირველ პოლისმენს.
— შეიძლება თვითმკვლელობაც იყოს, — მიუგო იმან, — თუმცა მკვლელობა უფრო სავარაუდოა.

— გვაში გაჩნრიკეთ? იცით, ვინ არის? — იკითხა ისაამანმა.
პოლისმენებმა ერთმანეთს გადახედეს და მხრები აიჩქრეს.

— ვარგით, — თქვა ჯიმ, — სამაგიეროდ მე ვიცი, ვინც არის. მანქანას საშუალო სიმაღლის სათვალისანი მამაკაცი მიუახლოვდა, საკვიპოთი იქვე დადგა და კეფა მოიფხანა.

— ჰელოუ, დოქტორო! — მიესალმა ჯი, — თქვენი პაციენტი უკვე მკვდარია, თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც თქვენ გეკუთვინით.

ექიმი არაფერი უთქვამს, ისე შეუდგა გვამის დათვალეირებას.
როცა მორჩა, წელში გასწორდა, თავის საკვიპოს დასწვდა და თქვა:

— სიკვდილი 12 საათის წინ დადგა. ვიდრე არ გაქვავებულა, გვაში სასწრაფოდ უნდა გადაიტანოთ. დანარჩენს მას შემდეგ ვიტყვი, როცა ცხედარს ანატომიურ მაგიდაზე გაგვსინჯავ.

ექიმი შტერიალდა და იქითვე გაემართა, სადაც მას სანიტარული მანქანა ელოდა.

— ჩვენც წავედით, — თქვა ისაამანმა, — წარმოდგენის პირველი აქტი დამთავრებულია.

სამდინეში მილი უხმოდ გავიარეთ. მერე ისაამანმა ჯიმ თვალი ჩამიკრა და შემეკითხა:

— მიხვდი?
— თქვი, თუ იცი. ის ყმანვილი არასოდეს მინახავს.

— ჯანდაბანს! მეგონა, თავად მეტყვიდი, — მან რალაც ჩაიბურღლუნა, მხრები აიჩქრა, გამოიშხედა და თქვა, — ეს დრავეკის მძლოლია, ჩარლზ ოუენი.

— საიდან იცი?
— ერთი წლის წინ ჩვენთან იჯდა კამერაში.

— რა დაზავა?
— კარმენტან ერთად იუტაში გაიქცა. განრისხებულმა ტონიმ ორივე უკან ჩამოიყვანა, ბიჭი კი ციხეში ჩააყუდა. მერე კარმენტანმა მამობილი გაიყოლია და ჩარლზ მერე დღესვე გამოაშვენიდა. ტონიმ თქვა, მაგ ტიპს კარმენტანს ცოლად შერთვა უნდოდა, მაგრამ ჩემმა გოგომ არ მოისურვაო. რალაც დროის შემდეგ ოუენი დრავეკის სამსახურში დაბრუნდა და მას შემდეგ მასთან მუშაობდა. აი, ასე მოხდა, — ჯი გაჩუმდა, მერე კი შემეკითხა, — ამ ყველაფერზე შენ რა აზრისა ხარ?

— დრავეკის ხელწერაა.
— არადა, ხომ შეიძლება, ჩარლზს ყველაფერი თავიდან დაეწყო?

— კარმენტანს გულისხმობ?
— რა თქმა უნდა.

ანაზღად თავში იღებამ გამიელვა:
— შენი აზრით, ის დრავეკმა მოკლა?

— რატომაც არა? თუ ჩარლზი იმ გოგოს ისევ ავიდა, ტონის მისი მოკვლა არ გაუჭირდებოდა და ასეც მოიქცა.

— მისმინე, ისაამანო, — დავიწყე სერიოზულად, — თუ ყმანვილი მოკვლეს, რაშიც დარწმუნებული არ ხარ, ეს დრავეკის სტილში არ ჯდება. განრისხების უამს მას თავისუფლად შეეძლო ადამიანის მოკვლა, მაგრამ ყველაფერს უცვლელად დატოვებდა. დრავეკი მკვლელობის მიჩქმალვას და კვალის არეუ-დარევას არ დაინწყებდა.

— მშვენიერი ვერსია მქონდა, შენ კი რა ქენი? ყველაფერი წყალში ჩამიყარე! არ ჯობდა, მარტო წამოვსულიყავი? არა, მე მაინც დრავეკს მივანჯვრები!

— რაც გინდა, ის ქენი, მე კი სტიინერის მალაზიასთან გამიჩერე. მაინტერესებს, როგორია.

სახლის პირველი სართული შუაზე იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი სტიინერის წიგნების მალაზიას ეკავა, მეორე კი კრედიტით მოვაჭრე ებრაელ იუველიერს ეკუთვნოდა. შესასვლელში სწორედ ის იდგა — მაღალი, ჭალარა, შავივალა მამაკაცი ცხრაკარატინი ბრილიანტით თითზე. როცა გვერდზე ჩავუბრუნე, თითქოს მორცხვად, მაგრამ ეშმაკურად ჩაიცნა.

სტიინერის მალაზიის იატაკზე, კედლიდან კედლამდე უხეში ლურჯი ხალიჩა ეწინა. მოსანევი მაგიდების ირგვლივ ლურჯი ტყავის სავარძლები იდგა. ვინორ მაგიდებზე ტვიფორულყდიანი წიგნების კომპლექტები ეწყო, დანარჩენები კი მინის ტიხრის მიღმა მოუთავსებინათ.

ჩემს დანახვზე სანერ მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა ქალი წამოდგა და შაკვაბაშემოტყვილი, გამხდარი თუბოების მორბომილი რხევით მომიან-ლოვდა. მას უკან გადავარცხნილი, მოვერცხლისფრო თმა და სქლად

შელებილი წამანებებს ქვეყნიდან მომზირალი მომწვანო თვალები ჰქონდა, ქარვის დიდი საყურეები და ფრჩხილების ვერცხლისფერი ლაქი კი ერთიან პარმონისა ქმნიდა.

- რამე გნებავთ? — ქალის ღიმილი აშკარად ნაძალადევე ჰგავდა.
- სტაინერი სად არის? — შევაცხებ კითხვა.
- დღეს არ იქნება. იქნებ მე გაჩვენო...
- არა, — გავანყვეტინე ფრანა, — თავად ვყიდი... იმას, რასაც ის დიდხანს ექებდა.

— აა, ყიდი? მაშინ ხვალ მოდი.

— სტაინერი ავად გახდა? იქნებ შინ ვწვეოდი? იმის ნახვა, რაც მე მაქვს, ნამდვილად მოუნდებოდა.

ქალი განცვივრდა. სულის მოსათქმელად მთელი წუთი დასჭირდა, მაგრამ თავშეკავება მაინც არ დაუკარგავს.

— ეს... ეს ფუჭი საუბარია. მისტერ სტაინერი ქალაქში არ იმყოფება.

— სამწუხაროა, — ვთქვი და ის იყო, გამობრუნება დავაპირე, რომ...

უკანა ჩარი გაიღო და იმ ახალგაზრდამ გამოიხედა, წინა საღამოს რომ შევინძე. ჩემს დანახვებზე წამით შეტება, მერე კი უკანვე შებრუნდა, მაგრამ მე მაინც მოვასწარი იმის დანახვა, რაც იქითა ოთახში ხდებოდა: იატაკზე დანყობილი მუყაოს ყუთები წიგნებით იყო სავსე, თავს კი საშუალო ხალათში გამოწყობილი მამაკაცი დასტრიალებდა. მამასადამე, სტაინერის მარაგის ნაწილი სადღაც უნდა გავხიდათ.

ქუჩაში გამოვედი. ცოტა გავიარე და შესახვევს მოვეფარე. სტაინერის მალაზიის უკან შავი საბარგო მანქანა შევინძე ბალისებრი ბორტებით, ძარა კი მუყაოს ყუთებით იყო სავსე. მერე ის ხალათიანი კაციც დავინახე, როგორ გამოიტანა უკანა კარიდან ყუთი და დანარჩენებს მიაშტა.

ძალიან მაინტერესებდა, ამ ფოლიანტების ადრესატი ვინ იყო, ამიტომ იქვე, მახლობლად, ტაქსი დავიჭირე და ახალგაზრდა მძღოლს ვთხოვე, იმ საბარგოს გაყოლოდით.

— სიამოვნებით, შექმნიყვარს ასეთი რაღაცეები!

საბარგო მანქანის საჭეს იგივე ხალათიანი უჯდა და საკაოდ სწრაფად მიინედა წინ, ოღონდ არ ვიცოდი, საითკენ.

ბევრი მიხვევ-მოხვევისა და ვირაუბის შემდეგ საბარგო მრავალბინიანი სახლის წინ გაჩერდა, მერე იქვე შეუხვია და მიმსქვეშა თაღს მიეფარა.

ტაქსისტს მოცდა ვთხოვე, გადმოვედი და სახლის სადარბაზოს შესასვლელს მივამურე. მცხოვრებთა გვარები შესაბამისი ბინის ნომრებით იქვე გამოეკიდათ.

„ჯოზეფ მარტი, ბინა 405“ — მომხვდა თვალში.

„იქნებ ეს ის ჯო მარტია, კარმენა რომ ეკურკურებოდა?“ — გამიელვა თავში და მართალიც გამოვიტყვი.

სარდაფის სართულზე ჩასულმა ხალათიანი მძღოლი დავინახე, მონდომებით რომ გადააქონდა ყუთები სატვირთო ლიფტის კაბინაში. მის ახლოს გავეჩერდი, სიგარეტი გავაპოლე და ყურება დავუწყე, როგორ მუშაობდა. ეს არ მოეწონა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მე კი ცოტა ხნის შემდეგ ავლაპარაკად:

- მეგობარო, ცოტა ფრთხილად იყავით, ზედმეტი არ მოგვივლით.
- რას გულისხმობთ?
- წონას. ლიფტი მხოლოდ ნახევარ ტონაზეა გათვლილი.
- გასაგებია. გამალობთ.
- ეგ არაფერი. ვისთან ამდენი წიგნი?
- ოთხას მუხუთუმი, ჯო მარტისთან.
- აი, ბედნიერი! ბევრი რამ ექნება მართლა წასაკითხი! აბა, კარგად.
- კარგად, — ხალათიანმა თავისი საჭმე განაგრძო, მე კი პირველ სართულზე ავედი, ქუჩაში გავედი, ტაქსში ჩავჯექი და მძღოლს ჩემი კანტორის მისამართი დავუხსახლე.

მ აქსი გაჩერდა. მძღოლს გულუხვად გადაუხსადე და მანქანიდან გადმოვედი თუ არა, დრავეკი დავინახე. ის იმავე ლაბდაში იყო, ოღონდ აღარც წვიმდა და თბილოდა კიდევ. ჰალსტუხი გვერდზე მოქცეოდა, სახეზე ფერი აღარ ედო და არც წვერი გაეპარსა. მოკლედ, უხასიათოდ იყო, რაც არ გამკვირვებია...

კაბინეტის კარი გავაღე, სტუმარი წინ გავატარე და დაჯდომა შევთავაზე. ის ქოშინებდა, სულს ძლივს ითქვამდა და ხმას ვერ იღებდა. მე სანერი მაგიდიდან ჭვავის არაყი ამოვიღე და ორი სირჩა შევაფხე. მან ორივე გამოცალა, მერე სავარძელში ჩაეშვა, ამოკრუნესა, ჯიბიდან თეთრი კონვერტი ამოიღო, მაგიდაზე დადო და ზემოდან თავისი ტორი დააფარა.

— ჩარლზ რუენზე მომიყვით, თუ შეიძლება, — ვთხოვე მორიდებით,

— დღეს დილით იასამანი ჯე ვნახე.

დრავეკმა უაზროდ შემომხედა. მერე, თითქოს აბეზარ ფიქრს იშორებდეს, თავი გააქნია და ყრუ ხმით თქვა:

— მას ნაკლებად ვიცნობდი, თუმცა კარგი ბიჭი ჩანდა.

ჩვენ, ორივე, კონვერტს დავცქეროდით. ბოლოს მან ის ჩემკენ მოსწია და ამოღორდა:

— შეგიძლიათ ნახოთ, — და ჩემდა გასაკვირად, გაუპარსავ ლანჯებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

კონვერტზე დრავეკის ბინის მისამართი იყო დაბეჭდილი, შიგ კი მზონიანი ფოტოსურათი იდო: ხის სავარძელში მიშველი კარმენ დრავეკი იჯდა, ნეფრიტის საყურეები ეკეთა, მზერა კი იმაზე შემული ჰქონდა,

ვიდრე მაშინ, მე რომ ვნახე. მეორე მხარე სუფთა იყო.

ფოტოსურათი მაგიდაზე პირუტყუ დავდე და ფრთხილად ვთხოვე:

— მიამბეთ ამაზე.

დრავეკმა ცრემლები სახელოთი მოიწმინდა, ხელები მაგიდაზე დააწყო და ჭუჭყიან ფრჩხილებს დააცქერდა. თითები უკანცალკედლა.

— ვილაც კაცმა დამირეკა, — თქვა კუშტად, — ამგვარი ფოტოების სანაცვლოდ 10 ათასი დოლარი მომთხოვა. საქმე თუ დღესვე არ მოვაგვარე, ამ ყველაფერს რომელიმე ბულგარულ გაზეთს გადასცემენ.

— სისულელეა! ბულგარული გაზეთი ამით არ ისარგებლებს!

— ეს ყველაფერი არ არის. იმ კაცმა ისიც თქვა, ჩემთან სუმრობა არ გაგივით და თუ არ შევთანხმდებით, თქვენი ქალიშვილი ციხეში აღმოჩნდება.

— ისევე უაზრობა! კარმენი რას ამბობს?

— არ მიკითხავს... საბრალო გოგონა... მთლად გახდილი... სტაინერთან ჯერ არ გილაპარაკიათ?

— ვერ მოვასწარი. ვილაცამ დამასწრო.

დრავეკმა გავკრევისაგან თვალები დაქანა და პირი დაალო. აშკარა გახდა, რომ ლამის მოვლენების შესახებ არაფერი იცოდა.

— გუშინ საღამოს კარმენი სახლიდან გავიდა?

დრავეკი ჯერ ისევ პირლია იჯდა და დაცხადულად აზროვნებდა.

— არა, — თქვა ბოლოს, — კარმენი ავად გახდა. როცა შინ დავბრუნდი, ლოგინში იწვა. გარეთ საერთოდ არ გასულა...

სტაინერზე... რა უნდა გეთქვით?

სირჩები ისევ შევაცხე არაყით, ჩიბუხი გავაბოლე და ვთქვი:

— სტაინერი მოკლეს ლამით, როცა მაგრად წვიმდა.

— ლმერთო! — შეპყვირა დრავეკმა, — თქვენ იქ იყავით?

— არა, — გავაქნიე თავი, — იქ კარმენი იყო. აი, რა ჰქონდა მხედველობაში იმ კაცს, თქვენ რომ დაგამანტაყათ. დავამატებ იმას, რომ კარმენს არ უსვლია.

დრავეკი სიბრაზისგან ერთიანად განითრია:

— ტყუილია! ჩემი გოგონა ავად! როცა დავბრუნდი, ლიგინში დამხვდა! სახლიდან არც გასულა!

— სამწუხაროდ, გავიდა. შინ თავად მივიყვანე.

ეს მოახლემაც იცის. სად იყო? სტაინერის სახლში, მე კი გვერდიდან ვუთვალავთალებდი. სროლის რამდენიმე ხმა გაისმა და ვილაცა გაიქცა. მკვლელი არ დამინახავს, კარმენი კი ძალიან მთვრალი იყო, ის რომ შეემჩნია. აი, რატომაც ის ავად.

დრავეკის გამოხედვა გიჟისას დაემგვანა, თვალებში თითქოს შუქი ჩაუქრა.

— მე კი არ მითხრა... — ჩურჩულე გავიდა, — მე არაფერი მიხსრა... არადა, მისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, — მის ნათქვამში უმწეო სასონარკვეთა გამოსჭვიოდა.

დრავეკი სავარძელში ოდნავ შეინძრა და დაამატა:

— ამ ფულს ვიშოვი, როგორმე უნდა ვიშოვო... 10 ათასი... იქნებ ის ტიპი სიამართლეს ამბობს!

შემდეგ ის მოეშვა, თავი მაგიდაზე ჩამოდა, აზლუქუნდა და მხრები აუცხავდა. ამის ატანა აღარ შეემძლო, წამოვდექი, მაგიდას შემოვუარე და ხელი დრავეკის მხარზე ავატყაყუნე. მან ცრემლები ისაგან სველი სახე ასწია და ხელში ჩააფრინდა:

— თქვენ... კარგი ადამიანი ხართ!

— ჯერ ყველაფერი არ მითქვამს, — თითები გავითავისუფლე, სირჩა მივანაღე და დალევაშიც მივეხმარე, — თავი ხელში უნდა აიყვანოთ. პოლიციამ სტაინერზე ჯერ არაფერი იცის. თქვენი ქალიშვილი სახლში მოგაყვანეთ. მინდა, რომ თქვენ და კარმენს არავინ შეგეხოთ ანუ თავი დაგანებონ, მაგრამ ეს მე რთულ მდგომარეობაში მაგდებს, ამიტომ რაღაცა უნდა შემისრულოთ.

დრავეკმა მძიმედ და ნელა დააქნია თავი:

— კარგი... ისე მოვიქცევი, როგორც მეტყვით.

— ის ფული როგორმე იშოვოთ, თქვენთან შეინახეთ და არავის არაფერი უთხარათ. მოკლედ, ენას ბოქლომი დაადეთ, დანარჩენი კი მე მომანდეთ. ამისათვის მზად ხართ?

— ჰო, — მომიგო დრავეკმა, — როგორც თქვენ თქვით, ყველაფერს ისე ვიზამ.

— ამაზე კარმენსაც არ ელაპარაკოთ, — დავამატე, — რაც ნაკლებს გაისჩვენებს, მით უკეთესი. ეს ფოტო... — ხელი ფოტოსურათს დავადე, — იმაზე მეტყველებს, რომ სტაინერი მარტო არ მუშაობდა. ჩვენ ის ადამიანი უნდა მოეძებნოთ და რაც შეიძლება მალე... თუნდაც ეს 10 ათასი დოლარი ღირდეს.

დრავეკი აუჩქარებლად წამოგდა და ნამტირალევი თვალები შემომანათა:

— ეგ არაფერი. ხელის ჭუჭყია ბოლოს და ბოლოს. სასწრაფოდ ვიშოვი, მერე კი შინ წავალ, საიმედო ადგილას დავმაღავ და თქვენს შემდგომ მითითებებს დაველოდები... აბა, ჯერჯერობა.

დრავეკმა ხელი ჩამოშორდა, შეტრიალდა და ნელა გავიდა კაბინეტიდან. მერე მისი ნაბიჯების ხმა მომესმა დერეფნიდან, ნელ-ნელა რომ შესუსტდა, ბოლოს კი სულ მიწყდა.

მერე არყიან სირჩას დავწვი, სწრაფად გადავკარი, დაცლილი სირჩა უკან დავდგი, ჯიბიდან ცხირსახოცი ამოვიღე და შუბლიდან ღვარად წამოსული ოფლი მოვიწმინდე.

ბარბოლა შხვალ ნომერი

✓ **თარგნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი**



ნებისმიერი ფიქრი არის მიზანი და ნებისმიერი მდგომარეობა არის შედეგი

ეიფორია

დასაწყისი №7:15

მესამე ნაწილი

„იყო დრო, როდესაც ადამიანებს ჰქონდათ ლეთიური ძალა, მაგრამ შეურაცხყოფა მიაყენეს ამ ძალას და ბოროტი ზრახვებისათვის გამოიყენეს. ამ მიზეზის გამო ღმერთმა ჩამოართვა მათ ეს ძალა. ფიქრობდა, რომ დაეშალა იგი დედამიწაზე, მაგრამ იცოდა, რომ მოვიდოდა დრო და ადამიანი მთლიანად შეისწავლიდა დედამიწას და მიაგნებდა მას.“

შემდგომ ფიქრობდა, დაეშალა იგი ოკეანეში, მაგრამ მასწინვე დარწმუნდა, რომ ადამიანი ოკეანეშიც ჩააღწევდა. მასწინ ღმერთმა გადაწყვიტა, ეს ძალა დაეშალა იქ, სადაც მას ადამიანი არასდროს მოქებინდა და დაშალა იგი თვითონ ადამიანში. იმ დროიდან ადამიანი თხრის მიწას, იკვლევს ოკეანეს, ადის მთაზე იმის ძიებაში, რაც დასაბამიდანვე მასშია“, — ძველი ინდური ლექსი.

სანდროს მიერ ჩადენილი ცემა-ტყეპის შემდეგ ოთხი დღე გაუჩერებლად ვტიროდი. კიდევ კარგი, დოდომ შევბუღებე მომცა. ვინევი და ვლნობდი. ნაწუკამ დედაჩემი დაიბარა და იმან ნოტაცია წამიკითხა. მომიტანა სამოტივაციო ლიტერატურა და დამაფიცა, რომ ჩემს ფსიქოლოგ ნათესავს, ანკას დავეკავებოდი. მოკლედ, ანკა დაახლოებით ერთ საათში მოვა. ახლა კი ვზივარ, ვსაბუცებ ყავას და ვაანალიზებ იმას, რაც გუშინ წავიკითხე.

დამაფიქრა. ყველაზე დიდი ძალა ჩვენშია და ყველაფერის მიღწევა შეგვიძლია. ადამიანები, რომლებიც აგნებენ ამ ძალას, არიან ყველაზე თავდაჯერებულები, წარმატებულები და ბედნიერები. ისინი ისეთი ძლიერები არიან, რომ ვერაფერი დაარღვევს მათ სიმშვიდეს. ისინი მხოლოდ საუკეთესოზე ფიქრობენ, საუკეთესოსთვის მუშაობენ, საუკეთესოს ელიან. ისინი ივინებენ წარსულ შეცდომებს და კონცენტრაციას ახდენენ მხოლოდ მომავალ მიღწევებზე. მათ სჯერათ, რომ მთელი სამყარო მათ მხარესაა და მუდამ მათ მხარეს იქნება იქამდე, სანამ თავიანთ პოტენციალს საუკეთესოდ გამოიყენებენ. ახლა ჩემი დროა, რომ ნერვიულობაზე მაღლა ვიდგე, ვიყო რისხვაზე უფრო დიდსულოვანი, შიშზე უფრო ძლიერი და ძალიან ბედნიერი იმისათვის, რომ არ დავუშვა უბედურების არსებობა. უბრალოდ უნდა მივცე ჩემს თავს შანსი.

„შუ ვერ შეცვლი შენს მომავალს, თუ არ შეცვლი შენს იქვერებს! არ აქვს მნიშვნელობა, რომელი სქესის, ასაკის, რწმენის ან სოციალური ფენის წარმომადგენელი ხარ — შენ შეგიძლია!“

ნუთუ მართლა შემიძლია?! საკუთარ თავზე მუშაობის იმდენი მეთოდიცაა აღწერილი, ცოტა დრო დამჭირდება, რომ გავერკვიო. ვიზუალიზაცია, პრინციპში, რაიმეს წარმოსახვაა, გონებაში სურათის შექმნა. ჩვენში არის ძალა, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი ჯანმრთელობა, სასიყვარულო ურთიერთობა, სიმიდრე, ცხოვრება და მომავალი. ჩნდება ლოგიკური კითხვა — თუ ვიზუალიზაცია ასეთი ძლიერი ქმედებაა, მაშინ რატომ არ ჩნდება ჩემ წინ ის ნივთი, რომელზეც გაუთავებლად ვფიქრობ? ხსნიან იმით, რომ ვიზუალიზაცია არ აჩენს არაფერს, მაგრამ იზიდავს იმას, რაც გინდა. ვცდილობ, უტაპობრივად მივყვე. სულ ოთხი ძირითადი ნაბიჯი.

ნაბიჯი 1 — არსებული სიტუაციის გაანალიზება: „გაანალიზე შენი დღევანდელი მდგომარეობა. ბედნიერი ხარ? წარმატებული ხარ? რას გინდა მიმდინარე? რა ცვლილებების სურვილი გაქვს?“

„უმეტესობა ჩვენგანის უდიდესი საშიშროება ის კი არ არის, რომ ძალზე მაღლა ვუმოხვებით და ვერ ვაღწევთ მიზანს, არამედ ის, რომ ძალიან დაბლა ვუმოხვებით და ვაღწევთ მას“, — მიქელანჯელო.

„ბედნიერი არ ვარ უბრალოდ იმიტომ, რომ იდიოტი ვარ. წარმატებული ვარ, მაგრამ ბევრად უფრო მაღლა ვიდგებოდი, იდიოტით რომ არ მოვეცუეულიყავი. მაგრამ, როგორც იდიოტს, ეს ნაკლებად შემიძლია. რა ცვლილებების სურვილი მაქვს? ქაოსი აღარ მინდა. მინდა ვიყო მშვიდად.“

ნაბიჯი 2 — დროის ფაქტორი და მოთმინება: სამყარო ყველაფერს აკეთებს ნულლოვანი ძალისხმევით — ის ვერ ასხვავებს დიდ და პატარა სურვილებს ერთმანეთისგან. მისთვის არ არსებობს დრო. მაშინ რატომ არ შემიძლია ვისურვო, რომ გახდე მილიონერი ერთ დღეში? იმიტომ, რომ ჩვენ ბავშვობიდან თავში გვაქვს ჩადებული, რომ უნდა ბერი იშრომო, რათა სიმდიდრე გქონდეს. ერთეულები, ვინც ამის დაძლევას ახერხებენ, მართლაც შედიან მილიონერის სიაში. უმეტესობას, ერთ დღეში კი არა, საერთოდ არ სჯერა, რომ შეუძლია გახდეს მილიონერი. თუ ცვლილებები არ მოხდა ისე მალე, როგორც შენ გინდა, გულს ნუ გაიტებს, ნამდვილად მოხდება მაშინ, როდესაც შესაძლოა საერთოდ დავიწყებას ექნება მიცემული შენი სურვილები.

მოთმინება, რწმენა და პოზიტიური განწყობა წარმატების საწინდარია. ალბათ დაკვირვებინარ, რომ, თუ ჩაიდანს ხშირად ახდი თავს, წყლის ადუღებას ბევრად მეტი დრო სჭირდება. ჩვენი იდეა ნერგივითაა, იგი უნდა დათესო, მორწყა სტაბილურად, მაგრამ წამიერად არ ამოწმო, წამოიხარდა თუ არა. იყავი დარწმუნებული იმაში, რომ ის აუცილებლად აყვავდება. შენი ქვეცნობიერი არის ადგილი, სადაც ხდება ნერგის დათესვა — სადაც შენი სურვილები გარდაიქმნება რწმენად. როგორც კი ამას მოახდენ, ამქვეყნად ვერაფერი შეაჩერებს ამ პროცესს.

ჩვენ გვაქვს ცხოვრებაში მიზნები და სურვილები, რომლებსაც ნაბიჯ-ნაბიჯ ვახორციელებთ. თუ სურვილების ნაწილი უკვე აისრულე, დაფიქრდი, რა პრობლემები გაქვს? მოქმედებს თუ არა ისინი შენს

სულიერ მდგომარეობაზე? ეცადე, რომ არ იმოქმედოს. შენ ხარ ბედნიერი შენი ცხოვრების კარგი ფაქტებით. ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ საზოგადოებაში ნახე მიზეზი, რომ გულიანად გაიცინო. ეცადე, სიბოროტად გაუზიარო სხვას. დაისახე უდიდესი გეგმები და მიჰყევი მათ.

„ადამიანები, რომლებსაც პატარა ოცნებები აქვთ, განაგრძობენ ცხოვრებას როგორც პატარა ადამიანები“, — რობერტ კიოსაკი.

სათქმელად როგორი ადვილია? როგორ არ მოვიშლო ნერვები? ნაბიჯი 3 — ცვალებადობის რეჟიმი და შიში.

ხშირად არის სიტუაცია, როდესაც დადებითი მოკლევნა აუცილებლად მოსდევს უარყოფითი. თითქოს როგორც კი რაღაც დალაგდება, აუცილებლად უნდა აირიოს. ნუ შეგეშინდება! ეს კანონზომიერია. მთავარია ისწავლო უარყოფითის კონტროლი. როგორ? გაითავისე, რომ შენი პრობლემები შემოიფარგლება მოტეხილი ქუსლით და დაკარგული საყურით. სამყარო ყოველთვის აკომპენსირებს პრობლემებს, თუ შენ ამას მისგან ელი. უთხარი შენს თავს, რომ არასდროს გახდებით შენ ან შენი საყვარელი ადამიანები ავად იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ. ჯანმრთელობის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს სურვილების ასრულება. ასევე არსებობს რისკის დიდი შიში. რომ არ გამოიშროლოს? რომ არ აეწყოს? ყოველთვის იქნება რომელიღაცა „რომ“. იცოდე, შენ ყველაფერი შეგიძლია!

როგორ მინდა, რომ არ მეშინოდეს. მაგრამ, რომ მეშინია? მეშინია, რომ ვერასდროს ვიქნები ბედნიერი. არასდროს მეყოლება გვერდით კაცი, რომლის გვერდითაც ვიქნები ისეთი, როგორც სინამდვილეში ვარ.

ნაბიჯი 4 — მე ის ვარ, რასაც ვფიქრობ.

„ჩვენ მივდევართ იქ, სადაც ჩვენი ხედვაა“, — ჯოზეფ მერფი. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ მხოლოდ ის, რაც უკვე არსებობს ობიექტურ სამყაროში, მაგრამ ის, რასაც ვიზუალურად წარმოვიდგინებ უკვე არსებობს გონების სამყაროში. ვიზუალიზაცია არის ნიშანი იმისა, რაც ერთ დღეს გამოჩნდება მატერიალურ სამყაროში, თუ ჩვენ ჩვენი იდეალის ერთგული დავრჩებით. ირგვლივ ყურების ნაცვლად თუ შენს თავში ჩაიხედო, წარმატებულად მიაგნებ შენი ცხოვრების მიმართულებას და იმოვი ძალას მის მისაღწევად. შენი სურვილები რეალურია და შესაძლებლობები უსაზღვროა. თითოეულ ჩვენგანს აქვს ბევრად დიდი შესაძლებლობები და პოტენციალი, ვიდრე წარმოგვიდგენია. ვიზუალიზაცია არის ჩვენი სურვილების მატერიალიზაციის რეალფორმა. შენს გონებაში უნდა შექმნა ის გამოსახულება, რომელიც უკლებლად გინდა, აქციო. ოცნებას და სურვილებს არ აქვთ შეზღუდვები. შეზღუდვა შენშია და შენვე იწესებ მას. შენ ხარ ის, რაზეც ფიქრობ მთელი დღე.

პირველი ნაბიჯი არის შენს სურვილებში გარკვევა. გონებრივი შრომა აუცილებელია. ნუ ინერვიულებ იმაზე, რომ გარკვევით ვერ ხედავ იმას, რაც გინდა. იფიქრე ამაზე ყოველდღიურად. ნუ აჩქარდები, შენ ახლა საკუთარ ცხოვრებას და მომავალს გეგმავ. როდესაც გონებაში სურათი ჩამოგყავილიდგება, იფიქრე იმ შედეგზე, რაც გინდა, რომ მიიღო. სამყარომ უფრო იცის, თუ როგორ მიაღწევ მას ჰარმონიულად და სწრაფი გზით.

„მიზანი არის ოცნება, რომელსაც გააჩნია ბოლო ვადა“, — ნაპოლეონ ჰილი.

იფიქრე იმაზე, რაც გინდა, იმის ნაცვლად, რაც არ გინდა. ნუ მიაქცევ ყურადღებას გარემოებას ან შესაძლებლობებს. შექმენი შენი ლამაზი სამყარო და სამყარო შენს გარშემოც მიიღებს ასეთივე სახეს. მათ, ვისაც სიღარიბის ეშინიათ, ყოველთვის ექნებათ ფინანსური პრობლემა. გონებას არ ესმის, „მე არ მინდა, რომ ვიყო ღარიბი“, მაგრამ მას გარკვევით ესმის „ღარიბი“ და შენს სურვილსაც დაუყოვნებლივ ასრულებს. ასევე სწრაფად აგისრულებს პოზიტიურ სურვილებსაც და ლოცვას, მთავარია მოინდო-მო.

„ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემთ“, — მარკოზი, 11,24.

ნუ გაიმეორებ, რომ შენი საყვარელი ადამიანი ძალიან უარყოფითია და არ ხარ მის გვერდით ბედნიერი. იმეორე, რომ შენი მეორე ნახევარი გაფასებს და უყვარხარ ისეთი, როგორც ხარ, რომ იგი წარმატებული, კეთილი და მოსიყვარულე პიროვნებაა. მაღლობელი იყავი იმისათვის, რომ ერთმანეთს ავსებო და მუდამ ერთად იქნებო ბედნიერები. ან შენი აწმყო პარტნიორი შეიცვლება უკეთესობისკენ, ან გამოჩნდება ვინმე ახალი, ვის გვერდითაც მიხვდები, რა ლამაზია სიყვარული. რუტინა თუ ერთხელ გაწყვეტ, მხოლოდ ნივ გაიხედე.

„შენს ქვეცნობიერს არასდროს სძინავს. იგი მუდმივად სამუშაო რეჟიმშია. იგი აკონტროლებს შენს ყველა სასიცოცხლო ფუნქციას. ამაზე შენს თავს და სხვებს, სანამ დაიძინებ და გამოჯანმრთელებაც უფრო სწრაფად მოხდება“, — ჯოზეფ მერფი.

გონებრივი შრომა საკმაოდ დამლევია. ერთი და იმავე ტრიპლი კი საერთოდ გაგიყებს, მაგრამ, დამიჯერე, ღირს! ოდნავ გაახალისე შენი ვიზუალები. დაინახე ყველა დეტალი. გახადე ოცნებები ფერადი და ლამაზი. დატკბი ყოველი ნუთით. გაითავისე, რომ შენი ოცნება და შენი რეალობა



დაკავშირებულია ერთმანეთთან. ექვზე შენში და არა — შენ გარშემო! შენი გონება მართლაც შენ შიდა სამყაროს. როდესაც ამ სამყაროს ალმოაჩენ, მიხვდები, რომ შეგიძლია მართო იგი. დაამყარე ჰარმონია შიდა სამყაროში და შენი ცხოვრება შეიცვლება. როგორ უნდა აკონტროლო შენი შიდა სამყარო? შენი ფიქრის კონტროლით და იმის გაანალიზებით, თუ რა გავლენას ახდენს შენზე ყოველი გამოცდილება.

„თუ შენ მუდმივად ვალეზე ფიქრობ, ამით შენ მათ უფრო იზიდავ“, — ბობ პროქტორი.

ის, რისი გაცემა არ შეუძლია შენს ქვეცნობიერს, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, რისი გაცემა შეუძლია. ქვეცნობიერს არ შეუძლია უარყოს შენი მითითება ან ჩვევა. იგი არ ფიქრობს, ეს შენი ცნობიერი გონების საქმეა. მისი ფუნქციაა, შეასრულოს შენი მითითებები.

„შენ ცოცხალი მაგნიტი ხარ. რასაც იზიდავ შენს ცხოვრებაში, ჰარმონიამა შენს ფიქრებთან“, — ბრაიან ტრეისი.

შენ ენერჯისგან შემდგარი მაგნიტი ხარ. ფიქრი კი ენერჯიაა. კონკრეტულ მიზანზე კონცენტრირებული ფიქრი იქცევა ძალად. ამქვეყნაზე ყველაფერი ენერჯიაა. ფიქრი ენერჯის სწრაფი და მსუბუქი ფორმაა. სანამ რამეს შეეცმნით, ჩვენ მას ფიქრის სახით ვაყალიბებთ. როდესაც გაიზარებ, რომ ყველაფერი მართლაც ენერჯიაა, ხვდები, რომ არ არის განსხვავება მატერიასა და ენერჯის შორის, ფიზიკურ და ფიქრების სამყაროს შორის საზღვრები უბრალოდ ქრება.

„შენში არის უზარმაზარი ძალა. ბედნიერება მოვა შენთან, როგორც კი დაუფლები ამ დიად ძალას. ამის შემდეგ შენ შეძლებ, აქციო შენი ოცნებები რეალობად“, — ჯოზეფ მერფი.

გაიღიმა და შეუდევი საშესქს! შეცვალო შენი ცხოვრება უკეთესობისკენ! შენ ამას იმსახურებ და შენ ეს შეგიძლია! მთავარია გქონდეს რწმენა.

„გქონდეთ ღვთის რწმენა. ჭეშმარიტად გეტყვი, რომ ვინც ეტყვის მთას: აიწიე და ზღვაში ჩაეარდო, და გულში არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნება, რომ მისი სიტყვებისამებრ მოხდება, აუსრულდება მას“. მარკოზი, 11,23.

ვიმე, დიდი მადლობა! გეგონება, მე არ მინდა, რა. ისე რაღაცეები მართლაც საინტერესო იყო და უნდა მოვსინჯო ძილის წინ.

კარზე ზარია. მივდივარ და ვუღებ კარს ანკას. რამდენი ხანია, არ მინახავს. ვეხვევით ერთმანეთს და სამზარეულოში გავდივართ. ვუსხამ ყავას და ვსხდებით საჭორაოდ.

— დედაშენმა შემაშინა. რა დაგეტაკა ამჯერად? — მშვიდად მეკითხება ანკა.

დედალებში ვუყვები ყველაფერს, რაც მოხდა. მისმენს და ნერვი არ უტკავს. ოპ, ეს ფსიქოლოგები!

— ატყობ, რომ არაფერი პრობლემა არ გაქვს, გარდა იმისა, რასაც ხელოვნურად იქმნი? — მეუბნება ისევ ისე მშვიდად.

ხმას არ ვიღებ. ნაწილობრივ ვეთანხმები. ყველაფერი მე თვითონ დავიძინე ჩემი უზარო გამოცდილებით.

— მე ფსიქოლოგიურ დახმარებას ვუნებ ქალებს, რომლებსაც ქმრები სცემენ, რომლებიც შემდგომ ბავშვებს სცემენ ან ცხოველებს ანამებენ. მათ არასდამ აქვთ ნასასველი, ლენა. მათ არაფერი იციან და არაფერს იმედი აქვთ. ახლა დაფიქრდი, რა განუხებს შენ?

ჯანმრთელი ხარ და ოჯახიც მშვენიერი გყავს. სამუშაოდან სამუშაოზე დახტისხარ და სულ გაქვს კარგი ხელფასი. ისეთი კაცები გყავდა, ხალხს ტელევიზორშიც რომ არ უნახავს. იქნებ დროა, რომ გაიზარდო?

ამის მოსმენა ჰატარა ბავშვისგან ცოტა მტკივნეულია. ჩემთან შედარებით მართლაც ბავშვია ანკა. მეტირება, მაგრამ ვერ ვბედავ.

— მე მიმაჩნია, რომ შენი პრობლემა უმიზნობაა. რისთვის ცხოვრობ?

ხმას არ ვიღებ. მართლაც, რისთვის?

— მოდი, ერთხელ ჩვენთან ცენტრში და დაგვეხმარე. მოუტანე ქალებს ტანსაცმელი, ყავაზე დააპტიე, უბრალოდ აგრძობინე თავი ადამიანებად.

— მოვალ! — ვამბობ და ვიცი, რომ დროა, შევცვალო ჩემი თავი, — შენკენ რა ხდება?

— კოკიზე მეკითხები? — ელიმება ანკას.

— დაახლოებით.

— ყველაფერი კარგადაა. მუშაობს, აღარ თამაშობს. დაოჯახებზეც ვსაუბრობთ.

— არ შემშალო! — ნანუკას ხელში სრული უქნარა იყო.

— იცი, ადამიანს სწორად სჭირდება მიმართულების მიცემა, განსაკუთრებით — კაცებს. ვერ წარმოიდგენ, როგორი შეცვლილია.

— შენ ფიქრობ, რომ მე სანდროსთან უნდა დავრჩენილიყავი?

— ლენა, აი, ისევ. მე არ ვიცი და მორჩი მაგაზე ფიქრს. დაკავდი რამე მნიშვნელოვანით და დანარჩენი დალაგდება.

ანკა გავიკვლიე. ნავალ ვუყურებ „როცა ჰარი შეხვდა სალის“. მერე შეეჭამ და ძაღლს გაუასერინე.

სალამო. ჰარის და სალის ურთიერთობის გავლენის ქვეშ ვარ და ასეთი დიდი სიყვარული მწყურია. სამი გაურკვეველი არა, ერთი დიდი მინდა! ერთავ „Robin Thicke - Lost Without You“ და ვალაგებ. ზოგი ირკამ გაიყვანა. ნანუკა აგვიანებს. ალბათ რომ გაიგოს, კოკი როგორ შეიცვალა, ძალიან ენყინება. მომდის მესიჯი. ნანუკა: „ჩაიცივი და მოდი კაფეში...“

ალმაშენების მოედანზე. თათაც აქაა“. რატომაც არა? სწრაფად ვიცავ ჯინსებს და მაისურს, თმას ვიკრავ რეზინით და დაუხატავი გავრბივარ გარეთ.

ტაქსისტმა ნერვები ამიშალა. ხურდა არ ჰქონდა ან „ნაგლად“ მომატყუა და 10 ლარი ნაძალა. ვუახლოვდები კაფეს. ბოლო ვიცი რა ადგილზე. თეთრებში ჩაცმული სანდრო გარეთ ზის, პუფზე. ანათებს პირდაპირ და მის გვერდით ზის კესარია ბიჭკაშვილი. სანდროს თავვეშ აქვს ხელები და რელიეფური კუნთები უფრო ეტყობა. კესარია პრაქტიკულად მასზეა მიწოლილი და ყურში ჩასჩურჩულებს რაღაცას. არ ვიცი, რა მემართება, არც დათოს ცოლზე, არც ნეკაზე, არც ნიაზე ასეთი რამ არასდროს დამმართინია. ამიგდალას „ატაკას“ განვიცდი, გოლმანს თუ დაფუჯერებთ. თვალები სისხლით მევსება. ერთი გიჟური ნახტომით ვასკდები ზემოდან კესარიას და თმებს ვეაჩავ. კვილს იწყებს და ცდილობს, დამკანროს. შოკირებული სანდრო ფხვხვა და ცდილობს, ამდღლიზოს კესარიას, მაგრამ ნურას უკავრავა! კვილ-წივილზე კაფედან ყველა გამოიბის. ნანუკა და თათაც — მათ შორის. ნანუკა წყალს გვასხამს, გეგონება კატები ვიყოთ. სანდრო როგორღაც ახერხებს, რომ ხელი გამაშვებინოს, ტაქსის აჩერებს და შიგნით მტენის.

— ნაიყვით აქედამ! — უბრძანებს ნანუკას, რომელიც სწრაფად ხტება ტაქსიში. თათაც ჯდება და მიკვრება.

— გოგო, რამ გაგაგოჟა?! — ოფიციალურად მიკვივს ნანუკა.

— ლენა, მგონი, უნდა იმკურნალო, — ამბობს თათა და შემინებული მიყურებს.

განა ვიცი, რა დამემართა? ისეთი ტკივილი განვიცადე, ერთად როცა დავინახე, დანა რომ დაერტყათ, ალბათ სისხლი არ წამომივიდოდა.

შევიდვართ სახლში. ნანუკა სწრაფად უყვება ირას, თუ რა ჩავიდინე და მატაკებს ვალიდოლს. არ მაქვს გული ცუდად! სხვათა შორის, გადასარევად ვგრძნობ თავს. აქამდე უნდა გამეწენა ვინმე. გოგოები ჭკუას მარიგებენ და სიტყვა არ მესმის.

კარზე ბრახუნია. ნანუკა ალებს და შემოიხს განრისხებული სანდრო.

— არანორმალური! — მეუბნება ტონით.

— აბა, გავედით, — ნანუკა ზოსის და ირას კიდებს ხელს. თათაც მორჩილად მიყვება უკან.

— კინალამ მოკალი. ძლივს დავანყარე იმით, რომ მანქანას ვაჩუქებდი! — ბუნირობს სანდრო.

ერთავ მუსიკალურ ცენტრს და ირთვება „Enigma - Why“.

— გესმის, რასაც გელაპარაკები? — სანდრო ხმას უწევს.

— მაპატიე, რომ შენი „ნაშა“ დაეხასიხრე, — ვუბნები მშვიდად.

— „ნაშა“? ლენა, გააფრინე? საქმეზე ვიყავით! რაღაც რეკლამას ვიღებთ. ოდესმე შეიძლება, რომ ჩემ მიმართ დამოკიდებულება შეგეცვალოს? — სანდრო მუშტებს კრავს და ისე უჭერს, ტაკცუნის მესმის.

სიმღერა იცვლება „Queen - You Don't Fool Me“. უეცრად სანდრო მიჭერს და მკოცნის. ვუტურებ ერთ ხელს თმაში და მეორეს წელზე, მაისურის ქვეშ. ველურად ხეხს ჩემს მაისურს და იატაკზე აგდებს. ველარაფერზე ფიქრობ. მხოლოდ ვგრძნობ მის დაკუნთულ სხეულს.

ზედას იხდის და ტახტზე მაგდებს. მუცელზე ვეცემი და ვცდილობ, გადმოვტრიალდე, მაგრამ სანდროს სხეული მაკვებს. „Art of Noise in Love“ ძალიან დროულად ირთება. სანდრო თმიდან რეზინას მაძრობს და იატაკზე აგდებს. ისე მხდის, რომ განძრევის საშუალებას არ მაძლევს. ზურგზე მკოცნის და ბოლომდე იხდის თვითონაც. ისევ ვცდილობ, რომ გადმოვტრიალდე, თვალქვეშა მინდა ჩახვებო და დავრწმუნდე, რომ ჩვენ შორის არის ვნებაზე ბევრად დიდი გრძობა. ისევ სხეულით მაჩერებს. თმაში მკიდებს ხელს და თავს ისე მანევირებს, რომ ჩემს ბიბლიოს შეგებს ენით. ველარ ვაზროვნებ. კისერში მკოცნის და მის ძლიერ სხეულს ვყავარ დატყვევებული. მის ყველა კუნთს ვგრძნობ და ვნებდები.

ზენარშემოხვეული ვზივარ. სანდრო იცვამს. რა ლამაზია. ყველაზე ლამაზი და ყველაზე კარგი, საყვარელი. სანდრო წინდას ვერ პოულობს და

იატაკზე ეძებს. ვტკბები მისი საჯდომით.

— ძლივს! — იღებს წინდას და იცვამს.

ჩემად ვარ. არ მინდა, ჩემი სისულელეებით გავაფუჭო ისევ რამე. სანდრო ჩაცმულია და ნასასველად ემზადება. როგორ მინდა, ვვითხო, თუ რა იქნება ანი, მაგრამ ვერ ვუბედავ. ვაცილებ კარამდე. კედელთან მაყუდებს და მკოცნის. ცალი ხელით ზენარი მიჭირავს დამეორეთი თმაზე ვეფერები. ზენარზე ხელს მამუეზინებს და თქობზე მეფერება. ორივე ხელს მხვევს წელზე და მიხატებს.

— ოდესმე მიხვდები, რას ვგრძნობ მე შენდამი. ჩემთვის უნაკლო ხარ, — მეუბნება და თვალებში მიყურებს.

ტუჩებში ვკოცნი და მიდის. როგორ იყო ნაბიჯი 4? მე ის ვარ, რასაც ვფიქრობ? ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობ, რომ მანსი მაქვს, ყველაფერი გამოვასწორო. მე ლამაზი და ვნებიანი ქალი ვარ და მე თითქმის დავიბრუნე ყველაზე მიმზიდველი კაცი მსოფლიოში, ჩემი სანდრო. მხოლოდ ჩემი!

აბარძლვა შამუზ ნობირი





ლელა ცხუსერიძე

მეზაპრობა

ესეც ასე. მშვიდობით, ჩემო ბიჭო, მშვიდობით, ძვირფასო, საყვარელო, ჩემო ერთგულ-ლო. მაპატიე, რომ ვერ გივლიდი, ვერ მოგიფრთხილდი და სხვას გავატანე შენი თავი. თანაც, მგონი, ჩემზე უარესს. არ ჩანდა შენი მომველელი და მომფრთხილებელი, მაგრამ რა ვქნა, სხვა გზა არ მქონდა, თორემ ვალეები? რამდენიც გინდა.

— ეჰ, — ამოვიოხრე, ერთი-ორი კურცხალი გადმოვაგდე და მომენტალურად შევეგუე ბედს, უფრო სწორად, უბედობას, უფრო სწორად, უმანქანობას.

ძნელი კია, სამი წელი ლამის მალაზიაშიც კი ჩემი პაჯერინოთი შევდიოდი, მაგრამ, სანამ კრედიტომანად არ ჩამოვყალიბდები და მასზე დამოკიდებული არ გავხდები, სანამ ჩემი ერთობასიანი ბინის გაყიდვაც არ მომიწევს, ჯობს, მანქანას შეველიო. ბანკებთან მე ვიყო პირნათელი, ვიდრე ისინი ჩემთან პირშავები და ახალ ცხოვრებას შევუდგე ან ძველი, უმანქანო ცხოვრება გავისხენო. ბოლოს და ბოლოს რა მოხდა, ყველა ხომ არ ივლის მანქანით?!

თავი გავიმხნევე და საზოგადოებრივი ტრანსპორტის იძულებით მოყვარულთა დიდ კოლონას შევეურთდი. პირველივე მცდელობაზე დაჯვარიმდი. ნამდვილი ბედის ირონიაა, სამი წელი არც ერთი ჯარიმა არ მიმიღია, როგორც მძღოლს და ახლა, როგორც მგზავრმა, პირველივე დღეს 5 ლარი დავიზარალე ბიუჯეტი.

— მეტრომანი არ მაქვს, არც ხურდა, დამიხურდავეთ და გადავიხდი, რა პრობლემაა? — ერთი კი ნავინუნუნე, მაგრამ, როგორც კანონმორჩილმა მოქალაქემ, ჯარიმა მაინც გადავიხადე.

— მომილოცეთ, დღეს დამაჯარიმეს! — გამოვაცხადე სამსახურში მისულმა.

— პატრულმა გაგაჩერა? — მკითხა ნატამ.

— არა, პატრული რა შუაშია? — გავიკვირვე.

— აბა, ჯარიმა საიდან? — დაინტერესდა ნატა.

ეგეთია, ყველაფერი აინტერესებს, თუმცა მეც მეტი რა მინდა? ხომ უნდა ამოვთქვა და ვიზუზუნო, ნატა კი სიამოვნებით მოისმენს.

— მონიტორინგის სამსახურმა, — არ დავაკონკრეტე და ინტრიგა დავტოვე.

— ვინ მონიტორინგის სამსახურმა? — წამოეგო ჩემს ინტრიგას ნატა.

— ყვითელი ავტობუსით ვიმგზავრე უბილეთოდ, მაგრამ შეგნებულად — არა, ხურდა არ მქონდა, — გავამხილე.

— ვაიმე, როგორ მეცოდები! — შევეცოდე ნატას, — მაგ ყვითელ ავტობუსებზე და კონტროლიორებზე სულ ბავშვობა მახსენდება.

— ბავშვობა რა შუაშია? — ახლა მე დავინტრიგადი.

— ასე ვთამაშობდი ხოლმე საღამოობით ეზოში: მოვიდა ყვითელი კაცი, ყვითელი ჩემოდნით, ყვითელი პალტოთი, ყვითელი ხელთათმანით... მოკლედ, ერთმანეთს ვაშინებდით და სასაცილო ისაა, რომ მართლა გვეშინოდა, — გაეცინა ნატას, მერე უცებ დაბრუნდა ბავშვობიდან და გაოცებულმა მკითხა, — კი მაგრამ, შენს ბიჭს რა უყავი?

— პაჯერინოს? — ჩამოვუშვი ცხვირი, — გავყიდე პაჯერინო, ჩემი ერთგული და ძვირფასი მეგობარი.

— რას ამბობ?! — შეიცხადა ნატამ, — რა გეშველება?

— რა უნდა მეშველოს, როგორც სხვები დადიან, მეც ისე ვივლი, — ამოვიოხრე.

— როგორ მეცოდები!.. — უფრო შევეცოდე ნატას, — მე ვერაფრით ვივლი ავტობუსით, ვერც მეტროთი, ვერც „მარშუტიკით“, შეიძლება გავგიყუდე!

ნატას შევხედე. აი, პრიალა გოგოა, ძალიან პრიალა, ლამი-ნატას ვეძახი. თმა ლამინირებული, კანი ლამინირებული, ფრჩხილები ლამინირებული, სამოსიც შესაფერისად ლამინირებული, მანქანაც სულ გაპრიალებული, წვიმამიც კი... ამან როგორ უნდა იაროს ავტობუსით?! ვინმე რომ შეეხოს, შეიძლება ისტერიკაში ჩავარდეს.

— შენ ეგ არ გემუქრება, ლამი-ნატა, — დავამშვიდე, — კარგად გყავდეს სანდრო და...
სანდრო ნატას მეგობარია, გულისმიერ-სულისმიერ-სხეულისმიერი. ძალიან უყვარს თავისი ლამინირებული ნატა, თავზე ევლება.

— ვგიჟდები შენს სანდროზე, — ვეუბნები ხოლმე ნატას, — მეც მინდა, ეგეთი ბიჭი მყავდეს, აი, ძალიან რომ უყვარდეს.

— სანდრინოზე ამბობ? — ეღიმება ნანად, — ჰო, ვუყვარვარ და კარგი ბიჭია, თუმცა მე უკეთესი გოგო ვარ.

— ეგ თავისთავად, — მაშინვე ვეთანხმები.

მართლა კარგი გოგოა, ყოველ შემთხვევაში, სამსახურში ყველაზე ახლოს ნატასთან ვარ. მე ვუყვები, ის მისმენს. მე ვწუნუნებ, იმას

ვეცოდები. მეტი რა მინდა? — მე გამოგივლი ხოლმე და ერთად ნამოვიდეთ სამსახურში, — მაპშვიდებს.

ოჰ, მართლა კარგი გოგოა.

— ნახ, აი, ამიტომ მიყვარხარ, მშუა! — შორი თოცნა გავეუგზავნე.

— მარტო მაგიტომ, ხომ? — „წყინა“.

— არა, — დავამშვიდე, — კიდევ იმიტომ, რომ აქედანაც შენ წამიყვან ხოლმე.

— ოჰ, კიდევ რა გინდა? ბარემ მძღოლად გამაფორმე და ის იქნება, — იუარა, — ხომ იცი, აქედან ძირითადად სანდრინოსთან მივდივარ. იქ კი ნამდვილად არ მჭირდება, ჩემო კარგო.

— ოო, ხანდახან არ მიყვარხარ, — უკან წავიღე ჩემი სიტყვები, თუმცა ნამდვილად არ მწყენია.

აქ არ არის ავტობუსი? არა, არა, ავტობუსით აღარ ვიმგზავრებ, „მარშუტიკით“ წავალ. დაჯარიმებას მაინც ავცდები.

ჩვენი სამარშრუტო ტაქსები ცალკე ფენომენია. ეს იმავე საღამოს დავასკვენი, როცა სამსახურიდან გამოსული სამარშრუტო ტაქსში ავედი. ისე, ამას ასვლა არ ერქვა, შეგწურთე. მძღოლმა, სანამ მოვიკაკვებოდი და ტიტანივით შევეყუდებოდი ჭერს, მანამდე დაძრა მანქანა.

— ვაიმე, უკაცრავად! — ნამოვიძახე შენუხებულმა.

ძალიან შემეცოდა მამაკაცი, რომელიც ჩემი ფეხსაცმლის წვრილი ქუსლი ჩაერჭო რაპირსავით.

— რა გაცვიათ ამისთანა, დანასავით ბასრი! — აშკარად გამწარდა მამაკაცი. გადაადგილება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

— გულწრფელად ვწუხვარ, — მოვუბოდიშე ისევე.

იმას კი, ეტყობა, დაცლა უნდოდა თავისი უარყოფითი ენერჯისგან. დაიწყო, მაგრამ რა დიწყო! ჯერ მე მომდგა, მერე მძღოლს, მერე მგზავრებს, მერე ამ ქვეყანას, იმ ქვეყანას, ამ მთავრობას, იმ მთავრობას...

პარალელურად მძღოლმა რადიო ჩართო, ბოლომდე აუწია და სრული სამარშრუტო ნეტარება გამეფდა სალონში. ერთი რეალური ტაქს-ფანდური გვაკლდა მგზავრებს, თორემ რეპერტუარი შეუდარებელი იყო:

„წითელი ბასანოჩკები“ — ამის მოსმენის მერე არასოდეს ჩავიცვამ ჩემს წითელ ბასანოჩკებს!

„მაყვალა, მაყვალა“ — მაყვალი მაგას და ძალღუფრძენა, არ მომილო ბოლო?!

„სამი დალიე, შეგერგება“ — შემერგო კი არა, ცუდად გამხადა...

— ეიიი! — ლამის ავეყირდი, — გამორთეთ ეგ რადიო! ან დაუწიეთ, ან ხარისხიანი მუსიკა ჩართეთ! (მოვინდომე რა, მეც!)

არა, სასწრაფოდ ჩემი, როგორც მგზავრის, უფლებები უნდა დავიცვა, მაგალითად, ასეთი ტექსტი რომ შევადგინო? და გონებაში მოთხოვნათა სრული პაკეტი ჩამოვწერე (მთქმელი ნამდვილად არ ვიყავი):

1. ნუ გატენით სამარშრუტოს! წერო არ ვარ, ცალ ფეხზე დგომა რომ შეეძლოს.

2. ნუ უწევთ ბოლო ხმაზე რადიოს! თუ მოსმენა გინდათ, მოუსმინეთ თქვენთვის, წყნარად ამ გაუთავებელ ტაში-ტუში-რუსალკა-მამაჩკას-ბასანოჩკას!

3. სანამ არ ჩავალ, მანამდე არ დაძრათ მანქანა!

4. ატარეთ ისე, როგორც საჭიროა! ჯერ ოცი კმ სიჩქარით მიდიხართ, მერე ორასით!

5. თუ დასაჯდომი ადგილი არ გაქვთ, დასაჯდომი მაინც ხომ უნდა უზრუნველყოთ, ვინმეს რომ არ დავაჯდე თავზე?!

6. და საერთოდ დაიცავით მოძრაობის წესები!

სანამ მოთხოვნებს ბოლომდე ჩამოვყალიბებდი, სამარშრუტო კიდევ ერთხელ გაჩერდა, მგზავრი ამოვიდა და ჩემ გვერდით და ჩემსავით შეეყუდა ჭერს. ვინ აცალა ბედნიერად დგომა? მძღოლმა მანქანა ისე დაძრა, რომ ახლა ამ მგზავრს დავახტი ფეხზე.

— აუჰ!.. — ამოიკენესა. აბა, არ იქნებოდა.

— მაპატიეთ, — ისევ შევწუხდი.

— არა უშავს, — სიმწრით გამიღიმა, მერე დამაკვირდა და მკითხა, — ირინა არ ხარ?

— კიი, — ახლა მე დავაკვირდი და ლამის ხელმეორედ დავაბიჯე ქუსლი გაოცებისგან, — რეუო?

ჩემი ყოფილი შეყვარებული ჩემი მეგობარი. ის შეყვარებული, მგონი, ბალის ასაკში მყავდა. ნეტავ, რამდენი წელია მას მერე გასული? აღარც კი მახსოვს წესიერად. აი, რეუო კი მახსოვს ძალიან კარგად. მაშინ ჩემი მეგობარი მოსწონდა. ჩემი მეგობარი ჭკუაზე არ იყო სიხარულით, რამდენჯერმე პაემანზეც კი წამიყვანა, მაგრამ მერე ჩემი



მეგობარი ჩემს ყოფილ შეყვარებულს გაჰყავს ცოლად და მე და რეზო დავრჩით ასე, პირში ჩალა-ბალახ-თივაგამოვლებულლები.

მერე, როგორც ხდება, საერთო „დარდმა“ (მაშინ ასე მიგვაჩნდა), გაგავართიანა, რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, სხვა თვალთაღმდეგად, მაგრამ მე ჩემს გზაზე წამოვივდი, რეზო თავის გზაზე წავიდა. მას მერე აღარც ჩემი ყოფილი შეყვარებული მინახავს, აღარც ჩემი მეგობარი და აღარც რეზო.

ვაიმე, რა სიმპათიური ბიჭია, ასეთი ნამდვილად არ იყო...

— როგორ ხარ? საუკუნეა, ერთმანეთს არ შევხვდ-
რივართ, — მიკითხა და გამიღიმა. როგორც ჩანს,
ფეხის ტკივილმა გაუარა.

— რა ვიცი, საუკუნის კვალობაზე არა
მიშავს, — მეც გავუღიმე.

მართლა რა სიმპათიურია... აშკარად
თვალი დავადგი.

„ნეტავ, იმიტომ ხომ არ გავყიდე
მანქანა, რომ რეზოს შევხვედროდი აქ,
„მარშუტკაში“? — გავიფიქრე ჩემთვის,
ხმაბალა ხომ არ ვიტყვოდი?

— შენ რას შვრები, რას საქმი-
აობ? — ახლა მე ვკითხე.

— რა ვიცი, განსა-
კუთრებულს არაფერს.
ხელოსანთან მივდივარ,
მანქანას მიკეთებს და
დამტანჯა.

უი, მანქანაც ჰყავს, ნატას
მანქანა აღარ დამჭირდება.

ამ დროს მძღოლმა ისევ დაამუხრუჭა და რეზოს მიმახუტა. გრილი
ოდევკოლონის სურნელმა გამაბრუნა თუ თავად რეზომ, არ ვიცი,
მაგრამ ფაქტია, რომ ეს ჩახუტება ძალიან მესიამოვნა. მე მგონი, არც
თავად ჩანდა უკმაყოფილო.

— ნელა ვერ ატარებ? — დაიძახა უკანა სალონიდან ვილაცამი.
„რას ამბობ! — გავიფიქრე მე, — ნელა კი არა, რაც შეიძლება
სწრაფად ატარე და ამუხრუჭე, ატარე და ამიხრუჭე!“.

გაქსნორდი და რეზოს შევხვდეთ. იდგა და მიღიმოდა, ხელით ისევ
მხარზე მიჭერდა. ყველაფერს წარმოვიდგინე, მაგრამ სამარშრუტო
ტაქსში თუ სასიყვარულო ფლუიდები მომაფრინებდნენ, დამეხ-
ვეოდნენ პუპლებივით და ამაფორიანებდნენ, ამას ნამდვილად ვერა!
არადა სად არ ვეძებდი ამ პუპლებს, ხან მთაში, ხან ზღვაზე, ხან
კაფეში, ხარ ბარში და, სადაც არ მოველოდი, იქ არ მომიფრინებდნენ?
— წითელი ბასანოჩკები... — თავიდან დაიწყო რადიოში.

რა ცოტა ჰყოფნის ადამიანს იმისთვის, რომ რაღაც უაზრობებზე

არ მოიშალოს ნერვები. ახლა „შალახოც“ რომ დაუკრან
და მთელი სამარშრუტო ცეკვით აჰყვეს მელდოიას, სულ
აღარ მადარდებს. ერთი იმას ვფიქრობ, კიდევ დაამუხრუჭოს
მძღოლმა და რეზოს ჩავეხუტო. მგონი, „სიზმარას“ ზღაპარი
დამემართა: „ვაიმე, დედა, სული მეხუთება, მუხლები მეკეცება, ეს
ბიჭი რომ არ ჩამეხუტოს, მოვეკვები!“

მძღოლმა გულთმისანივით დაამუხრუჭა და მეც
მეტი რა მინდოდა? მართალია, საპირისპირო
მხარეს უნდა გადავქანებულყავი, მაგრამ რეზოს
მხარეს გადმოვექანე და ჩავეხუტე. არა,
მაშინდელივით სულელებით არ მოვიტყე-
ვი, ამ ბიჭს თავის გზაზე აღარ გავუშ-
ვებ, ჩემს გზაზე გადმოვიყვან, ჩემთან
ერთად რომ იაროს. სადაც წავალ,
გამომყვეს, სადაც წავა, გავ-
ყვე...

მობიულურმა დაურეკა.
ძლივს ამოიღო ჯიბიდან.

— ხო, ნათ, ხინკალი?
კარგი, მალე მოვალ, გკოც-
ნი, — მევე გამიღიმა და
მითხრა, — ჩემი მეუღლეა,
ფეხმძიმედაა და ხან რას
იოხვოს, ხან — რას.

როგორც გადავქანდი,
ისე გადამოვექანდი. სიყვარ-
ულის ფლუიდებიც მო-
მენტალურად გაფრინდნენ.

„ჩემი უნდა იყოს“ არა, ის კიდევ. ავაგე რა, ოცნების კოშკები.
კოშკები კი არა, ხუხულა, ერთი სულის შებერვა და ხელად ჩამოიქცა.

— გააჩერეთ, — მძღოლს გასძახა რეზომ და მომიტრიალდა, —
გამიხარდა, რომ გნახე. შენი გადახდილი იქნება, აბა, კარგად!
და ჩავიდა.

— კარგად, კარგად, — ჩავიბუტბუტე ჩემთვის.

„ჩემს დაბადებას!..“ — დასცხეს უცებ რადიოში.

— გამორთეთ, რა! გამორთეთ ეგ იდიოტური სიმღერა, არ
შეიძლება?! — დაუყვირე მძღოლს ბოლო ხმაზე, — და საერთოდ
წესიერად ატარეთ. სულ არ მსიამოვნებს, თქვენ გამო ვილაცებებს
რომ ვეხუტები!

მძღოლს ყურადღება არც მოუქცევია, არც სხვა მგზავრებს
ამოუღიან ხმა. ყველა თავისთვის იყო.

ცოტა ხნის წინ ალბათ მეც ასე ვიქნებოდი. უბრალოდ ახლა
ნერვები მქონდა მოშლილი, რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე.

გათავისუფლება ნებათაღებთან



ნეგატიურ ემოციებს შიგნით გამოამწყვდევთ, ორგანიზმში უსათუოდ გამოიწვევს
უთანხმოებას. გათავაობთ მათგან გათავისუფლებისა და თავდაცვის 3 საშუალებას.

1. სარკისმიერი დაცვა. იმოქმედეთ სარკის პრინციპით: ყველანაირი
არასასიამოვნო ზემოქმედება უკან იგზავნება. უსიამოვნო ვითარებაში ყოფნისას, თავი
სარკის გუმბათებით გარშემორტყმული წარმოიდგინეთ. სარკე ნებისმიერ ნეგატივს
უკუაგდებს და შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნებას შეძლებთ.

2. ემოციების გადაღვრა. თუ რისხვა, ბრაზი, წყენა მოგეძალათ, უფლება არ მისცეთ
მთელი არსებით დაგუფლონ. ნეგატივი შავი ნაკადის სახით წარმოიდგინეთ და ქვევით,
ფეხებში მიმართეთ, მათი გავლით — მიწაში.

3. შიგანვის ძრავა. ნებისმიერი ემოცია არის ენერგია, რომელიც რაღაც სასარგებ-
ლოზე უნდა დაიხარჯოს. ნეგატივის განცდისას არ გადადოთ, მაშინვე ქუჩაში გადით და
სწრაფი ნაბიჯებით ისეირნეთ, მაგრამ უსიამოვნო მომენტები თავში არ ატრიალოთ და
შურისძიების ვარიანტებზე არ იფიქროთ. უბრალოდ წარმოიდგინეთ, რომ უარყოფითი
ემოცია — სანჯავია კასრში. მისი დონე ყოველ თქვენს ნაბიჯზე სულ უფრო მცირდება,
ხოლო თქვენ ძალა უფრო გემატებათ. როდესაც „სათბობი“ დამთავრდება, ცოტა დაისვენეთ
და ჩვეულებრივ საქმეს დაუბრუნდით.

რას გვამცნობს წითელი სახე



ძველესი დროიდან წითელი ლოყები ჯანმრთელობის ნიშნად ითვლებოდა, მაგრამ
ზოგჯერ პირიქითაა. ბევრ ქალს სახე უწითლდება ჭარბი ემოციის — სიმორცხვის,
ვენების, მღელვარების დროს, რაც რაიმე დაავადების ნიშანი არ არის. ზოგიერთ
შემთხვევაში კი სინითლის მიზეზებზე დაფიქრება ღირს. დადგენილია, მოზრდილ
ქალებში ეს მენოპაუზის დადგომის ერთ-ერთი ნიშანია. ის ასევე შეიძლება კანცერო-
გენური (კიბოსმაგვარი) სიმსივნის სიმპტომი იყოს.

ჰკვიანი აზრები

„ვინც უმიზეზოდ შეგიყვარ-
რებს, მალევე შეგიძულეს უმიზე-
ზოდ“.

სტინდბერგი

„ეცადე, მზის ამოსვლას და-
ესწრო, რადგან არ იცი, დღესწრები
თუ არა მის ჩასვლას“.

კოტეზუ

„ვერაგობა ბეცია, მხოლოდ
იმას ხედავს კარგად, რაც ცხვირ-
წინ აქვს და სწორედ ამიტომ
სშირად თვითონვე ებმება იმ მახე-
ში, რომელიც სხვისთვის ჰქონდა
დაგებული“.

ა. ვონზნოვი

„ყოველი ბავშვი მცირედით
მაინც გენიოსია, ყოველი გენიოსი
მცირედით მაინც ბავშვია“.

შოპენაუერი

„სიხარული და მწუხარება
ერთმანეთს იმით ჰგვანან, რომ
რთივე და მეორეც სშირად გონებას
გვიხშობს“.

ჰუაგონი

გავიციან ქალს შეხვედრებისთვის

sms-ები გამოგზავნეთ იმშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 20 აპრილი 17 საათი.

- 1. ვარ 45 წლის მამაკაცი, გავიციან სიმპათიურ ქალს სამეგობროდ და თუ კარგად გავუგებთ ერთმანეთს შეიძლება ოჯახის შექმნაც. 593511363. გიო
2. გავიციან თბილისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 557523153
3. ვარ 30 წლის, თბილისელი მამაკაცი, სამეგობროდ გავიციან 25-დან 35 წლამდე თბილისელ ქალს. 557942390
4. სამეგობროდ გავიციან 20-30 წლამდე თბილისში ან რუსთავში მცხოვრებ ქალს. ვარ 25 წლის, არასერიოზულზემარ შემაწუნოთ. 577474753. ლევანი
5. სამეგობროდ გავიციან თბილისში მცხოვრებ ქალს, ვარ თბილისელი, სერიოზული, სამსახურით და ყველაფრით უზრუნველყოფილი. 558634634. გიო
6. ვარ 31 წლის, სიმპათიური, განათლებული, ყოფილი სპორტსმენი, მწვანეთვალა მამაკაცი. გავიციან 50 წლამდე ლამაზ ქალს. 555619588
7. ვარ 37 წლის, თბილისელი მამაკაცი, ღარიბი, უსახლკარო, მაგრამ სულით მდიდარი. გავიციან 50 წლამდე შეძლებულ ქალს. 555202549
8. გავიციან 25-33 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ დასაქმებული, 28 წლის ბიჭი. სასურველია იყოს ქუთაისიდან ან ზესტაფონიდან. 593040806. პაატა
9. ვარ 28 წლის თბილისელი, კარგი გარეგნობის სუფთა, თანამედროვე და სანდო, ცოლიანი ბიჭი. გავიციან თბილისელ, დამჯდარ გოგოს. 555430149. გიორგი
10. ვარ 34 წლის, სიმპათიური მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიციან 45 წლამდე ქალს. 555175609
11. გავიციან თბილისში მცხოვრებ 20-დან 27 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის, სასურველია მარტო ცხოვრობდეს. 555241143
12. ფარული შეხვედრებისთვის გავიციან 22-დან 40 წლამდე ქალს, სასურველია ცხოვრობდეს თბილისში. ვარ მალალი, სიმპათიური მამაკაცი. 557678872. გიო
13. გავიციან 38-48 წლამდე ლამაზ, ქუთაისელ ქალს. ვარ 50 წლის. 557993104
14. გავიციან გოგოს 25 წლიდან, ჯერ სამეგობროდ და შემდეგ ვნახოთ. ვარ თბილისელი, 39 წლის, დასაქმებული მამაკაცი. 555232887. გიგი
15. სამეგობროდ გავიციან სასიამოვნო გარეგნობის გოგოს ქუთაისიდან ან ახლო რაიონიდან, 20-დან 30 წლამდე. 557199076
16. გავიციან ლამაზი აღნაგობის, თბილისელ ან საზღვარგარეთ მცხოვრებ გოგოს, რომელიც თავისთან წამიყვანს. 555119003
17. ვარ 46 წლის მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიციან ქალს, უმჯობესია ჰქონდეს ბინა ან ცხოვრობდეს ქირით. 555501681. აჩიკო
18. ვარ წყალტუბოდან, 38 წლის, სიმპათიური მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიციან ბათუმელ ან ქობულეთელ 35 წლამდე, მხოლოდ ქვრივ ქალს. 557994113
19. ვარ 35/180/70, კარგი აღნაგობის, სიმპათიური, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიციან 40 წლამდე სადა გარეგნობის თბილისელ ქალს. 557704587
20. ვარ 35 წლის მამაკაცი, გავიციან 25-დან 45 წლამდე სასიამოვნო და მომხიბვლელ ქალს, საქართველოს ნებისმიერი ადგილიდან. 557995443
21. გავიციან ოზურგეთელ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 44/175/76. 557921601. ნუკრი

- 22. ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიციან 40 წლამდე, სუსტი აღნაგობის, სიმპათიურ, სერიოზულ ქალს, რომელსაც გვერდით სანდო მეგობარი სჭირდება. ვარ თბილისში დასაქმებული, სერიოზული მამაკაცი. 555418563
23. ვარ 23 წლის, დასაოჯახებელი, გავიციან მომხიბვლელ ქალს რომანტიკული ურთიერთობისთვის. 599994777. ზურა
24. ვარ სპორტული აღნაგობის, სიმპათიური მამაკაცი, თბილი გულით და კომფორტული ბინით, შეხვედრებისთვის გავიციან თბილისელ, 35 წლამდე ლამაზ გოგოს. 593050806
25. გავიციან 25-40 წლამდე მომხიბვლელ ქალს ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. 593158282. გიორგი
26. ვარ 27 წლის, თბილისელი მამაკაცი, მალალი, ლურჯთვალა, კალათბურთელი, გავიციან ქალს შეხვედრებისთვის. 555338050. სანდრო
27. ვარ 35 წლის მამაკაცი, კარგი გარეგნობის, სპორტული აღნაგობის. შეხვედრებისთვის გავიციან 20-დან 40 წლამდე თბილისელ ქალს. 593552790
გავიციან ქალს ოჯახის შესაქმნელად
1. ვარ თბილისელი, 45 წლის, თბილი ბუნების მამაკაცი, მაქვს თბილისის ცენტრში კარგი ბინა, ოჯახის შესაქმნელად გავიციან 33 წლის, ქალიშვილ გოგოს, აჭარიდან. 55821549
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან მარტოხელა, 60 წლამდე ქალს. ვარ 49 წლის, 175 სმ. გამხდარი, უბინაო, უცოლშვილო მამაკაცი. 555354757

გავიციან მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

- 1. ვარ 44 წლის, თბილისელი, განათლებული, უზრუნველყოფილი ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 44-დან 52 წლამდე მამაკაცს, თბილისელს, კულტურულს, განათლებულს, ფინანსურად უზრუნველყოფილს. 555933871
გავიციან მამაკაცის შეხვედრებისთვის
1. სამეგობროდ გავიციან სანდო მამაკაცს, ვინც ღირსეულია და გვერდით დამიდგება. ვარ მარტოხელა, ლამაზი ქალი. 555613568. ნანა
2. ვარ 40 წლის, ვიმეგობრებ ფინანსურად ძლიერ მამაკაცთან, რომელსაც ვუერთგულებ. 557564018

მიყვარხარ, მენატრები

ალეკო, ჩემო საყვარელო, ძალიან გამახარე, შენი ხმა რომ გავიგე, შოკში ვიყავი, ასეთი ბენიერი დღე ჯერ არ მქონია, ღმერთმა მალე ისე გაგახაროს, როგორც მე გამახარე. ნინო
„ისე მენატრები, ისე მენატრები, მაგრამ ვერავის ვუმხელ სევდას, მხოლოდ ნარცისები, მხოლოდ ნარცისები, ჩუმად დამცინიან ალბათ“. მზია.
ვანო, მამი, ხომ კარგად ხარ? ჩვენ კარგად ვართ ყველანი, ლაშუკა კარგად არის, წარმატებები აქვს სიმღერის მხრივ. დედიკოსაც არა უშავს, სულ ნერვიულობს შენზე, მაგრამ ვაწყნარებთ, აქედან ჩემგანაც მისწერე — მეუბნება. ყველაფერი კარგად იქნება, აზა და რამინი მაკასთან ჩავიდნენ, ცოტა ხანი მარტო არ იქნება, არ იდარდო არაფერზე... ნიკუშას დაბადების დღე ცენტრში უნდა გადავუხადოთ, პირველი დაბადების დღეა და იმდენი ბავშვი ჰყავს დაბატიყებული, კაცია უკვე. ძალიან ჭკვიანი და ძლიერი ბიჭია. მარი
დათ, როგორ ხარ, ჩემო სიხარულო? ძალიან მენატრები და ამ მონატრებამ შეიძლება შემშალოს. მიყვარხარ უზომოდ და ვლოცულობ ჩვენს სიყვარულზე. თიკო

თუ გსურთ, ახლობელს მიუცოდოთ ჩაიმი ან გაუმხილოთ თქვენი გეგმობები უჩინად „სახის“ მეშვეობით. აჩიყეთ ახლ „M“. შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და მათის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სახის“ უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 20 აპრილი 17 საათამდე.
ესი sms-ის ლიხებულებაა 1 ლარი. ნუხიცი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, ახ დაიბეჭდება!
ესი აფხსაგისადმი მიწერილ მხ ბაჩათუ მეტი ახ დაიბეჭდება

ბალასტური ნივთიერებები: ზიანი თუ სარგებლობა?

რა არის ბალასტური ნივთიერება და რამდენად სასარგებლოა?

ალბათ გასმენიათ საკვები ბოჭკოების შესახებ: ცელულოზა, უჯრედისებრი, პექტინი, რომლებსაც მცენარეული საკვები შეიცავს. მათ ბალასტურ ნივთიერებებს უწოდებენ. ისინი მთელ საჭმლის მომწოდებელ სისტემას გადაუმუშავებელი სახით გაივლიან. ასეთი ნივთიერებები სისხლში არ შეიწოვება და ორგანიზმს ენერჯის არ აძლევს. შეიძლება მოგეჩვენოს, რომ უსარგებლოა, მაგრამ ასე არ არის.

ბალასტური ნივთიერებები ნაწლავების რეგულარულ გასუფთავებას უზრუნველყოფს. ასევე ქოლესტერინსა და სხვა მავნე ნივთიერებებს ბოჭკავს, რომლებიც შემდეგ ორგანიზმიდან გამოიყოფა. გარდა ამისა, კუჭს ავსებს და მაძლრობის შეგრძნებას იწვევს. შედეგად, ცოტას ჭამთ, შესატყვისად ნაკლებ კალორიებს იღებთ.

უნდა ჭამოთ არამხოლოდ ხორცი, თევზი და რძის პროდუქტები, რომლებიც საკვებ ბოჭკოებს პრაქტიკულად არ შეიცავს, ორგანიზმისთვის აუცილებელია მთლიანი მარცვლების ფაფები, მსხვილად დაფქული ფქვილის პური, ასევე ლობიო, ხილი და ფოთლოვანი ბოსტნეული. ასეთი პროდუქტები ორგანიზმს საკმარისი რაოდენობის ბალასტური ნივთიერებებით უზრუნველყოფს, მაგრამ გასოვდეთ, ცხოველური პროდუქტების გამორიცხვა და მათი მცენარეულით შეცვლა არ ღირს. უჯრედისებრი შემცველი სააფთიაქო პრეპარატები ასევე გამოსავალი არ არის. საქმე ისაა, რომ საკვები ბოჭკოების უზომოდ გამოყენებამ შეიძლება ორგანიზმიდან არამხოლოდ მავნე ნივთიერებები, ასევე სასარგებლო მიკროელემენტებიც გამოაღწეოს.

ხომელი საკვების „შინია“ ჰეჩქესს

გაციების შედეგად ტუჩებზე ჰერპეს-მა ისევ შემოგიტიათ? ან არასწორად მკურნალობთ, ან კიდევ, რაც საჭიროა, იმას არ აკეთებთ. ჰერპესის სამუდამოდ განკურნება შეუძლებელია, მაგრამ რომ აიძულოთ დიდი ხნით „დაიძინოს“, ეს შესაძლებელია. ადეკვატური მკურნალობის მიუხედავად, თუ ბუშტუკები ტუჩებზე ისევ გაჩნდა, მაშინ ყურადღება მიაქციეთ, რით იკვებებით.

ამერიკელმა მეცნიერებმა განსაკუთრებული დიეტა მოიფიქრეს, რომელიც ჰერპესის დაავადების რიცხვის შემცირებას ეხმარება. ისინი რეკომენდაციას იძლევიან ლ-ლიზინის მაღალი შემცველობის პროდუქტები მოიხმაროთ. ასეთია: მჭლე ხორცი, კვერცხის ცილა, სოია, გაღვიებული ხორბალი, ოსპი, ფრინველის ხორცი, თევზი, ხილი და ბოსტნეული.

ამასთან უნდა შეამციროთ პროდუქტები, რომლებიც მდიდარია ლ-ლიზინის მონინალმდეგე არგინინით. მათ მიეკუთვნება: თხილეული, შოკოლადი, ქიშმიში, ხორბლის ფქვილი და ფქვილზე მომზადებული ყველა ტკბილეული.

ლობიო დიაბეტიანებისთვის

ლობიო ერთ-ერთ უძველეს კულტურულ მცენარედ ითვლება. ძველ რომში ლობიო არამხოლოდ საკვებად, ასევე კოსმეტიკურ საშუალებად გამოიყენებოდა. მისგან სახისთვის პუდრსა და ფერუმარილს ამზადებდნენ. მიჩნეული იყო, რომ ლობიოს პრეპარატები კანს არბილებს და ნაოჭებს ასწორებს. მე-16 საუკუნიდან ლობიოს კულტურამ მთელი ევროპა დაიპყრო.



ლობიოსა და სხვა პარკოსნებს ტყუილად არ უწოდებენ ხორცს. ის სასარგებლოა არამხოლოდ დიაბეტისა და პანკრეატიტის, ასევე ართრიტის დროსაც.

ლობიო შეიცავს განსაკუთრებულ ნივთიერება არგინინს, რომელიც სისხლში შაქრის დონეს ამცირებს. მდიდარია თუთიით (აუცილებელია ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად). ხორცისგან განსხვავებით, მასში ბევრია უჯრედისი, ხოლო კალორიულობა მცირეა. შაქრიანი დიაბეტის დროს ზედმეტი კილოგრამები მაცნეა. ლობიო საერთოდ სასარგებლოა ყველასთვის, ვინც, რაღაც მიზეზით, ხორცის მოხმარება უნდა შეზღუდოს.

სამკურნალოდ ყველაზე ხშირად გამოიყენება ლობიოს პარკი (ჭოტი). სამკურნალო სასმელის მომზადების წესი: 1 ს.კ. ლობიოს დაქუცმაცებულ პარკს 1 ჭიქა მდულარე დაახსით, 15 წუთი დაბალ ცეცხლზე დადგით, გააგრილოთ. 1/2 ჭიქა ნახარში დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე მიიღეთ. კურსი 2 კვირაა. 10 დღის შემდეგ შეგიძლიათ სამკურნალო კურსი გაიმეოროთ.

მინერალური წყალი – მანებლობა თუ სარგებლობა?



ბევრ შემთხვევაში მინერალური წყალი ინიშნება, როგორც აუცილებელი წამალი ზოგიერთი დაავადების დროს. ამიტომ მათი ჩვეულებრივად, წყლის მსგავსად სმა მიზანშეწონილი არ არის. არსებობს მინერალური წყლის რამდენიმე სახეობა:

სუფრის — მისი დაღვევა შეუძლია ყველას შეუზღუდავად.

სამკურნალო-სუფრის — მისი უზომოდ სმა არ შეიძლება.

სამკურნალო — მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.

სამკურნალო მინერალურ წყალში ბევრი მარილია. ამიტომ მისი უკონტროლო მოხმარებისას სულ უზრალოდ შეიძლება რომელიმე დაავადება განვითარდეს. ამავე მიზეზით ასევე არ შეიძლება ერთი და იმავე მარკის წყლის ხანგრძლივად სმა. მათში არსებული მარილის მუდმივი შემადგენლობის გამო შესაძლებელია ორგანიზმის ზედმეტად გაჯერება. როგორ დავლიოთ მინერალური წყალი?

თუ სრულიად ჯანმრთელი ხართ, უმჯობესია ჭამამდე 35-40 წუთით ადრე მიიღოთ.

თუ გასტრიტი კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობით გაქვთ, მაშინ ჭამის წინ ნელა და მცირე ყლუპებით დალიეთ. წყლის ტემპერატურა დაახლოებით 18-24 გრადუსი უნდა იყოს.

თუ გაქვთ გასტრიტი კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობით, ბოყინი, გულძმარვა, კუჭის წყლული, ქრონიკული კოლიტი სპაზმებითა და დიარეით, ღვიძლისა და ნაღველმდენი გზების დაავადებები, მაშინ მინერალური წყალი უნდა დალიოთ ჭამიდან 1,5-2 საათის შემდეგ. სასურველია, თბილი იყოს.

წყლულოვანი დაავადებების დროს მინერალური წყლიდან გაზი გაუშვით. გაზიანი სასმელები სასტიკად უკუნაჩვენებია!

მინერალური წყლის სმა არ შეიძლება თირკმლის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის (შეშუპებით მიმდინარე) ან შარდმდენი გზების დაავადებების დროს, რომლებიც ოპერატიულ მკურნალობას საჭიროებს.

ნიღაბი მუწუკებიანი კანისთვის

სახეზე მუწუკები ჩნდება? გამოიყენეთ ასეთი ნიღაბი: 1 ს.კ. ჩვეულებრივ ახალ საფუარს 1 ს.კ. რძე შეურიეთ. 15-20 წუთი დადგით. შემდეგ 3-4 წვეთი ნატურალური ლიმონის წვენი დაუმატეთ. მიღებული მასა სახეზე თანაბარ ფენად დაიდეთ და 15-20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩაბოიბანეთ საპნის გარეშე. ასეთი პროცედურა ყოველ საღამოს 5-7 დღის განმავლობაში ჩაიტარეთ. შემდეგ 10-12 დღე შეისვენეთ და კურსი გაიმეოროთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე

იქ, სადას ღმერთია, ეშაქს საერთო არაფერი აქვს

ხსენება წმინდისა მოწამისა ფოტინე სამარტელისა და მის თანა წამებულთა დედათა და ძამათა



სამწუხაროდ, არაფერია თქმული ქართულ საეკლესიო კალენდარში არც წმინდა გორგონიზე და არც დიდმონაშე ფოტინე სამარტელზე, რომელზეც ახლა ვაპირებთ საუბარს. წმინდა დიდმონაშე ფოტინე არის გამონაკლისი, ვისთანაც საუბრობს თვით მაცხოვარი, ამიტომაც კიდევ უფრო დიდია ინტერესი მისი, როგორც წმინდანის მიმართ, რისთვისაც ვეფიქრობთ, რომ გავახარებთ ჩვენ მკითხველს.

სამწუხაროდ, იშვიათად თუ ვინმე ატარებს ამ სახელს საქართველოში, გარდა მონაზვნებისა, არადა დიდი წმინდანია, ჩვენ კი თითქმის არაფერი ვიცით მის შესახებ. შეეცვადათ, მოგვეპოვებინა მასალა, რაც ადვილი ნამდვილად არ აღმოჩნდა, მაგრამ სურვილმა თავისი გაიტანა და ქვემოთ მის ცხოვრებას შემოგთავაზებთ.

წმინდა დიდმონაშე ფოტინე წარმოშობით იყო სამარიიდან, რომელზეც საუბრობს მახარებელი იოანე ღვთისმეტყველი საღვთო წერილში. წმინდა ფოტინე, რომელიც ესაუბრა თვით მაცხოვარს იაკობის ქსათან და მისგანვე შეიყვარა ქრისტიანობაც და თვით ღმერთიც, გადმოცემის თანახმად, ორ ვაჟთან და ხუთ დედამამიშვილთან ერთად მონათლულა მოციქულების ხელით აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, როცა ქრისტეს მონაფეხებზე გადმოდის სულიწმინდის მადლი. წმინდანის შვილებიც და დედამამიშვილებიც მოციქულებთან ერთად მოგზაურობდნენ და ამცნობდნენ კაცობრიობას იესო ქრისტეს შესახებ. უამრავი წარმართი მოექცა მათი ქადაგებით ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

იმპერატორ ნერონის მეფობისას (54-68) ქალაქ რომში უსასტიკესი მოძრაობა დაიწყო ქრისტიანობის წინააღმდეგ, თავდაპირველად ეს სისასტიკე და ანომალია გამოიხატა იმით, რომ საწინააღმდეგო წამებით აწამეს მოციქულთა თავნი, მოციქულები პეტრე და პავლე იმ იმედით, რომ ქრისტიანები შეშინდებოდნენ და ყველაფერი ძველ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა. რეალურად კი სულ სხვა სურათი მიიღეს — ქრისტიანები უფრო მეტი გამბედაობით აღიარებდნენ საკუთარ აღმსარებლობას. ეს კი გახდა მიზეზი საწინააღმდეგო სისხლისღვრისა, რაც ისტორიამ ნერონის მეფობის წლებზე შემოგვინახა. ის სურვილი, რომელიც ჰქონდა სისხლისმსმელ ტირანს, რომ საერთოდ წაეშალა ქრისტიანობა კაცობრიობაში, აუსრულებელ ოცნებად დარჩა, რადგან არ უწყოდა უგუნურმა ნერონმა, რომ უფალი მეფობს და არავის ძალუფს მისი შეჩერება.

ნახეთ, რას ბრძანებს თვით უფალი, რომელიც არ იცოდა ტირანმა: „კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინას მას“ (მთ.

6,18). ამ საოცარ სიტყვებზე თუ წარმოდგენა არ ჰქონდა ნერონს, ძალიან კარგად ჰქონდა გააზრებული თვით წმინდანს, რომელიც არაფრის სანაცვლოდ არ აპირებდა, უარი ეთქვა ქრისტიანობაზე, რომელიც თვით ქრისტე ღმერთისგან ისწავლა იმ დროს, როცა ნერონმა გადაწყვიტა, ქრისტიანებს უმოწყალოდ გასწორებოდა.

წმინდა ფოტინე თავის ერთ-ერთ ვაჟთან, იოსესთან ერთად იმყოფებოდა აფრიკის ქალაქ კართაგენში. იქ აღდგომობრივებს მოუწოდებდა, წარმართობაზე ადლოთ ხელი და ჭეშმარიტ სარწმუნოებას დაბრუნებოდნენ. ამ დროს წმინდა ფოტინეს უფროსი ვაჟი, ვიქტორი მამაცობისა და სახელმწიფოს ერთგული სამსახურის გამო თვით ნერონმა დანიშნა რომაული არმიის ხელმძღვანელად ისე, რომ არც კი იცოდა მისი სარწმუნოებრივი აღმსარებლობა. უბრძანა ვიქტორს, წასულიყო იტალიაში და შეუბრალეული ყოფილიყო ქრისტიანების მიმართ საკუთარი არმიით.

ამის გამგონე იტალიის იმპაინდელმა პრეფექტმა სევასტიანოსმა მიმართა ვიქტორს: „მე ძალიან კარგად ვიცი, ჩვენი სარდალო, რომ თქვენ ქრისტიანი ხართ, ასევე თქვენი დედაც და ძმაც, იოსეს მოციქულ პეტრეს მიმდევრები არიან. გირჩევთ, თქვენი სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაიგდოთ და არ დაასრულოთ ის ბრძანება ქრისტიანთა ამოხოცვის შესახებ, რომელიც ნერონისგან მიიღეთ“. ვიქტორმა უპასუხა: „მე მსურს, აღსრულდეს ნება ზეციერი და უკვდავი მეფისა ქრისტესი, ჭეშმარიტი ღმერთის. ის ბრძანება, რომელიც მაქვს ნერონისგან, რომ უსასტიკესად გაეუსწოროდე ქრისტიანებს, არც ვაპირებ, საერთოდ მოვისმინო, არამეტუ აღვასრულო, ამიტომ ეგ თქვენი შიში უსაფუძვლოა და გთხოვთ, რომ იყოთ მშვიდნი“.

ამის შემდეგ სევასტიანოსმა მიუგო: „ჩემო მეგობარო, ეგ სურვილი კარგია, თუმცა კიდევ მინდა, გითხრა, როგორც ჩემს მეგობარს, რომ იქნებ სთხოვო შენ დედას და ძმას, თავი დაანებონ ზურნებისთვის იმის მონობას, რომ უარი თქვან თავიანთ ღმერთებზე და აღიარონ ქრისტე. შენც დამეთანხმები, რომ ეს შიშის შემცველია და ეს ყველაფერი შენც დაგაზიანებს“. ამაზე ვიქტორმა უპასუხა: „არ მოხდება, რომ მე ქრისტიანებს დაუპირისპიროდ ან მათგან რამე მოვითხოვო დევნის გაუქმების სანაცვლოდ, ან ჩემს ძმას და დედას მოვუწოდო, არ იქადაგონ ქრისტეს შესახებ, რომელიც არის ჭეშმარიტი ღმერთი და კაცობრიობის შემოქმედი. ნურას უკაცრავად, მე ვარ ქრისტიანი და მსურს, მოხდეს იესო ქრისტეს აღიარება ისე, როგორც ამას ითხოვენ ჩემი დედა და ძმა. აბა, ვნახოთ, რა ცუდი შეიძლება მოჰყვეს ამ ყოველივეს“. სევასტიანოსმა კი მიუგო: „ჩემო მეგობარო, მე გირჩევ იმას, რაც შენთვის და შენი დედის და ძმისთვის უკეთესია, თორემ შენი გადასწავლავა, როგორც მოიქცევი“.

როგორც კი ეს თქვა, სევასტიანოსი

დაბრმავდა, მიწას დაენარცხა და აყვირდა, არავინ არის, რომ მიშველოსო. თვალები გაუსაძლისი ტკივილისგან ეწვოდა, სამი დღე დაღმე ხმა არ ამოუღია, მეოთხედ დღეს კი ყვირილი ატეხა: „ღმერთი არის ის, რომელიც სწამთ ქრისტიანებს“. მაშინ მიუახლოვდა ვიქტორი და ჰკითხა: „რატომ შეიცვალე ასე სწრაფად აზრი, სევასტიანოსს?“. სევასტიანოსმა მიუგო, იმიტომ, ჩემო ვიქტორ, რომ თვით ქრისტე მომიწოდებდა.

ამის გამგონე ვიქტორმა გადაწყვიტა სევასტიანოსის მონათვლა. როგორც კი დასრულდა ნათლობა და ემზაზიდან ამოვიდა, სასწაულმაც არ დააყოვნა, მაშინვე ახილა თვალები და ადიდებდა ღმერთს, რომელიც სწამდათ ქრისტიანებს. წარმართები მაშინვე მოშორდნენ სასწაულის ადგილს იმის შიშით, ჩვენც იგივე არ დაგვემართოს ჩვენი ურწმუნოების გამო. მაშინვე მოქებნეს ვიქტორი და ეკითხებოდნენ ქრისტიანობის შესახებ. ძალიან მალე ბევრი მათგანი გაქრისტიანდა.

ეს ამბავი შეიტყო ნერონმაც, რომ ჯარების სარდალი და იტალიის პრეფექტი ქრისტიანები იყვნენ და სხვებსაც მოუწოდებდნენ ქრისტიანობისკენ. ასევე შეიტყო ისიც, რომ ვიქტორის დედა და ძმა ქრისტიანები იყვნენ და ისინიც მოუწოდებდნენ წარმართებს ქრისტიანობისკენ, ოღონდ აფრიკაში. ამის გამოგონე უზომოდ გაბრაზებული ნერონი გამძვინვარებული ლომივით დადიოდა და გაიძახოდა, სასწრაფოდ რომში ჩამოიყვანეთ ყველა ქრისტიანი, კაციც და ქალიც, აგრეთვე ვიქტორი და სევასტიანოსიცო.

მაშინ მოესმა უფლის ხმა ვიქტორს: „მოვედით ჩემთან, ყოველნი მამრვალნი და ტერთმძიმენი და მე განგებუნოთ თქვენი, ნუ ჰზრუნავთ და შვით ხართ, რადგან მე ვარ თქვენთან და ნერონი ვერარას დაგაკლებთ“. მიუგო ვიქტორს, ამიერიდან შენ იქნები ფოტინოსი და შენი მხნეობა გადაედება ყველას, შენი სიტყვით გააძმნევენ სევასტიანოსსაც, რომელსაც ელოდება უჭკნობი გვირგვინიო.

წმინდა ფოტინემაც შეიტყო ნერონის ბრძანების შესახებ და არც დალოდებია ჯარისკაცებს, თვითონვე გაემგზავრა შილთან ერთად რომში. იმდენი ხალხი გაჰყვა თან კართაგენიდან ჩასულ წმინდანს, რომ გაკვირვებულმა ნერონმა იკითხა, ვინ არის ეს, ამდენი ხალხით რომ ჩამოვიდა რომშიო. „რა მიზეზით ჩამოხვედი?“ — ჰკითხა ნერონმა წმინდა ფოტინეს. წმინდანმა მიუგო: „ჩამოვედი, რათა გახაროთ ქრისტიანების შესახებ, რომელიც არის ნამდვილი, ცოცხალი ღმერთი“.

ამ დროს შეიტყო ნერონმა, რომ ვიქტორი და სევასტიანოსიც მოსულიყვნენ და მაშინვე ბრძანა მათი მოყვანა. როგორც კი შევიდნენ, იკითხა გაკვირვებულმა: „ნუთუ მართალია, რაც მესმის თქვენზე?“. დაიხ, სიმატრეულია, უპასუხეს. მაშინ აღღრეული თვალებით შეხედა გაბრაზებულმა ნერონმა და თქვა: „ურყავით ქრისტე, რადგან სხვაგვარად საწინააღმდეგო დაასრულებთ სიცოცხლეს“.

„ბანახუნაბულის შესარიგებლად უფალს ევედრათ“

ამათში იბადება ჭეშმარიტება — ეს კისთვის ბრძნული ნათქვამია, ვისთვის კი ცოდვის, კონფლიქტის, გაუგებრობისა და წყენის საწყისი. ადამიანების ცხოვრება აზრთა სხვადასხვაობის გარეშე წარმოუდგენელია, ხოლო ჩვევა, არ ვუსმინოთ მოყვასს და მხოლოდ ჩვენი „ჭეშმარიტების“ გვანადგვს, თითქმის ყველასთვისაა დამახასიათებელი. ჭეშმარიტება კი ერთია — ყველაფერი, რაც სულს შფოთს იწვევს, ცოდვის საწყისი ხდება, მათ შორის — კამათი. როგორ უნდა ვიკამათოთ სწორად, თუ მის არიდებას ვერ ვახერხებთ? ამის შესახებ იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა მიორბი** (სხიორტლაძე) გვესაუბრება.

— მამა, უნდა გავთავადისწინოთ თუ არა გამოთქმა „კამათში იბადება ჭეშმარიტება“.

— უნდა ვიცოდეთ, რომ ჭეშმარიტება არის ერთი — უფალი ჩვენი იესო ქრისტე! ჭეშმარიტებაზე ადამიანები ხშირად კამათობენ. ისინი შეიძლება სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვა კუთხით შეეხონ ამ საკითხს, კერძოდ, ჭეშმარიტ სწავლებას ამ თავად ჭეშმარიტი ცხოვრების არსს, ქმედებებს, მაგრამ როდესაც საუბარი ერთიმეორის მოსმენას გულისხმობს, ეს, რა თქმა უნდა, აღარ არის კამათი, ეს არის დიალოგი ორ ადამიანს შორის.

„მთავახია, თავად განიწმინდო ბული და გონება, თავად უსადო, მოიპოვო სულიჲი სიმშვიდე და შემდეგ უკვე იოცად შეძლებ ქეშმარიტების გზაზე სხვა ადამიანის დაყენებას“.

კამათი ჰქვია იმას, როცა ერთი ცდილობს, მეორეს ისეთი რამ აუხსნას, რაც ამ უკანასკნელისთვის მიუღებელია და დაანახვოს, რომ ჭეშმარიტება სხვაგან არის. თუ კამათი მართებულად და მშვიდად წარიმართება, შინაგანი სიმშვიდით, მაშინ, რა თქმა უნდა, დადებით შედეგს მივიღებთ. უამრავი მაგალითი არსებობს, რომ ერთ ადამიანს მეორე ჭეშმარიტების გზაზე დაუყენებია. ჭეშმარიტებაში ჩვენ შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოება, ასევე ცხოვრებაში გარკვეული სწორი გზის არჩევა, გადანყვეტილების მიღება თუ საჭირო ნაბიჯის გადადგმა, რომელიც კი არ დაგვაშორებს უფალს, პირიქით, მიგვაახლოებს მასთან.

ადამიანმა რომ შეძლოს, სიმშვიდით ფლობდეს საკუთარ ენას, ამისთვის აუცილებელია, საკუთარ გულს ფლობდეს. წმიდა ნიკოლოზ სერბი გვასწავლის: „ადამიანებს, რომლებიც საკუთარ გულს ვერ ფლობენ, კიდევ უფრო ნაკლებად შეუძლიათ საკუთარი ენის ფლობა“. ეს საოცარი სიტყვებია. თუ მათ კარგად დაუგვიკვრივებთ, მივხვდებით, რას გვასწავლის წმინდანი: ჩვენი ენა პირდაპირ კავშირშია ჩვენს გულთან, თუ ვერაფერს ვუხერხებთ გულის ზრახვებს, რა თქმა უნდა, ვერ ვფლობთ ენასაც და იმის ნაცვლად, რომ ადამიანი და-



ხლეს“. ორივემ აღაპყრო ზეცად თვალები და წარმოთქვას შემდეგი სიტყვები: „რასდროს გილაღლებთ, ქრისტე ღმერთო, და მზად ვართ, ქრისტეს სიყვარულისთვის თავიც გავეწიროთ“.

პირველად გამოარჩიეს წმინდა ფოტინე, რომლის დასჯითაც ელოდნენ შვილების დათრგუნვას, მაგრამ ამოვდა. გაუყოფეს ფეხები წმინდანს, ხელები რკინის გრდემლზე დაანყობინეს და ურტყამდნენ რკინის ნაჭრებს სამი საათი. დაილაღნენ მსახურები ცემით, მაგრამ მაინც ვერაფერი დააკლეს. ამის შემდეგ ნერონმა ბრძანა, ხელები მოეკვეთათ მისთვის, მაგრამ მსახურები უსულოდ, მკვდრებით დაცვივდნენ ძირს. ამის მსახველმა წმინდანმა წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „უფალი არს მზე ჩემდა, არა შემეშინოს; რაი მიყოს მე კაცმან?“ (ფსალ. 117,6).

საგონებელში ჩავარდა ნერონი, რა შეიძლებოდა გაეკეთებინა, რომ ქრისტიანებს უარი ეთქვათ თავიანთ განზრახვაზე. ამჟამად ვხედავ, რომ მათი დახოცვა გამოსავალი ნამდვილად არ იყო. მაშინ ბრძანა, წმინდა ფოტინე და მისი თანმხლები ხუთი დედამამშვილისთვის ჩაეცმიათ ოქროს შესამოსელი და მეფის სასახლეში ვახშამი გაემართათ, ვინძლო ამ გზით დაეყოლიებინა, მაგრამ ამჟერადაც მწარედ მოტყუვდა. დაპაპირდა, ეს ყოველივე თქვენი იქნება, თუ უარს იტყვით ქრისტიანობაზეო. პასუხად კი დაცინება და აბუჩად აგდება მიიღო.

როცა წმინდა ფოტინემ იმპერატორის ქალიშვილი დომინა დაინახა, მოუწოდა: „მამა, გიხაროდეს, დედოფალი, ჩემი უფლისაო...“ ამაზე პასუხად მიიღო: „გიხაროდეს შენც, ჩემო ქალბატონო, ლამაზო ქრისტიანო“. გაიგო რა დომინას პირიდან ქრისტეს სახელი, გაიხარა წმინდა ფოტინემ და გადაწყვიტა, მისთვისაც და მისი მსახურებისთვისაც ესწავლებინა ქრისტეს შესახებ და მართლაც მოინათლნენ დომინა და მისი მსახურები. დომინას სახელად უწოდეს ანთუსა, რომელმაც ბრძანა, მიეღო ოქრო ღარიბებისთვის დაერგებინათ.

გაცეცხლებულმა ნერონმა ბრძანა, ყველანი გამოქვაბულში შეეყარათ და ცეცხლი წაეკიდებინათ. სამი დღის შემდეგ გაესნათ და მათი დანახშირებული ძვლები მდინარეში გადაეყარათ. მართლაც ისე მოიქცნენ, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ. სამი დღის შემდეგ მივიდნენ, გახსნეს გამოქვაბული და უკლებლივ ყველა, ვინც კი გამოქვაბულში იყო, უვნებელი აღმოჩნდა. ამის მსახველმა წარმართებმა კი მაშინვე აღიარეს ქრისტე და მის მიერ მომხდარი უდიდესი სასწაული.

ამის შემდეგ ბრძანა ნერონმა, მომაკვდინებელი სანამალავი მიეცათ მათთვის წყლის სანაცვლოდ, რომელიც ჯადოქარმა ლამბადიოსმა მოამზადა იმპერატორის ბრძანებით და მისცეს ჯერ ფოტინეს, შემდეგ ყველას. ესეც ამოა აღმოჩნდა — ქრისტე ღმერთის შეწევნით ყველა უვნებლად გადაარჩა.

გადიარია თვითონ ჯადოქარი ლამბადიოსი, თვალებს არ უფერებდა, რადგან ცოცხალი და უვნებელი იყო ყველა მათგანი. უთხრა წმინდანს, ახლა მაქვს სანამალავი, ამაზე უფრო ძლიერი და თუ იმანაც ვერაფერი დაგვაკლავს, მაშინ მეც უნდა ვალაბო, რომ ქრისტე არის ნამდვილი ღმერთი და არავინ სხვაო. მართლაც, მომხდარის შემდეგ გაოგნებულმა ლამბადიოსმა მიატოვა ჯადოქრობა და მოინათლა. სახელად უწოდეს თეოკლიტე მოგვეყოფილი.

ნერონმა უამრავი ხერხი მოიგონა

წამების, მაგრამ ისევ თვითონ გიჟდებოდა უფრო და უფრო თავის უძლურებაზე და მოწამეთა დათრგუნვის ნაცვლად, მათი ბედნიერებით თვითონ ითრგუნებოდა. თვალეზივც დასთხარა მათ, შემდეგ კი ბრძანა, ჯურღმულში ჩაეყარათ, სადაც შხამიანი გველები და ქვეწარმავლები ჰყავდათ. წმინდანებმა ამდენ სატანჯველს გაუძლეს, გონებადაბნელებული ნერონი კი მაინც ჯიუტად აგრძელებდა ახლა უკვე საკუთარ თავთან ჭიდილს.

იმ ჯურღმულებიდან, საიდანაც მტარვალს კენესის და გმინვის ხმა უნდა გაეგონა, გალობის ხმა ამოდიოდა, რომლითაც ქრისტეს მოწამენი უგალობდნენ და აღიდებდნენ უფალს. უკუნი ჯურღმული გაცაშკაშდა, მათ შორის უცებ გამოჩნდა თვით უფალი და ხმამაღლა მოუწოდა ყველას: „მშვიდობა თქვენ შორის“. ამის შემდეგ დაიკავა წმინდა ფოტინეს ხელი და მოუწოდა ყველას: „გიხაროდენ, რადგან მე ვარ თქვენთან ყოველთვის, როცა გჭირდებით“. ამ სიტყვებისთანავე ყველა მათგანს დაუბრუნდა თვალში სინათლე და ნახეს უფალი, ყველა მათგანი განიკურნა ისე, როგორც იყვნენ თავიდან — სრულიად ჯანმრთელები.

მომხდარით გონდაკარგულმა ნერონმა ბრძანა, სამი წელიწადი ყოფილიყვნენ ჯურღმულში საკვებისა და წყლის გარეშე, რათა საშინლად დატანჯულიყვნენ. სამი წლის შემდეგ მოახსენეს იმპერატორს, იმის ნაცვლად, რომ სატანჯველში ყოფილიყვნენ ფოტინე და დანარჩენი ქრისტიანები, პირიქით მოხდაო. უკვე ატყობდა ნერონი, რომ ჭკუიდან გადადიოდა, მაგრამ ბოროტებით შეპყრობილს არაფრით სურდა იმის აღიარება, რომ ქრისტე არის ნამდვილი ღმერთი და სხვა დანარჩენი ყოველივე ამაო არს.

ბრძანა იმპერატორმა მათი ჯვარზე გაკვრა, ოღონდ თავდაყირა. ოთხი დღე დატოვეს ჯვარზე გაკრულები და როცა მივიდნენ და ისევ ცოცხლები და უვნებლები იხილეს, თვითონ ნერონის მსახურები დაბრმავდნენ და ვერაფერს მოარჩენდათ, რომ არა ისევ წმინდა ფოტინე და მისი თანამზრახველები. განკურნეს მსახურები, რომლებიც მოინათლნენ და წმინდა მოწამეებს შეუერთდნენ. გაიხაროდნენ: „უფალი, გამოცდადე მე და მიცან მე...“ (ფსალ. 138,1).

რადგან ვერაფერი დააკლო ვერც ერთ მათგანს, ნერონმა სუყველას თავები მოჰკვეთა და ძალღებს მიუყარეს მათი ხეულები, მაგრამ ცხოველებს არც ერთი მათგანისთვის არ მიუყენებიათ შეურაცხყოფა. ყველა უჭკნობი გვირგვინით შეიმოსა და დღემდე მეოხი და მფარველი არიან ქრისტიანების. ეს არის უდიდესი ნიჭი — როცა ქრისტესთვის ეწამები, როგორ შეიძლება, რომ დაგტოვოს ქრისტემ. ასე არის ახლაც: როცა ამბობენ, ანტიქრისტეს დრო ახლოსაა და რა გვეშველებაო, უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტე ღმერთი არის სამყაროს ბატონ-პატრონი და ვერაფერს ვერაფერს დაგვაკლებს. დღევანდელი საკითხავიც ხომ ამის ნათელი მაგალითია, ქრისტე მეფობს და სხვა არავინ. თუ განსაცდელი მოვა, ისიც ჩვენს სასიკეთოდ იქნება. რა არ აკადრეს წმინდანებს, მაგრამ კიდევ უფრო მტკიცენი იყვნენ განსაცდელის წინაშე.

გვეწოდნენ და მფარველ გვეყვნენ წმინდა ფოტინე და მის თანა წამებული დედანი და მამანი ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა.

ქრისტესმეორე სიყვარულით პროტანდკონი მირიანე. ახს!



მამა გიორგი

ლოგის დროს დავამშვიდოთ, შევძლოთ მისი მოსმენა, შევძლოთ, ჩვენი აზრი გაიზიაროს, უკუშედეგს ვიღებთ, ვალიზიანებთ, იქმნება კონფლიქტური სიტუაცია, რასაც შედეგად შეიძლება დიდი წყევნაც მოჰყვეს. ამიტომ ისევ და ისევ მთავარია, ადამიანმა მუდმივად იმუშაოს საკუთარ გულზე, რათა შინაგანი სიმშვიდე მოიპოვოს და უკვე შემდეგ მისცეს თავს უფლება, სხვას ეკამათოს.

წმინდა ანტონ ჭყინდიდელი ერთ ქადაგებაში ბრძანებს: „მთაზე ასულ მოსეს ესაუბრებოდა ღმერთი, ასევე სათნოების

ჩვენი ენა ჰიქაჰის კავშიშია ჩვენს გელთან, თუ ვეჩაფხს ვეხეხებთ გელის ზხახვებს, ვეი ველობთ ენასაც“.

მთაზე ასული კაცი მოისმენს უფლის სიტყვებს“. ამ სიტყვებიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ თუ ჩვენ იმ სათნოებებს მოვიპოვებთ, რომლის ყველაზე დიდი მაგალითიც თვითონ უფალმა მოგვცა, ჩვენი გული გახდება ისეთი, რომ მას შეეძლება ღვთის სიტყვის მოსმენა და მერე უკვე სხვასაც გადასცემ მას. ამიტომ მთავარია, თავად განიწმინდო გული და გონება, თავად ეცადო, მოიპოვო სულიერი სიმშვიდე და შემდეგ უკვე იოლად შეძლებ ჭეშმარიტების გზაზე სხვა ადამიანის დაყენებასაც.

— როცა კამბის დროს ვერაფრით უგებენ ერთმანეთს და არც პოზიციებს თმობენ, როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ დროს?

— ისევ გავიხსენოთ წმინდა ნიკოლოზ სერბის გამონათქვამი: „ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავში მშვიდობას ვერ ხედავენ, სამყაროში საკუთარ ადგილს ვერ დაინახავენ“. პირველ რიგში, ჩვენ უნდა შეგვეძლოს, საკუთარ თავში შევალწიოთ და ჩვენს თავში დავინახოთ მშვიდობა, უკვე შემდეგ ვიპოვოთ სამყაროში ჩვენს ადგილს. როდესაც ადამიანი გარკვეულ ქაოსშია, ის ვერ ხედავს თავის ადგილს სამყაროში და კარგად არ აქვს ჩამოყალიბებული ცხოვრების მიზანი, თუ საით უნდა იაროს, რა ნაბიჯები გადადგას, რომ მიზანს მიაღწიოს. ასეთ დროს ადამიანი შფოთავს, არ აქვს შინაგანი სიმშვიდე.

ასეთი პიროვნება სხვასთან დიალოგის დროს ერთგვარად ჯოუტდება, კამათს უფრო ამწვავებს, ვერ იღებს და ვერ ისმენს სხვის მონოლოდებულ აზრს. პირველ რიგში, ის ვერ ისმენს და შემდეგ უკვე ვერ იღებს, ძალიან უჭირს სხვისი რჩევების მიღება, რომელიც მას ძალიან დაეხმარებოდა ცხოვრებაში. თითქოს იკეტება, ეს ჩაკეტვა კი მისი მშფოთვარე შინაგანი მდგომარეობის

ბრალია. გარეგნულად, ერთი შეხედვით, შეიძლება არც ემჩნეოდეს მსგავსი რამ, მაგრამ, როგორც კი ასეთ ადამიანს შეეხები და მასთან დიალოგს გააბამ, მაშინვე იჩენს თავს მსგავსი პრობლემა. იგი თითქოს დიალოგისკენ წამოსულ ადამიანს ისხლტის. ასეთთან ძალიან ძნელია დიალოგი, თითქმის შეუძლებელი, პირველ რიგში, იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები არ არიან თავიანთ თავში გარკვეული, ანუ საკუთარ თავში მშვიდობას ვერ ხედავენ და ძალიან უჭირთ მოყვასის მოსმენა. ამიტომაცაა პიროვნებისათვის მთავარი შინაგანი სიმშვიდის მოპოვება.

— კოჭათი ჩხუბის შემდეგ დავმორდით ადამიანს, მაგრამ მისდამი სიყვარულის გამო გვინდა, შევურიდეთ, ის კი თავს ვაწიანებს, როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

— მსგავს სიტუაციაში ჩვენ შესარიგებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია. აუცილებელია, ყველა ძალა მოვსინჯოთ, ჩავრთოთ მეგობრები, ვილოცოთ, უფალს მივმართოთ დახმარებისთვის და ყველანიარად ვეცადოთ. თუ ის ადამიანი მაინც უარზეა, მაშინ ეს საქმე მთლიანად უფალს უნდა მივანდოთ, ის კი მუდმივად უნდა მოვიხსენიოთ როგორც პირად ლოცვებში, ასევე წირვა-ლოცვის დროსაც, რა თქმა უნდა, თუ მონათლულია. ეს საქმე უფალს მივანდოთ და ღვთის წინაშე ვთქვათ: „უფალო, მე ვაპატიე ამ ადამიანს, გულით მინდა, რომ შევურიდებ“. ამის შემდეგ ისე წარიმართება საქმე, როგორც ღვთის ნება იქნება.

განაწყენებული ახლობლის შემოსარიგებლად ჩვენი მხრიდან ყველა შესაძლებლობა უნდა ამოვწყოთ, რაც ადამიანურად შეგვიძლია გავაკეთოთ. არაფერზე დავიხიოთ უკან, მაგრამ შერიგების ეს მცდელობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სიამაყით სავსე. ყველაფერში შეიძლება შემოიპაროს ამპარტავებება და ეს შერიგებაშიც შეიძლება მოხდეს. შესაძლებელია, ადამიანმა ეს ნაბიჯი საკუთარი თავის განდიდების მიზნითაც კი გადადგას და ამით წარმოაჩინოს, თუ რა დიდსულოვანია და ყველაფრის მიუხედავად, მიუტყვა სხვას.

ყველაფერში შეიძლება შემოიპაროს ამპარტავებება და ეს შეიგებაშიც შეიძლება მოხდეს. შესაძლებელია, ადამიანმა ეს ნაბიჯი საკუთარ თავის განდიდების მიზნითაც კი გადადგას და ამით წარმოაჩინოს, თუ რა დიდსულოვანია და, ყველაფერში მიუხედავად, მიუტყვა სხვას“.

ასეთი აზრი ოდნავ მაინც თუ შეიპარა გულში, უმჯობესია, თავი შევიკავოთ და მაშინ გამოვხატოთ მიმტევებლური გრძნობები, როდესაც ეს მართლაც ღვთის გულისთვის მოხდება.

საერთოდ, ქრისტიანული სათნოებები დაცლილი უნდა იყოს ადამიანური ემოციებისგან. მაგალითად, როდესაც ჩვენ გავიღებთ მონყალვას და ვეხმარებით მათხოვარს, დავუკვირდეთ, მონყალვას მხოლოდ მაშინ ვაძლევთ, როცა ის გვეცოდება, თუ, როცა გვახსენდება, რომ ეს არის ჩვენი ვალი ღვთის წინაშე. ჩვენი, როგორც ქრისტიანის, მოვალეობაა, ყოველ გლახაკში უფალს ვხედავდეთ და გავცეთ ღვთის გულისათვის. ანუ ჩვენ მხოლოდ მაშინ რომ გავცეთ მონყალვა,

როცა ძალიან შეგვეცოდება ვინმე, ეს ნაკლებად იქნება ღვთის გულისთვის გაკეთებული და სულიერად ვერ წავდგამთ წინ ნაბიჯებს. ასევე არის შერიგების დროსაც. შეიძ-

სიმშვიდის მოსაპოვებლად ჰიხოვნებამ უნდა ისწავლოს მოძალებულ ახლებთან გამეჯავება. ადამიანს ცოდვაში ვეი ჩაითიხვს ვეიხ ეხით გახედან შემოქიჩილ უკეთუხი ახი, თუ მის გულში ამ ახიხსადმი თანაგხიძობა ახ გაჩნდა“.

ლება ჩვენ ძალიან გვიჭირს ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ, მიუხედავად ჩვენი ემოციური, ადამიანური დამოკიდებულებისა, არსებობს უფრო მაღალი სულიერი საფეხური და ამ საფეხურს შევია ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ღვთის გულისათვის.

წმინდა ნიკოლოზ სერბის სიტყვები რომ მოვიხველიოთ: „ყოველგვარი მიღწევა სწავლასა და შრომასში, მიუხედავად უღიღესი ძალისხმევისა, თუ ღვთის გარეშეა მოპოვებული, აძლიერებს მიღწევის წყურვილს. შესაძლოა შენს მიღწევაში ყველაზე გულმოდგინე შრომა გქონდეს ჩადებული, მაგრამ ღვთის გარეშე იგი მაინც ცოდვაა; ყოველი ცოდვა ახალი ცოდვის წყურვილს აძლიერებს; იგივე, მაგრამ უკვე უფლის სახელით ქმნილი, ადამიანს ბედნიერს ხდის, რამეთუ ჭეშმარიტ წყურვილს აკმაყოფილებს“.

მართლაც, ასეთი ბედნიერება, რომელიც უცილობლად მოაქვს ქრისტიანულ ცხოვრებას, მხოლოდ ამგვარი მიდგომით მოიპოვება. უნდა გვახსოვდეს, რასაც გვაკეთებთ, ვეცადოთ, ღვთის სახელით იყო ქმნილი და ჩვენ მართლაც ბედნიერები ვიქნებით!

— როგორ უნდა მივხედოთ, რომ ჩვენი აზრები და დამოკიდებულება ადამიანის მიმართ არასწორია?

— აზრების გარჩევის უნარი მომწიფებული სულიერი ცხოვრების მონაპოვარია. დამწყებებმა კი სულიერი სიმშვიდე რომ მოიპოვონ, გამოცდილ ადამიანებსა და ლოცვას უნდა მიმართონ. სიმშვიდის მოსაპოვებლად პიროვნებამ უნდა ისწავლოს მოძალებულ აზრებთან გამკლავება. ადამიანს ცოდვაში ვერ ჩაითრევს ვერც ერთი გარედან შემოჭრილი უკეთური აზრი, თუ მის გულში ამ აზრისადმი თანაგრძობა არ გაჩნდა. მართალია, ჩვენს გონებაში აღმოცენებული უნებლიე აზრებისთვის პასუხს არ ვაგებთ, მაგრამ თუ ისინი ჩვენს გულისთქმასაც შეეხო, შესაძლოა, ძალზე საშიშნი აღმოჩნდნენ ჩვენთვის. როცა წმინდა ადამიანების გვერდით მოვხვდებით, ჩვენი სული მშვიდადაა, არ გვსურს მათთან განშორება და ცვდილობთ, ეს წუთები რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. მათი სიმშვიდე თითქოს ჩვენც გვეფერება.

ვევედროთ უფალს, რათა ჩვენი გულებიდან უხვად გადმოედინებოდეს სიკეთე, სიმშვიდე და სიხარული. როგორც წმინდა იოანე კრონშტადტელი გვასწავლის: „იმისთვის, რომ გული იყოს დაწმენილი, კეთილი და მშვიდი, ხოლო ადამიანის თავისუფალი ნება — ღვთისათნო, სული უნდა განვიწმინდოთ ლოცვით, წმინდა წერილისა და წმინდა მამათა ქმნილებების კითხვით, მინიერ სიამოვნებათა ხრწნადობასა და წარმავლობაზე ფიქრით“.

✓ მანანა ნოღია

რატომ იხვამდნენ თუში პატარაკლები ქორნილში შავ კაბებს

თუშური ფერების საიდუმლო

თუშურ ფარდაებს დიდი ისტორია აქვთ. საუკუნეების განმავლობაში თუშეთში თითქმის ყველა ოჯახში ქსოვდნენ. ქალიშვილი ისე ვერავინ გაათხოვებდა, თუ მან ქსოვა არ იცოდა და მომავალი ოჯახის წევრებისთვის ენ. ფეხთინდას არ მოქსოვდა. ახლა იშვიათად თუ მიჰყვება ვინმე მამაპაპისეულ ტრადიციას. მათ შორისაა ელენე ჯიჯუროიძე. იგი ბავშვობიდან ქსოვს. მთაში თავად დადის და ბუნებრივ საშუალებებს ქებს შალის ძაფების შესაღებად. თუშ მქსოველესა და მათ ოსტატობაზე უამრავი საინტერესო ცნობა აქვს შემონახული, რაც ბებიისა და დედისგან გადმოეცა.

ქალბატონმა ელენემ „სარკესთან“ საუბარში ის ტრადიციები გააცოცხლა, რომლებსაც ნელ-ნელა ეფარება დავიწყების საფრენი.

ელენე ჯიჯუროიძე:

— თუშეთში ტრადიცია იყო ასეთი, რომ, როცა გოგოს დასანიშნად მივიდოდნენ, იმ ქალს მომავალი ქმრის თითოეული ნათესავისთვის უნდა ჰქონოდა თავისი ხელით მოქსოვილი წინდა, ხელთათმანი თუ სხვა რამ. ყველა ოჯახში, სადაც გასათხოვარი გოგო იყო, წინასწარ ამზადებდნენ სხვადასხვა ნაქსოვებს და ამას ფეხთინდას ეძახდნენ.

— აუცილებლად საპატარძლოს უნდა მოქსოვა?

— შეიძლება სხვაც დახმარებოდა, მაგრამ მას ამ ყველაფრის მოქსოვა უნდა სცოდნოდა. ეს ყველაფერი ნიშნობის დღისთვის სკივრებში ჰქონდათ ჩალაგებული. სადედამთილო-სამამამთილოსთვის, სამაზლო-სამულებებისთვის და მათი დედაშვილ-ბიძაშვილებისთვის უნდა ეჩუქებინა. რამდენიც მოვიდოდა, იმდენისთვის უნდა ჰქონოდა. სამამამთილოსთვის აუცილებელი იყო ხურჯინის მოქსოვა, სადედამთილოსთვის — თავსაფრის. მერე ირჩევდა, ვინ როგორი და რამდენი წინდა თუ სხვა რაიმე ნაქსოვი გასცა. იტყვოდნენ ხოლმე, ისეთი ყოჩაღი ქალია, ამდენი წინდა ჰქონდა მოქსოვილი. ბევრი რამ მაქვს ჩემი დედაპაპის და დედაპაპის დედაპაპის მოქსოვილი, რომლებიც შესანიშნავი მქსოველები იყვნენ.

მთაში ცხვარი ყველას ჰყავდა. როცა ბევრი რამის მოქსოვა უნდოდათ, დაუძახებდნენ მუზობლებს, ნათესავებს და ძაფს დაართავდნენ. შეიკრიბებოდნენ ქალები, სადაც ყველა თავისი საჩუქრელი მიდიოდა. ბოლოს პურმარალი იმართებოდა, სადაც კაცებს არ ევატიყებოდნენ. ზოგი იქ გასათხოვარი ქალის სანახავად მიდიოდა.

თუშეთში ქსოვა გასათხოვარ ქალებთან კიდევ ერთი რამით იყო დაკავშირებული. როცა გასათხოვარი გოგო ფარდას ქსოვდა, იმხელას აბაკუნებდა ენ. საბეჭს, გამვლელ ვაჭრებს გაეგონა, რომ იქ ვიღაც ქსოვდა, ესე იგი იმ სახლში გასათხოვარი ქალი იყო. მთაში ყარაულობდნენ ფარდაგის მოქსოვის დასასრულის მოახლოებას, რომ ქალისთვის საბეჭი მოეპარათ და მანამ არ უბრუნებდნენ, სანამ ხაჭაპურებს არ გამოაცხობდა. ასე ვთქვათ, უნდა „ეკისრა“ პურმარალი.

— თავად თუშეთში ხართ გაზრდილი?

— ამდენის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში დავიბადე, მაგრამ ფაქტობრივად თუშეთში გავიზარდე. ყველა ზაფხულს იქ ვატარებდი. დედაც და მამაც იქაურები იყვნენ. ჩემი ქმარი შენაქოდან არის. ულაბაშქის ადგილია. იქ ყველა ქსოვდა. ბებიანემი საუკეთესოდ ქსოვდა. მერე დედაჩემი იყო კარგი მქსოველი. ადრე გამოფენებშიც მონაწილეობდა. მეც დედისგან ვისწავლე, სულ მეჩუბებოდა, არ გინდა, ნუ სწავლობო.

— რატომ არ უნდა, რომ გესწავლიათ?

— რთულია, ჯანმრთელობისთვის არ ვარ-

გაო, მეუბნებოდა. საათობით ჯდომა არ არის კარგი ორგანიზმისთვის. მხედველობაც ზიანდება ამ დროს. პირველად რომ დავქსეულე ფარდაგი, არ ვიცოდი, როგორ გამეგრძელებინა და დედას ვთხოვე დახმარება. მითხრა, არ მოგეხმარებო, მაგრამ ბოლოს მაინც ამომიდა გვერდში. პირველი ფარდაგი, რომელიც მოვქსოვე, გერმანულ კატალოგში მოხვდა, რადგან ორიგინალური ორნამენტებია. ქსოვის სიყვარული ძვალ-რბილში მქონდა გამჟღადრი და საიცარი შინაგანი მოთხოვნებიც მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გათხოვების დროს ფეხთინდების მოქსოვის ტრადიცია უკვე აღარ არსებობდა.

პირველად რომ წინდის ქსოვა დავიწყე, დედაჩემმა რამდენჯერმე დამირღვია, არ გაქვს ნქსოვი ნაქსოვი, ასე არ შეიძლებაო. სანამ კარგად არ მოვქსოვე, არ დამანება, დამემთავრებინა და მანვალა.



გამოყენებითი ხელოვნების ცენტრში ვმუშაობდი, სადაც ფარდაებს ვქსოვდა და იქ ერთადერთი ვიყავი, რომელიც საკუთარი ცხვირებითა და ჩემივე შექმნილი ფერებით ვმუშაობდი.

— ფერებს როგორ ქსით?

— მე ვპოულობ ფერებს. მთაში დავდივარ და იმ ბუნებრივ საშუალებებს ვეძებ, რომლებიც ამა თუ იმ ფრად ღებავს ძაფს. თუშური ფარდაგი თითქმის ყოველთვის შავ ფონზე იქსოვებოდა. ახლაც შავ ფონზე ვქსოვ. ადრე აუცილებელი იყო გემოთიერი ფიგურები. მერე შემოვიდა ყვავილები, ლომები, ვეფხვები, ირმები და ა.შ. ამით ფარდაგები უფრო გაფერავდა. ადრე ბუნებრივ საღებავებს ხმარობდნენ. იყენებდნენ კაკალს, თავშავს, ბროწეულის ქერქს, კონახურის ძირს. კონახურის ძირი ყვითლად ღებავს.

— შავ ფერს რაით იღებ?

— ლავნის ფოთლით და ჟანგიანი რკინით. ლავანი კაკლის ჯიშის ხეა, მაგრამ უნაყოფო. ძაფი ჯერ უნდა შეიღებოს ლავნის ფოთოლში, მერე კი ჟანგიანი რკინით უნდა ჩაყარო წყალში და წამოაღულო. ქიმიური ნივთიერება, რკინის ჟანგიც არსებობს და იმაში ღებავენ, მძალა ჰქვია. შავ ფერს სხვანაირად ვერ მიიღებ — ან ჟანგიანი რკინაში უნდა შეღებო, ან მძალა უნდა ჩაყარო. კლდის ჟანგი ანუ ხავსი ორიგინალურ ფერად — მოყავისფრო-მოსტაფოლოსფროდ ღებავს. ნანკიმარზე უნდა მოაგროვო. დილით ადრე გავდივარ მის მოსაგროვებლად, რომ ცვარზე მოვფიკო, ისე არ იფხიკება. დეკასაც ვიყენებ, რომელიც მხოლოდ ალპურ ზონაში მოდის. მისგან კრემისფერს ვიღებ. აწნლი ღებავს მენამულისფერად, ენდროშიც ვღებავ — მონითალო-მოშინდისფრო ფერს ვიღებ და ა.შ.

— მითხვან კიდევ არის თუშური ფარდაგები?

— ერთი პერიოდი, როცა მივხვდი, რომ ეს ხელოვნება აღარავის სჭირდებოდა, ქსოვას თავი

დავანებე. მთელი 10 წელი ისე გავიდა, მხოლოდ სახლისთვის თუ მოვქსოვდი პატარა რაღაცას. არადა ადრე ჩემს ნაქსოვს თუ გავყიდდი, იმით ვმუშაობდი ორ კაპიკს. ახლასან კი გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, აკრძოებდნენ. თავიდან არც კი მვეროდა, რომ ჩემი ხელობა კიდევ ვინმეს აინტერესებდა. საშუალებაც არ მქონდა, რომ ჩემი სურვილის დასაკმაყოფილებლად მაინც მექსოვა.

საბეჭი, რომლითაც ვმუშაობ, ბებიანემი მზითვია. ანტიკვარით მაქვს და ძალიან ვუფრთხილდები. ისეთ ადგილას ვდებ, რომ ვერავინ ახლოს ხელი. ხის კავიცი მაქვს ბებიის დროინდელი და იმასაც სათუთად ვუფრთხილდები. როცა ფარდაგების ქსოვა განვახლებ, პირველად ქიმიური საღებავებით შევღებე. ქსოვის დროს ხელები მთლიანად შავი მქონდა. ახლა კი ისევ ბუნებრივ საღებავებზე გადავედი. ეკოლოგიურადაც სუფთაა და ყველაფერი ნამდვილია. იშვიათად შეხვედებით ვინმეს, ვინც თუშური ფარდაგების ქსოვა იცის, აღარავის აინტერესებს.

ახლა 4 თვეა ერთ ფარდაგს ვქსოვ. ძალიან შრომატევადია, მაგრამ არ მინდა, ეს ტრადიციული, მამაპაპისეული სიმბოლო გაქრეს. იცით, რა ბედნიერებაა, როცა ორნამენტი გამოიყვანება? ძაფს რომ ვღებავ და იმ ფერს ვიღებ, რომელიც მინდა, უდრეს საიმოვნებას განვიცდი. როცა ქსოვ, ზისარ შენთვის, ფიქრობ და ამ ფიქრებში შეგიძლია ჩააქსოვო შენი დარდი, ნაღველი თუ პირიქით, სიხარული. ხანდახან ნაუთილინებ, ხან ნაუტირებ.

ადრე თუშური წინდა ასეთი ორნამენტებიანი და ჭყეტელა კი არ იყო, ძალიან სადა, მხოლოდ ზოლები ჰქონდა. თუში ქალების საპატარძლო კაბა შავი იყო.

— რატომ, რას უკავშირდებოდა?

— ალბათ იმას, რომ თუშეთში მუდმივი ომიანობა იყო და ოჯახი არ არსებობდა, სადაც მგლოვიარე არ იყო. ამიტომ შავი ფერი მუდმივად დომინირებდა. შემოსაცემელი შავი კაბის ქვეშ ეცვათ ხოლმე ფერადი უბე-ფარაგა, რომელსაც ხშირად ვერცხლით ამკობდნენ. ეს ვერცხლის ჯაჭვი, რომელიც მე მიკეთია, ბებიანემის უბე-ფარაგაზე იყო შემოვლებული. მერე ის უბე-ფარაგა დედაჩემს მისცა, დედამ მე გადმომცა.

პატარძალს ქორნილში სახე არ უნდა გამოსჩენოდა. მომსწრე ვარ ქორნილის, როდესაც პატარძალს ჩამოფარებული ჰქონდა და მის სახეს ვერავინ ხედავდა. თუ მომივებოდა, გაიყვანდნენ, მოხსნიდნენ მანდილს და ისე აჭყვედნენ. ეს მანდილი მზიარული ფერის უნდა ყოფილიყო — ნიითი, ყვიითი ან სულაც ჭრელი. პაპაჩემმა ისე მოიყვანა ცოლი, არ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა. მშობლებმა დანიშნეს. პაპას ანტერესებდა, ვინ მოჰყავდა ცოლად. თურმე, როცა პატარძალი ოთახში დასასვენებლად შეიყვანეს, პაპა შეიპარა, ტახტის ქვეშ შეძვრა და ისე შეჩედა. ბებიას თვალს გაპარვია ტახტისკენ და შეუნიშნავს. ამჟამად ერთი კვილია. ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, იმას უკავშირდებოდა, რომ მშობლების შერჩეული სარძლო არ უნდა დავანუნებინა!

✓ რუსუდან ადვაძე

თ ა ვ ს ა ტ ე ს ი

იპოვეთ მოხი განსხვავება



გ ა ა ფ ა რ ა ღ ა თ



ბრინჯი ბოსტნეულის სოუსში



- მასალა:**
 პომიდორი — 1 კგ
 ბულგარული წინა-
 კა — 2 ცალი
 ნიორი — 1 კბილი
 სტაფილო — 2 ცალი
 ბრინჯი — 1 ჭიქა
 მარილი — 1,5 ჩ.კ.

პილპილი და კამა — გემოვნებით
მომზადება: სტაფილო სახეხზე გახეხეთ და ზეთიან ტაფაში მოშუშეთ. წინაკა, ნიორი, პომიდორი და მოშუშული სტაფილო ხორცსაკეპში გაატარეთ. მიღებული მასა ქვაბში გადაიტანეთ, დაახურეთ სახურავი და 10 წუთი ხარშეთ. ბრინჯი გარეცხეთ. ქვაბში 2 ჭიქა წყალი ჩაასხით, წამოადუღეთ, ჩაყარეთ ბრინჯი და ხარშეთ 7 წუთი (ბრინჯი ბოლომდე არ მოიხარშოს). ბრინჯს წყალი გადაუნურეთ, გადაიტანეთ პომიდვრიან სოუსში, ალს დაუნიეთ, ქვაბს სახურავი დაახურეთ და შუშეთ 20 წუთი (შეგადაშიგ ურიეთ). შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით, შეაზავეთ მარილით, პილპილით და 20 წუთი თავდახურული დატოვეთ. შემდეგ გადაიტანეთ ლანგარზე და ზემოდან მოაყარეთ აკეპილი კამა.

შემწვარი ვაშლის დესერტი

- მასალა:**
 ბორჯომი — ერთი ჭიქა
 ფქვილი — 10 ს.კ.
 შაქრის პუდრა — 5 ს.კ.
 ვაშლი — 2 ცალი
 ზეთი, დარიჩინი —



გემოვნებით
მომზადება: ვაშლს გულეები ამოაჭერით და 7 მმ სისქის რგოლებად დაჭერით. ჯამში ჩაყარეთ ფქვილი, დაასხით ბორჯომი და მოზილეთ. დაუმატეთ შაქრის პუდრა და დარიჩინი. ვაშლის ნაჭრები ამ ცომში ამოავლეთ. ტაფაში ზეთი ჩაასხით და გააცხელეთ, ჩაალაგეთ ვაშლები და ყველა მხრიდან შებრანეთ. ამოალაგეთ ფართო ლანგარზე და როცა შეგრილდება, ზემოდან შაქრის პუდრა მოაყარეთ.

მაკაონი კომატის სოუსში

- მასალა:**
 მაკარონი — 500 გ
 პომიდორი ჩერი — 200 გ
 ტომატი-პასტა — 200 გ
 ნიორი — 2 კბილი

მარილი, რეჰანი, დაფქული ნითელი წინაკა, ზეთუნის ზეთი — გემოვნებით

მომზადება: პომიდვრები შუაზე გაჭერით. ცხელ ტაფაზე ცოტა ზეთუნის ზეთი დაასხით, ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი ნიორი და ნითელი წინაკა. დაჭრილი პომიდვრები ხელით გაჭყლიტეთ და ტაფაში ჩაუშვით, შუშეთ 5 წუთი. დაუმატეთ ტომატი-პასტა, ჩაყარეთ აკეპილი რეჰანი და შეაზავეთ მარილით.



მაკარონი მარილწყალში მოხარშეთ, გადანურეთ და ჩაუშვით პომიდვრიან ქვაბში. ადუღეთ 5 წუთი.

სოკოს ბოლვა

- მასალა:**
 ხახვი — 1 თავი
 სტაფილო — 1 ცალი
 ზეთისხილი — 5 ცალი
 ბრინჯი — 0,5 ჭიქა
 ვაზის ფოთოლი — 30 ცალი
 სოკო — 300 გრ

ზეთი, მარილი, პილპილი — გემოვნებით
მომზადება: ბრინჯი მარილწყალში მოხარშეთ. გადაიტანეთ საწურზე და დაწრიეთ. ვაზის ფოთლები 1 წუთით მდულარე მარილწყალში მოათავსეთ, შემდეგ გადანურეთ. ტაფაში ზეთი ჩაასხით, მოშუშეთ წვრილად დაჭრილი ხახვი. შემდეგ დააყარეთ გახეხილი სტაფილო, მოურით და ცოტა ხანს შუშეთ.

სოკო წამოადუღეთ, გადანურეთ, წვრილად დაჭერით და დაუმატეთ ხახვსა და სტაფილოს. როცა სოკოც მოიშუშება, შეურიეთ წვრილად დაჭრილი მწვანელი და მობარშული ბრინჯი.



შეაზავეთ მარილითა და პილპილით. ეს გულსართი შეაგრილეთ და ვაზის ფოთლებში გაახვიეთ.

ქვაბის ძირში მოათავსეთ მომინანქრებული პატარა ჯამი, ზედ დააწყვეთ ტოლმები და დაასხით იმდენი წყალი, რომ ჯამი დაფაროს. დაახურეთ სახურავი და საშუალო ცეცხლზე შემოდგით. ხარშეთ მანამ, სანამ ვაზის ფოთოლი არ დარბილდება. ტოლმა მიირთვით სამარხვო მაიონეტთან ერთად.

სამახვო ფარშირებული ქამა სოკო

- მასალა:**
 ბრინჯი — 50 გ
 ქამა სოკო — 600 გ
 მარილი — 1 ჩ.კ.
 ხახვი — 100 გ
 ზეთი — 30 გ
 პილპილი — 1 ჩ.კ.



მომზადება: ბრინჯი მარილწყალში მოხარშეთ. ქამა სოკო გარეცხეთ, მოაცილეთ ძირები, თავები კი გამოაცხობ ფირფიტაზე დაალაგეთ (ამობრუნებულები, ჯამებივით). ხახვი დაჭერით და ზეთში მოშუშეთ, დაუმატეთ დაჭრილი სოკოს ძირები და 5 წუთი შუშეთ. შემდეგ ჩაუმატეთ მოხარშული ბრინჯი, მოაყარეთ მარილი, პილპილი და მოურით.

ამ მასით სოკოს თავები ამოაცხეთ, შედგით 190 გრადუსამდე გახურებულ ლუმელში და გამოაცხვეთ 20 წუთი.

ჩბლი ყვავილში ქსოვილისგან

ამ ყვავილების გასაკეთებლად რამდენიმე ფერის და ფაქტურის ქსოვილი დაგჭირდება. მაგალითად: წითელი და კუბოკრული ლურჯი. დამზადება კი სულ რაღაც ნახევარ საათში შეიძლება. ასევე დაგჭირდება მუყაო, ნებო და მაკრატელი.

მუყაოსგან გამოვჭრათ ყვავილის ფურცლების ტრაფარეტი. დავადოთ ქსოვილი ტრაფარეტს და გამოვჭრათ: ლურჯი ქსოვილისგან ხუთი დიდი ფურცელი, წითელი ქსოვილისგან ხუთი საშუალო ზომის ფურცელი და ისევ ლურჯი ქსოვილისგან ხუთი პატარა ფურცელი.


გამოვჭრათ ნაჭრის ან მუყაოს პატარა რგოლიც ფურცლების დასამაგრებლად. გამოჭრილი ფურცლები შუა ნაწილში მოვნიშნოთ ცარციო, გადავკვეცოთ და ამ ნიშნულამდე ჩავჭრათ ისე, როგორც მე-5 ფოტოზეა.

ნებოს საშუალებით ბოლოებით დავანებოთ ერთმანეთს: ჯერ საშუალო და პატარა ზომის ფურცლები, შემდეგ დიდი ფურცლები დავანებოთ მრგვალად გამოჭრილ ქსოვილს ან მუყაოს და უკვე მასზე დავანებოთ საშუალო და პატარა ფურცლები. მზა ყვავილს შუაში შეგვიძლია დავუმაგროთ ღილი, მძივი ან, ამ შემთხვევაში, წითელი ნაჭრის წრე.

ასეთი ყვავილები შეგვიძლია გამოვიყენოთ გულსაბნევადა, ჩანთაზე დასამაგრებლად, თმის სამაგრებად და სხვ. სულ ესაა.

გისურვებთ წაბნაფემას!

✓ ლულა ცეცხრობი



წინა ნომერიში გამოქვეყნებული სულოკუს პასუხები № 1

2	5	9	1	8	6	7	3	4
1	4	8	5	3	7	9	2	6
7	6	3	4	2	9	1	8	5
9	2	5	7	4	3	8	6	1
4	8	7	6	9	1	2	5	3
3	1	6	8	5	2	4	9	7
8	3	1	2	7	5	6	4	9
5	7	2	9	6	4	3	1	8
6	9	4	3	1	8	5	7	2

№ 2

8	6	7	5	4	2	3	9	1
1	3	2	9	7	6	8	4	5
5	4	9	3	1	8	2	6	7
2	7	6	8	5	3	9	1	4
9	1	4	6	2	7	5	3	8
3	8	5	1	9	4	6	7	2
6	5	3	7	8	1	4	2	9
4	9	1	2	6	5	7	8	3
7	2	8	4	3	9	1	5	6

❖ იოჰანსებასტიანბახისგარდაცვალების (1750 წელი) შემდეგ მას მოიხსენიებდნენ არა როგორც კომპოზიტორს, არამედ როგორც ვირტუოზ ორღანისტს.

❖ მწერალმა მერი შელიმ „ფრანკენშტეინი“ 19 წლის ასაკში დაწერა.

~*~

❖ მეცნიერთავარაუდით, დღეს დედამიწაზე ყვავილის 250 ათასამდე სახეობა ხარობს.

❖ დედამიწის შექმნიდან 2 მილიარდი წლის მანძილზე არანაირი ცოცხალი ორგანიზმი არ არსებობდა.

❖ პირველი დინოზავრი, მეცნიერების ვარაუდით, 225-230 მილიონი წლის წინ გაჩნდა და ეს სახეობა 5 მილიონი წლის განმავლობაში არსებობდა.

~*~

❖ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებში მხოლოდ 50 ადამიანი მსახურობდა.

❖ 1760 წელს ჩინელ ლეიო-ბანის თავი მხოლოდ იმიტომ მოჰკვეთეს, რომ მან უცხოელს ჩინური ენა შეასწავლა. მაშინ ჩინეთში ეს საშინელ დანაშაუ-

ეს იყო იტო?

ლად ითვლებოდა.

❖ 1947 წელს საბჭოთა კავშირმა საკუთარ მოქალაქეებს უცხოელებზე დაქორწინება აუკრძალა.

❖ სერვანტესს 1590 წელს ამერიკაში წასვლა და იქ დარჩენა სურდა, მაგრამ უარი უთხრეს.

❖ პირველი ქვეყანა, სადაც ქალებს არჩევნებში ხმის მიცემის ნება დართეს, ახალი ზელანდია იყო (1890 წელი).

❖ ამერიკაში 1900 წელს თუ ოჯახიდან 2 წევრი მაინც მსახურობდა, ოჯახს ოფიციალურად საშუალო კლასს აკუთვნებდნენ.

❖ პენსილვანიის შტატი ამერიკაში პირველი იყო, სადაც ჯადოქრობა ლეგალური გახდა.

~*~

❖ სპორტის ერთ-ერთი პირველი სახეობა, რომლის მსოფლიო ჩემპიონატიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა (1873 წ.), ბილიარდი გახლდათ.

❖ სტატისტიკური მონაცემებით, დღეს დედამიწაზე სწორედ რითი სრიალით 30 მილიონი ადამიანი დაკავებულია, რომელთა მეექვსედი 7-დან 11 წლამდე ბავშვია.

❖ კინოფილმებში ყველაზე პოპულარულ სპორტის სახეობად დღემდე კრივი მიიჩნევა.

ყველაზე სექსუალური ვარსკვლავები



■ მილა კუნისი

მოძრაობა კი სექსის სპორტს, რომლებმაც ის ყველაზე სასურველ ქალად მიიჩნიეს.

„რაიანი ყველაზე სექსუალური ქვერთმანი მამაკაცია პლანეტაზე. ის შეუდარებელია მამინაც კი, როდესაც სძინავს“, — ამბობენ ქალები.

ყველაზე სასურველი ქალებისა და კაცების ხუთეული კი ასე გამოიყურება:

ქალები

1. მილა კუნისი
2. კეიტ აპტონი
3. ჯენიფერ ლოუერენსი
4. ჯესიკა ალბა
5. მეგან ფოქსი

მამაკაცები

1. რაიან გოსლინგი
2. ზაკ ეფრონი
3. ადამ ლივაინი
4. ჩენინგ ტატუმი
5. ბრედლი პუპერი.



■ რაიან გოსლინგი

პრინც ჰარის ბიძის გამყიდველ გოგონასთან ჰქონდა

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სასიძო, ბრიტანეთის პრინცი ჰარი, გოგონებში ძალიან პოპულარული ბიჭია. 27 წლის პრინცის გვერდით ხშირად მოიხარებენ ცისფერისხილიან პრინცესებს, მილიონების ქალიშვილებს და რამდენიმე ტელენამყვანსაც კი, მაგრამ ელიზაბეტ მეორის შვილიშვილმა ყველას იმედები გაუცრუა, როდესაც აღიარა, რომ წლების წინ მალაზიის გამყიდველ გოგონასთან ჰქონდა რომანი.

პრინცი ჰარი და პროდუქტების გამყიდველი მარგარეტი ერთმანეთს სუპერმარკეტში შეხვდნენ, სადაც გოგონა მუშაობდა. ეს სუპერმარკეტი იმ კოლექსის მახლობლად მდებარეობდა, სადაც პრინცი სწავლობდა.

„ის ყურადღებიანი და საინტერესო ადამიანი იყო. თავიდან ვერც ვიცანი, ვისთან მქონდა საქმე. რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ, შემდეგ კი სასმელზე დამპატიყა. მე ავუხსენი, რომ მეგობარი ბიჭი მყავდა, მაგრამ მისთვის ეს დაბრკოლება არ აღმოჩნდა. როდესაც მალაზიიდან გავიდა, გამყიდველი გოგონები მომცვივდნენ და მითხრეს, შენ პრინცს ელაპარაკებოდიო“, — წერს მარგარეტი თავის მოგონებების წიგნში.

თავდაპირველად გოგონა პრინცს ისე ხვდებოდა, რომ თავის ბოიფრენდს ამას უმალავდა. მეორე პაემანზე ჰარიმ აკოცა.

— თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. ჰარი ძალიან მომწონდა, მაგრამ არ ვიცოდი, ეს ურთიერთობა სადამდე მივიდოდა. ვთვლიდი, რომ ვერასოდეს გავხვდებოდი მისი სამყაროს ნაწილი, ამ უეცარი გატაცებით გამო კი საყვარელ მამაკაცს დავეკარგავდი. საბოლოოდ მივხვდი, რომ პრინცთან რომანი კარგს არაფერს მომიტანდა. ბევრი ვიტყვი, უარი ვუთხარი და ახლა ქმარი და ორი შვილი მყავს. უნდა ვაღიარო, რომ ის დღემდე არ დამვიწყებია. პრესაში სულ ვკითხულობ მისი სასიყვარულო ისტორიების ამბებს, მაგრამ ვხვდები, რომ ჯერ ჰარის გვერდით ისეთი გოგო არ არის, რომელიც მას სჭირდება, — ამბობს მარგარეტი.

ამ აღიარებამ ბრიტანეთის სამეფო კარზე დიდი სკანდალი გამოიწვია. პრინცი ჰარი ახლა 24 წლის კრესიდა ბონას ხვდება. ამბობენ, რომ ეს გოგონა იდეალურად აკმაყოფილებს მომავალი პრინცესას სტანდარტებს — მაღალი ტანი, ღია ფერის თმა, გრძელი ფეხები და კარგი ოჯახური გარემო. პრინცი კი დაქორწინებისაგან თავს იკავებს.

— არ შეიძლება მამაკაცი აიძულო, დაქორწინდეს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვგრძნობ, რომ არსებობს გოგო, რომლის გვერდითაც მინდა, მთელი ცხოვრება ვიყო, მაინც გამიჭირდება დაოჯახება. ჩემს ძმას 10 წელი დასჭირდა იმისათვის, რომ კეიტისთვის ცოლობა ეთხოვა და მე ამაში ვამართლებ. ჩვენი ცხოვრება ხომ სხვანაირია, ამიტომ ცოლობას ადვილად ვერავის ვთხოვ, — ამბობს პრინცი ჰარი.



■ პრინცი ჰარი და პრინციზა ელიზაბეტი

ტომ კრუზი: „კეტისთან გაყრა ჩემთვის ყველაზე დიდი დარტყმა იყო!“



■ კეტი ჰოლმსი და ტომ კრუზი

ჰოლივუდის ვარსკვლავი ტომ კრუზი ყოფილ ცოლთან, კეტი ჰოლმსთან გაყრის დეტალებზე პირველად აღაპარაკდა. 50 წლის ვარსკვლავმა აღიარა, რომ ცოლთან გაყრა მისთვის ყველაზე საშინელი სიურპრიზი იყო.

— არ ველოდი, თუ კეტი მიმატოვებდა. ცხოვრება ხომ ერთი დიდი გამოწვევაა. კარგად მახსოვს, ყველაფრით კმაყოფილი ვიყავი, ვფიქრობდი, რომ პრობლემები აღარასოდეს მექნებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მივიღე დარტყმა იქიდან, საიდანაც არ ველოდი. რა ექნათ? ასეთია ცხოვრება. ჩემმა 50-მა წელმა მიმახვედრა, რომ ცხოვრება ტრაგიკომედიაა და ბედნიერი რომ იყო, იუმორის გრძნობა უნდა გქონდეს განვითარებული, — აღნიშნა კრუზმა.

2012 წლის ივლისში კეტი ჰოლმსი ქმარს ოფიციალურად გაშორდა. ისინი შეთანხმდნენ, რომ ცხოვრების ბოლომდე მეგობრებად დარჩებოდნენ, რათა გაყრით ერთადერთი შვილის, სურისათვის, ნაკლები ტრავმა მიეყენებინათ.

ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობთან გაყრა კეტი-სათვის წამგებიანი აღმოჩნდა, რადგან ბევრი პროიექტი დაკარგა: პირადი თვითმფრინავიდან ჩვეულებრივზე გადაჯდა, აღარ ემსახურება პირადი მძღოლი და ტაქსით უწევს სიარული. კრუზის 250 მილიონიანი ქონებიდან კეტის თითქმის არაფერი ერგო. ტომს საკუთარი შვილისათვის ყოველთვიურად მხოლოდ 33 ათასი დოლარის გადახდა დაეკისრა. 18 წლის ასაკში სურის ამ გზით 5 მილიონი ექნება დაგროვილი.

ჯიმ კარისა და ბრიუს ჯენერსი

ბრიუს ჯენერი — ცნობილი დების, კარდაშიანების დედა, 22 წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ქმარს, ოლიმპიურ ჩემპიონ ბრიუს ჯენერსს ეყრება. 57 წლის ბიზნესლედი, რომელსაც ამერიკაში დედა-მეწეველი ეძახიან, მარტო ცხოვრებას აპირებს.

— მე და ბრიუსი 20 წელზე მეტია, ერთად ვცხოვრობთ. გაგვიმართლა, ერთმანეთს რომ შევხვდით, მაგრამ ყველაფერ კარგს აქვს დასასრული. ჩვენ ბევრი შესანიშნავი მოგონება გვაკავშირებს — ერთად გახვდით მშობლები, ბებიპაპა, მაგრამ ახლა მარტო ცხოვრების დროა, — განაცხადა კრისმა.

კრის ჯენერი ბრიუსამდე ადვოკატის, რობერტ კარდაშიანის ცოლი იყო, რომელთანაც ოთხი შვილი გააჩინა — კორტნი, კიმბერლი, ქლოი და რობერტი.



■ კრის და ბრიუს ჯენერები

მხოლოდ სილქნეტის
ინტერნეტ აბონენტებისთვის

ნოუთბუქები

უპრეცედენტოდ დაბალ ფასად!



~~699 ლარი~~
579 ლარი
დანაზომი: 120 ლარი
acer

~~640 ლარი~~
550 ლარი
დანაზომი: 90 ლარი
ASUS



- ყველა ნოუთბუქზე ვრცელდება 1 წლიანი გარანტია
- ისარგებლეთ სილქნეტის ანტივირუსით სპეციალურ ფასად

თქვენი უზრუნველყოფა
გალაზია "კაპარა სისტემს"
აღ. ყაზბეგის გამზ. 19

თქვენი უზრუნველყოფა
გალაზია "ულტრა"
ღვინის აღმართი 23, აღ.ყაზბეგის.9



2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები